კვირის პალიტ
ᲛᲖᲔ
№28(161) 10/VII.-16/VII.2003.ფასი 60 თ

ᲓᲔᲓᲘᲡ ᲐᲛᲝᲣᲪᲜᲝᲑᲘ ᲒᲣᲚᲘ

1168
2003

ᲩᲕᲘᲓᲛᲔᲯᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲜᲐᲞᲝᲕᲜᲘ ᲨᲕᲘᲚᲘ

ᲠᲐᲡ ᲒᲔᲓᲐᲕᲡ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲙᲚᲘᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲘᲙᲕᲓᲘᲚᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ

ᲡᲐᲞᲐᲢᲐᲠᲫᲚᲝ — ᲕᲘᲡ ᲒᲣᲚᲡ ᲓᲐᲘᲞᲧᲠᲝᲑᲡ ᲛᲝᲓᲔᲚᲘ ᲜᲘᲜᲝ ᲝᲠᲓᲔᲜᲘᲫᲔ

„ᲨᲔᲑᲐᲠᲘᲚᲔᲑᲘ“ — ᲝᲗᲮᲘ ᲓᲔᲓᲘᲡ ᲓᲐ ᲔᲠᲗᲘ ᲛᲐᲛᲘᲡ ᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘ

ბაკურიანის გართობისა და დასვენების ჯადოსნურ სამყაროს 2003 წლიდან შეემატა ახალი, ულამაზესი

სასტუმრო „მელისი“

ტყის პირას

თითოეული ნომერი აღჭურვილია აბაზანა-ტუალეტით, ტელევიზორით, ფოიეში მინი ბარი, სასიამოვნო მუსიკა.
და რაც მთავარია, სუფთა ჰაერზე გაღვივებულ მადას პროფესიონალი მზარეულების მიერ მომზადებული უგემრიელესი, ეკოლოგიურად სუფთა, ქართული და ევროპული კერძები დაგიცხრობთ.
ეს ყველაფერი 15$-ად.

გააზარეთ ცხელი ზაფხული სიგრილეში

მის: თბილისი, უზნაძის ქ. № 113ბ; ☎ 94-23-55; 96-05-64 ; 899-17-15-19
ბაკურიანი, აღმაშენებლის ქ. 55; ☎ 899-20-59-42 ; 899-24-86-86

კვირის პალიტრა
ეზო
№28 (161)
10 - 16 ივლისი 2003
ფასი 60 თეთრი

მინიატურები
„პოზიცია“-ოპოზიციის „ხანჯლური“ და ბეიკერის ჩაგდებული მანდილი... 3
ერთი კითხვა
● „კრიზისიდან გამოსვლის უმოკლესი გზა არის გზა აეროპორტისკენ – ანუ საქართველოდან გაქცევა...“ 4
● „ბეიკერის ვარიანტით“ გახარებული ოპოზიცია ცოტა გულუბრყვილოდ გამოიყურება“ 5
ფენომენი
„მოჭიდავე არც ერთი არ არის – უბრალოდ, გოლიათები არიან...“ 6
საპატარძლო
„ინტერესი მკლავს – ვინ გამოეხმაურება ან რა მოჰყვება ამ ინტერვიუს...“ 7
როგორ ვისვენებთ
ფლირტი, „საპლაქე კურიოზები“ და მიგანს აცდენილი ჭორები... 10
კრიმინალი
● დების საღისტური მკვლელობა განსასჯელმა მომაკვდავ მამას გადააბრალა 12
● „ქმარი განგრახ არ მომიკლავს, მისგან მხოლოდ თავს ვიცავდი“, – აცხადებს 26 წლის თინიკო 13
● „მეგონა, თოფი ჰქონდა და ამიტომაც ვესროლე“ 14
გზავნილები
„მეც მიყვარხარ, გაბედე და გამიმხილე სიყვარული“... 16
თემა
დედის გული, დედის ხელი... 18
შეამოწმეთ თქვენი ცოდნა
ტესტი ერუდიციაზე 20
ოჯახი
„ნიკოლშოუ“ ანუ რას და როგორ „უბერავენ“ „შეგერილები“... 21
ანტიდეპრესანტი
ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი გოჩა დვალის უბის წიგნაკიდან 22
ფსიქერი
„სახელი არ შემიცვალო – მინდა, ნათესავებმა გაიგონ, როგორ გამიმეტეს...“ 24
გემოვნება
რეგი არველაძის და თეონა თავართქილაძის მშვენიერი სამფლობელო 26

დედის გული, დედის ხელი...

ყველაფერი 1972 წელს დაიწყო. ახალგაზრდა ქალმა იმშობიარა. მას ტყუპი ქალ-ვაჟი შეეძინა, მაგრამ ვაჟი მედპერსონალმა დაუმალა. მახარობელმა იყვირა: გოგო დაიბადაო. ბიჭი არავის უხსენებია. ოცდათერთმეტი წლის შემდეგ, იმ ქალს ვესაუბრები, რომელსაც შვილი მოჰპარეს.

18

„ინტერესი მკლავს – ვინ გამოეხმაურება ან რა მოჰყვება ამ ინტერვიუს...“

თბილისში, ქუჩაში მიმავალს, შემომხედავენ სახეზე, შემდეგ, ამათვალიერ-ჩამათვალიერებენ... სტამბოლში პირველ რიგში, გიყურებენ მკერდზე, შემდეგ – უკანა ხედით ინტერესდებიან... არაბეთის ქვეყნებში არსადაც არ გიყურებენ – მხოლოდ უკნიდან გაკვირდებიან.

7

დების საღისტური მკვლელობა განსასჯელმა მომაკვდავ მამას გადააბრალა



ანა მენთეშაშვილი გაღიზიანებული ჩანდა, თითქმის მთელი დღის მანძილზე ეკამათებოდა და საჩხუბრად იწვევდა ტაბახმელაშვილს. ბოლოს, მან გიორგის მამის ლანძღვაც დაიწყო. ტაბახმელაშვილი ქალს უხეშად შეეპასუხა. ამ დროს, იგი სააბაზანოში იმყოფებოდა...

12

„ნიკოლშოუ“ ანუ რას და როგორ „უბერავენ“ „შეგერილები“...



– იქ ძალიან სასაცილოდ ეწერა: თუ არსებობენ ძმები გრაქჩუსები, გრიმები, კარამაზოვები, რატომ არ უნდა იყვნენ ძმები ნიკოლაძეები? რითი ვართ დებ იშხნელებზე ნაკლებიო?! ამაზე ძალიან გამეცინა და... ჩვენი სახელი – „ნიკოლშოუ მედს“ – ასე იშიფრება: მამით ერთნი, დედით – სხვადასხვანი.

21

ტესტი

ერთგული მკითხველი 29

ნამდვილი ამბავი

პატიოსანი კაცის ამბავი
ანუ „არა შეXდა მწყერი ხესა“... 30

შეუცნობელი

რას ხედავს ადამიანი
კლინიკური სიკვდილის დროს? 32

ტაძარი

რომელ წმინდანებს ვევედროთ
ავადმყოფობის ქამს? 34

ლეგენდა

იტალიაში მეფე არტურის
ხმალი აღმოაჩინეს 35

ბომონდი 37

საფეხბურთო მინდვრებზე 38

სპორტული მოზაიკა 40

რომანი

რუსუდან ბერიძე.
დაგვიანებული რეისი
მოსკოვი-თბილისი (გაგრძელება) 42

სიყვარულის ამბავი

ვნების კვირაში ჩასახული
ამაღლებული სიყვარული 46

ავტო 48

საკითხავი ქალებისათვის 50

ვარსკვლავი

ბრიტნი სპირსის გულახდილობამ
ბევრი მკითხველი გააოგნა 52

ჯანმრთელობა

- უსაფრთხო ნამგზეური 54
- დაიძინე, პატარავ! 55
- არტერიული ჰიპერტენზია 56

მოგზაურის დღიურები

პირველი „გასეირნება“
ამერიკულ ციხეში 57

იუმორი 60

სკანეორდი 61

ჰოროსკოპი

კვირის (14-20 ივლისი)
ასტროლოგიური პროგნოზი 62

ტესტი

შეგიძლიათ თუ არა
სიყვარულის შენარჩუნება 63

კალეიდოსკოპი

ჭრელ-ჭრელი ამბები 64

გარეკანზე: გიორგი ჟორჟოლიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება

ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.

მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
მენეჯერი: კიაზო ბიჩინაშვილი

მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8
ტელ: 33-50-32 email: gza@kvirispalitra.com
ჟურნალი იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“

ფლირტი, „საპლაჟე კურიოზები“ და მიზანს აცდენილი ჭორები...

თავზე ბენდენა მქონდა წაკრული. ამ დროს, ორი მთვრალი კაცი შემოვიდა. ერთი გაჩერდა და შემომხედა. ვიფიქრე, მკითხავს: ინგა გრიგოლია ბრძანდებითო? მან კი, თითი გამოიშვირა ჩემკენ და მიბრძანა: შენა ერთი „პივა“ დამისხიო: გამყიდველი ვეგონე...

10

პირველი „გასეირნება“ ამერიკულ ციხეში...



ოლბანის ციხეში ბრუკლინელ ავტორიტეტებთან ნაცნობობა გამომადგა. არადა, თავდაპირველად ციხეში რატომღაც ყველაფერი უკონტროლო და უმართავი მეგონა... უფალს მადლობა შევწირე, იმის გამო, რომ ჩემი კვარტალის ყოჩის ბებიასთან დამეგობრებამ, ახლა აქ, ციხეში ლამის პირველ კაცად მაქცია...

57

ბრიტნი სპირსის გულახდილობამ ბევრი მკითხველი გააოგნა

ბრიტნიმ ისიც დასძინა, რომ არასდროს დაიჭერს საქმეს მასზე უმცროს მამაკაცთან, თუმცა აღნიშნა, რომ ცოტა ხნის წინ, შეხვდა 40 წლის დემი მურსა და მის ახალ „ფავორიტს“ – 25 წლის მსახიობ ეშტონ კაჩერს და დააფიქსირა, რომ დემი 20 წლის გოგონასავით გამოიყურებოდა.

52

დაგვიანებული რეისი მოსკოვი-თბილისი

– შეხედე ერთი, როგორ ეწებება!.. – გადაულაპარაკა ელამ დეას. – არა, რა... რუსი ქალი ოჯახში არ შეიშვება!.. შენ ასე არ ფიქრობ?

– რა ვიცი, აბა... – მხრები ბავშვივით აიჩეჩა დეამ.

42

„ოპოზიცია" – ოპოზიციის „ხანჯლური" და ბეიკერის ჩაგდებული მანდილი...

დაუბერა, მარა, რა დაუბერა ოპოზიციის ქარმა 25-30 „კმარა" წამში სიჩქარით! მაგრამ მოვიდა სეტყვა და დახვდა ქვაო, – სწორედ ჩვენს ოპოზიციასა და „პოზიციაზეა" ნათქვამი. არადა, არჩევნები საჭიროა და საჭიროა თუნდაც იმისათვის, რომ ხალხმა იცოდეს ვინ უნდა ლანძღოს მომავალი ოთხი წლის მანძილზე. ლანძღვაში კი, მართლაც, რომ ზედმეტს შვრება ჩვენი მოსახლეობა: როგორ შეიძლება, საკუთარ მთავრობას „ოლვეის-ულტრა" შეარქვა?! მერე რა, რომ სისხლი გაგიშრო?!. სულ დავკარგეთ სირცხვილ-ნამუსი. ეჰ, სადაა ძველი დრო!.. 70-80-იან წლებში, ისეთი მეთაური გვყავდა ქართველებს, რომ ვინ გაბედავდა ასეთი რამეების თქმას?! იყო წესრიგი და დისციპლინა... ე, ისეთი კაცი გვინდა ახლა, მაგრამ სადაა?!.

ჰოდა, რომ არაა, „აბლატავდნენ" პოლიტიკური პარტიები და დანა-ჩანგლის გარეშე, უტყემლოდ ჭამენ ერთმანეთს. ბევრი რამეა ამ კბენა-ღრენის მიზეზი, მაგრამ საარჩევნო კომისიების დაკომპლექტების საკითხმა მთლად გადარია. ბოლოს გადაწყვიტეს, რომელიმე განაბისთვის ეთხოვათ საქმის გარჩევა და ასეც მოიქცნენ:

ჩამოვიდა აშშ-ის ყოფილი სახელმწიფო მდივანი, ჯეიმს ბეიკერი – მსოფლიო პოლიტიკის ცნობილი ავტორიტეტი და მოაწყო „სხოდკა". ჩვენი კოლმეურნეობის თავმჯდომარეს (გვარს ვერ დავასახელებ) დიდი იმედი ჰქონდა, რომ „ტრუსიკის მეგობარი" მის სასარგებლოდ გადაწყვეტდა ყველაფერს, მაგრამ ამჯერად, იმედმა ჩაილურის წყალი დალია. ერთი სული ჰქონდა თავმჯდომარეს (გვარს რომ ვერ ვასახელებ), ეყვირა: – ესაა „ლიმონას" განთქმული ოქროს სიტყვაო? – მაგრამ ენას კბილი დააჭირა და ღიმილით შეხვდა მის დამღუპველ განაჩენს (არტისტობა არ ეხერხება თუ რა?!).

სამაგიეროდ, ოპოზიციამ გაიხარა გულით, რადგან, ხელისუფლებას მხოლოდ 5 კაცის შეყვანის უფლება მიეცა ცესკოში, მათ კი – 9 კაცის, თუ რა თქმა უნდა, ამ ცხრა ადგილისთვის არ დაცოფეს აწი ერთმანეთი შრატის გარეშე.

მოკლედ, ავტორიტეტმა თავისი სიტყვა დატოვა და წავიდა. ისე, კომისიის დაკომპლექტების ეს პრინციპი უკვე გამოუცდიათ ნიკარაგუაში და სხვა დედა-შვილდაწყევლილ ქვეყნებშიც „გაამართლაო", – ამბობენ და რაღა ჩვენთან არ გაამართლებს?!

ჰო, მართლა – ბეიკერს კიდევ, ჩვენი „კოლექტივის თავმჯდომარის" აცრემლებულ მალხაზ-თვალებში მომძვრალი წამწამი შეუნიშნავს და უკითხავს: წერილი გინდა თუ სიხარულიო? – წერილიო, – უპასუხია თავმჯდომარეს. ბეიკერსაც შარვლის შიგნიდან, ოლღა ბებიას მიერ გამოკერებული ჯიბიდან კონვერტი ამოუღია და მიუცია: ჯორჯ ბუშმა გამომატანაო...

ჩემი პროვოკატორული „სვიაზების" წყალობით, იმწამსვე იქ გავჩნდი და „თავმჯდომარემაც" კონვერტი მე მომცა: წამიკითხეო... მეც სიამოვნებით გავხსენი და კითხვა დავიწყე:

– „უსაყვარლესო, უნეტარესო და სულზე უტკბესო..."

– ხო, ხო, ხო, რავარი ვყვარებივარ! გააგრძელე, გააგრძელე...

– „იცოდე, რომ მეც, ამერიკაც, ევროპაც და მთელი მსოფლიოც შენ გვერდით ვართ. შენ ხარ ერთადერთი კაცი, რომელიც საქართველოს პრეზიდენტობას იმსახურებს..."

– დიდუ, აბა, გამიგრძელებია ვადა და ის არის! – ესიამოვნა „თავმჯდომარეს".

– „შენ პრეზიდენტობის ღირსი ხარ – ჭკუით, გონებით, მიხრამოხრით, სილამაზით... მე მაგიუებენ შენი თვალები, შავი, გოროზი თმა"... ვაი!..

– რაიო? – იყვირა შეშინებულმა. – ვის სახელზეა მაგი წერილი?

კონვერტს დავხედე და სულ სხვა სახელი და გვარი ამოვიკითხე, ისიც ცნობილი პიროვნებაა. კონვერტი მოვკუჭე და ჯიბეში ჩავიდე.

ამ დროს, კაბინეტში ბეიკერიც შემოვიდა და ჩვენი კოლმეურნეობის თავმჯდომარეს უთხრა:

– უკაცრავად, ბუშმა რომ თქვენთან წერილი გამომატანა, აგერაა, შემშლია თურმე. ეგ წერილი კი, საიდან გაჩნდა ჩემს შარვალში, არც კი ვიცი.

კაბინეტში ისევ ორნი დავრჩით.

– ამას მე თვითონ წავიკითხავ, – მითხრა და დაიწყო: „ჩემო უფროსო, უჭკვიანესო კოლეგავ, ძალიან დიდ პატივს გცემთ, მაგრამ იქნებ დროა..." – ამ სიტყვებზე კითხვა შეწყვიტა და გარეთ გამომისტუმრა. იმ პირველ კონვერტზე დაწერილი სახელი და გვარი კი, მხოლოდ მე ვიცი, მაგრამ ვიტყვი???

P.S. ორი კაცის სატელეფონო საუბარი:

– ტელევიზორს უყურებ?

– კი, ახლა გადავრთე, შევარდნაძეს უჩვენებს. შენ როდის გადართე?

– 30 წლის წინ რომ გადავრთე, მას შემდეგ, სულ მაგას უჩვენებს. მგონი გაფუჭდა ეს უპატრონო...

პროვოკატორი

"კრიზისიდან გამოსვლის უმოკლესი გზა არის გზა აეროპორტისკენ ანუ საქართველოდან გაქცევა..."

ნინო ჯავახიშვილი

ამჯერად, დამკვიდრებულ ტრადიციას გადავუხვიეთ და გადავწყვიტეთ, ამ რუბრიკით პოლიტიკოსების ნაცვლად, მოქალაქეებისთვის მიგვეცა სიტყვა, რათა მოგვესმინა მათი აზრი იმის თაობაზე, თუ რას ელიანიან მოახლოებული საპარლამენტო არჩევნებისგან, რა შეიცვლება არჩევნების შემდეგ და ვისი იმედი აქვთ? ბევრი, თავს არიდებდა ჩვენს კითხვაზე პასუხის გაცემას, ზოგი გვპასუხობდა, მაგრამ ვინაობის გამხელასა და სურათის გადაღებაზე გვეუბნებოდა უარს. უფრო ხშირად კი, ასეთი ფრაზები გვესმოდა: „ვისი იმედილა უნდა გვქონდეს ან რისი? ღმერთის იმედად ვართ დარჩენილები! ამ კრიზისიდან გამოსვლის უმოკლესი გზა არის გზა აეროპორტისკენ — ანუ საქართველოდან გაქცევა...“



ზურაბ ხარჩილავა:

— ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის, ეუთოს მიერ დანიშვნა იმედს მაძლევს, რომ არჩევნები სამართლიანად ჩატარდება. ბეიკერის საქართველოში ჩამოსვლაც მნიშვნელოვანია. მინდა, ჩემი პოზიცია დავაფიქსირო და გითხრათ, რომ მხოლოდ და მხოლოდ გურამ აბსანძის იმედი მაქვს. ის გაატარებს იმავე პოლიტიკას, რასაც ზვიად გამსახურდია ატარებდა! მოკლედ, ძველი გუნდის, უფრო მეტად მჯერა. ახალგაზრდა პოლიტიკოსები შევარდნაძის მოწაფეები არიან. კიდევ დიდი დრო სჭირდებათ დასაღვინებლად და იმისთვის, რომ გამოცდილ პოლიტიკოსებად ჩამოყალიბდნენ. იმ ძველი ხელისუფლების დროს, აფხაზეთიც ჩვენი იყო და სამაჩაბლოც! იქნებ, იმ ადამიანებმა, ვინც არჩევნების შედეგად ქვეყნის სათავეში მოექცევა, პირველ რიგში, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დასაბრუნებლად იღონონ რამე!

კარლო დალაქიშვილი:

— რა უნდა გითხრათ? არავინ იცის, საარჩევნოდ ვინ რაზე წავა, ვინ ვისთან შეთანხმდება, რა მოხდება... ვფიქრობ, ბევრი რამ შეიცვლება. ცოტა ჭკუაზე თუ მოვა ჩვენი ხელისუფლებაც და ოპოზიციაც, კარგი იქნება. ისე, არც ერთი პოლიტიკური ძალის იმედი არა მაქვს. რა ვქნა?! — ტელევიზიით ისეთ განცხადებებს აკეთებენ, რომ... პარტიის თავმჯდომარეები ერთმანეთს უხამსი სიტყვებით რომ ლანძღავენ, ისინი საქმის გამკეთებლები არ არიან! ისევ ჩვენ უნდა გავანძრიოთ ხელი და თვითონ ვუშველოთ თავს. მე პენსიონერი ვარ, ჩემი მეუღლეც პენსიონერია, რაღაც პატარ-პატარა საქმეებსაც ვაკეთებ და გავდივართ იოლას. კარგად არ ვცხოვრობთ, მაგრამ არც გვიჭირს. თუ რაიმე შეიცვალა, ხომ კარგი, თუ არა და, ვიქნებით ასე... ბეიკერი ჩამოვიდა და იქამდე თუ ოპოზიციისთვის რაღაც-რაღაცები მიუღებელი იყო, ახლა მისაღები გახდა. ესეც ჩვენი სირცხვილია: როგორ — ჩვენ თვითონ ვერ უნდა მოვრიგდეთ?! ან ვერ უნდა ვხვდებოდეთ, ქვეყნისთვის რა არის სასიკეთო და რა — არა?! ქართველები ნიჭიერი ხალხი ვართ, მაგრამ ამ ნიჭს ბოროტად ვიყენებთ. რაც ქვეყანაში ხდება, ნაწილობრივ ჩვენი ხალხის ბრალიც არის...

ცირა იასალაშვილი:

— არაფრის იმედი აღარ მაქვს — არც არჩევნების, არც რომელიმე პოლიტიკური ძალის... რა უნდა შეიცვალოს ჩვენთან ჩვეულებრივი ადამიანების სასიკეთოდ?! არაფერი! ჩემი და, გულის მანკით არის დაავადებული. მათხოვარივით დავდივარ აქეთ-იქით, დავწოწიალებ დახმარების სათხოვნელად, მაგრამ ყველგან უფულობას იმიზეზებენ და უარს მეუბნებიან. არადა, ხომ შეიძლება მისი გადარჩენა?! ოპერაცია ძვირია, ჩვენ არ გვაქვს გადახდის საშუალება და ამიტომ უნდა მომიკვდეს და?! ასეთ ქვეყანაში ვინმეს ან რამის იმედი როგორ უნდა მქონდეს?! სახელმწიფო ისეთი მძიმე ავადმყოფების მკურნალობას, როგორიც ჩემი დაა, არ აფინანსებს და ვინ გვიშველის — რომელიმე პოლიტიკურ ლიდერი თუ ამერიკიდან დიდი ამბით ჩამოსული ბეიკერი?! არჩევნებში არც მივიღებ მონაწილეობას, რა აზრი აქვს?!



იური ლელაშვილი:

— არაფრის იმედი არა მაქვს. ყველა, ვინც უპატიოსნოა, არჩევნებში იღებს მონაწილეობას და პარლამენტში მოხვედრაზე ოცნებობს! აზრი არა აქვს, არც ცესკოს თავმჯდომარის შეცვლას და არც ბეიკერის სტუმრობას! წინა არჩევნებმა და ე.წ. „კარუსელებმა" საერთოდ გადაგვიწურა იმის იმედი, რომ ამ ქვეყანაში არჩევნები ოდესმე სამართლიანად ჩატარდება.

მერაბ ჯავახიშვილი:

— რაღაც არ მჯერა, რომ რაიმე სასიკეთოდ შეიცვლება არჩევნების შემდეგ. არც იმის იმედი მაქვს, რომ არჩევნები სამართლიანად, გაყალბების გარეშე ჩატარდება. ქართველ კაცს ისე შეუყვარდა ფული და თანამდებობა, რომ ყველაფერს იკადრებს! თანამდებობა ვის არ უყვარს, მაგრამ ყველაფერი საკუთარ ქვეყანას და ხალხს უნდა ანაცვალო! ყველაზე პატიოსან და წესიერ პოლიტიკოსად შალვა ნათელაშვილს მივიჩნევ.

ავთანდილ გოჩიაშვილი:

— თუ ზედმეტ ემოციას არ ექნება ადგილი, იქნებ, არჩევნები მართლაც სამართლიანად ჩატარდეს და რაიმე გვეშველოს. ხომ არ შეიძლება, ზოგ-ზოგიერთებმა ამდენი ფული შეჭამონ, მილიონერები გახდნენ და ხალხს — არაფერი?! ყველაზე დიდი პრობლემა აფხაზეთის და სამაჩაბლოს დაბრუნებაა. რეალური პოლიტიკით თუ შემოვიერთებთ დაკარგულ ტერიტორიებს... ვნახოთ, რა მოხდება. არჩევნებში მონაწილეობას მივიღებ და ხმას ლეიბორისტულ პარტიას მივცემ. უნდა გითხრათ, რომ დიდი იმედი არა მაქვს, მაგრამ უიმედო, ურწმუნო კაციც საშინელებაა!

ლალი დიღმელაშვილი:

— ვფიქრობ, რომ არჩევნები ნორმალურად, გაყალბების გარეშე ჩატარდება. უიმედოდ რატომ უნდა ვიყო?! ღმერთმა დამიფაროს! არჩევნებში ყოველთვის ვმონაწილეობდი და ახლაც მივიღებ მონაწილეობას. მჯერა ჩვენი პოლიტიკოსების. დიდ პატივს ვცემ მიშა საკაშვილს და შალვა ნათელაშვილს. კაცი იმედით ცოცხლობსო, — ნათქვამია... ■

„ბეიკერის ვარიანტით" გახარებული ოპოზიცია ცოტა შეღებვილად გამოიყურება

როგორ შეფასებას აძლევენ პოლიტოლოგები ე.წ. ბეიკერის ვარიანტს და იმ სქემას, რომლის მიხედვითაც უნდა ჩატარდეს საქართველოში არჩევნები? ჟურნალისტებთან არაოფიციალური საუბრისას ისინი ამბობენ, რომ გახარებული ოპოზიცია ოდნავ გულუბრყვილოდ გამოიყურება პრეზიდენტის ფონზე, რომელიც თავის მხრივ, იმითაა გახარებული, რომ ძველ მტრებს (იგულისხმება ოპოზიცია) მეგობარივით დაშორდა. მათი განმარტებით, ჯერჯერობით იმის დარწმუნებით თქმაც შეუძლებელია, თუ ვისზე განახორციელა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ზეწოლა — პრეზიდენტზე თუ ოპოზიციაზე. პრეზიდენტი აიძულა ბეიკერმა, წასულიყო ოპოზიციასთან დათმობაზე თუ ოპოზიცია — შერიგებოდა პრეზიდენტს, — ძნელი სათქმელია. მაგრამ ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ ბეიკერის ვიზიტის შემდეგ, ქართულ პოლიტიკაში ახალი სიტუაცია იქმნება.

ნანა ქიბიშაური

რამაზ კლიმიაშვილი, *პოლიტოლოგი:*

— ყოველგვარი ყოყმანისა და დაფიქრების გარეშე შემიძლია ვთქვა, რომ მართლაც, ამ კვირის ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა, საქართველოში ბეიკერის ვიზიტი გახლდათ და ბუნებრივია, რომ ეს ფაქტი დიდხანს შემორჩა ქართულ პრესას მთავარ თემად. სხვათა შორის, მხოლოდ კვირის კი არა, შეიძლება, წლის მოვლენადაც კი ჩაითვალოს. ხელისუფლებას არ სურდა, ხელიდან გაეშვა სადავეები და იმისათვის, რომ პოზიციები არ დაეთმო, ბოლომდე იბრძოლა, მაგრამ ეს ბრძოლა უგუნურ სიჯიუტეში არ გადაიზარდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, მართლაც, არავინ იცის, თუ როგორ განვითარდებოდა მოვლენები. ბეიკერმა კონკრეტული და მკაცრი მოთხოვნებით აიძულა ხელისუფლება, დათმობაზე წასულიყო. ამ მოთხოვნებს ოპოზიცია დიდი ხანია, ხელისუფლების წინაშე აყენებდა, მაგრამ ეტყობა, ჩვენი პრეზიდენტისთვის აუცილებელი იყო, იგივე, ამერიკას ეთქვა ძველი მეგობრის პირით... ცესკოს დაკომპლექტების მიღებული ვარიანტი უკვე არჩევნების დემოკრატიულად ჩატარების იმედს იძლევა. რამდენიმე დღის წინ კი, სრულიად განსხვავებული მდგომარეობა იყო. მართალია, ბეიკერის ვიზიტმა საქართველოს სამომავლო პერსპექტივა განსაზღვრა, მაგრამ ამ ფაქტის ისეთ ზეიმად გადაქცევა და იმგვარი ეიფორიული განწყობა, როგორიც რამდენიმე ოპოზიციურ პარტიას შეეატყვე, ზედმეტად მეჩვენება. სქემაში არც ისეთი პუნქტებია მოცემული, რომელიც ზოგიერთ პოლიტიკოსს დაეჭვების საბაბს მისცემს — ამერიკა ზედმეტად ხომ არ ერევა ჩვენი ქვეყნის საშინაო საქმეებში? მაინც, რა არის ბეიკერის მიერ ჩამოთვლილ პუნქტებში ისეთი, რომელიც ქართულ პოლიტიკას პოზიტიური მიმართულებით არ შეცვლის?

1. პარლამენტი მიიღებს და მთავრობა განახორციელებს არჩევნების კოდექსს, 2 აგვისტომდე.

2. მხარეები შეთანხმდებიან ყველა დონის საარჩევნო კომისიების შემადგენლობაზე პირველ აგვისტომდე.

3. ყველა პოლიტიკური მოღვაწე თავს შეიკავებს ძალადობისკენ მოწოდების, მუქარისა და დაშინებისაგან, როგორც საარჩევნო კამპანიის დროს, ასევე მისი მიმდინარეობისას და შემდგომ პერიოდშიც.

4. მთავრობა შეიმუშავებს ამომრჩეველთა ზუსტ და გამჭვირვალე ელექტრონულ სარეგისტრაციო სიებს, რომელიც განთავსდება საარჩევნო უბნებსა და ინტერნეტში პირველ სექტემბრამდე.

5. მთავრობა და ყველა პოლიტიკური მოღვაწე ითანამშრომლებს თბილისისა და მისი გარეუბნების საარჩევნო კომისიების წევრების მომზადების პროგრამებთან დაკავშირებით. მომზადების პროგრამა დაიწყება დაუყოვნებლივ და დასრულდება 15 სექტემბრამდე.

6. მთავრობა იძლევა გარანტიას, რომ

ყველა კანდიდატი პრესასა და ტელევიზიაში (სახელმწიფო მედიის ჩათვლით) თანაბრად იქნება დაშვებული. აღნიშნული წესი ძალაში შედის სქემის მიღებისთანავე.

7. მთავრობა 15 სექტემბრამდე გამოსცემს დებულებას, რომელიც უზრუნველყოფს არჩევნების დეტალური შედეგების დროულად გამოქვეყნებას.

8. მთავრობა მხარს დაუჭერს და ხელს შეუწყობს იმას, რომ ხმები დაითვლება დამოუკიდებელი დამკვირვებლის მიერ. დებულება საერთო საარჩევნო კოდექსის შესახებ ძალაში პირველ აგვისტომდე უნდა შევიდეს. მთავრობამ უნდა შეიმუშავოს მეთოდი, რომელიც ხმების დათვლის გამჭვირვალობასა და სიზუსტეს უზრუნველყოფს.

9. მთავრობა მიესალმება და მხარს უჭერს დამოუკიდებელი დამკვირვებლების მონაწილეობას არჩევნებში.

10. ყველა პოლიტიკური მოღვაწე და ძალა დაიცავს საქართველოს კანონებსა და ქვეყნის კონსტიტუციას.

ვფიქრობ, არავინ უნდა იყოს ამ პუნქტების შესრულების წინააღმდეგი. თუმცა, სქემის მოწონება და აღიარება ერთია, შესრულება კი — მეორე.

გია არეშიძე, *პოლიტოლოგი:*

— ხელისუფლების წარმომადგენლებიდან რამდენიმემ მკვეთრი განცხადება გააკეთა. მათ ბეიკერს დაანახვეს, რომ ხელისუფლებას შეეძლო, არ გაეთვალისწინებინა ამერიკის მიერ მოწოდებული რეკომენდაციები, მაგრამ პრეზიდენტმა გამოიჩინა კეთილი ნება და აი, როგორი შეხმატკბილებული შეხვედრა გამართა ოპოზიციასთან. მხოლოდ ერთხელ გაისმა თურმე პრეტენზიული კითხვა და ისიც — გამაგრილებელ წყალთან დაკავშირებით: რატომ იდგა მაგიდაზე მხოლოდ „ბორჯომი“? ოპოზიცია პრეზიდენტთან კი შეთანხმდა, მაგრამ ერთმანეთში ახლა იმაზე ვერ შეთანხმებულან, თუ პირველმა ვინ ურჩია ბეიკერს პრეზიდენტისთვის ისეთი სახით შეეთავაზებინა სქემა, როგორითაც შესთავაზა. ამერიკის მიერ სურვილების ასეთ მკაცრ და ოფიციალურ დონეზე მოწოდება მიანიშნებს იმაზე, რომ საქმე გვაქვს არა მხოლოდ თხოვნასთან და რჩევასთან, არამედ მოთხოვნასთან, რომლის შეუსრულებლობამ შეიძლება, ძალიან ცუდ შედეგებამდე მიგვიყვანოს. ვფიქრობ, რომ შევარდნაძე რეალისტი პოლიტიკოსია და საბოლოოდ, არა მხოლოდ დათანხმდება ბეიკერის მიერ შემოთავაზებულ ყველა წინადადებას, არამედ შეასრულებს კიდეც. მინდა, გამოვეხმაურო საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრისა და უშიშროების საბჭოს მდივნის განცხადებებს. მათ აღნიშნეს, რომ საქართველოს შეუძლია, გაეცნოს სქემას, გადაწყვეტილებაც მიიღოს, მაგრამ არ შეასრულოს კონკრეტული რეკომენდაციები, რადგან საქართველო სუვერენული სახელმწიფოა და თვითონ უნდა გააკეთოს არჩევანი და გადაწყვიტოს, თუ რა ჯობს მისთვის... ჩემთვის აბსოლუტურად გაუგებარია ირაკლი მენაღარიშვილისა და თედო ჯაფარიძის განცხადებები ამ ვიზიტთან დაკავშირებით. საერთოდ, ბოლო ერთი წელია, ხელისუფლების მოქმედება ლოგიკას არ ექვემდებარება. ეს კიდევ ერთხელ გვარწმუნებს იმაში, რომ ხელისუფლებას შეუძლია არალოგიკური ნაბიჯების გადადგმა. რომ დამტკიცდეს სქემა, მაგრამ მაინც არ ჩატარდეს დემოკრატიული არჩევნები — ეს საქართველოსთვის კატასტროფის ტოლფასი იქნება. მიუხედავად იმისა, რომ სახელისუფლებო ბლოკის წარმომადგენლებმა, ამერიკის მხრიდან შემოთავაზებული წინადადების მიღებაზე თანხმობა განაცხადეს, ბეიკერი მაინც არ ენდობა მათ „პატიოსან სიტყვას“. როგორც ჩანს, კარგად იცნობს ხელისუფალთა მოდგმას და იმიტომ! სწორედ ამიტომ დატოვა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის თანაშემწე, ელიზაბეტ ჯონსი გაურკვეველი ხნით საქართველოში. ეს ქალბატონი გახლავთ ევროპისა და ევრაზიის საქმეთა ბიუროს ხელმძღვანელი და ევალება, თვალყური მიადევნოს მოწოდებული დირექტივების შესრულებას. ამ ფაქტორებიდან გამომდინარე, ოპტიმისტურად ვარ განწყობილი. ის ფაქტი, რომ 3000 უცხოელი დამკვირვებელი არჩევნებში ხმების დათვლის პროცესში მიიღებს მონაწილეობას, იმის იმედს მაძლევს, რომ არჩევნები არ გაყალბდება. ■

„ მოჯიდავე არც ერთი არ არის – უბრალოდ, გოლიათები არიან...“

პატარა ქართველი გოლიათი გიორგი (გიო) ბიბილაური 9 ივლისს ხუთი წლის გახდა. მისი დაბადების დღე ძალზე ორიგინალურად დაიწყო. ის ტატამზე ყაბარდო-ბალყარეთიდან ჩამოსულ მეორე პატარა გოლიათს — ჯამბულატს შეხვდა. ბავშვები ძალიან გაღიზიანებულები ჩანდნენ, რაც უფროსების ცნობისმოყვარეობამ და გაუთავებელმა შეკითხვებმა გამოიწვია.

გიორგი (მარცხნივ) და ჯამბულატი

მაია ბიბილაური, *გიორგის დედა:*

— ეს იყო მეგობრული შეხვედრა და არა ორთაბრძოლა. ღმერთმა ქნას, რომ ორივე ბავშვი სპორტსმენი გახდეს. ჯერჯერობით ისინი სულ პატარები არიან — განსაკუთრებული ბავშვები, რომელთა მიმართ ყველა დიდ ინტერესს იჩენს. ჯამბულატი გიორგიზე 5 კგ-ით მეტს იწონის, მაგრამ გიორგი ასაკით უფროსია და თანაც, უფრო მოქნილია. ამიტომ სულ ვაფრთხილებდი: უფრო ძლიერი ხარ და არ დაარტყა-მეთქი. თანაც — ჯამბულატი უცხო ქვეყანაშია სტუმრად; უცხო გარემო ბავშვებზე ყოველთვის ცუდად მოქმედებს. არ მინდა, დაწეროთ, რომ რომელიმე მათგანმა გაიმარჯვა: ეს ხომ უბრალოდ, გართობა იყო — შოუ ტატამზე.

გიორგი ბიბილაური, *გიოს მამა:*

— ორი დღეა, რაც ჯამბულატი თბილისშია. ჩვენ მას რუსეთ-საქართველოს საზღვარზე დავხვდით. ბავშვებს ერთმანეთი ძალიან მოეწონათ. იოლად დამეგობრდნენ.

— სანამ ჯამბულატი ჩამოვიდოდა, გაურკვეველი იყო დაფინანსების საკითხი. როგორ მოაგვარეთ ეს პრობლემა?

— ოფიციალური სპონსორი არ გამოიძებნა. არავის გაუწევია ჩვენთვის მატერიალური დახმარება. ერთადერთი ქეთი ჟორდანია (არასამთავრობო ორგანიზაცია „ფესვები“) დაეხმარა ჩემს გიორგის. ამ შემთხვევაში, მნიშვნელობა არ ჰქონდა იმას, თუ ვინ გაიმარჯვებდა — მთავარი, ამ ორი ბავშვის დამეგობრება იყო. ახლა კი, ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია ამ მეგობრობის გაგრძელება. 24 სექტემბერს, ჯამბულატი ოთხი წლის ხდება. ალბათ მის დაბადების დღეზე ჩვენც ვესტუმრებით მას.

— შეხვედრით თუ ხართ კმაყოფილი?

— მოჭიდავე არც ერთი არ არის — ისინი უბრალოდ, გოლიათები არიან...

გიორგიმ და ჯამბულატმა შეჯიბრების წინა დღე სეირნობაში გაატარეს. მათმა გამოჩენამ ზოოპარკში ნამდვილი აჟიოტაჟი გამოიწვია. ორ გოლიათს იქ მყოფი ბავშვები გაოცებულები მისჩერებოდნენ... ჯამბულატი თბილისში კიდევ ორი დღე დარჩება. ის საგარეო საქმეთა სამინისტროს სასტუმროში ცხოვრობს. ■

ინტერესი მკლავს — ვინ გამოეხმაურება ან რა მოჰყვება ამ ინტერვიუს...

მარი ჯაფარიძე

როგორც ჩვენი მკითხველი ქალბატონები გვწერენ და ტელეფონით საუბრისას მეუბნებიან, თურმე, „გზის“ ყოველ მომდევნო ნომერს დიდი ინტერესით ელიან, რათა ჩვენს რუბრიკაში სასურველი სასიძო იხილონ და გამოეხმაურონ. წინა ნომრის გამოსვლისთანავე კი, სალამო ხანს, ახალგაზრდა მამაკაცმა დამირეკა. ჩვენ შორის ასეთი დიალოგი გაიმართა:

— მარი ხართ?

— დიახ.

— ჩემო კარგო, მე ახლა საყვედური უნდა გითხრათ!

— რატომ, რა დავაშავე?

— რა და, თქვენ მამაკაცთა უფლებებს არღვევთ!.. რომ მიადექით ამ „სასიძოებს“ და ზედიზედ ყველა ნომერში უშვებთ, ჩვენ რა დავაშავეთ? „საპატარძლოების“ ნაკლებობას არ განვიცდით და რა გახდა ერთი კაი გოგო? ირინა გყავდათ კახნიაშვილი, ენაცვალოს ჩემი თავი, მაგრამ სულ ეგ არის?

— თქვენ ვისი ხილვა გსურთ „საპატარძლოს“ ამპლუაში?

— ჩემს თავს გაფიცებ(?!), ერთი კაი გოგო „დამავჯახე“ და პირობას გაძლევ, არ შეგარცხვენ! ძლივს „გაიჩითა“ ბოლო ნომერში კიდევ ერთი გოგონა და ისიც, Вот-Вот გათხოვდება...

მართლაცდა, რა დააშავეს მამაკაცებმა?! ან თუნდაც, იმ „საპატარძლოებმა“, რომლებიც „შინ სხედან და ბედს ელიან?“ სწორედ ამიტომ, გადავწყვიტეთ (მით უმეტეს, რომ ჩვენმა მკითხველმა საკუთარი თავი დამაფიცა) დღევანდელ ნომერში მართლაც, „კაი საპატარძლო“ — ნინო ორდენიძე წარმოგიდგინოთ. მან კარიერა თბილისში, ზალიკო ბერგერის მოდელობით დაიწყო, დღესდღეობით კი, სტამბოლში, ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული კინოვარსკვლავია. საკუთარი საქმიანობის შესახებ უფრო დაწვრილებით თავად გვიამბობს.

— აქ მოდელი სულ შემთხვევით გავხდი. ზალიკოსთან ვმეგობრობდი. ერთხელ, პოდიუმზე გამოსვლა შემომთავაზა. მეც, სახალისოდ, დავთანხმდი. ყველას ძალიან მოვეწონე. შემდეგ წავედი სტამბოლში, მოდელების კონკურსში მონაწილეობის მისაღებად. იქ უამრავი კონტრაქტი შემომთავაზეს. შემდეგ წავედი მალაიზიაში — კონკურსზე მის Tourism International მესამე ადგილი დავიკავე. ამის შემდგომ, კვლავ სტამბოლში შემომთავაზეს ხელსაყრელი კონტრაქტი და მეც არ მიყოყმანია, ისე დავთანხმდი. თავდაპირველად, სხვადასხვა სააგენტოში ვმუშაობდი მოდელად, შემდეგ ტელესერიალში გადაღება შემომთავაზეს, შემდეგ — კიდევ; ასევე მიმიწვიეს მხატვრულ ფილმში გადასაღებად და უკვე ძალიან პოპულარული გავხდი...

— სტამბოლში ნაქირავებ ბინაში ცხოვრობ?

— არა, საკუთარ, სამსართულიან სახლში. ბინის ხარჯს ის კინოკომპანია ისტუმრებს, რომელთანაც კონტრაქტი მაქვს გაფორმებული. მყავს დამხმარე ქალი, რომელიც საშინაო საქმეებს აგვარებს...

— რით განსხვავდება შენი თბილისური და იქაური ცხოვრების სტილი?

— იქ ვცხოვრობ ვარსკვლავის ცხოვრებით: მიღებები, შეკრებები, ინტერვიუები, დისკოთეკები... ეს ყოველდღიური ცხოვრების წესია. სხვათა შორის, იქაური ჟურნალისტები სულ სხვაგვარად მუშაობენ: როდესაც შინიდან გამოვდივარ, უკვე ვიცი, რომ ჟურნალისტი და პაპარაცი მომყვებიან და მთელი დღის განმავ-

ჯობს, ისეთი მიმიღოს, როგორიც ვარ. არ ჯობია, გადაღებებზე ჩემთან ერთად იაროს?!

ლობაში, ჩემს თითოეულ ნაბიჯს აფიქსირებენ. საღამოს საინფორმაციო გამოშვებები კი იწყება იმით, თუ რომელი ვარსკვლავი რას აკეთებდა დღის განმავლობაში – რა ჭამა, რა დალია, რომელ რესტორანში იყო, ვინ ახლდა, რა თანხა გადაიხადა სადილსა თუ ვახშამში, ვისთან იცეკვა, შინ რომელ საათზე და ვისთან ერთად დაბრუნდა... ფეხი ერთი თუ გადაგიბრუნდა, მორჩა – მეორე დღეს, მთელი თურქეთი ილაპარაკებს შენ შესახებ. ეს ძალზედ დამღლელია. თბილისში კი, თვეზე მეტია, რაც ჩამოვედი და ჯერ, თქვენ გარდა, არც ერთი ჟურნალისტი არ დაინტერესებულა ჩემით... ასე ვთქვათ, დავისვენე. თავს საკმაოდ კარგად და თავისუფლად ვგრძნობ.

— ოჯახის წევრები როგორ შეხვდნენ შენს გადაწყვეტილებას, რომ საცხოვრებლად თურქეთში წასულიყავი?

– ოჯახის წევრებისთვის არც მიკითხავს, წავიდე თუ არა-მეთქი? გადაწყვეტილება თავად მივიღე და ვფიქრობ, არც შევმცდარვარ. სტამბოლი ძალიან კარგი ქალაქია. ახლა, მენატრება კიდეც. თურქებიც ძალიან თბილი ხალხია. წინათ, სულ სხვა შთაბეჭდილება მქონდა მათზე. ქართველებს უზომოდ სცემენ პატივს, ოჯახის წევრები კი, საკმაოდ ხშირად ჩამოდიან ჩემს მოსანახულებლად...

— ლუარსაბ თათქარიძისა არ იყოს, ყველა-ყველა და... გათხოვებას არ აპირებ?

– ჯერჯერობით, არავინ გამოჩნდა ისეთი, ვისზეც სერიოზულად ვიფიქრებდი...

— როგორ დავიჯერო, რომ თაყვანისმცემლების ნაკლებობას განიცდი?

– არა, ნაკლებობას არ განვიცდი, შეყვარებულიც მყოლია, მაგრამ სერიოზული პიროვნება, რომელიც ჩემს გულს ისე დაიპყრობდა, რომ ოჯახის ბორკილები დამედო, ჯერ არ გამოჩენილა...

— როგორი ხარ, როცა სამყაროს შეყვარებულის თვალებით უცქერი?

– თითქმის მთელი შეგნებული ცხოვრების მანძილზე შეყვარებული ვარ. თუ რეალურად არ არსებობს ისეთი პიროვნება, ვინც ჩემს ოცნებას ფრთას შეასხამს, შესაძლოა, მე თვითონ გამოვიგონო იგი. ეს იმაში გამოიხატება, რომ თვალს დავადგამ ვინმეს და ვიტყვი: ეს ადამიანი მიყვარს. მერე მართლა მიყვარდება ხოლმე... შესაძლოა, მეორე დღეს, ისიც კი ვთქვა – მეზიზღება-მეთქი, – მაგრამ ერთი დღით მაინც ხომ მიყვარს?!. როცა შეყვარებული ვარ, ვარ გიჟი. შემიძლია ბევრი უაზრო საქციელი ჩავიდინო მისი გულისთვის. სიცოცხლეს შევწირავ, თავს ვანაცვალებ. მაგრამ ზუსტად იმავეთი უნდა მიპასუხოს! თუ არა და, იქვე დავუსვამ წერტილს ჩვენს ურთიერთობას.

— თუ საიდუმლო არ არის, რამდენი წლის ხარ?

– არა, ასაკს ჯერ არ ვმალავ. ცოტა ხანში დავიწყებ ტყუილების თქმას – ჯერ ერთ წელს მოვიკლებ, მერე ორს, მერე ათს და ასე შემდეგ... დავიბადე 1980 წლის 11 სექტემბერს. ვარ მაიმუნის წელში დაბადებული, ქალწული.

— მაიმუნებისთვის დამახასიათებელია ეშმაკობა. შენ როგორი ხარ?

– ეშმაკუნა ვარ, მიყვარს პატარ-პატარა ეშმაკობები, თვალებით თამაში, ფლირტზე ვგიჟდები. მამაკაცებთან ფლირტი უდიდეს სიამოვნებას მანიჭებს. არაჩვეულებრივად ვგრძნობ თავს ასეთ დროს. მამაკაცმა უნდა შემიყვაროს ისეთი, როგორიც ვარ. ჩემთვის არ არსებობს ოქროს შუალედი: ან ვარ ძალიან კარგი, ან – ძალიან ცუდი...

— შენი რჩეული აუცილებლად მატერიალურად მყარად უნდა იდგეს ფეხზე?

– იცი, რა? არ მიყვარს, როდესაც ამბობენ, რომ მთავარია სიყვარული, გაგება და ა.შ. ძალიან მიყვარს კომფორტი, სიურპრიზები, ამიტომ, ჩემი ბოიფრენდი იქნება ის თუ მეუღლე, პირველ რიგში უნდა მაგრძნობინოს, რომ ქალი ვარ. ამაში ვგულისხმობ ყველაფერს. ამისათვის კი, აუცილებელია, როგორც ფული, ასევე მამაკაცური ალღო, ინტუიცია და გამოცდილება...

— ბედისწერის თუ გჯერა?

– ვგიჟდები ამ გამონათქვამზე – „სადაც არის ბედი შენი, იქ მიგიყვანს ფეხი შენი“. ბედისწერის უზომოდ მჯერა. რაც მოსახდენია, იმას თავიდან ვერ აიცილებ...

— ეი. მკითხავებისაც გჯერა...

– როგორ გითხრა?.. წინათ, სტუდენტობის დროს, ძალიან ხშირად დავდიოდი მკითხავებთან. თბილისში ყველა მკითხავი მცნობდა. როდესაც თურქეთში გადავედი საცხოვრებლად. იქაც მოვიკითხე, ვითხოვე – მკითხავი მომიყვანეთ-მეთქი. საიდანღაც, სტამბოლის გარეუბნიდან ინდოელი ქალი მოიყვანეს. იცი, მათი იმდენად არ მჯერა, რამდენადაც მკითხაობის პროცესი მომწონს...

— საყვარელი ადამიანის გულისთვის კარიერას დათმობ?

– ასეთ კითხვას რატომ მისვამ?.. ჯობს, ისეთი ადამიანი შემხვდეს, რომელიც მხარში ამომიდგება და პირიქით – დამეხმარება... ჯობს, ისეთი მიმიღოს, როგორიც ვარ. არ ჯობია, გადაღებებზე ჩემთან ერთად იაროს?! ახლა რომ მარტო დავდივარ, მერე ერთად ვივლით... ასე უფრო საინტერესო არ იქნება?!

— როგორი მამაკაცები არ მოგწონს?

– ვერ ვიტან მატყუარა კაცებს. ყველაზე მეტად ტყუილი მაღიზიანებს, თუმცა, ყოფილა შემთხვევა, რომ ისე ოსტატურად მოვუტყუებივარ კაცს, აღფრთოვანებულს ტაშიც კი შემომიკრავს და „ბრავოც“ დამიძახია. თუმცა, როგორც არ უნდა მიყვარდეს, ტყუილის თქმის შემდეგ, ის ადამიანი მეზიზღება...

— როგორი მამაკაცი იწვევს შენს აღფრთოვანებას?

– ის, ვინც იცის, как преподнести чего-то или кого-то. ეს უდიდესი ნიჭია და ყველას არ ხელეწიფება... გარეგნულადაც კარგი უნდა იყოს, ოღონდ – ლამაზი კი არა, მამაკაცური, მკაცრი, მოუხეშავი ნაკვთებით. ცოტა „ნაგლი“, მიზანდასახული. ვგიჟდები იმ მამაკაცებზე, რომლებსაც საშიში გამოხედვა აქვთ. მთელი ცხოვრება ასეთ ბიჭებზე მქონდა „გართულება“. ვერ ვიტან, როცა კაცს სახეზე უსაფუძვლო ბედნიერება და უაზრო გამომეტყველება აქვს აღბეჭდილი.

— გაქვს ლამაზი სახე, მშვენიერი აღნაგობა და კარგი ფეხები... უფრო ხშირად სად გაცქერდებიან მამაკაცები?

— ამ შემთხვევაში, შეგვიძლია, რამდენიმე ვარიანტი განვიხილოთ: თბილისში, ქუჩაში მიმავალს, შემომხედავენ სახეზე, შემდეგ, ამათვალიერ-ჩამათვალიერებენ... სტამბოლში პირველ რიგში, გიყურებენ მკერდზე, შემდეგ — უკანა ხედით ინტერესდებიან... არაბეთის ქვეყნებში არსადაც არ გიყურებენ — მხოლოდ უკნიდან გაკვირდებიან. სხვათა შორის, იმასაც გააჩნია, თუ რა გაცვია. თუ მინდა, რომ სახეზე გადავიტანო აქცენტი, ვიცვამ დახურულ, გრძელ კაბას. თუ მკერდზე — ამოჭრილ, გრძელ ტანისამოსს, თუ ფეხებზე — მოკლე, გულდახურულ კაბას ან ტანზე მომდგარ შარვალს... აი, ასეთ პატარ-პატარა ეშმაკობებსაც მივმართავ ხოლმე...

— ხომ არ გაღიზიანებენ ის მამაკაცები, რომელთაც მხოლოდ შენი გარეგნობა აინტერესებთ და არად დაგიდევენ, თუ როგორია შენი სულიერი სამყარო?

— პირველ რიგში, ქალი აღიქმება ვიზუალურად. რომ გითხრა — ვგიჟდები იმის გამო, რომ მამაკაცები ჩემს ფეხებს და მკერდს აკვირდებიან და არ ინტერესდებიან, თუ როგორი გული მიძგერს მკერდში-მეთქი, — ტყუილი იქნება. შინაგანი სამყაროს აღქმა შემდგომი ურთიერთობისას ხდება...

— ფორმის შესანარჩუნებლად დიეტის დაცვა თუ გიხდება?

— რა თქმა უნდა?! წინათ, როგორ გემრიელადაც არ უნდა მიმერთმია საჭმელი, წონაში არ ვიმატებდი. ახლა უკვე ვატყობ, რომ ერთი გემრიელად სადილობა წონის პრობლემას მიქმნის. გამუდმებით ვაკონტროლებ წონას და თუ ოდნავ მოვიმატებ, მაშინვე განტვირთვაზე ვზრუნავ.

— ოჯახის საქმე თუ გეხერხება?

— რა თქმა უნდა! შესანიშნავ კერძებს ვამზადებ, ოღონდ, ვერ ვიტან ჭურჭლის რეცხვას და სახლის დალაგებას. ეს იმას არ ნიშნავს, რომ არ ვიცი — უბრალოდ, ამ საქმის კეთება არ მიყვარს.

— თუ წარმოგიდგენია შენი თავი ოჯახის დიასახლისის ამპლუაში?

— რა თქმა უნდა, ოღონდ ერთი პირობით: დღისით თავს მოვიკლავ, ყველაფერს გავაკეთებ — დავხეხავ და დავალაგებ, — ოღონდ, თუ პირობას მომცემენ, რომ საღამოს დისკოთეკაზე ან ბარში წამიყვანენ. ღამის ცხოვრება ძალიან მიყვარს, ამიტომ, როგორც ბავშვს შეჰპირდები — კაკას გაჭმევ, თუ ამას და ამას გააკეთებო, — ასევე მეც შეიძლება შემპირდე: თუ ოჯახს მიხედავ, საღამოს სადმე წაგიყვანო...

— განსხვავდება თუ არა ქართველი და უცხოელი მამაკაცების ქცევა, როცა საქმე ქალის შებმას ეხება?

— კი, ნამდვილად განსხვავდება. ერთი უცხოელი თაყვანისმცემელი მყავდა. ფეხბურთელი. წინათ „ლივერპულში“ თამაშობდა ახლა „გალათასარაიშია“, შავიერი ჰქვია. ამას წინათ დამირეკა თურქეთიდან და მეკითხება: რამდენი კილო ხარ? დღეში რამდენ ლიტრ წყალს სვამ? თმა რა ფერის გაქვს? მასაჟზე თუ დადიხარო?.. დედაჩემს ეგონა, აგენტს ველაპარაკებოდი... შეუძლებელია, თბილისელმა ბიჭმა იგივე კითხვები დაგისვას. უცხოელები უფრო მსუბუქები არიან, აქაურები კი — გეუბნებიან: თუ არ შემხვდები, მოგკლავ, დაგბრიდავ, ასე გიზამ, ისე გიზამო; აქაური ბიჭები თავიდან, მორიდებულები არიან, შემდეგ კი ყურების დაჭრით და კოჭების მოტეხვით გემუქრებიან... იქ კი, თავიდანვე პირდაპირ გეტყვის, რაც უნდა შენგან და შემდეგ, უზომოდ გცემს პატივს...

როდესაც თბილისში ჩამოვდივარ, მეწყება летний რომანები... მშვენივრად ვერთობი. მიყვარს, როცა მამაკაცებს ვამწარებ. მომწონს „დაჭერობანას“ თამაში — მე რომ „გავრბივარ“ და ის რომ „მომდევს“: ხშირად, ურთიერთობებს ისეთ დონეზე მივიყვან ხოლმე, რომ გასაქცევად მიხდება საქმე... ახლა უკეთ „გავრბივარ“: ავიღებ თვითმფრინავის ბილეთს და რამდენიმე საათში, უკვე თურქეთში ვარ... ეს უკვე ჩვევად გადამექცა. მერე კმაყოფილების გრძნობა მეუფლება. უკვე გავიშიფრე — აღარ მენდობიან ხოლმე. ხშირად უთქვამთ ჩემთვის: კარგი, რა, ნინო, ასე ნუ იქცევი: რა გინდა — შენი გულისთვის ვინმე მოვკლაო?!. არც იმას დაგიმალავ, რომ ძალიან მომწონს, როცა ჩემი გულისთვის კაცები ერთმანეთს დასცხებენ ხოლმე. ასეთ დროს, კარგად ვხალისობ...

— იქნებ, შენი მზითევიც ჩამოთვალო?

— წინათ იყო ასეთი ტენდენცია: ლეიბები, ბალიშები, საბნები და ლარნაკები ჰქონდათ ხოლმე სამზითვოდ გამზადებული. ახლა სხვა დროა. მამაჩემი შეპირებულია, რომ ბინას მიყიდის, სიძეს კი — მანქანას...

— დარწმუნებული ვარ, შენნაირ საპატარძლოს ბევრი გამოეხმაურება. შეხვედრაზე თანახმა ხარ?

— რა თქმა უნდა. ინტერესი მკლავს — ვინ გამომეხმაურება ან რა მოჰყვება ამ ინტერვიუს. ბედისწერის ძალიან, ძალიან მჯერა... მთელი სერიოზულობით მივუდგები ამ საკითხს და შეხვედრისთვისაც ასევე სერიოზულად მოვემზადები. რა იცი, რა ხდება...

მაშ ასე — თქვენ წინაშე მორიგი „საპატარძლო“ წარდგა. ძველი ქართული ტრადიციის თანახმად, ქალი აბანოში უნდა გაესინჯათ. ჩვენ კი ვეცადეთ, თქვენთვის თავიდან აგვერიდებინა ეს პროცედურა და „საპატარძლო“ საკმაოდ შილიფად ჩაცმული წარმოგიდგინეთ — ანუ, ძველი ტრადიციის გათანამედროვებული ვარიანტი შემოგთავაზეთ (სტატიაში გამოქვეყნებული ფოტოები ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმა, ფრიდონ გეგეშიძემ თბილისის ზღვაზე გადაიღო). ვისაც იმედი გაქვთ, რომ მის „დაჭერას“ შეძლებთ, თანაც ისე, რომ ველარსად გაგექცევათ, და კიდევ — ფიქრობთ, რომ მის მოთხოვნებს გაუძლებთ, — დამიკავშირდით ტელეფონით: 8(77) 45.68.61 მკითხველს კი, ნინოს რჩეულის შესახებ დაწვრილებით ინფორმაციას მომდევნო ნომერში მივაწვდით... გისურვებთ წარმატებას! ■

ფლირტი, „საპლაჟე კურიოზები" და მიზანს აცდენილი ჭორები...

ლიანა ჭანკოტაძე

დასვენება მისთვის ნიშნავს ახალი ადამიანების გაცნობას, ახალი მეგობრების შეძენას და, რაც ყველაზე მთავარია, ახალი რომანის გაბმას. ასეთია ინგა გრიგოლია: მისთვის დასვენება და ზღვა გაიგივებულია ფლირტთან და სიყვარულთან... წლეულს, ინგამ უკვე მოასწრო ბათუმში დასვენება და გარუჯვა. „საპლაჟე კურიოზებზე" ის სიამოვნებით საუბრობს და იმედოვნებს, რომ მომავალ ზაფხულს, უკეთეს შვებულებას მოუწყობს საკუთარ თავს.

— სად აპირებ დასვენებას? როგორია შენი გეგმები ამ ზაფხულს?

— ახლო მომავალში, არანაირი გეგმა არ მაქვს. ალბათ მხოლოდ შაბათ-კვირას თუ დავისვენებ. ჩვენი ტელევიზია ჯერ ერთი თვისაა, ამიტომ შვებულება ნამდვილად არ მეკუთვნის. ასე რომ, მთელ ზაფხულს თბილისში ვიქნები. ეს პირველი ზაფხულია, როცა ძალიან დასვენებული ვარ: ათი თვე აბსოლუტურად უსაქმურად გავატარე. ბევრი ენერგია მაქვს დაგროვილი და შემიძლია, სრული დატვირთვით ვიმუშაო.

— რა ხდებოდა იმ ათი თვის მანძილზე, რაც ტელეეკრანზე არ ჩანდი?

— ჩვეულებრივი, ტიპური გართობა გამოვიდა. ყველგან დავდიოდი, სადაც კი შეიძლებოდა, მეგობრებთან ერთად თავი კარგად მეგრძნო. განსაკუთრებული ადგილი, სადაც ვისვენებ, არ მაქვს; შემიძლია, საგრიმიოროში დავჯდე, ლორასთან *(ჯორჯაძე, მხატვარი. — ავტ.)* ვიჭორაო, თან მაკიაჟი გავიკეთო და ასე დავისვენო. ერთადერთი სიამოვნება ჩემთვის, მეგობრებთან ყოფნაა — ადგილს, თუ სად მოხდება ეს, მნიშვნელობა არა აქვს.

— სხვა წლებში როგორ იყო? სად მიდიოდი ზაფხულის სიცხისგან

თავის დასაღწევად?

— ზაფხულს ზღვაზე ვატარებ ხოლმე. ჩემთვის ყველანაირი დასვენება ზღვას უკავშირდება. არასდროს მივდივარ მთაში. ჰოროსკოპით თევზი ვარ და ჩემს ჰოროსკოპს ვამართლებ. დასასვენებლად ყოველთვის მარიამთან ერთად მივდივარ. მის გარეშე, ბოლოს, ათი წლის წინ ვიყავი წასული დასასვენებლად. ის უკვე დიდია. ერთმანეთს ვართობთ.

— რამდენად აუცილებელია, რომ დასვენებისას, კომფორტულ პირობებში ცხოვრობდე?

— კომფორტი ჩემთვის, სასიამოვნო ატმოსფერო და დასვენებისთვის აუცილებელი პირობაა. წინასწარ ვიცი, როგორ უნდა დავისვენო. წელს პირველი ზაფხული იყო, როცა ზღვაზე ოჯახთან ერთად წავედი. დედასთან, დისშვილთან და ჩემს შვილთან ერთად დავისვენე. საღამომდე, ყველანი ცალ-ცალკე ვიყავით. საღამოობით ვიკრიბებოდით და ერთმანეთს დღის შთაბეჭდილებებს ვუზიარებდით. დასვენება ჩემთვის დიდი სიამოვნებაა. ბოლო შვიდი წელია, რაც ძალიან დატვირთული ვარ. ამიტომ შვებულების პირველ კვირას იმის გაცნობიერებას ვანდომებ, რომ სამსახურში წასასვლელი არა ვარ. ვიღვიძებ, როცა მინდა, მეგობრებთან ვჭორაობ, კარტს ვთამაშობ...

— ცნობილია, რომ ძალიან აზარტული ხარ. „ჯოკერის" თამაშის დროს, კონფლიქტები ზღვაზეც მოგსვლია?

— მართლა აზარტული ვარ. ჩემთან ერთად თამაში ხშირად, სკანდალით მთავრდება. ჩემი მეგობრები, როგორც წესი, მე მბრალებენ: კარტის თამაშის დროს, აუტანელი ხარო...

„ჯოკერის" გამო, ორ დაქალს ორი თვე არ ველაპარაკებოდი. თავად ვწერდი, ვინ რამდენ ქულას დააგროვებდა.

„ჯოკერი" და მე — ეს მთელი ფილოსოფიაა. წაგებაზე ისე სერიოზულად და მწვავედ ვრეაგირებ, რომ შეიძლება, სხვა მოთამაშეებს რამდენიმე დღის მანძილზე ხმა არ გავცე. თუ ვინმე ნერვებს მომიშლის, გაბრაზება კურიოზამდე მიდის ხოლმე. მახსოვს, „ჯოკერის" გამო, ორ დაქალს ორი თვე არ ველაპარაკებოდი. თავად ვწერდი, ვინ რამდენ ქულას დააგროვებდა. წყვილში მე და ჩემი შვილის ნათლია ვიყავით. მოვიგეთ. როცა შინ წავედით, ერთ-ერთ მეგობარს აუღია ფურცელი და ხელახლა დაუანგარიშებია. აღმოჩნდა, რომ ჩემთვის ქულები დამიმატებია. ნამდვილი სკანდალი იყო, ისეთი ამბავი ატყდა...

— ახალ ტანსაცმელს თუ ყიდულობ, როცა ქალაქიდან გადიხარ?

— დასასვენებლად მივდივარ და არა გასაპრანჭად, ამიტომ განსაკუთრებულს არაფერს ვყიდულობ ხოლმე. დასვენების დღეებს უმეტესად, სპორტული ტანსაცმლით ვატარებ. ერთადერთი, რასაც ყოველ ზაფხულს ვიძენ, ეს საცურაო კოსტიუმია.

— რა ფერის საცურაო კოსტიუმებს ხმარობ?

— წელს, ჭრელი მეცვა. ძალიან ლამაზი იყო.

— ცურვა თუ იცი?

— არა.

— წლევანდელი დასვენება რით იყო განსაკუთრებული?

— ამ ზაფხულს, მე და სოფო ნიკოლაიშვილს *(პროგრამა „ძზერის" კორესპონდენტი — ავტ.)* ზღვაზე უამრავი კურიოზი გადაგვხდა. სოფოს შვილი, ლეკო საშინელი სნობია. უყვარს პოპულარობა. ვიღაც კაცი სანაპიროზე თავის წიგნებს დაატარებდა. არავინ ყიდულობდა, შემეცოდა და გადავწყვიტე, მეყიდა. მითხრა: თქვენი სახელი

მითხარით და წიგნზე ავტოგრაფს წაგიწერთო. ლეკომ აღშფოთებულმა იყვირა: ინგაა გრიგოლიაო!.. ის კაცი უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა. უამრავჯერ მოიხადა ბოდიში: მაპატიეთ, რომ ვერ გიცანითო... განსაკუთრებით მრავლად მახსენდება „საპლაჟე კურიოზი". გავიცანი ქალები, რომლებიც მოხარშულ სიმინდსა და მზესუმზირას ყიდდნენ. შეიკრა წრე: ინგა გრიგოლია და „მესემიჩკე" ქალები. ვსაუბრობდით პოლიტიკაზე, ასლან აბაშიძეზე, შევარდნაძეზე, აჭარაზე. ამას ძალიან მივეჩვიე. რასაც ყიდდნენ, ყველაფერს მჩუქნიდნენ. ეს, რა თქმა უნდა, სასიამოვნო იყო. ერთ დღეს, სარფში წავედით ახალგაცნობილ ბიჭებთან ერთად. მოგვიახლოვდა ქალი, რომელიც მოხარშულ სიმინდსა და მზესუმზირას ყიდდა. ბიჭებმა იფიქრეს – ის ქალი სიხარულით შემეკითხებოდა: თქვენ ხომ ინგა გრიგოლია ხართო? – მართლაც, შემომხედა და მკითხა: შენ ინგა გრიგოლია ხარო? – დიახ-მეთქი, – გავინაზე და ისე ვუპასუხე. – ახლა, აჭარაში ჩამოხვედი პოლიტიკური ტყუილების სათქმელადო?! – დამიყვირა და რომ იტყვიან, „თავზე დამახურა"...

— თუ არსებობს ისეთი ქვეყანა, სადაც დასვენებაზე განსაკუთრებით ოცნებობ?

– ასეთი ქვეყანა არ არსებობს, რადგან დასასვენებლად არც ერთ ქვეყანაში არ ვარ ნამყოფი. ყველა ქვეყანა, სადაც ვყოფილვარ, ჟურნალისტის კამერიდან მაქვს დანახული. სიამოვნებით წავიდოდი ტროპიკულ ქვეყანაში. ცხადია, მეგობრებთან ერთად.

— თუ ხდება ხოლმე, რომ დასვენების დროს, არ გინდა, რომ გიცნონ და იმალები?

– დამალვა არ მიყვარს. ისეთს არაფერს ვაკეთებ, რომ დავიმალო. საერთოდ, არაფერს არ ვმალავ. თუკი რამეს ვაკეთებ, ყოველთვის დაუფარავად. ვერ ვიტან, როცა რაღაცას ჩუმად აკეთებენ. ვერ ვხვდები, რატომ უნდა გააკეთო ჩუმად თუნდაც ისეთი რამ, რაც პირად ცხოვრებას შეეხება. მე ვარ ქალი, ოცდათორმეტი წლის, აბსოლუტურად თავისუფალი და თუკი რამეს გავაკეთებ, არ დავიმალები. ამიტომაც, ჩემი ცხოვრება ყოველთვის აფიშირებულია.

— შენ ირგვლივ სულ ტრიალებს ჭორები. როდის ხდება ჭორი მტკივნეული?

– არასდროს. ვერ ჩამოგითვლი, იმდენი ადამიანის რომანის ობიექტად გამოვუცხადებივარ ვიღაც-ვიღაცებს. შეუძლებელია, ამაზე რეაგირება მოვახდინო, თანაც – ვერც ერთი რომ ვერ „მოარტყეს"?! ამაზე მხოლოდ მეცინება...

— შეგიძლია გაიხსენო, დასვენების მხრივ რომელი პერიოდი იყო ყველაზე გამორჩეული?

– ბოლო ერთი წელი, მართლაც გამორჩეული იყო. ასეთი დასვენება არასდროს მქონია: მთელი საქართველო მოვიარე. საზღვარგარეთ არ გავსულვარ. ამის საშუალებაც მქონდა და დროც, მაგრამ ვერსად წავედი. ალბათ იმიტომ, რომ თავისუფალი მარტო მე ვიყავი – ჩემი მეგობრები მუშაობდნენ... ცუდი პერიოდი მქონდა, მოწყენილი ვიყავი, არ ვიცოდი, რა მეკეთებინა. მე და სოფო ნიკოლაიშვილი ჩავხტით მანქანაში და ბებიაჩემთან წავედით სამტრედიაში. ნამდვილი კოშმარი იყო: ვიყინებოდით, შუქი არ იყო; ხუთი დღე უსინათლოდ ვისხედით. იმდენი ვსვით, რომ სოფოს ხმა ჩაუწყდა. ძილის წინ, დავადგებოდი ხოლმე თავზე და ვეკითხებოდი: არაყი არ გინდა-მეთქი?!. ბებიაჩემის არყის მთელი მარაგი გავანადგურეთ... იქიდან რომ მოვდიოდით, ისეთი ბედნიერი ვიყავი, რომ თბილისში თითქმის სამ საათში ჩამოვედი. სხვათა შორის, სამტრედიაში კარგად მივხვდი, თუ რა მძიმე დღეშია ხალხი რეგიონებში.

სოფო ნიკოლაიშვილი:

– სამაგიეროდ, როგორ მიგიღეს?! ინგა გამოჩნდებოდა თუ არა, გარშემო შემოეხვეოდა ხოლმე ნათელაშვილისა და საკაშვილის ელექტორატი. მათ გაცხარებული წინასაარჩევნო კამპანია დაახვედრეს გრიგოლიას.

ინგა:

– „ფეჩზე" ყავა არ დუღდებოდა. არადა, ძალიან გვინდოდა. სოფოს ვუთხარი: წამოდი, ყავა კაფეში დავლიოთ-მეთქი... სამწუხაროდ, თბილისს იქით საქართველო მკვდარია. ვაგზალზე, სადგურის ბუფეტში შევედით. სხვაგან კაფე ვერ ვნახეთ. თავზე ბენდენა მქონდა წაკრული, რადგან თავსაც ვერ ვიბანდით უშუქობის გამო და ვერც თმას ვივარცხნიდით. მე და სოფო დავსხედით ბუფეტში. ამ დროს, ორი მთვრალი კაცი შემოვიდა. ერთი გაჩერდა და შემომხედა. ვიფიქრე, მკითხავს: ინგა გრიგოლია ბრძანდებითო? მან კი, თითი გამოიშვირა ჩემკენ და მიბრძანა: შენა ერთი „პივა" დამისხიო: გამყიდველი ვეგონე...

სოფო:

– სანაპიროზე „ჯოკერს" ვთამაშობდით: მე, ინგა და ორი ახალგაზრდა პროფესორი. „მხიშტავდნენ" და „მხიშტავდნენ". ჩავთვალე, რომ ყველაზე тупая ვიყავი და ამიტომ „ვიხიშტებოდი". უცბად დავინახე, რომ ჩემი სათაყვანებელი გრიგოლია, რომელიც „ჯოკერში" გენიოსი მგონია, ერთი და იმავე კარტს ატარებს და ცხრიდან ცხრას იღებს. ის ორი უჭკვიანესი ახალგაზრდა ვერც კი წარმოიდგენდა, თუ ინგა იტყუებოდა. მე კი, აღშფოთებისა და იმედგაცრუებისგან აღარ ვიცოდი, რა მექნა.

— ყველგან რომ გცნობენ, ეს ხელს არ გიშლის ახალი კონტაქტების დამყარებაში?

ინგა:

– დასვენების დროს, ყოველთვის ახალ მეგობრებს ვიძენ ხოლმე. კონტაქტში ძალიან იოლად შევდივარ. ვერ ვიტან, როცა ამბობენ, პოპულარობა გვაწუხებსო... ერთხელ, ბათუმში ძალიან მოგვეწონა ერთი ბიჭი. მაგარი ტანი ჰქონდა. იმდენი ვიჩალიჩეთ, რომ ჩემი დაქალი ზურგით დაუჯდა. დავიწყეთ იმ ბიჭთან დიდი ფანცქვალი. იყო მომენტი, რომ ვიფიქრეთ – გვეშველა-თქო, – მაგრამ იმან ორი სხვა ქალი მიიპატიჟა... ძალიან შეგვრცხვა, ყველამ რომ შენიშნა ეს ამბავი... ერთი სიტყვით, დასვენების დროს, ყველაფერი ძალიან მარტივი და ლამაზია. ფლირტი თავისთავად მოდის, იწყება ახალი რომანი. ჩემი ყველა რომანი, თუკი ცხოვრებაში ვინმე შემყვარებია, ზღვაზე დაიწყო...

— წლევანდელი ზაფხული და ზღვაზე დასვენება გამონაკლისია?

– ასეა. შეყვარებას აღარ ვგეგმავ. ჯერჯერობით, ვერავის შევიყვარებ, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ წელს ზღვაზე წასვლას აღარ ვაპირებ... ■

თითი გამოიშვირა ჩემკენ და მიბრძანა: შენა ერთი „პივა" დამისხიო: გამყიდველი ვეგონე...

დებილ საღისჯერი მკვლელობა განსასჯელმა ორმაკვდავ მამას გადააბრალა

რუსთავში ახალგაზრდა ქალების, ნაჯახით აჩეხილი გვამები იპოვეს

38 წლის გიორგი ტაბახმელაშვილი ქალაქ რუსთავში შარშან მომხდარი ორი შემზარავი მკვლელობისთვის გაასამართლეს. 2002 წლის 15 დეკემბერს, თოდრიას ქუჩაზე მდებარე ერთ-ერთ ბინაში პოლიციამ ორი ახალგაზრდა ქალის დასახიჩრებული გვამი იპოვა. ქალები ნაჯახით იყვნენ აჩეხილები. ისინი დები — ანა მენთეშაშვილი და ვერა ზემლიანუხინა აღმოჩნდნენ.

ანა მენთეშაშვილის გვამი წყლით სავსე აბაზანაში ტივტივებდა. მთელი სააბაზანო სისხლით იყო მოსვრილი. საშინელი დანაშაულის კვალი იქიდან ლოჯიისკენ მიდიოდა. ოთახში, საწოლზე ვერა ზემლიანუხინას თავგაჩეხილი სხეული ესვენა. გამოძიებამ ისიც დაადგინა, რომ ბინა გაძარცული იყო, თუმცა, როგორც მოგვიანებით გაირკვა, მკვლელობები ბოროტმოქმედს ძარცვის მიზნით არ ჩაუდენია.

ბინაში დედა-შვილი — არმინა და ანა მენთეშაშვილები ცხოვრობდნენ. 2002 წლის ზაფხულში, მათთან საცხოვრებლად გადავიდა არმინას მეორე ქალიშვილი — ვერა. ის ავთვისებიანი სიმსივნით გახლდათ დაავადებული, უკვე ლოგინს იყო მიჯაჭვული და ამიტომაც, განსაკუთრებული მოვლა სჭირდებოდა.

წლების წინ, ანა მენთეშაშვილს ინტიმური ურთიერთობა ჰქონდა ვინმე ციგური ტაბახმელაშვილთან. მოგვიანებით, მის შვილს — გიორგი ტაბახმელაშვილსაც დაუახლოვდა. როგორც გიორგი ერთ-ერთ ჩვენებაში აღნიშნავს, ანა მენთეშაშვილთან მხოლოდ მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა, ხშირად აკითხავდა და საოჯახო საქმეებშიც ეხმარებოდა მას.

2002 წლის 15 დეკემბერს, ანა და ვერა შინ მარტონი იყვნენ. შუადღისას, დაახლოებით 12 საათზე, მათთან გიორგი ტაბახმელაშვილი მივიდა და ხის სკამის შეკეთება დაიწყო. ანა მენთეშაშვილი გაღიზიანებული ჩანდა, თითქმის მთელი დღის მანძილზე ეკამათებოდა და საჩხუბრად იწვევდა ტაბახმელაშვილს. ბოლოს, მან გიორგის მამის ლანძღვაც დაიწყო. ტაბახმელაშვილი ქალს უხეშად შეეპასუხა. ამ დროს, იგი სააბაზანოში იმყოფებოდა. მენთეშაშვილი შევიდა და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა მას. გაბრაზებულმა ტაბახმელაშვილმა იქვე დადებული ნაჯახი აიღო და სამჯერ ძლიერად ჩაარტყა ქალს თავის არეში. დაჭრილი ანა მენთეშაშვილი წყლით სავსე აბაზანაში ჩავარდა და მაშინვე გარდაიცვალა.

გიორგი ტაბახმელაშვილმა ბინიდან დაუყოვნებლივ გაქცევა გადაწყვიტა. ქურთუკის ასაღებად ლოჯიაში შევიდა და იქ ვერა ზემლიანუხინა დაინახა. მიხვდა, რომ ქალმა ყველაფერი გაიგონა, ჩადენილი მკვლელობის მოწმე იყო და ამიტომაც, მისი თავიდან მოშორებაც გადაწყვიტა. ავადმყოფ ქალს ნაჯახი ერთხელ ჩაარტყა თავში. ვერა ზემლიანუხინა იატაკზე გადავარდა და ადგილზევე გარდაიცვალა.

საბრალდებო დასკვნის თანახმად, გიორგი ტაბახმელაშვილი ორი ადამიანის მკვლელობას არ დასჯერდა და ბინის გაძარცვაც გადაწყვიტა. მან იცოდა, რომ ანა მენთეშაშვილს შინ ქმრის მიერ რუსეთიდან გამოგზავნილი 2.000 დოლარი ჰქონდა შენახული. ტაბახმელაშვილმა ფული იპოვა, შემდეგ, მობილურ ტელეფონს, ქურქსა და სხვა ძვირად ღირებულ ნივთებს დაავლო ხელი და იქაურობა დატოვა.

პოლიციამ ის მეორე დღეს დაიკავა. პროკურატურაში გიორგი ტაბახმელაშვილმა ნაწილობრივ დამნაშავედ ცნო თავი. ჩადენილი მკვლელობები დაადასტურა, მაგრამ ქურდობა არ აღიარა.

გიორგი ტაბახმელაშვილი *(წინასწარი გამოძიებისას მიცემული ჩვენებიდან):*

„...იმ დღეს, ანას ჩვეულებრივად, საოჯახო საქმეებში ვეხმარებოდი. ვიდრე სადილად დავსხდებოდით, ის და მისი და — ვერა შეკამათდნენ. ვერა სადილის სუნმა გააღიზიანა და ამის გამო საყვედურობდა... სუფრასთან ორი ჭიქა არაყიც დავლიე. სადილობას რომ მოვრჩით, სკამის შეკეთება დავიწყე. ანამ დაუმსახურებლად დამიწყო ლანძღვა. ვერ მოვითმინე და შევეპასუხე. ვთხოვე, შეეწყვიტა მამაჩემის ლანძღვა, მაგრამ — უშედეგოდ. ვერა ამ დროს ლოგინში იწვა, ანა კი, ოთახებში დადიოდა და მამაჩემის ლანძღვას განაგრძობდა. სკამის ნაწილის დაშლის შემდეგ, სააბაზანოში შევედი. იქ ელექტროგამათბობელი გამოვრთე, რადგან სკამის ფეხი, რომელიც მჭირდებოდა, მის ქვეშ იყო ამოდებული. ამ დროს, ანაც შემოვიდა და მისაყვედურა: შენ უკვე უფროსობ ჩემს სახლში, დაუკითხავად აკეთებ ყველაფერს, რაც მოგესურვებაო. ვუპასუხე: თუ ჩემი გაკეთებული საქმე არ გინდა, თავს დავანებებ ყველაფერს და წავალ-მეთქი. ანა ამაზე კიდევ უფრო გაბრაზდა და მითხრა: შენც ისეთივე ნაძირალა ხარ, როგორიც მამაშენიაო. თქვა თუ არა ეს, სახეში ხელი გამარტყა. საპასუხოდ მეც მოვუქნიე მარჯვენა ხელი. იმ მომენტში არ გამხსენებია, რომ ხელში ნაჯახი მეკავა. არ მახსოვს, თუ სად მოხვდა ანას მოქნეული ნაჯახი... მერე ლოჯიაში გავედი. ქურთუკს ვიღებდი, როცა მოულოდნელად, ტანზე შეხება ვიგრძენი. ინსტინქტურად ხელი ავიქნიე. არც მაშინ გამხსენებია, რომ ნაჯახი ჯერ კიდევ მეჭირა... ვერა მაგიდას დაეყრდნო, შემდეგ კი იატაკზე ჩაიკეცა. ხელში ავიყვანე და ლოგინში დავაწვინე. ქურთუკი და სკამზე გადაკიდებული პირსახოცი ავიღე, რათა მასში ნაჯახი შემეხვია. იქვე მობილური ტელეფონიც შევნიშნე და ბინიდან გავედი. წამოსვლისას ფეხის ხმა შემომესმა...“

სასამართლო კოლეგია, თავმჯდომარე — გიორგი ქოიავა

სახლიდან გაუჩინარებული ფული და ნივთები გიორგი ტაბახმელაშვილმა სწორედ იმ „ფეხის ხმით“ ახსნა. მისი თქმით, მკვლელობის შემდეგ, ბინაში ვიღაც სხვა შევიდა და ქურდობაც მან ჩაიდინა.

სასამართლო პროცესზე განსასჯელმა რადიკალურად შეცვალა თავისი ადრინდელი ჩვენება და მკვლელობის სრულიად განსხვავებული ვერსია წამოაყენა. ტაბახმელაშვილმა განაცხადა, რომ დანაშაული მამამისმა — ციგური ტაბახმელაშვილმა ჩაიდინა.

„...ქუჩაში, ანა მენთეშაშვილის საცხოვრებელ კორპუსთან მამაჩემი შემხვდა. გამიკვირდა, ის რომ იქ დავინახე, რაზეც ვკითხე კიდეც. მითხრა: ანასთან შელაპარაკება მომიხდა და მოვკალი, შემდეგ მის დასაც დავარტყი ნაჯახი. ძალიან იყო აღელვებული. დავამშვიდე და შინ წასვლა ვურჩიე, თან ვუთხარი: ამ მკვლელობების შესახებ არაფერი თქვა, მე ავიღებ საკუთარ თავზე და თუ არ დამეთანხმები, იცოდე, თავს ჩამოვიხრჩობ-მეთქი“, – განაცხადა ტაბახმელაშვილმა სასამართლო კოლეგიის წინაშე. მისივე თქმით, სიმართლის თქმა იმიტომ გადაწყვიტა, რომ მამამისი მძიმე, ონკოლოგიური ავადმყოფია, ლოგინად ჩავარდა და მისი სიცოცხლის დღეები დათვლილია. „ჩავთვალე, რომ სიმართლის დაფარვას აზრი აღარ ჰქონდა“, – დასძინა განსასჯელმა.

სხვათა შორის, ტაბახმელაშვილის ახალი ჩვენების სისწორე სასამართლოში მისმა მშობლებმაც დაადასტურეს. განსასჯელის დედამ – ესმა ტაბახმელაშვილმა კოლეგიას, ქმრის მიერ დაწერილი წერილი წარუდგინა, სადაც ის შვილს უდანაშაულოდ, საკუთარ თავს კი, მკვლელად აცხადებს. აღსანიშნავია, რომ წინასწარი გამოძიებისას ციგური ტაბახმელაშვილი საპირისპიროს ამბობდა და დასძენდა: რატომ ჩაიდინა ასეთი საშინელება ჩემმა შვილმა, არ ვიცი.

სასამართლო კოლეგიამ განსასჯელისა და მისი მშობლების ჩვენებები არ გაიზიარა.

„გიორგი ტაბახმელაშვილის მიერ ჩადენილი დანაშაული უტყუარი მტკიცებულებებითაა გადამოწმებული, მისი ამჟამინდელი ჩვენება კი მოგონილია პასუხისმგებლობის თავიდან აცილების მიზნით. დადგენილია, რომ გიორგი ტაბახმელაშვილის მამა მძიმე ავადმყოფია. იგი, ისევე, როგორც მისი მეუღლე, ცდილობს ამ მდგომარეობის გამოყენებას შვილისთვის პასუხისმგებლობის ასაცილებლად“, – აღნიშნა კოლეგიის თავმჯდომარემ, გიორგი ქოიავამ განაჩენში.

გიორგი ტაბახმელაშვილის მიერ ჩადენილ დანაშაულს, აწ გარდაცვლილთა მეზობლების ჩვენებებიც მოწმობს. ერთმა მათგანმა დაკითხვისას აღნიშნა, რომ 2002 წლის 15 დეკემბერს, მათ კორპუსში ტაბახმელაშვილი მართლაც შენიშნა. „იგი მენთეშაშვილებთან წყალს ეზიდებოდა“, – დასძინა მოწმემ.

გარდა მკვლელობებისა, გიორგი ტაბახმელაშვილი, მენთეშაშვილის ბინიდან მობილური ტელეფონის ქურდობაშიც ცნეს დამნაშავედ. რაც შეეხება 2.000 დოლარისა და სხვა ძვირად ღირებული ნივთების გატაცებას – ეს ბრალდება სასამართლო გამოძიების შედეგად განსასჯელს არ დაუდასტურდა. ჩადენილი დანაშაულებისთვის კოლეგიამ ტაბახმელაშვილს 20 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

■

„ქმარი განზრახ არ მომიკლავს, მისგან მხოლოდ თავს ვიცავდი“, – აცხადებს 26 წლის თინიკო

მეუღლე მან დანით გამოასალმა სიცოცხლეს

26 წლის თბილისელი თინათინ (თინიკო) ადიკაშვილი ისანი-სამგორის რაიონულმა სასამართლომ ქმრის განზრახ მკვლელობაში ცნო დამნაშავედ. განაჩენის თანახმად, მეუღლე – 28 წლის მიხეილ ყვენწირაშვილი მან პურის საჭრელი დანით გამოასალმა სიცოცხლეს. დანაშაულის უშუალო მოწმეები, თინათინის ძმა – ტარიელ ადიკაშვილი და აწ გარდაცვლილის მეგობარი – ვლადიმერ როგანკოვი გახდნენ. ქალს ჩადენილ მკვლელობაში ორივე მათგანი ამხელს. მათივე თქმით, ცოლ-ქმარს წლების მანძილზე, დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა და ხშირად ჩხუბობდა. ამას თავად თინათინ ადიკაშვილი უარყოფს, თუმცა, ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

ქმრის მკვლელობისათვის სასამართლომ მას 7 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

თინათინ ადიკაშვილი და მიხეილ ყვენწირაშვილი თბილისში, ლილოს დასახლებაში ცხოვრობდნენ. ცოლ-ქმარს ქორწინება ოფიციალურად არ ჰქონდა რეგისტრირებული. წლების მანძილზე არსად მუშაობდნენ და როგორც პროკურატურის თანამშრომლები ამბობენ, დროდადრო ჯართს აგროვებდნენ, აბარებდნენ და აღებული ფულით ირჩენდნენ თავს. მეზობლების თქმით, ცოლ-ქმარს მატერიალურად ძალიან უჭირდა. ისინი სისტემატურად სვამდნენ და ჩხუბობდნენ, რითიც კორპუსის მცხოვრებნი შეწუხებულნი ჰყავდათ.

მკვლელობა 2001 წლის 17 ოქტომბერს მოხდა. დილის 6 საათზე, თინათინსა და მიხეილს ბინაში ნაცნობი – ვლადიმერ როგანკოვი ესტუმრა. როგორც მოგვიანებით გაირკვა, ისიც მათთან ერთად აგროვებდა თურმე ჯართს. ამიტომაც მიაკითხა ცოლ-ქმარს ასე ადრიანად, თუმცა სამუშაოდ წასვლის ნაცვლად, თინათინმა და ვლადიმერმა სუფრა გაშალეს და არყის სმა დაიწყეს. მიხეილს ჯერ კიდევ ეძინა. ცოტა ხანში ხმაურმა გააღვიძა და მოქეიფეებს ისიც შეუერთდა. დაახლოებით ორ საათში, ბინაში თინათინის ძმა – ტარიელიც მივიდა. თან ერთი ბოთლი არაყი მიიტანა და სუფრას ისიც მიუჯდა. სმა ოთხივემ განაგრძო.

ყვენწირაშვილი და როგანკოვი ძალიან რომ დათვრნენ, შეკამათდნენ; როგორც ტარიელი და თინათინი ამბობენ – სასმლის გამო. მერე ერთმანეთს გინებაც დაუწყეს. თინათინმა ქმარს სთხოვა, შეეწყვიტა სტუმრის შეურაცხყოფა, უთხრა: დედა ახალი მკვდარი ჰყავს და ნუ აგინებო.

ყვენწირაშვილი ახლა მეუღლეს გაუნაწყენდა, გაბრაზდა: როგანკოვს რატომ გამოესარჩლეო? – და ცოლს ხელი გაარტყა. გულმოსულმა თინათინმა მაგიდიდან პურის საჭრელი დანა აიღო, ქმრისკენ მიტრიალდა და დანა მოუქნია. საბრალდებო დასკვნისა და განაჩენის თანახმად, ქალმა დანა მეუღლეს პირდაპირ გულში ძლიერად ჩაარტყა. მიხეილ ყვენწირაშვილი იმავე დღეს, დაახლოებით 16.00 საათისთვის გარდაიცვალა.

მომხდარის შესახებ მეზობლებმაც შეიტყვეს. საჩქაროდ დარეკეს პოლიციაში და ყვენწირაშვილის დაჭრის შესახებ განაცხადეს. შემთხვევის ადგილას მისულმა სამართალდამცავებმა თინათინ ადიკაშვილი ბინაშივე დააკავეს. ჩადენილი დანაშაული მან დაკავებისთანავე აღიარა და პოლიციელებს ის დანაც აჩვენა, რომლითაც ქმარი სასიკვდილოდ დაჭრა.

თინათინ ადიკაშვილი:

„ჩემს დანაშაულს ვინანებ. 26 წლის გოგო ვარ და სამუდამოდ გავუბედურდი... ყველაფერი მოულოდნელად მოხდა. მაშინ ვერ ვხვდებოდი, რას ვაკეთებდი, ამას კი, ჩემთვის ყველაზე ძვირფასი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა. იგი ჩემს თავზე მეტად მიყვარდა... მატერიალურად ძალიან გვიჭირდა. სხვა გზა არ გვქონდა – ფერად ლითონებს ვაგროვებდით და თავს ასე ვირჩენდით. ვლადიმერ როგანკოვიც ჩვენთან ერთად მუშაობდა... 17 ოქტომბერს, დილით, ჩვეულებრივად, სამუშაოდ უნდა წავსულიყავ-

ით. გადავწყვიტეთ, ჯერ გვესაუბრა. ცოტა დავლიეთ კიდეც. ამასობაში ჩემი ძმაც მოვიდა და ჩვენთან ერთად დაიწყო სმა... ჩემმა მეულლემ და ვლადიმერმა ჩხუბი რომ დაიწყეს, იმ მომენტში მე პურს ვჭრიდი. ქმარს ვთხოვე, გაჩუმებულიყო, მაგრამ ამის ნაცვლად, ის მომვარდა და მუშტებით დამიწყო ცემა. გაწყრებული, მისკენ შეებრუნდი და დანა, რომლითაც პურს ვჭრიდი, სხეულში ჩავარტყი. ჩემმა ქმარმა ცუდად იგრძნო თავი. მოითხოვა: საწოლზე დამაწვინეთო. საწოლამდე მისი მიყვანა ვერ შეეძელი, რადგან ჩაიკეცა და გონება დაკარგა. ვლადიმერმა ეს რომ დაინახა, შეეშინდა და ბინიდან გაიქცა. მაშინ ჩემს ძმას ვთხოვე: რაიმე წვეთები მოიტანე, ქმარი გონს უნდა მოვიყვანომეთქი. ტარიელი გარეთ გავარდა და მეზობელი – დალი შემოიყვანა. დალიმ დაჭრილი რომ დაინახა, არ გაჩერდა და წავიდა. დაჭრილს თვითონ მოვწმინდე სისხლი, ჭრილობაც შევუხვიე... ბინიდან გასულმა პირდაპირ დედაჩემთან გავწიე. ყველაფერი ვუამბე, მაგრამ შინ არ გამომყვა. გამიწყრა: თვითონ იზრუნე შენ მიერ ჩადენილ დანაშაულზეო. როცა ბინაში დავბრუნდი, მეუღლე უკვე მკვდარი დამხვდა. პოლიციელებიც მოსულიყვნენ. მკითხეს: რა მოხდაო? ჯერ მოვიტყუე, მაგრამ შემდეგ ვთქვი, რაც მოხდა... ქმარს დანა მოვუქნიე, მაგრამ იმწუთას, ვერ ვხვდებოდი, რას ვაკეთებდი. ალბათ სტუმრისა და ძმის წინაშე თავმოყვარეობის შელახვამ იმოქმედა ჩემზე. ჩხუბის შეწყვეტას რომ ვითხოვდი, მინდოდა, უსიამოვნება ამეცილებინა თავიდან, შემდეგ კი, დანაშაული თავად ჩავიდინე. ქმარი განზრახ არ მომიკლავს. ის მუშტებს მირტყამდა და მინდოდა, მისგან თავი დამეცვა...“

თინათინ ადიკაშვილის ძმამ – ტარიელმა მომხდარი მკვლელობის დეტალები სამართალდამცავების წინაშე სხვაგვარად აღწერა. თავისი ჩვენებით, საკუთარი და, მან არა მარტო დანაშაულში ამხილა, არამედ მის მიერ მკვლელობის წინასწარ განზრახვაზეც მიუთითა.

ტარიელ ადიკაშვილი:

„...მიხეილმა რომ გინება დაიწყო, თინიკო გაბრაზდა, მაგიდიდან დანა აიღო და ტარით თავში ჩაარტყა ქმარს. მიხეილი ლოგინიდან წამოიწია და ცოლს სახეში გაარტყა ხელი. თინიკომ ქმარს დაუყვირა: ვის დაარტყი შენ ხელიო?! დანა ისევ აიღო და გულში ჩაარტყა. ამ დროს, მიხეილის სიტყვები გავიგონე, ოდნავ გასაგონად თქვა: დამჭრა, ამის დედაო, – და ცოლს შეაგინა...“

განაჩენის გამოტანის შემდეგ, თინათინ ადიკაშვილმა ჯერ საოლქოს, შემდეგ კი, უზენაეს სასამართლოს საჩივრით მიმართა. მსჯავრდებულს მიაჩნია, რომ ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს მიერ გამოტანილი სასჯელი ძალზე მკაცრია მისთვის. *„გთხოვთ, შემიმსუბუქოთ სასჯელი და პირობას ვდებ, რომ არასოდეს ვიქნები საზოგადოებისთვის საშიში“*, – ასეთი სიტყვებით მიმართა მან საკასაციო პალატის მოსამართლეებს.

■

„მეგონა, თოფი ჰქონდა და ამიტომაც ვესროლე“

ფრიდონ ჯობავა და მამუკა ბეჭვია პროკურატურის მიერ არაერთ მძიმე დანაშაულში იმხილებიან. ორივე მათგანი წარსულში ნასამართლევია, ამჟამად კი მათ ქურდობების, ყაჩაღობებისა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო ტარება-შენახვაში ედებათ ბრალი. აღნიშნული დანაშაულების გარდა, პროკურატურა ფრიდონ ჯობავას ორი ადამიანის განზრახ მკვლელობაშიც ადანაშაულებს. გამოძიების ცნობით, მათთან ერთად კრიმინალურ ქმედებებს კარგა ხნის მანძილზე ძებნილი — ჯოღერდიშვილიც სჩადიოდა. როგორც შევიტყვეთ, ეს უკანასკნელი სამართალდამცავებმა ახლახან დააკავეს, თუმცა, მის მიმართ აღძრული სისხლის სამართლის საქმე ჯობავასა და ბეჭვიას საქმეებთან არ გაერთიანებულა.

საბრალდებო დასკვნის თანახმად, 2002 წლის 24 ივლისს, ჯოღერდიშვილი და ჯობავა გადაჭრილი თოფით შეიარაღდნენ და თბილისში, ვარკეთილის მე-4 მიკრორაიონში მცხოვრები ჩუგუაშვილების ბინის გასაძარცვად წავიდნენ. ბინის პატრონი სოფელში იყო წასული, ბინა კი, სამეთვალყურეოდ, მეზობლად მცხოვრებ ნიკო გოგოლაურს ჰქონდა ჩაბარებული.

ღამით, ბოროტმოქმედები აღნიშნული ბინის კარს მიადგნენ. გოგოლაურს ჯერ არ ეძინა და კარის გატეხის ხმა გაიგონა. მიხვდა, თუ რაში იყო საქმე, იატაკის საწმენდი ჯოხი აიღო და სადარბაზოში გავიდა. ბოროტმოქმედებს თავს წაადგა და დაუყვირა: აქედან წადითო! განაწყენებულმა ჯობავამ, გოგოლაურის მოკვლა განიზრახა, იარაღი ამოიღო და ახლო მანძილიდან ტყვია თავის არეში ესროლა. ამის შემდეგ, ბოროტმოქმედები იძულებულნი გახდნენ, იქაურობა მიეტოვებინათ და გაიქცნენ. სასიკვდილოდ დაჭრილი გოგოლაური საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა.

2002 წლის 17 დეკემბერს, პოლიციისათვის მორიგი დანაშაულს ამბავი გახდა ცნობილი. საბრალდებო დასკვნის თანახმად, ჯობავამ, ბეჭვიამ და გამოძიებით დაუდგენელმა, ვინმე „გიტომ“ გადაწყვიტეს, სავაჭრო ჯიხური დაეყაჩაღებინათ. ამ განზრახვით, ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებულები, ნიღბებით, ვარკეთილში მდებარე ერთ-ერთ ჯიხურს მიადგნენ. შეიჭრნენ შიგნით და გამყიდველ ქალს უბრძანეს, ფული მიეცა მათთვის, თან მოკვლით დაემუქრნენ. გამყიდველმა ჯერ კივილი ატეხა, შემდეგ გარეთ გავარდნა შეძლო. ახლოს მყოფი მოქალაქეები შეშინებულ ქალს გამოექომაგნენ. ასეთი შედეგით დაბნეულმა ბოროტმოქმედებმა გაქცევა დაიპირეს. მაშინ გამყიდველმა ქალმა „გიტოს“ იარაღი გამოსტაცა ხელიდან; ამ დროს, ამ უკანასკნელს ნიღაბიც დაუვარდა, თუმცა გაქცევა მაინც მოახერხა.

ბოროტმოქმედები იქვე მდებარე, №182 სკოლისკენ გაიქცნენ. მათ მეგობრის ბინიდან მომავალი, ძმები ასრიანები და ერთ-ერთი მათგანის მეუღლე, ოგანოვა შეხვდათ. ჯობავამ ასრიანებს უმიზეზოდ დაუწყო გინება, გადატენა იარაღი და პირდაპირ მუცელში ესროლა ერთ-ერთ ძმას – გარიკ ასრიანს. დაჭრილი, საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა. ჩადენილი მკვლელობის შემდეგ, სამივე ბოროტმოქმედი მიიმალა.

ამჟამად, ორი მათგანი – ჯობავა და ბეჭვია უკვე სასამართლოს წინაშე წარდგნენ. ბეჭვია თავს სრულად ცნობს დამნაშავედ, ჯობავა კი – მხოლოდ ნაწილობრივ.

ფრიდონ ჯობავა *(წინასწარი გამოძიებისთვის მიცემული ჩვენებიდან):*

„2002 წლის ზაფხულში, ჯოღერდიშვილთან სტუმრად მივედი. მან ბინის გაქურდვა შემომთავაზა... ბინის კარს რომ ვტეხდით, ხელში ფარანი მეკავა, ჯოღერდიშვილს ვუნათებდი. ამ დროს, მამაკაცის ხმა შემოგვესმა. ზედა სართულიდან მოდიოდა და დაიძახა: არ გაინძრეთ, თორემ გესვრითო! მივანათე ფარანი და დავინახე, რომ ხელში გრძელი საგანი ეჭირა. ვიფიქრე, თოფია-მეთქი, – და „აბრეზიდან“ ამიტომაც ვესროლე. ამის შემდეგ, იქიდან გავიქეცით... 2002 წლის 17 დეკემბერს, სავაჭრო ჯიხურს დავესხით თავს. გამყიდველმა ქალმა ყვირილი მორთო. მოქალაქეები რომ შეიკრიბნენ, გავიქეცით. მე და მამუკას უცნობი მამაკაცები მოგვდევდნენ. სკოლის ეზოში შესულებმა, ორი პიროვნება შევნიშნეთ. ვიფიქრეთ, რომ გზას გვიკეტავდნენ, ამიტომაც, ერთ-ერთის მიმართულებით გავისროლე“.

■

ნუტრიმენტ ჰაუსი
NUTRIMENT HOUSE

როდესაც ჩვეულებრივი ცხოვრება არაჩვეულებრივი ხდება

თავისუფალი მოძრაობა გლუკოზამინთან ერთად

რა არის გლუკოზამინი?

გლუკოზამინი არის ტკივილგამაყუჩებელი და ანთების საწინააღმდეგო აპრობირებული საშუალება, რომელიც გამოიყენება სახსრების ტკივილისა და ანთების დროს. იგი განაპირობებს ხრტილების რეგენერაციას.



რითი განსხვავდება გლუკოზამინი სხვა ტკივილგამაყუჩებელი საშუალებებისგან?

ნებისმიერი ტკივილგამაყუჩებელი საშუალება სიმპტომურად ხსნის ტკივილს, ხოლო გლუკოზამინი ახდენს ტკივილის გამომწვევ მიზეზებზე ზემოქმედებას. ტკივილის შემცირება და კლინიკური გაუმჯობესება განპირობებულია აღდგენითი პროცესებით სახსრებში და ხრტილებში.

რა არის MSM?

MSM - მეთილსულფანილ მეთანი არის ბუნებრივი ორგანული ნაერთი, რომელიც გვხვდება ყველა ცოცხალ ორგანიზმში და აქვს მაღალი ბიოლოგიური აქტივობა. მას აქვს კარგი და სწრაფი ეფექტი ანთების, სახსრების დაავადებებისა და ტრამვისას.

რა უპირატესობა აქვს გლუკოზამინს სხვა მსგავსი პრეპარატებისაგან განსხვავებით?

გლუკოზამინი არ აღიზიანებს კუჭ-ნაწლავის ტრაქტს, ვინაიდან მასში შედის ისეთი მცენარეული ბოჭკოები, რომლებიც კუჭ-ნაწლავის ტრაქტში მოხვედრისთანავე ტაბლეტის გარშემო ქმნიან ჟელესებრ პროტექტორს.

რატომ ანიჭებენ ჰიპერტონული დაავადებისას გლუკოზამინს უპირატესობას?

ვინაიდან ამ პრეპარატის შემადგენლობაში არის კალიუმის ქლორიდი და არა ნატრიუმის ქლორიდი, მისი დანიშვნა თამამად შეიძლება ჰიპერტონიკებისათვის, როგორც ცნობილია ნატრიუმის იონი იწვევს ორგანიზმში სითხის შეკავებას, რაც არ არის რეკომენდებული ჰიპერტონიული დაავადებებისას.

როგორ მივიღოთ გლუკოზამინი MSN-ით?

რეკომენდებულია 2-2 კაფსულის მიღება დღეში 2-ჯერ. მოქმედების ეფექტი ძლიერდება ხანგრძლივი მიღებისას, ამიტომ რეკომენდებულია მიღება არა უმცირეს 1 თვისა.

„ნუტრიმენტ ჰაუს“-ში თქვენ გელით ექიმების გულისხმიერება და მზრუნველობა. კვალიფიციური ექიმები დაგეხმარებიან პრეპარატების სწორად შერჩევასა და დანიშვნაში.

®

„ნუტრიმენტ ჰაუსი“,
მის: დ. აღმაშენებლის 150
ტელ: 95-65-03; 96-06-67
სამუშაო საათები:
ყოველდღე კვირის გარდა
10.30 - 18.00,
www.shopge.com



ჩემს ტელეფონზე მოსული „მესიჯების“ რაოდენობამ და შინაარსმა დაგვარწმუნა, რომ ამ რუბრიკის შემოღება საჭირო კი არა, აუცილებელიც კი ყოფილა... სიმართლე რომ გითხრათ, ამ წამოწყებასთან ერთად ჩემი წყნარი ცხოვრებაც დამთავრდა, რადგან ყოველდღიურად, თქვენი ცხოვრების პატარ-პატარა ამბებით ვცხოვრობ. წავიკითხავ თქვენს გზავნილს და ხან თანაგრძნობის ცრემლი მდის, ხან — სიცილის. გაგეცინება, აბა, რა იქნება, ასეთი შინაარსის წერილს რომ წაიკითხავ:

„მეც ეჭვიანობ, გაბედე და გამიმხილე სიყვარული...“

მარი ჯაფარიძე

„გამარჯობა, მარი! ერთი დიდი პრობლემა მაქვს: უკვე 19 წლის გოგონა ვარ. მყავს შეყვარებული და მინდა, რომ მასთან ოჯახი შევქმნა, მაგრამ ბავშვობიდან მაქვს ჩვევად — ისე ვერ ვიძინებ, თუ პირში ჩვილი ბავშვის მატყუარა საწოვარა არ მიდევს. როგორ მოვიქცე? ოჯახში სულ მედავებოდნენ, მაგრამ 14 წლის რომ გავხდი, იმის შემდეგ, ეშმაკობა ვიხმარე და საწოვარას ჩუმად „შევითრევ“ ხოლმე ლოგინში. შემდეგ კი ჩავიდებ პირში და მთელი ღამე არ ვიშორებ. რამდენჯერმე ვცადე, რომ გადავჩვეულიყავი, მაგრამ მთელი ღამე უძილოდ გავატარე. იძულებული გავხდი, ისევ მომეძებნა ჩემი განუშორებელი ნივთი... აი, რა გასაჭირი მადგას. როგორ მოვიქცე?“

დამეთანხმებით ალბათ, რომ მართლაც დიდი გასაჭირი ადგას ჩვენს მკითხველს. მის შეყვარებულს ალბათ სასაცილოდაც არ ეყოფა, ეს რომ გაიგოს. ჩვენ კი, ერთი რჩევა შეგვიძლია მივცეთ: შენ უკვე მართლაც, დიდი გოგო ხარ და შენი ასაკისთვის შეუფერებელი საქციელი აბა, რა საკადრისია?! ჯობს, ნებისყოფას მოუხმო და მატყუარა გადაადგო...

არანაკლები გასაჭირი არც შემდგომი გზავნილის ავტორს ადგას და ვფიქრობ, საკმაოდ სერიოზული პრობლემის წინაშე დგას. ჩვენ შორის ასეთი სატელეფონო დიალოგი გაიმართა:

„— გამარჯობა, მარი! 12 წელია, რაც გავთხოვდი. მყავს ერთი შვილი. ნამდვილი სიყვარული კი, სულ ახლახან ვიპოვე. ვიცი, მასაც ვუყვარვარ, მაგრამ არ ვიცი, როგორ მოვიქცე — ის ხომ ჩემი კარის მეზობელია?

— **მას თუ ჰყავს ოჯახი?**

— არა, უცოლოა. როგორც თავად ამბობს, ვუყვარვარ. ფიზიკური კონტაქტიც გვაქვს. იმასაც ამბობს, რომ ჩემთან განშორება არ უნდა.

— **თქვენს მეუღლესთან როგორი ურთიერთობა აქვს?**

— მასთან მეგობრობს და საერთოდ, ოჯახთან ძალიან კარგ დამოკიდებულებაშია. შესანიშნავი ბუნების მამაკაცია და რაც მთავარია, ქალის ფასი კარგად იცის.

— **თქვენ და თქვენს მეუღლეს როგორი ურთიერთობა გაქვთ?**

— ძალიან ცუდი, ძაღლსა და კატასავით ვართ. კარგად გრძნობს, რომ არ მიყვარს. ჩემს შეყვარებულ მეზობელთან კი, ყოველდღიური ურთიერთობა მაქვს და მაინც სულ მენატრება...

— **მეუღლე არ ეჭვიანობს?**

— დიახ. მაგრამ ის ყველაზე ეჭვიანობს და მათ შორის — მასზეც...“

მკითხველს უნდა ვუთხრა: ჩემო კარგო, ამ შემთხვევაში მე უძლური ვარ, რაიმე რჩევა მოგცე, რადგან გადაწყვეტილებას ალბათ მაინც დამოუკიდებლად მიიღებ. მაგრამ იქნებ, სწორი ნაბიჯის გადადგმაში იმ ორი ადამიანის რჩევა დაგეხმაროს, რომელსაც ჩემზე გაცილებით უკეთესი რჩევის მოცემა ძალუძს.

მამა ალექსი (ძოწენაძე):

— ამ ქალს, შვილო, ეშმაკი დაჰპატრონებია. ოჯახური სიწმინდის შელახვა, იგივე მრუშობა, ღვთის წინაშე უმძიმეს ცოდვად ითვლება. სასწრაფოდ გონს უნდა მოეგოს, ეკლესიის კართან მივიდეს, მიწას თავი ახალოს და ცოდვა მოინანიოს. უფალი მოწყალეა და თუ გულით მოინანიებს, მიეტევება. შემდეგ კი, სასწრაფოდ, საცხოვრებელი ადგილი შეიცვალოს და ეშმაკისეული სიყვარული დავიწყებას მისცეს...

ნინო ხოფერია, ფსიქოლოგი:

— ეს ტიპური მოვლენაა. ქალს, წლების განმავლობაში, გაუქარწყლდა ის შთაბეჭდილებები მეუღლეზე, რომელიც გათხოვებისას ჰქონდა. როგორც ჩანს, ის არ მუშაობს, დიასახლისია და ამიტომ, უცხო მამაკაცებთან (თანამშრომლები, მათი მეგობრები და ა.შ.) კონტაქტი — ნაკლებად, მეზობელთან კი, ყოველდღიური და უფრო მჭიდრო ურთიერთობა აქვს. სწორედ ამიტომ, ქვეცნობიერად თუ ცნობიერად, ამ ქალბატონმა გამოსავალი მოძებნა და ის, რაც მას მეუღლისგან აკლდა, ამ ახალგაზრდა მამაკაცით შეივსო და როგორც უმეტეს შემთხვევაში ხდება ხოლმე, სიყვარულიც გაჩნდა. თუ ქალი დაფიქრდება იმაზე, რომ მამაკაცი ჯერ მეგობრად უნდა ვარგოდეს, მისმა საყვარელმა კი ვერ „გაქაჩა“ (ქალი თავად ამბობს, რომ საყვარელი მის მეუღლესთან მეგობრობს), თანაც მათთან ოჯახში სტუმრად დადის და ქმარს თვალებში ურცხვად უყურებს, თან, სავარაუდოა, ჭიქას ჭიქაზეც უჭახუნებს, ადღეგრძელებს და ერთგულებასაც ეფიცება, ვის ცოლთანაც სარეცელს იზიარებს, — კარგად მიხვდება, თუ როგორი დაუნდობელი და ორგული ადამიანი ჰყვარებია... თუ ქალს ოჯახის შენარჩუნება უნდა, სასწრაფოდ, საცხოვრებელი ადგილი უნდა გამოიცვალოს და დაივიწყოს საყვარელი, რომელიც ალბათ მალე ცოლსაც მოიყვანს და მეზობელ ქალს უმალ დაივიწყებს. თუ ეს არ ძალუძს, მაშინ გაეყაროს ქმარს და საყვარელს გაჰყვეს ცოლად... თუმცა, ძალიან მეეჭვება, რომ ამ ქალბატონმა გონივრული გადაწყვეტილება მიიღოს, რადგან ის უზომოდ შეყვარებულია, ე.ი. გრძნობებსაა აყოლილი...

შემდეგი გზავნილი წინა ნომრის გამოხმაურებას მოჰყვა:

„— გამარჯობათ, მე ლიზი მქვია. მინდა, გამოვეხმაურო „გზის“ წინა ნომერში გამოქვეყნებულ ორ გზავნილს: მინდა, მოვუწონო საქციელი გოგას, რომელიც თავის საყვარელ ადამიანს და ჯერ არდაბადებულ შვილს ეძებს. გოგა, მთავარია, არასოდეს დაკარგო იმედი! გისურვებ უსაზღვრო ბედნიერებას. კიდევ, მინდა, ქალბატონ ქეთინოს ვუთხრა, რომ ის ძალიან ძლიერი ადამიანია, მაგრამ

ვფიქრობ, რომ ბოდიში გურამს კი არა, იმ ქალბატონს უნდა მოუხადოს, რომელსაც დედობის ბედნიერება წაართვა: ის ამას არ იმსახურებდა. თუ თქვენი შვილის მამის დასვლა გინდოდათ, სამაგიერო უშუალოდ მისთვის უნდა გადაგეხადათ. დედობაწართმეული ქალი რა შუაში იყო? ის უშვილოდ დარჩა, დამნაშავე კი დაუსჯელი...

— როგორც ჩანს, ეს თემა თქვენთვის განსაკუთრებით მტკივნეულია. იქნებ, თავადაც მსგავსი თავგადასავალი გადაგხდათ?

— სწორად მიმიხვდით. ორიოდე სიტყვით ჩემს ამბავსაც გადმოგცემთ. მეც საყვარელი ადამიანის ნაყოფს ვატარებ მუცლით. მინდა, მასაც ისევე უყვარდეს თავისი პირმშო, როგორც გოგას. მით უმეტეს, რომ ჩვენ შორის უსაზღვრო სიყვარული არსებობს. ჩემი რჩეული ძალზედ კარგი ადამიანია, მაგრამ მას ცოტა გამბედაობა აკლია, რომ გადაწყვეტილება მიიღოს და ოჯახი შექმნას. მჯერა, რომ უფალი არ მიგვატოვებს მე და ჩემს პატარას, რომელიც ნებისმიერ შემთხვევაში, აუცილებლად მოევლინება ქვეყანას... იმედი მაქვს, ჩემი შეყვარებული გონივრულ გადაწყვეტილებას მიიღებს. თუ ასე არ მოხდება, მე უდიდეს ტკივილს მომაყენებს, გამანადგურებს, მაგრამ მაინც დავლოცავ და ბედნიერ მომავალს ვუსურვებ. მე კი, ყველაფერს ვიღონებ, რომ ჩვენს პატარას არაფერი მოვაკლო".

ლიზი შემპირდა, რომ თავისი ამბის დასასრულს აუცილებლად შემატყობინებს. იმედი გვაქვს, რომ ყველაფერი კეთილად დასრულდება და მკითხველთან ერთად გაბედნიერებას მივულოცავთ...

ახლა კი, შედარებით მოკლე გზავნილებს გაგაცნობთ:

„მე ნინი ვარ და მინდა, ჩემს გიოს ბოდიში მოვუხადო იმიტომ, რომ ვაწყენინე. არ მინდა იმის მოყოლა, თუ რა ჩავიდინე, მაგრამ მინდა ვუთხრა, რომ ძალიან მიყვარს და მენატრება. იმისთვის, რომ ამომიცნოს, გავახსენებ: გიო, შენი ნაჩუქარი, უზარმაზარი ფუმფულა დათვი მაქვს, რომელიც ასე ამბობს: Nini, I Love you!"

„ლევანიკო, იმის შემდეგ, რაც გოლფკლუბში გაგიცანი, ვეღარ ვივიწყებ შენს თბილ გამოხედვას. მენატრება შენი დიდრონი, მწვანე თვალები. თვალწინ მიდგას შენი ღიმილი. მენატრები და მიყვარხარ, ჩემო სიცოცხლევ!"

„გამარჯობა, მე თამუნა ვარ. ვიცი, რომ დათოს ვუყვარვარ, ის კი თქმას ვერ მიბედავს. ისიც ვიცი, რომ ახლა ძალიან უჭირს და ჩემ გვერდით ყოფნა სჭირდება. მას საკუთარი ბიძა ბინის გაქურდვას აბრალებს. ვიცი, რომ დათო არაფერ შუაშია. ყველაფრის მოყოლა არ მინდა. გთხოვთ, სწორად გამიგოთ! დათო! მეც მიყვარხარ. მართლა ძალიან მიყვარხარ. გაბედე და გამიმხილე სიყვარული. თუ „გზის" საშუალებით მიაწვდენთ ხმას და ეტყვით, რომ მისი გრძნობის წინააღმდეგი არა ვარ, ძალიან გამიხარდება. დათო, რატომ გერიდება? მე ხომ „ბუა" არასოდეს ვყოფილვარ?! თამუნა".

„მინდა, თქვენი დახმარებით ვუთხრა გიო ანაკიძეს, რომ ძალიან კარგი და ჯიგარი ბიჭია. გიო, გთხოვ, ხშირად მოხვიდე ჩემთან, სამსახურში. რუსო".

შეიძლება ითქვას, რომ ძალზე იშვიათი შინაარსის გზავნილიც მივიღეთ — დედამთილი პატიებას სთხოვს რძალს:

„გამარჯობათ, მე ნანული გეგიძე ვარ. მინდა, საქვეყნოდ მოვინანიო ჩემი არასწორი საქციელი. თავდაპირველად კი, მოკლედ გადმოგცემთ ჩემს ამბავს: ადრე დავქვრივდი. ჩემი ერთადერთი შვილი სულ წლინახევრის იყო, როდესაც მეუღლე ავტოკატასტროფაში დამეღუპა. შვილი მარტომ გავზარდე და არ გავთხოვდი, რადგან მამინაცვალი და გერი ერთმანეთს რომ ვერ შესწყობოდნენ, რა უნდა მექნა?! ჩემი ლაშა 21 წლის რომ გახდა, ერთ საღამოს, შინ არასრულწლოვანი, 16 წლის მეგი მოიყვანა და თავის მეუღლედ გამაცნო. მე შევშფოთდი, რადგან გოგონა პატარა იყო. ლაშას ვთხოვე — მისი მშობლების თანხმობის გარეშე ნუ მიიღებდა ასეთ გადაწყვეტილებას. რამდენიმე საათის შემდეგ, გოგონას მამა, მისი რამდენიმე ძმაკაცი და ძმა მოვიდნენ. უფრო სწორად — მოგვივარდნენ. კარი რომ გავაღე, შემოცვივდნენ შინ. ლაშას ხელები გადაუგრიხეს და სადღაც წაიყვანეს. მეგიც ასევე, გინებ-გინებით ჩაიყვანეს კიბეზე. სამი დღის განმავლობაში ვეძებდი შვილს. ბოლოს, ერთ-ერთ საავადმყოფოში მივაკვლიე, საშინლად ნაცემსა და თითქმის სიკვდილის პირას მისულს. ძლივს მომჯობინდა. მეგი თავად მირეკავდა და მის ამბავს კითხულობდა. ერთი წლის შემდეგ, ლაშამ კვლავ შინ მოიყვანა მეგი. ამჯერად ზღურბლზეც არ გადმოვაბიჯებინე. ორივეს ცხვირწინ მივუხურე კარი და ჯანდაბამდის გზა გქონიათ-მეთქი, — ვუთხარი. ისინი მეგობრის ბინაში წასულან... მეგის მამა ისევ მომივარდა. ამჯერად ფიზიკური შეურაცხყოფა მე მომაყენეს. სად არიანო? — მეკითხებოდნენ. რაც არ ვიცოდი, რას ვეტყოდი?!. ერთი სიტყვით, დღეს ლაშა და მეგი ცოლ-ქმარი არიან. ამ ამბის შემდეგ, 4 წელი გავიდა. მეგიმ რამდენჯერმე სცადა, რომ ჩემთან ურთიერთობა აღედგინა. სტუმრად მოდიოდა, ტელეფონით მკითხულობდა, მაგრამ მე ვერ ვივიწყებდი მისი მშობლის მიერ მოყენებულ შეურაცხყოფას. როგორც ჩანს, წლებმა ეს იარაც მოაშუშა. რომ დავფიქრდი, მივხვდი, რომ გულის სიღრმეში, ეს გოგონა მიყვარს. მეგი, ბოდიშს გიხდი, შვილო, ჩემი გულცივობისთვის! იმედი მაქვს, გამიგებ და მაპატიებ. მოდი, ვცადოთ, იქნებ კარგი რძალდედამთილობა გამოგვივიდეს?! გთხოვ, გამომეხმაურო, მოხვიდე ან დამირეკო მაინც..."

და კიდევ რამდენიმე მოკლე გზავნილი:

„მე ვარ თქვენი მკითხველი. გიკავშირდებით ხონიდან. მყავს მეგობარი, რომელიც ძალიან გავაბრაზე და მიმატოვა. მინდა, შევრიგდეთ. მის გარეშე არ შემიძლია. იმედია, გამიგებს. ჩემი „კლიჩკაა" „აფერისტი". უცნაურად არ მოგეჩვენოთ. დიდი მადლობა..."

„მარი, მთელი გურჯაანის სახელით გითვლით: ძალიან გვიყვარხართ „გზაც" და თქვენც".

„მივესალმებით მშვენიერ სიახლეს „გზაში". ელისო."

„გამარჯობათ, ძალიან მომეწონა თქვენი ახალი რუბრიკა. მის შესახებ კი, ჩემი დედამთილისგან შევიტყვე. მასთან უბრად ვარ. დამირეკა და მითხრა: წაიკითხე, გოგო და ჩემთან რომ გაქვს ბოდიში მოსახდელი, იქნებ, „გზამ" გიშველოსო. აქეთ მომიხადოს ბოდიში, თუ კარგია..."

„გზის" შემქმნელებო, რედაქტორებო, ჟურნალისტებო, მხატვრებო და მკითხველებო, ყველა მიყვარხართ. გიზო ნებიერიძე".

„კარგი წამოწყებაა. მარი, დედას გაფიცებ, ერთი ეგზემპლარი პარლამენტს, მთავრობას და პრეზიდენტს გაუგზავნეთ. იქნებ, მათაც გაუჩნდეთ სურვილი, ქართველ ერს ბოდიში მოუხადონ. აუ, რამდენი გექნებათ დასაწერი?! ლევან ფეიქრიშვილი, 38 წლის".

ჩვენი რუბრიკა კვლავ განაგრძობს მკითხველთა გზავნილების აღრესატამდე მიტანას. დაგვირეკეთ ან გამოგზავნეთ „მესიჯი" ტელეფონის ნომერზე: 8(77) 45.68.61

■

მსუქნები ნაკლებს ცხოვრობენ. სამაგიეროდ, მეტს ჭამენ...

სტანისლავ ეჟი ლეცი

ფრაზები

გენიალური

ლელის ჭეშმარიტ...

ლელა ჭანკოტაძე

ჩემი რესპონდენტი, ერთი შეხედვით, ჩვეულებრივი ქალია, სხვებისგან არაფრით გამორჩეული, მაგრამ მას საოცარი ამბავი გადახდა. მისი ცხოვრება ისე აეწყო, რომ ბევრი ადამიანისთვის დაუჯერებელი და წარმოუდგენელი ამბები, მისთვის ყოველდღიურობად იქცა...

ყველაფერი 1972 წელს დაიწყო. ერთ პატარა პროვინციულ ქალაქში ახალგაზრდა ქალმა იმშობიარა. მას ტყუპი ქალ-ვაჟი შეეძინა, მაგრამ ვაჟი მედპერსონალმა დაუმალა. მახარობელმა იყვირა: გოგო დაიბადაო. ბიჭი არავის უხსენებია. ოცდათერთმეტი წლის შემდეგ, იმ ქალს ვესაუბრები, რომელსაც შვილი მოჰპარეს.

ძალბატონი ნარგიზა *(სახელი შეცვლილია):*

— ჩემი თხოვნაა, ინკოგნიტოდ დამტოვოთ, რადგან იმ პატარა რაიონში, სადაც ვცხოვრობ, ყველა მიხვდება, თუ ვისზეა ლაპარაკი. არც ის მინდა, რომ მთელმა საქართველომ გაიგოს, თუ რა შეემთხვათ ჩემს შვილებს. სხვისთვის ეს ამბავი მხოლოდ ძნელად დასაჯერებელია, ჩემთვის კი — დიდი ტრაგედია. სამწუხაროდ, ჩემს ექიმს არ უთქვამს, რომ შეიძლებოდა, ტყუპი შემძენოდა. ეს მე თვითონ ვიგრძენი. მთელი ფეხმძიმობის პერიოდში ვგრძნობდი, რომ მუცელში ორი ბავშვი მყავდა... როცა მშობიარობა დამეწყო, წნევა ამეწია. ძალიან მძიმე მშობიარედ ჩამთვალეს. ჩემი გადარჩენის იმედი ექიმებს არც ჰქონდათ. სხვათა შორის, ჩვენს რაიონში, მთელ რესპუბლიკაში ერთ-ერთი უძლიერესი სამშობიარო სახლია. მაშინაც და ახლაც, საუკეთესო მეან-გინეკოლოგები გვყავდა და გვყავს. შეუძლებელი შეძლეს და გადამარჩინეს. მშობიარობის შემდეგ, სამი დღე და ღამე გონზე ვერ მოვედი. ცხადია, დანამდვილებით ვერც იმას ვიტყოდი, ერთი ბავშვი გავაჩინე თუ ორი.

— მერე ექიმებმა ასე როგორ გაგიმეტეს? — თქვენ ხომ რაიონში ცნობილი და ყველასთვის საყვარელი ადამიანი ხართ?

— სწორედ ამიტომაც ჩათვალეს, რომ ამის ეჭვი არ გამიჩნდებოდა. თანაც, ბებიაქალს უშვილო რძალი ჰყავდა. მის შვილს, ამის გამო, ოჯახი ენგრეოდა. ბებიაქალის შვილი კი, იმ გინეკოლოგის ნათლული იყო, რომელმაც მამშობიარა. მათ მოილაპარაკეს და ბავშვი დამალეს. მთავარი ის არის, რომ ეს საიდუმლო ორივემ საფლავში ჩაიტანა...

— თქვენ როგორლა შეიტყვეთ სიმართლე?

— მოგეხსენებათ, მეც ჟურნალისტი ვარ. ჟურნალისტები კი ყველაფერში იდუმალს, საეჭვო ამბავს, ქვედა დინებებს ვეძებთ... ალბათ ესეც იყო იმის მიზეზი, რომ რადგან ეჭვი გამიჩნდა, ის ეჭვი გონებიდან ვეღარ ამოვიგდე.

— ეჭვი რატომ გაგიჩნდათ?

— სამშობიაროდან რომ გამოვედი, სუსტად ვიყავი. ბავშვს დედამთილი უვლიდა. პირობითად, ჩემს შვილს ნინოს დავარქმევ. ნინოს ბებიამისმა თავის ოთახში დაუდგა აკვანი. ისინი პირველ სართულზე დაბინავდნენ, მე — მეორე სართულზე. ჩემი მული და და მივლიდნენ. საწოლიდან წამოდგომას ვერ ვახერხებდი. პირველივე ღამეს, რომელიც შინ გავატარე, უჩვეულო სიზმარი ვნახე: სამშობიაროს ეზოში მე და ნინო ყვავილებს ვკრეფდით. ნინო უკვე დიდი იყო და გამუდმებით გულზე მეკვროდა. სამშობიაროს ფანჯრიდან მისი ტოლი ბიჭი გვიმზერდა და ტიროდა. ცრემლების მაგივრად, თვალებიდან სისხლი სდიოდა... ეს სიზმარი ცუდად მენიშნა. თანაც, მანამდეც, სანამ ვიმშობიარებდი, დარწმუნებით ვამბობდი — ტყუპი შემეძინება-მეთქი...

— ერთი სიტყვით, წინათგრძნობა გქონდათ?

— არა. ეს წინათგრძნობა არ იყო — ეს უფრო დიდი და ამოუცნობი რამ იყო. ღამღამობით, ბავშვის ტირილის ხმა მესმოდა. წამოვხტებოდი და ნინოს აკვანთან გავრბოდი. მაგრამ ნინო არ ტიროდა. მერე მისი ხმა ყურში რომ ჩამებეჭდა, მივხვდი, რომ სხვა ბავშვის ტირილის ხმა ჩამესმოდა. სწორედ ამ ხმამ დამარწმუნა საბოლოოდ, რომ მეორე შვილი მომპარეს. ჩემი ეჭვი ქმარს რომ გავუზიარე, გაფითრდა. ვიფიქრე — თანამიგრძნობს-მეთქი, — მან კი, მეორე დღეს, ფსიქიატრი მომიყვანა... დედამთილს რომ გავანდე ეს ეჭვი, მითხრა: ოღონდ, ამას ნურავის ეტყვი და თუ გინდა, ახლავე ვიშვილებ ჩვილს და მოგიყვანო... ოჯახში მდგომარეობა უკიდურესად გამწვავდა. ფსიქიატრთან მისვლას მაიძულებდნენ. ჩემსა და ქმარს შორის სერიოზული უთანხმოება ჩამოვარდა, ბუბუში რძე გამიშრა. დედამთილმა გადაწყვიტა, თავისი შვილის ოჯახი დანგრევისგან ეხსნა და უპატრონო ჩვილი მოძებნა. მაშინ ნინო უკვე ხუთი თვის იყო. დედამთილმა შინ ზუსტად ხუთი თვის გოგონა მოიყვანა და მითხრა: აი, შენი შვილი ვიპოვე, მართალი ყოფილხარ — ორი გოგონა გაგიჩენიაო. ინსტინქტურად ვუპასუხე: ჩემი მეორე შვილი ბიჭი იყო-მეთქი. დღემდე არ ვიცი, ეს ფრაზა რამ მათქმევინა...

— ის ბავშვი უკან გაატანეთ?

— არა, დავიტოვე. ბავშვი უკვე ნაშვილები იყო, ყველა საბუთი დედამთილს მოეწესრიგებინა. ღმერთის წინაშე არ ვიქნებოდი მართალი, ის პატარა უკან რომ გამეტანებინა. ერთხელ უარყოფილი ბავშვისთვის ხელი რატომ უნდა მეკრა?! ჩემი ქმრისთვის სულერთი იყო, დავიტოვებდი ამ ბავშვს თუ არა. ის ხვდებოდა, რომ მკარგავდა. ქალი, რომელიც მიყვარს, ფსიქიკურად დაავადებულიაო, — უთხრა დედამისს... ამით ჩვენს ცოლქმრობას წერტილი დაესვა. ახლა ჩემს ქმარს უკვე შვილიშვილები ჰყავს, თავის ცოლ-შვილთან ბედნიერად ცხოვრობს და ყურადღებას არც ჩვენ გვაკლებს. მაშინ კი, ჩემთვის მასთან გაყრა ძალიან მტკივნეული იყო. ღამეებს ტირილში ვათენებდი. მშობლები მსაყვედურობდნენ: შენს აკვიატებულ აზრებს ქმარი შესწირეო.

— თავად არ გიცდიათ სიმართლის დადგენა?

— ეჭვი არავისზე არ მქონია. გინეკოლოგის სანათესავოში ჩვილი არავის ჰყავდა, რომ მეფიქრა — ბავშვი მე მომპარა და მას მისცა-მეთქი. რაც შეეხება ბებიაქალს — მისი შვილი და რძალი როსტოვში ცხოვრობდნენ. ყველამ იცოდა, რომ მათ ორი ბიჭი ჰყავდათ. რვა წლის შემდეგ რომ ჩამოვიდნენ, ძაძებით იყვნენ შემოსილები. თქვეს: ერთი ვაჟი მოგვიკვდა — მანქანა დაეჯახაო... ასე ნიღბავდნენ საიდუმლოს... მე ვფიქრობდი, რომ ვიღაცამ შვილი გამიყიდა. იმასაც ვაპირებდი, რომ გინეკოლოგისთვის მეთვალთვალა და დანაშაულზე გამომეჭირა, ვფიქრობდი: თუ ერთხელ გაყიდა ბავშვი, იმავეს მეორედაც ჩაიდენს-მეთქი. მაგრამ ის 55 წლის ასაკში სიმსივნისგან გარდაიცვალა და ჩემი გეგმაც ჩაიფუშა. იმის შეგრძნება, რომ დაკარგული მყავდა შვილი, ტანჯვად გადამექცა.

— პოლიციას რატომ არ მიმართეთ? იქნებ, გამოძიებით სიმართლე დადგენილიყო?

— ყველა მეუბნებოდა — ფსიქიკა გაქვს მოშლილი, აკვიატებული აზრები გაწუხებსო... ვეღარც ვბედავდი დაკარგულ შვილზე ხმამაღლა ლაპარაკს. გულში ვიკლავდი და მხოლოდ ფურცელს ვანდობდი ჩემს უბედურებას.

— სიზმრებს თუ ნახულობდით?

— რა თქმა უნდა. მესიზმრებოდა სწორედ იმ ასაკის ბიჭი, რა ასაკისაც ნინო იყო. ბიჭი, რომელსაც სიზმარში დაჩის ვეძახდი, სულ ტიროდა. ეს უფრო მეტად მითუთქავდა გულს. საოცარი ისაა, რომ ერთ ქალაქში ვცხოვრობდით, ერთმანეთს კი, ვერ შევხვდით. ერთხელ მაინც რომ დამენახა ქუჩაში, ხელს ვტაცებდი და ვეტყოდი — ჩემი შვილი ხარ-მეთქი. ხმაც კი ვიცოდი, როგორი ექნებოდა — სიზმრებში მეძახდა: დედაო!.. ერთ დღეს, მეგობარი მომივიდა. ნინო შინ არ იყო, მეორე შვილი — ანანო ყავას ადუღებდა. ანანოსთვის არასდროს დამიმალავს, მისი ნამდვილი დედა რომ არ ვიყავი, ვარჩიე, თავიდანვე სიმართლე მეთქვა... მოულოდნელად, საშინელი ტკივილი ვიგრძენი. ისეთი შეგრძნება დამეუფლა, თითქოს თავი გამისკდა. ტკივილისგან გული წამივიდა. გონს რომ მოვედი, ავტირდი. ჩემი შვილი ცუდად არის, რაღაც ძალიან უჭირს-მეთქი, — დავიჩემე... პირველად მაშინ შემეშინდა — ვაითუ, შვილი მომიკვდეს და ვერასდროს ვეღარ ვნახომეთქი...

— ნინომ და ანანომ თუ იცოდნენ თქვენი ხილვების შესახებ?

— ყველაფერი იცოდნენ. თუმცა, არ ვეუბნებოდი, როგორი ნაკვთები შეიძლებოდა ჰქონოდა დაჩის: მეშინოდა, გოგონებს თავიანთ კბილა ყველა ბიჭში ძმის ძებნა არ დაეწყოთ. გოგონებს ისედაც ძალიან ვეცოდებოდი. თუ მოვიწყენდი, მაშინვე მამშვიდებდნენ: დაწყნარდი დედა, ღმერთი ისე არ გაგწირავს, შენი ვაჟი რომ არ იპოვოო. ასე გავიდა წლები. 1989 წელს, ჩემმა გოგონებმა საშუალო სკოლა დამთავრეს და სტუდენტები გახდნენ. ანანო პედაგოგიურ ინსტიტუტში მოეწყო, ნინო — პოლიტექნიკურში. ორივე თბილისში წამოვიდა. ვთხოვე: სურათები გადაიღეთ — მინდა, რაც შეიძლება მალე გავიცნო თქვენი ჯგუფელები-მეთქი. ერთ შაბათს, ძალიან კმაყოფილები და ბედნიერები ჩამოვიდნენ თბილისიდან. ნინომ მომახარა: ჩემი ერთი ჯგუფელი ჩვენთან ახლოს ცხოვრობს და ვუთხარი — მოდი, დედაჩემს გაგაცნობ-მეთქი... ამ ამბავმა მეც გამახარა. მალე იმ ბიჭმაც დარეკა. დათო ერქვა. ნინომ სთხოვა: მოდი, ნამცხვარი გამოვაცხვეთო. საშინლად ავფორიაქდი. ისეთ დღეში ჩავვარდი, როგორშიც გოგონა პირველი პაემნის დღეს... გული მიფართხალებდა. ვერ მივხვდი, რა მოხდა.

რას წარმოვიდგენდი, თუ სახლში დაკარგული შვილი მომივიდოდა?! ეზოში რომ შემოვიდა და დაიძახა: ნინო, ნინოო, — იმწამსვე მივხვდი, რომ შვილი ვიპოვე. ანანომ ხელი მტაცა, რომ არ დავცემულიყავი... რა თქმა უნდა, დათოს არ დავენახვე. მეორე ოთახიდან, ოდნავ გაღებული კარიდან ვუყურებდი. სწორედ ის იყო, ვისაც სიზმრებში ვნახულობდი... შუბლზე კი, დიდი ნაიარევი ჰქონდა. ახლა ვიცი, რომ ის იმ დღიდან აქვს, როცა მე თავის ტკივილისგან გული წამივიდა: დათო ხიდან ჩამოვარდნილა და შუბლი გაუტეხია.

— როგორ უთხარით, — დედაშენი ვარო?

— ვერ ვუთხარი. ექვსი თვის მანძილზე, სიმართლე ვერ გავუმხილე. გოგოებსაც პირობა ჩამოვართვი, რომ მას არაფერს ეტყოდნენ. დავუმეგობრდი და მერე ვუთხარი: ბოლოს კი ვკითხე: დათო, გულწრფელად მითხარი — გიჟად ხომ არ მთვლი-მეთქი? — არაო, — შეიცხადა. — აი, ამ ნაწერების გამო და იმ აზრების გამო, რამაც ეს ფურცლები დამაწერინა, საკუთარი მშობლებიც კი გიჟად მთვლიდნენ; წაიღე და პირობა მომეცი, რომ წაიკითხავ-მეთქი. წაიღო. სამი დღის შემდეგ, დამირეკა — მოსვლა ვერ შეძლო, ყურმილი რომ ავიღე და ვიკითხე: ალო, რომელი ხარ-მეთქი? მიპასუხა: დაჩი ვარ, დედაო... ახლა დაჩი 31 წლისაა. ის ჩემთან ცხოვრობს. მის მშობლებს ეს არ სწყინთ... ძალიან ვუყვარვარ. ერთმანეთს უსიტყვოდ ვუგებთ. თანაც, დაკარგულ წლებს ვინაზღაურებთ. ნინო და ანანო უკვე ოთხი წელია, გერმანიაში ცხოვრობენ — იქ განაგრძეს სწავლა, თან — მუშაობენ. როცა ჩემი ამბავი მთელ რაიონში გახმაურდა, მაშინ გადიოდა სერიალი „მდიდრებიც ტირიან“. ხალხი არ იჯერებდა, რომ მათ გვერდით მყოფმა ქალმაც 17 წლის შემდეგ იპოვა შვილი — უმეტესობა ფიქრობდა, რომ ეს სერიალის გავლენით გაჩენილი ჭორი იყო. გვირეკავდნენ და გვეკითხებოდნენ: „სიმართლეა თუ არა?“ ჩვენ მზად ვიყავით ყველასთვის გვეპასუხა: „დიახ“.

ფსიქოლოგები და ფსიქიატრები თავს იკავებენ იმის კომენტირებისგან, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ინტუიციის როლი დედისა და შვილების ურთიერთობისას. მათი აზრით, ინტუიცია ყველა დედას როდი აქვს განვითარებული — ამიტომ მიაჩნიათ, რომ ეს თემა პარაფსიქოლოგიის სფეროს მიეკუთვნება.

ტესტი ერუდიციაზე

1. სპეციალისტების თვალსაზრისით, რაზე მეტყველებს ხელმოწერის წერტილით დაგოლოება?



ა) სიძუნწესა და ხელმომჭირნეობაზე;
ბ) დისციპლინასა და საქმის სრულყოფილად შესრულების უნარზე;
გ) უზომო ენერგიასა და ფანტაზიის ქონაზე.

2. რომელ ქვეყანაში გაჩნდა პირველად ეტიკეტი (სუფრასთან ქცევის წესები)?

ა) იტალიაში;
ბ) ინგლისში;
გ) საფრანგეთში.

3. ჭამის წინ სენეგალში იგანენ მხოლოდ:

ა) მარჯვენა ხელს;
ბ) თითებს;
გ) პირს.

4. ცნობილია, რომ ალენ დელონს ჭირის დღესავით სძულს:

ა) ძაღლები;
ბ) სიგარები;
გ) ამერიკული კინემატოგრაფია.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

მირიან მესტიაშვილი, *ფსიქიატრი, აკადემიკოსი:*

— ჩემს თავზე ვერ ავიღებ პასუხისმგებლობას, რომ ვისაუბრო ინტუიციაზე, რაც დედისთვის და საერთოდ, ქალისთვისაა დამახასიათებელი. მე ვფიქრობ, რომ ცხოვრებისეული გამოცდილებიდან გამომდინარე, ქალები ხშირად, სწორ დასკვნებს აკეთებენ და ახერხებენ, ზუსტად განჭვრიტონ, თუ რა შეიძლება მოხდეს მომავალში. ეს არის ინტუიციის გამოვლინება, ინტუიცია კი პარაფსიქოლოგიის სფეროს განეკუთვნება, პარაფსიქოლოგიასა და ფსიქიატრიას კი, არაფერი აქვს საერთო ერთი-მეორესთან. საერთოდ, დედა ყოველთვის გადაჭარბებულ ყურადღებას იჩენს შვილის მიმართ. ზოგჯერ დედა-შვილს შორის ყალიბდება ე.წ. სიმბიოზური ურთიერთდამოკიდებულება: როგორც სიამის ტყუპები, ცალები, ისე ერწყმიან ერთმანეთს დედა და შვილი. სწორედ ამგვარი დამოკიდებულებით იწყება ხოლმე ის ფსიქიკური მოშლილობები, რომლითაც სტაციონარულ მკურნალობაზე მყოფი ავადმყოფები არიან დაავადებულები.

— ფაქტია, რომ არსებობენ დედები, რომლებსაც გამძაფრებული ინტუიციის უნარი აქვთ.

— მეორე მსოფლიო ომის მონაწილე გახლავართ. ამიტომ განსაკუთრებით კარგად მაქვს შესწავლილი იმ დედების ფსიქოლოგია, რომელთა შვილებიც ომიდან არ დაბრუნდნენ. შინმოუსვლელ შვილებს დედები სიცოცხლის ბოლომდე ელოდნენ. ვიცნობდი ერთ კარგ კაცს, რომლის ცოლიც ყოველდღე გზას გაჰყურებდა: ეგონა — გზას თუ მოსწყვეტდა თვალს, ვეღარ დაინახავდა, ომიდან დაბრუნებული შვილი ეზოში როგორ შემოაბიჯებდა... მისი ვაჟი ფრონტზე ჩემ თვალწინ დაიღუპა. ბოლოს, იძულებული გავდი, მამისთვის მეთქვა სიმართლე. მან, რა თქმა უნდა, მეუღლეს უთხრა, რომ შვილი დაეღუპათ და ლოდინი ამაო იყო. მაგრამ სიმართლის შეტყობას არაფერი შეუცვლია — ის ქალი მაინც ელოდა... ცხადია, ჯობია იცოდე, რომ შვილი სადმე ტყვედ არის ჩავარდნილი და შინ დაბრუნებას ვერ ახერხებს. ხშირია ისეთი შემთხვევა, როცა შვილმკვდარი დედა, სამძიმარზე მისულ ადამიანებს გაოცებული ეკითხება: აქ რა გინდათ? რა ხდება? ჩემი შვილი ხომ საავადმყოფოშიაო... ცხადია, ეს ნორმიდან გადახვევაა, ფსიქიკური ავადმყოფობის ზღვარზე მყოფი ადამიანის მდგომარეობაა... რაც შეეხება ინტუიციას — სხვათა შორის, ბატონი ავლიპ ზურაბაშვილი არ ანიჭებდა მას განსაკუთრებულ მნიშვნელობას. მას მიაჩნდა, რომ არ შეიძლებოდა, ფსიქიურად ჯანმრთელ ადამიანს წინასწარ შეეგრძნო, თუ რა მოელოდა მის შვილს...

ბუნებრივია, არსებობს განსხვავებული აზრიც. მაგალითად, ფსიქოლოგ ლია ანდღულაძეს მიაჩნია, რომ მართალია, დედობრივი ინსტინქტების, ინტუიციისა და უცნაური შეგრძნებების არსებობას ფსიქოლოგები და ფსიქიატრები არ ცნობენ, მაგრამ ამგვარი რამ ნებისმიერი დედისთვის არის დამახასიათებელი.

ლია ანდღულაძე, *ფსიქოლოგი:*

— არ შეიძლება, ეჭვი შევიტანოთ იმ ქალების ფსიქიკის სიჯანსაღეში, რომლებიც წინასწარ გრძნობენ იმას, თუ როდის ხდება მათი შვილი ავად ან რა სირთულეები შეიძლება შეხვდეს მას ცხოვრების ამა თუ იმ მონაკვეთზე. მე მყავს მეგობარი, რომელიც სიზმრების წყალობით, წინასწარ გრძნობს ხოლმე, თუ რას აკეთებს გერმანიაში მცხოვრები მისი ვაჟიშვილი... ასეთი ფაქტების შესახებ სხვებსაც ხშირად სმენიათ. თუნდაც, ის მოვლენა რად ღირს — მეძუძურ დედებს ძუძუდან რძე მაშინ რომ სდით ხოლმე, როცა ჩვილების ჭამის დრო ახლოვდება?!.

■

სალომე შოშიტაშვილი

ასე „უბერავენ“ „შებერილები“ – კოკა, დათო, სანდრო და გია

„ნიკოლშოუ“ ანუ რაც და როგორ „უბერავენ“ „შებერილები“...

„ნიკოლშოუ“. ვინ არიან „შებერილები“... მისი წევრები? მათ „შებერილების“ სახელით იცნობენ. ბევრი მითქმა-მოთქმაა მათთან დაკავშირებით, ზოგი ნიკალაიშვილებად ნათლავს, ზოგიც — სოფლიდან ჩამოსულ ბიჭებად. არადა, სოფელი არცა აქვთ. ყველაზე საინტერესო კი ის არის, რომ ისინი ერთი მამისა და ოთხი დედის შვილები არიან: გია (39 წლის), დათო (31), სანდრო (25) და კოკა (13). ძმები ბევრი მინახავს, მაგრამ ერთმანეთისაგან ასე რადიკალურად განსხვავებულები და ასეთი მეგობრულები — არასდროს. ინტერვიუ გიას სახლში ჩაიწერა. დათო და სანდრო დათქმულ დროს მოვიდნენ, კოკამაც არ გვალოდინა დიდხანს. ის გაკვეთილიდან პირდაპირ ჩვენთან გამოიქცა. აი, გიას კი, ცოტა შეაგვიანდა. ამიტომ საუბარი დათოსთან და სანდროსთან დავიწყე.

— ვისი იდეა იყო თქვენი ჯგუფის ჩამოყალიბება?

სანდრო:

— თითქმის ყველასი, მაგრამ უფრო მეტად — მამაჩვენის. მან e-mail-ით დათოს მისწერა ამერიკაში: რამდენი ცნობილი ძმები არსებობენ — კარამაზოვებიც იყვნენ, გრიმებიც... თქვენ — ძმები ნიკოლაძეები რატომ არ უნდა გაგიცნოთ ხალხმაო?! — და ჩვენც შევიკარით, ოღონდ თავიდან, იმ იდეით კი არა, რომ მაინცდამაინც გვემღერა და მომღერლები გავმხდარიყავით, შოუბიზნესში ანდა ესტრადაზე გამოვჩენილიყავით. ჩვენ კიდევ ბევრ სხვა ფრონტზეც ვმუშაობთ. ვიღებთ კლიპებს, სარეკლამო რგოლებს, გვაქვს სატელევიზიო პროექტებიც. ისე, ძირითადად, მუსიკაში ვმოღვაწეობთ... მოკლედ, ხან ვიმღერეთ, ხან ვიცეკვეთ, ხან ლექსი დავწერეთ და, ბოლოს და ბოლოს, სიმღერაც გამოვიდა.

— დათო, რა რეაქცია გქონდათ, მამისგან წერილი რომ მიიღეთ?

— იქ ძალიან სასაცილოდ ეწერა: თუ არსებობენ ძმები გრაქჩუსები, გრიმები, კარამაზოვები, რატომ არ უნდა იყვნენ ძმები ნიკოლაძეები? რითი ვართ დებ იშხნელებზე ნაკლებიო?! ამაზე ძალიან გამეცინა და... გაგვეცინა. ისე, ჩვენ ისედაც მეგობრულად ვიყავით, სანამ მამაჩემის წერილი მომივიდოდა — უბრალოდ, მანამდე შემოქმედებითად ერთად არაფერი შეგვიქმნია.

— დედებს რა რეაქცია ჰქონდათ თქვენს დამეგობრებაზე? გაუხარდათ?

სანდრო:

— რა თქმა უნდა, ძალიან გაუხარდათ და მხარში გვიდგანან.

— თქვენმა ახალმა კლიპმა დიდი პოპულარობა მოგიტანათ. როგორ ეგუებით? ხომ არ შეგაწუხათ პოპულარობამ?

— სხვათა შორის, არ შევუწუხებივართ. საერთოდ ვერც ვგრძნობთ, რომ პოპულარულები ვართ. კი გვესმის ხოლმე — კარგიაო, ბევრს მოსწონს, მაგრამ როგორც ჩანს, არც არავინ იცის წესიერად, ვინ ვართ.

დათო:

— ამას წინათ, მოვხვდი ოქროს ბირჟაზე. რაღაცას ვეძებდი და მესმის ლაპარაკი — ერთი გამყიდველი ქალი მეორეს ეუბნება: გაიგე, ჯგუფი „ნიკოლშოუ“ რომ ყოფილაო? — როგორ არა, გავიგე, ვიღაც ძმები ნიკოლაიშვილები ახლა ჩამოსულან სოფლიდან და დაუწერიათ სიმღერა, ღმერთმა ხელი მოუმართოთ, ისე, კარგად მღერიანო... არადა, სოფელი არც ერთს არ გვაქვს.

— ტექსტს ვინ გიწერთ?

დათო:

— ჩვენ ვწერთ.

— მუსიკას?

სანდრო:

— მუსიკასაც ჩვენ ვწერთ, კლიპსაც ჩვენ თვითონ ვიღებთ.

— „მელოტი კუს“ გადაღება როგორ მოხდა?

— გია და გრეჩიხა (ლევან გაჩეჩილაძე), ბავშვობიდან მეგობრები არიან. ბავშვობაში ასეთი თამაში ჰქონდათ, ერთმანეთი უნდა გაეცინებინათ — უნდა მოეფიქრებინათ სასაცილო სიტყვები და ვინც გაიცინებდა, თამაშიდან ვარდებოდა. ერთ დღესაც, შემოვიდა ჩვენი მეგობარი იკა აბაშიძე და თქვა, აქლემი და ჯოხი... კუ და მატარებელი. გაეცინა ყველას ამ სისულელეზე. მეორე თუ მესამე დღეს, გიამ ლექსი მოიტანა — „აქლემი და ჯოხი... კუ და მატარებელი“. ეს იყო ლექსი კუზე, რომელსაც მატარებელმა გადაუარა. დაიწერა მუსიკა და ისე, სუფრაზე ვმღეროდით, ვიცინოდით. ერთ დღესაც, მოვიდა „უცნობი“ და გიას უთხრა: აი შენი სიმღერა. (ტექსტი ცოტა გადაკეთა, ჩასვა რაღაცები...), კარგი რამე გამოვიდა და კლიპი გადავიღოთო.

— ჯგუფში ვის რა ფუნქცია გაკისრიათ? თუ არა გაქვთ განაწილებული? მაგალითად, მენეჯერი ვინ არის?

დათო:

— ყველა.

სანდრო:

— ყველანი ვაკეთებთ იმას, რაც საჭიროა, გაკეთდეს. განაწილების პრინციპი ჩვენთან არ მოქმედებს.

— არ გქონიათ სურვილი, რომ ვინმესთან ერთად ჩაგეწერათ კლიპი ან სიმღერა?!

— ჯერჯერობით არა, მაგრამ შეიძლება, საჭირო იყოს. რთული შეკითხვაა. ისე, რატომაც არა?! მაგალითად, სტივ უანდერთან ერთად, ან — მეგობრებთან ერთად — როგორც დათო ხუჯაძე ამბობს.

— ეს თქვენი კლიპი — „შებერილები“ — ვისზეა დაწერილი?

— ვისზეა დაწერილი? — ყველაზე, ვინც თავისას აკეთებს, მაგრამ პოლიტიკა გამორიცხეთ: ამ კლიპის გადაღებისას, პოლიტიკაზე არც გვფიქრია. თვითონ სიტყვა „შებერილები“ არის იგივე, რაც რეზო გაბრიაძ-

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეიჩა დვალის უბის წიგნაკიდან:

1. მთვარეზე ძალზე ხშირია მეტეორიტების ცვენა.
2. ბაადურ წულაძე ბავშვობაში ძალზე გამხდარი იყო.
3. ნანი ბრეგვაძე არაჩვეულებრივად ჰყვება ანეკდოტებს.
4. პორშეს, ფედერიკო ერქვა, ფერარის — ენცო.
5. მოახლეს სამგზავრო გემზე XIX საუკუნეში სტიუარდესა ერქვა.
6. „ციტატა“ ლათინური სიტყვაა და მოხმობილს, გამოძახებულს ნიშნავს.
7. როსის ზღვა ყველაზე ცივი ზღვაა დედამიწაზე, წითელი ზღვა — ყველაზე თბილი.
8. სიასამურის 14 ქვესახეობიდან ბურგუზინული სიასამური ყველაზე ძვირფასბეწვიანია.
9. ინგლისელ ტომას ვედერს მსოფლიოში ყველაზე დიდი — 19 სმ სიგრძის ცხვირი ჰქონდა.
10. სირიის არაბთა რესპუბლიკა არაბულ ენაზე ასე ჟღერს: ალიჯუმჰურია ალ-არაბია ალ-სურია.
11. მსახიობი ლოურენს ოლივიე ლორდთა პალატის წევრად ხმის მიცემის უფლების გარეშე იყო არჩეული.

12. ნიკოლოზ ვასილის ძე სკლიფოსოვსკი რუსი ქირურგი იყო. გრიგოლ სავას ძე სკოვოროდა — უკრაინელი ფილოსოფოსი, პოეტი და პედაგოგი.
13. სისინის ან შიშინის მსგავსი ჟღერადობის მქონე ბგერებს სიბილანტები ეწოდება. ქართულში 10 სიბილანტია. სმენითი შთაბეჭდილების მიხედვით, მათ ყოფენ სისინა (ძცწზს) და შიშინა (ჯჩშჟშ) სიბილანტებად.
14. ჭექა-ქუხილი მექსიკაში ძალზედ ხშირია, ეგვიპტეში 200 წელიწადში ერთხელ ხდება, ანტარქტიდაში კი, ჯერ არასოდეს დაფიქსირებულა.
15. ქალაქ ვოლგოგრადში აღმართული ქანდაკების, „დედა-სამშობლოს“ სიმაღლე 81,3 მ-ია. იგი თავისუფლების ქანდაკებაზე მაღალია.
16. პაპუასი ქალები ტყეში ზურგზე მოკიდებული, გიგანტური ბადე-ჩანთებით დადიან. ჩანთას ორი განყოფილება აქვს: ქვედა — ფესვებისა და ნაყოფისათვის არის განკუთვნილი, ზედა — ბავშვისთვის.
17. „ეს არის მედუზა, რომელიც ყოველ საღამოს, თავისი გაყინული მზერით მილიონ ადამიანს აქვავებს, სირენა, რომელიც მღერის, გიხმობს და ძალზე ბევრს გპირდება, სინამდვილეში კი, ძალზე მცირედის მოცემა შეუ-

ის „შერეკილები“. — ანუ „უბერავენ“ რა! ჩვენ, ქართველები, აი, ასე ვუბერავთ, ეს გვეხერხება და ეს გამოგვდის...

— ეი. თქვენს შემოქმედებაში პოლიტიკა საერთოდ გამოირიცხება?

დათო:

— გამორიცხვით რატომ გამოირიცხება?! არა, უბრალოდ, რაც კლიპშია ნაჩვენები, მასში არ იყო არანაირი პოლიტიკური შინაარსი. ახლახან მითხრეს, რომ საბერძნეთიდან დაბრუნებული ერთი ცნობილი პიროვნებისთვის უჩვენებიათ ეს კლიპი. უთქვამს: ზუსტად მაგ სტილის კლიპი ვნახე საბერძნეთში, რა თქმა უნდა, მუსიკა და ტექსტი განსხვავებულია, მაგრამ ის პოლიტიკოსებზე იყო და ძალიან პოპულარულიაო. ამის შემდეგ გააკეთა ნატო ონიანმა კლიპი პოლიტიკოსებზე, რომელსაც ჩვენი სიძღერა დაურთო. შესაძლებელია, ამის გამო დაუკავშირეს პოლიტიკას. არადა, იმ კლიპში, რომელიც ნატომ გააკეთა, ჩვენი ხელი არ ურევია.

სანდრო:

— პოლიტიკიდან, ყოველ შემთხვევაში შორს ვართ.

დათო:

— პოლიტიკაში არ ვერევით, მაგრამ გვინდა, რომ საქართველოში ყველაფერი მაქსიმალურად კარგად იყოს...

— რაიმე ახალი პროექტი ხომ არა გაქვთ?

— გვაქვს, როგორ არა?! ახლა ვმუშაობთ ახალ სიმღერაზე და ვიწყებთ პროცესს, რომელსაც ჰქვია კლიპის გადაღების წინა, მოსამზადებელი პერიოდი. ასევე გვაქვს სატელევიზიო გადაცემის პროექტი. ადრე, მხიარული შეჯიბრება იმართებოდა სკოლებს შორის და მისი აღდგენაც გვინდა. „ნიკოლშოუს ზარი“ ერქმევა. ძირითადად, ამ პროექტზე ვმუშაობთ.

— რომელი სკოლების ჩართვას აპირებთ?

— თბილისის. მომავალ წელს, უკვე მთელი საქართველოს მასშტაბით ჩავრთავთ მოსწავ-



ვარლამ ნიკოლაძე

ლეებს. ეს პროექტი იუმორისტულიც იქნება, შემეცნებითიც, გასართობიც. გვინდა ისეთი პროგრამა შევქმნათ, რომ მაყურებელმა ხალისითაც უყუროს და მონაწილეობაც ასევე ხალისით მიიღოს.

— თქვენ აზრით, შოუბიზნესისთვის დღევანდელ საქართველოში რა არის საჭირო?

— ბიზნესი!

— არის თუ არა საქართველოში შოუბიზნესი?

— არაერთხელ უთქვამთ, მაგრამ მე გავიმეორებ: შოუ არის, ბიზნესი — არა!

კარზე ზარი გაისმა და კოკაც შემოგვიერთდა.

— კოკა, სად სწავლობ?

— ზაქარია ფალიაშვილის სახელობის მუსიკალურ ათწლედში. ისე, ბედი არ გინდა? — ათწლედი ჰქვია და თერთმეტი წელი უნდა ვისწავლო...

— როდის გადაწყვიტე, მუსიკოსი გამხდარიყავი?

— ფლეიტაზე დაკვრით დავიწყე, როგორც სანდრომ და მერე, როგორ ავიღე ხელში ვიოლინო, ეს აღარ მახსოვს. რომ გითხრათ, ძალიან გატაცებული ვიყავი და ბეჯითად ვმეცადინეობდი-მეთქი, ტყუილი იქნება. დღეში ნახევარ საათსაც არ ვუკრავდი. მაგრამ რვა წლის რომ გავხდი, მივხვდი, რომ მუსიკის გარეშე არ შემეძლო.

— შენს მეგობრებში ალბათ ძალიან პოპულარულია კლიპი „შებერილები“. რას გეუბნებიან ისინი?

— ძალიან ბევრი მხვდება და მეკითხება — უბერავ? კი, — ვუბერავ-მეთქი, — ვპასუხობ. მაგრამ ბევრმა არ იცის, ვინ ვართ, რადგანაც არც ერთი არ ვჩანვართ კლიპში. კლიპი ფილმის ნაწყვეტებით არის აკინძული.

— შენმა მასწავლებლებმა თუ იციან, რომ შენც მღერი ამ კლიპში?

— მასწავლებლებმა იციან და მგონი, მათაც მოსწონთ.

— საიდან იცით?

— აშკარად უკეთეს ნიშნებს მიწერენ *(იცინის)*, მაგრამ ამის დაწერა არ ღირს...

— სპონსორები თუ გამოგიჩნდნენ?

სანდრო:

— კი, არის რაღაც შემოთავაზებები, თუმცა, ამაზე საუბარი ჯერ ნაადრევია.

— თქვენს დედებს ერთმანეთთან როგორი ურთიერთობა აქვთ?

კოკა:

— არაჩვეულებრივი. არაფერი აქვთ ერთმანეთთან გასაყოფი და ძალიან უხარიათ, ძმებს შორის ასეთი კარგი ურთიერთობა რომ არის. ეს ჩვენი დედების დამსახურებაა, რადგანაც მამა ახლა თურქეთში ცხოვრობს. ჩვენ ისედაც გვეყვარებოდა ერთმანეთი, მაგრამ ეს მაინც ჩვენი დედების დამსახურებაა.

— კიდევ თუ გყავთ რომელიმეს, და ან ძმა?

— გვყავს ერთი და — ეკატერინე ნიკოლაძე, ტატა, რომელიც ძალიან გვიყვარს და ძალიან ვაფასებთ. ტატა არის დათოს და, დედითაც და მამითაც.

ჩვენი სახელი — „ნიკოლშოუ მედს“ — ასე იშიფრება: მამით ერთნი, დედით — სხვადასხვანი.

— მამა რას საქმიანობს?

— მამას თურქეთში ძალიან აფასებენ. იქ თავისი თეატრი აქვს. დგამს ქართულ პიესებს თურქულ ენაზე.

— ხშირად ჩამოდის ხოლმე?

— რამდენიმე წლის წინ იყო ჩამოსული, მერე აღარ ჩამოსულა. მაშინ ვნახე პირველად.

(როგორც იქნა, გიაც მოვიდა).

— გია, როგორი ბავშვი იყავით?

— ჟინიანი, საშინლად ჟინიანი. არსებობს ლოგიკური ჟინიანობა და არსებობს იდიოტური ჟინიანობა. მე იდიოტურად ჟინიანი ვიყავი. სკოლაში რომ ვსწავლობდი, ერთ დღეს, ფიზკულტურის დარბაზში მოიტანეს სია და გვეუბნებიან: ბავშვებო, ახლა აუზზე მივდივართ, ცურვაში უნდა შეეჯიბროთ ერთმანეთსო. არადა, ცურვაზე არასდროს მივლია, მაგრამ იმ სიაში მეც აღმოვჩნდი და... გავედი. წაგვიყვანეს აუზზე. გადავხტით... გადავხტი და გადმომყვა ცხრა კაცი. რომ ამომიყვანეს, ჩხუბი დავუწყე: მე ბოლომდე ყვინთვით უნდა გამეცურა-მეთქი...

— თქვენს ოჯახურ მდგომარეობაზე რას მეტყვით?

— მყავს მეუღლე — ნატული ჩხაიძე და ორი ქალიშვილი: 13 წლის თიკა და 5 წლის ქეთა.

დათო:

— მყავს მეუღლე — ნინო ანდრიაძე და ერთი ვაჟკაცი — ოთხი წლის ნიკა.

სანდრო:

— მეუღლე ჯერ არ მყავს, მაგრამ მყავს არაჩვეულებრივი საცოლე — ანა სიხარულიძე.

კოკა:

— მე არც მეუღლე მყავს და არც საცოლე, მაგრამ შეყვარებული ნამდვილად ვარ. ვისზე? ეს საიდუმლოა.

— დაბოლოს: რაში გინდათ დაემსგავსოთ მამას?

გია:

— ნიჭში.

(ძმებიც იმავეს იმეორებენ).

— მამაკაცობაში.

(კვლავ იმეორებენ).

სანდრო:

— მე მგონი, ვგავართ.

ინტერვიუს ბოლოს, გია ასეთ რეზიუმეს აკეთებს:

— „ნიკოლშოუ“ — ანუ ოთხი ძმა ერთ ადამიანში ერთიანდება. ამ შემთხვევაში, არ ვგულისხმობ მამაჩვენს — ვარლამ (ლალი) ნიკოლაძეს. ამ ერთ ადამიანში თავმოყრილია: პატიოსნება, წესიერება, არაჟარგონით ლაპარაკი, ნიჭიერება, ქუჩურობაცა და ბევრი იუმორი... ■

ოთხი ძმა ნიკოლაძე თითქმის ყველა საკრავზე უკრავს...

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეიჩა დვალი

უბის წიგნაკიდან:

ძლია“, — წერდა რეი ბრედბერი ტელევიზორის შესახებ.

18. დანი იაპონიაში ძიუდოისტების ოსტატობის ხარისხია. ყოველ დანს შეესაბამება სხვადასხვა ფერის სარტყელი. დამწყები, რომელმაც ილეთების მინიმუმი აითვისა, იღებს ყვითელ სარტყელს. ოსტატობის ზრდასთან ერთად, სპორტსმენი მოიპოვებს უფლებას, ატაროს უფრო და უფრო მუქი სარტყელი. IX დანის მქონეს უფლება აქვს, ატაროს ხასხასა წითელი სარტყელი (ასეთი, ცოტაა). მეათე დანის მქონეს კი, შავი სარტყელი ეკუთვნის (ასეთი, თითზე ჩამოსათვლელია).

19. ცნობილია, რომ არისტოტელემ შეაგროვა და აღწერა სხვადასხვა ქვეყნის უამრავი მცენარე. მისი კოლექციის ძირითადი მომმარაგებელი ალექსანდრე მაკედონელი იყო. ეს საქმე იმ მეცნიერებს ჰქონდათ დავალებული, რომლებიც სხვადასხვა ქვეყანაში ლაშქრობისას, თან დაჰყავდა დიდ მხედართმთავარს.



20. იმ საზღვარგარეთელი მეცნიერების მომზადების პროგრამაში, რომლებსაც ანტარქტიდაში უწევთ მოღვაწეობა, შედის ვარჯიში მშენებლობაში. ამ მეცნიერებს იგლუს აშენებას ასწავლიან.

21. სადილისა და ღვინის სმის დროს, ძველ ბერძნებს ძალზედ უყვარდათ მუსაიფი. ტრაპეზის დროს, ისინი ამა თუ იმ საკითხს განიხილავდნენ და ამა თუ იმ თემაზე სხვადასხვა მოსაზრებას გამოთქვამდნენ. ასეთ თავყრილობებს სიმპოზიუმები ერქვა.

22. ავსტრალია XV საუკუნეში აღმოაჩინეს, მაგრამ ჯერ კიდევ X საუკუნეში, ცნობილი ისტორიკოსი და მოგზაური მალუდი წერდა საოცარი ცხოველის შესახებ, რომელიც 7 წლის განმავლობაში, დედის საშოში ცხოვრობს და იქიდან მხოლოდ საკვების მოსაპოვებლად გამოდის. რაგინდ საკვირველიც არ უნდა იყოს, მალუდის, კენგურუ ჰყავდა მხედველობაში.

23. მონეტების შემგროვებლობას ნუმიზმატიკა ჰქვია, მარკებისას — ფილატელია, გრამფირფიტებისა და მაგნიტოფონის ჩანაწერებისას — ფილოფონია, ასანთის კოლოფებისა და ეტიკეტებისას — ფილუმენია.

24. მელიტონ ქანთარია — კაცი, რომელმაც რაიხსტაგის თავზე საბჭოთა კავშირის დროშა აიტანა, რამდენიმე წლის წინ, აფხაზეთიდან დევნილობაში გარდაიცვალა. ■

მე მასთან დაკავშირება არ მიცდია. თუმცა მის შესახებ ინფორმაციას ვფლობდი. ის რედაქციაში თავად მოვიდა. ამბავი, რომელიც მისგან მოვისმინე, შემაძრწუნებელია. დიდხანს ვფიქრობდი სააშკარაოზე გამომეტანა თუ არა. ბოლოს რესპონდენტის თხოვნა გავითვალისწინე და ცრემლით ნათქვამი ფრაზების შერბილებაც ვცადე.

„სახელი არ შემიცვალო — მინდა, ნათესავებმა გაიგონ, როგორ გამიმეტეს...“

ლელა ჭანკოტაძე

მაცაცო კერესელიძე:

— უბედურება ჩემთვის მაშინ დაიწყო, როცა დედაჩემმა არჩევანი გააკეთა. მე და ჩემი ძმა მოხუც ბებიასთან დაგვყარა და ყოფილ პატიმარზე გათხოვდა. ბებიის წყევლა ალბათ, მას საფლავშიც არ მოასვენებს. მე მეცხრე კლასში ვიყავი. ჩემი ძმა კი — მეშვიდეში. ორივენი ძალიან განვიცდიდით. საწოლში ერთმანეთს ვეხუტებოდით და დილამდე ვტიროდით. ამას თან ერთვოდა ისიც, რომ მატერიალურად გვიჭირდა. მეზობლები ჩემს ძმას აჭმევდნენ. ისინი რომ არა, ალიკა ვერც გაიზრდებოდა, მე კი შიმშილისგან ზოგჯერ ცუდად ვხდებოდი. მეზობლების მრცხვენოდა. მათთან არ ვსადილობდი.

— დედა არ გეხმარებოდათ?

— წლების შემდეგ გავიგე, რომ მას ისეთი საშინელი ქმარი ჰყოლია, ყოველდღე სცემდა თურმე. დედას ბევრჯერ უფიქრია, შვილებს დავუბრუნდებიო, მაგრამ ის კაცი ემუქრებოდა: ჩემგან წასვლას თუ გაბედავ, მოგკლავო... არც ნათესავები გვეხმარებოდნენ. ერთ დღეს, ბებია საწოლიდან არ ადგა. ეს მისგან უჩვეულო საქციელი იყო. ვკითხე: რატომ არ დგები-მეთქი? მიპასუხა: გათენებას ველოდებიო. ერთი სიტყვით, ის დაბრმავდა. იმწუთას ბებია კი არ მეცოდებოდა, იმაზე ვფიქრობდი, ჩვენთვის ლუკმაპური ვის უნდა მოეტანა. ის ვეღარ იმუშავებდა. სასოწარკვეთილმა დახმარება ვის აღარ ვთხოვე, მაგრამ მაშინ ყველას უჭირდა. თბილისში ომი მძვინვარებდა. ხალხს პურის ფულიც კი არ ჰქონდა. ასე ვეყარეთ ორი ბავშვი ბედის ანაბარა. ჩვენს მეზობლად ერთი ქალი ცხოვრობდა. მასზე ამბობდნენ, საყვარლებს საცვლებივით იცვლისო. დასახმარებლად მასთანაც მივედი. ვუთხარი, ხომ შეიძლება გამოჩნდეს კაცი, ვისი საყვარელიც გავხდები, სამაგიეროდ, ის ჩემს ოჯახს მზრუნველობას არ მოაკლებს-მეთქი. გაიცინა და არაფერი მითხრა.

— ე.ი. გადაწყვიტე მეძავი გამხდარიყავი?

— არ არსებობდა ისეთი რამ, რასაც არ გავაკეთებდი, ოღონდაც შიმშილით სიკვდილისგან მეხსნა ჩემი ოჯახი. მაგრამ სანამ რამე საშუალება გამოვნახე, ჩემი საბრალო ძმა დაიჭირეს. მეზობელი სიგარეტით ვაჭრობდა. მას დახვდა ქუჩაში. თავში ქვა ჩაარტყა და ფული მოჰპარა. ღამე იყო. ბნელოდა, მაგრამ იმ ქალმა მაინც იცნო თავდამსხმელი. როგორც კი გავიგე, ალიკა უბნის რწმუნებულმა სულ ცემა-ტყეპით წაიყვანა სახლიდანო, დედასთან გავიქეცი. ვიცოდი, სადაც ცხოვრობდა. კარზე რომ დავაკაკუნე, გულმა ბაგაბუგი დამიწყო. დედა რვა თვე არ მყავდა ნანახი. კარი ვიღაც კაცმა გააღო. ვკითხე: დედაჩემი სახლშიამეთქი? მიპასუხა: დედაშენი საავადმყოფოში წევსო... იქიდან გულგაგლეჯილი წამოვედი. თურმე დედა ორსულად ყოფილა. მას ვაჟი შეეძინა. ვერ წარმოვიდგენდი, შვილს თუ გააჩენდა. ორი წლის იყო მისი ვაჟი ლექსო, ერთმანეთს შემთხვევით რომ შევხვდით. დედას ლექსო საბავშვო ბაღიდან მოჰყავდა. ჩემს დანახვაზე გაფითრდა. არ უტირია. ალბათ, ჩემთვის ცრემლიც არ ჰქონდა, მაგ ლაწირაკს რომ დაჰფოფინებ, განა, მე და ჩემი ძმა შენი შვილები არა ვართ-მეთქი?! — ვკითხე. გამიგე, შვილოო, — მითხრა. რა უნდა გამეგო?! მის გამო ჩემი ძმა არასრულწლოვანთა კოლონიაში სასჯელს იხდიდა. მე კი, ხუთი თვის ორსული ვიყავი და არ ვიცოდი, ბავშვის მამა ვინ იყო, რადგან ნებისმიერთან ვწვებოდი, ვინც დამაპურებდა და თუნდაც ერთ ლარს მომცემდა — მოხუცი ბებოსთვის პური რომ მეყიდა... ზოგჯერ ვნატრობდი, ბებია მომკვდარიყო. ის ქვეშ ისვრიდა, აზრი აღარ ჰქონდა, ვერც კი მცნობდა. მისი მოვლა ჩემთვის მძიმე ტვირთად იქცა.

— როგორ დაიწყო შენი ინტიმური „კარიერა“?

— ერთ დღეს, ვიღაც კაცმა პირდაპირ სახლში მომაკითხა. იკითხა: მაცაცო აქ ცხოვრობსო? ის ალბათ, ჩემმა მეძავმა მეზობელმა გამომიგზავნა. მე ვარ-მეთქი, — ვუპასუხე. კმაყოფილმა შემათვალიერა. საჩუქრები მოგიტანეო, — მითხრა და რაღაც შეფუთული მომაწოდა. ძეხვი, პური, ხილი და ნამცხვარი მოიტანა. მშიერი ვიყავი. მაშინვე სუფრა გავაწყე. გაღიმებული მიყურებდა, რომ ვჭამდი. მეორე დღესაც მოვიდა. აღარ დავაყოვნე და ვუთხარი: თუ მომივლი, შენი ქალი გავხდები-მეთქი. ის კაცი ძალიან კარგი ადამიანი აღმოჩნდა. მშიერი არასდროს დავუტოვებივართ არც მე და არც ბებია. ცოტა ფულსაც მაძლევდა და საოცრად ალერსიანად მექცეოდა კიდეც. ჩემთან თოთხმეტი თვის განმავლობაში დადიოდა, მან მასწავლა იმაზე მეტი, რაც თოთხმეტი წლის მანძილზე ვისწავლე. მეუბნებოდა: არასდროს არ დაგკარგავ, თუ ასე კარგად მოიქცევიო.

— კარგად მოქცევაში რას გულისხმობდა?

— მე არ ვეკითხებოდი: სად ცხოვრობდა, ვინ იყვნენ მისი ოჯახის წევრები. ვიცოდი, რომ ცოლ-შვილი ჰყავდა. მეტი არაფერი. ერთი სიტყვით, მისი ბედნიერი ოჯახისთვის საფრთხეს არ წარმოვადგენდი. მაგრამ ერთ დღეს აღარ მოვიდა, საღამომდე ველოდი. ღამეც ვერ დავიძინე. ერთი თვის მანძილზე რომ აღარ მოვიდა, მივხვდი, მიმატოვა. მიზეზი დღემდე უცნობია. იქნებ, გულმა დაარტყა, იქნებ, ავარიაში მოყვა, იქნებ, მოკლეს კიდეც... მას შემდეგ მის შესახებ აღარაფერი გამიგია. ცოცხალი რომ იყოს, ერთხელ მაინც მნახავდა. ისე მივლიდა, შეუძლებელია, არ ვყვარებოდი.

— შენ თუ გიყვარდა?

— გაბოროტებულ ადამიანს შეყვარება არ შეუძლია. ჩავთვალოთ, რომ იმ კაცთან ვმუშაობდი. გასამრჯელოსაც ვიღებდი. მეტი არაფერი. მისი გაუჩინარების შემდეგ, კიდევ უფრო საშინელ დღეში ჩავვარდი. უკვე ვიცოდი, რა უნდა გამეკეთებინა, თავი რომ გადამერჩინა, მაგრამ კაცის შოვნა ადვილი არ იყო. ცირკთან

დადგომა არ მინდოდა. თანაკლასელების მრცხვენოდა. თანაც სახლი მქონდა. შემეძლო ნებისმიერი მსურველი საკუთარ სახლში მომეყვანა. გარეგნულად მშვენიერ გოგოს, წესით, თაყვანისმცემელი უნდა გამომჩენოდა. მაგრამ ასე არ მოხდა. უკაცოდ დავრჩი.

— ამიტომ დადექი ქუჩაში კლიენტების გამოსაჭერად?

— ცირკთან ადგილი არ იყო. ქალებმა იქ არ გამაჩერეს. ამიტომ, დიდუბეში, გამოფენის წინ დავდექი. შვიდი თვე ვიმუშავე. მერე, როგორც უკვე გითხარით, დავფეხმძიმდი და იძულებული გავხდი, მუშაობისთვის თავი დამენებებინა. დანაზოგი მქონდა, შიმშილით არ მოვკვდებოდი. მაგრამ სწორედ ამ დროს გარდაიცვალა ბებია. მთელი ფული მის დასაკრძალად დამჭირდა. ორსულობის ბოლო პერიოდი ისევ შიმშილში გავატარე, მაგრამ მაინც ჯანმრთელი ბავშვი გავაჩინე, ყოველ შემთხვევაში, ექიმმა ასე მითხრა. ვაჟი შემეძინა. სამშობიაროშივე ყველამ იცოდა, რომ მის გაზრდას ვერ შევძლებდი. მშობიარობიდან მესამე დღეს პალატაში ვიღაც ქალი შემოვიდა, საწოლზე ჩამოჯდა და ყოველგვარი მიკიბვ-მოკიბვის გარეშე მითხრა: ჩემს რძალს შვილი დაელუპა, რომ გაიგოს, ნამდვილად გაგიჟდება, რადგან მეორე ბავშვის გაჩენას ვეღარ შეძლებს. მოგვეცი შენი ბიჭი და რაც გინდა, მოითხოვეო. ის ქალი ალბათ, ჩემს შვილს ღმერთმა გამოუგზავნა. ალბათ, უფალს არ ეწადა ჩემი შვილი შიმშილში გაზრდილიყო, უკიდურეს გაჭირვებაში ეცხოვრა და საკუთარი თავი შესძულებოდა ისევე, როგორც ეს დედამისს დაემართა. არაფერი არ მინდა თქვენგან, ბავშვს უანგაროდ მოგცემთ-მეთქი, — ვუთხარი იმ ქალს. გიჟი ვეგონე. არ მინდოდა, ასე ეფიქრა, ამიტომაც ავუხსენი ჩემი მდგომარეობა. თუ ბავშვს შეიყვარებთ, აჭმევთ, აღზრდით და გაბედნიერებთ, თანახმა ვარ-მეთქი... ერთი სიტყვით, ჩემი შვილი იმ ხალხს მივეცი. უკანასკნელად, გულში რომ ჩავიკარი, ვუთხარი: ძალიან რომ არ მიყვარდე, შენს გაშვილებას ვერ შევძლებდიმეთქი. მისი პატარა თვალები დავიმახსოვრე, მჯაზე გაკეთებული სამჯური შევაწყვიტე და ექთანს ვთხოვე, არ წაერთმია. ის სამაჯური ჩემი ავგაროზია. პატარა ტოპრაკში ჩავდე და ყელზე ჩამოვიკიდე. როგორ მინდა, ჩემი შვილი ბედნიერი იყოს და ყველაფერი ჰქონდეს, რაც მე ცხოვრებამ წამართვა.

— სამშობიაროდან ვინ გამოგიყვანა?

— ის ხალხი მართლა კარგი ხალხი აღმოჩნდა. მითხრეს: თურქეთში წაგიყვანთ სამუშაოდ, შიმშილს თავი რომ დააღწიოო... სამ თვეში ყველა საბუთი გამიკეთეს. იმ ქალმა, ჩემი შვილის ბებიამ, სარფის საბაჟომდე მიმიყვანა. სტამბოლში ჩავედი. იქ ქართველი ქალი დამხვდა და კაფეში მიმტანად დამაწყებინა მუშაობა. უკვე რვა წელია, რაც თურქეთში ვცხოვრობ. ორი თვეა, რაც თბილისში ჩამოვედი. სასექტემბროდ ისევ მივდივარ. გავიგე, ჩემი ძმა ციხიდან გამოსულა და მისი ნახვა მინდოდა, მაგრამ...

— ალიკა თერთმეტი წელი იჯდა ციხეში?

— კოლონიიდან რომ გამოვიდა და გაიგო დედაჩემმა შვილი რომ გააჩინა, გადაირია, შინ მიუვარდა და ჩხუბი აუტეხა. მამინაცვალი მთვრალი ყოფილა. იარაღი გამოუტანია და ალიკას მოკვლა დაუპირებია. დედა უკნიდან მიჰპარვია თავის ქმარს და სამფეხა სკამი თავში ჩაურტყამს. მერე ალიკას ის კაცი სულ ნაკუწებად უქცევია... დედაც დაიჭირეს და ალიკაც. დედა ციხიდან სამ წელიწადში გამოვიდა. ალიკა თებერვალში გათავისუფლდა. ჩამოვედი, მისთვის ფული რომ ჩამომეტანა, მაგრამ შინ არ შემიშვა: მეძავი ხარო. დედასთან წავედი. დედაშვილმა მაინც გავუგეთ ერთმანეთს. შვილები ყოველთვის ვპატიობთ დედებს ყველა დანაშაულს. დედისგან ცემაც არ გვამახსოვრდება. მიუხედავად იმისა, რომ დედამ ყველაფერი წამართვა, მაინც ვაპატიე. სკოლაში ყველაზე კარგ მოსწავლედ ვითვლებოდი. ექიმობაზე ვოცნებობდი. დღე და ღამე ვმეცადინეობდი, მაგრამ დედამ იმედები წამართვა და ოცნებები დამიმსხვრია...

— მე ვიცი ალიკას ამბავი. იქნებ, შენგან მოვისმინო სიმართლე?

— ალიკამ ათი წლის ბავშვი გააუპატიურა... ათი წლის ბიჭთან ინტიმური კავშირი დაამყარა... ამის გამო ალიკა საშინლად აწამეს. გვამი რომ ვნახე, არც მეგონა, ჩემი ძმის თუ იყო... ამაზე ლაპარაკი არ შემიძლია... ნუ მაიძულებთ! 24 მაისს მივაბარეთ მიწას. მამიკოსა და ბებიის გვერდით დავკრძალეთ...

— თბილისში რას აკეთებ? ზაფხულს აქ რატომ ატარებ?

— თურქეთში გავთხოვდი. ჩემი ქმარი ზაფხულობით ანტალიაში მუშაობს. წელს უჩემოდ წავიდა. მის მრავალრიცხოვან ოჯახში დარჩენა არ მოვინდომე. მირჩევნია, აქ ვიყო. აქაურ კაცებს მოვემსახურო. ფული არ მჭირდება, მაგრამ გართობის მიზნით, ზოგჯერ გამოფენის წინ ვდგები. ჩემი ქმარი 56 წლის არის. ბებერ კაცთან სექსი აუტანელია. ახალგაზრდა ბიჭები მომწონს. აგვისტოს ბოლოს აქედან წავალ და ჩემი ძმიკოს სურათს წავიღებ. განგებამ ისე ინდომა, რომ მისი დატირებაც კი მრცხვენოდა. თურქეთში რომ ჩავალ, ამ ინტერვიუს იმდენჯერ წავიკითხავ, რამდენჯერაც ჩემი ბებერი ქმრისგან გაქცევას დავაპირებ. ახლა ყველაფერი მაქვს. მინდა, სულ მახსოვდეს ის, რასაც საქართველოში ვტოვებ. ესაა შიმშილი, სიცივე, სიბინძურე და საშინელი სასოწარკვეთილება... ოროთახიან ბინაში ვირთხასავით რომ დავძვრებოდი, პურის ნამცეცებს ვეძებდი და შიმშილისგან სასომიხდილი ვნატრობდი, იქნებ, რომელიმე კაცს ჩემი გაჟიმვა მონდომებოდა... მერე, ორსულს გული მერეოდა, ვიგუდებოდი, მაგრამ მინეტს მაინც ვაკეთებდი, თან ღმერთს ვევედრებოდი, ღებინება არ დამწყებოდა, რომ კლიენტს ცემით არ მოვეკალი. აი, ამას ვტოვებ საქართველოში. რატომ მეუბნები, რომ ამ ფრაზებს ვერ დაწერ? ეს ხომ სიმართლეა, ეს ხომ ის მწარე გზაა, რომელსაც არაერთი ქალი გადის... სახელი და გვარი არ შემიცვალოთ. მინდა, ჩემმა ნათესავებმა გაიგონ, როგორ გამიმეტეს. დედაჩემი რომ გათხოვდა, ჩათვალეს: ეგეც დედამისისნაირი გაიზრდებაო და ის ორმოცდაათი თეთრიც არ გაიმეტეს ჩემთვის, რომელიც ახლა იმისთვის უნდა გადაიხადონ, რომ ეს საშინელი ამბავი, ჟურნალის ფურცლებზე დაბეჭდილი წაიკითხონ...

■

ადამიანებს ყველაზე მეტად ის აინტერესებთ, რაც სრულებით არ ეხებათ.

ბერნარდ შოუ

ფრაზები

გენიალური

რეზი არველაძე და თეონა თავართქილაძე ბარნოვზე ცხოვრობენ. სახლი გზიდან მცირე მანძილით არის დაშორებული. ბედნიერი წყვილი ამ სახლის პირველ სართულზე ოთხი წლის წინ დაბინავდა. მათი ბინა იმდენად ეფექტურია, რომ ერთი შეხედვით ჯადოსნურ გარემოს ჰგავს. ლურჯი კედლები, ორიგინალური თაროები, სხვადასხვა სიბრტყეზე განლაგებული ოთახები და წითელი რბილი ავეჯი განსაკუთრებულ ეფექტს ახდენს. ბინაში უამრავი ფერის ნათურაა. ჭრელი ფარდები, დიდი ფანჯრები და ძველებური ხალიჩები თანამედროვე დიზაინს მშვენივრად ერწყმის. ინდური ბატიკა, ფერწერა და რელიგიური სიუჟეტების მიხედვით შესრულებული სურათები სახლის ფერებს საოცრად ეხამება.

რეზი არველაძისა და თეონა თავართქილაძის მშვენიერი სამყაროდან

ლელა ჭანკოტაძე

არველაძეები შინ არ დაგვხვდნენ. მათ უკვე წყნეთში, თეონას აგარაკზე შეაფარეს თავი ზაფხულის სიცხეს. შინ მხოლოდ თეონა დაგვხვდა. მთელი ბინა დაგვათვალიერებინა და საუკეთესო მეგზურობა გაგვიწია.

თეონა:

— დაახლოებით ოთხი წელია, რაც ამ სახლში ვცხოვრობთ. ეს ბინა მაშინ შევიძინე, როცა რეზი გერმანიაში ცხოვრობდა და იქ თამაშობდა. მე პარიზში ვსწავლობდი. როცა საქართველოში ჩამოვდიოდით, რეზის მშობლების სახლში ვცხოვრობდით ან წყნეთში — ჩემს სახლში. ვიცოდით, ოდესღაც დადგებოდა დრო, როცა საბოლოოდ დავბრუნდებოდით თბილისში და აღმოჩნდებოდა, რომ ჩვენ ბინა არ გვქონდა. ამიტომ ვიყიდე ბინა. ჩემი სურვილით და გემოვნებით შევარჩიე. რეზი არ ჩარეულა, რადგან აქ არ იყო. თანაც ისეთი მამაკაცების რიცხვს არ განეკუთვნება, რომლებიც წვრილმანებს აქცევენ ყურადღებას.

— რატომ შეაჩერე არჩევანი ამ ბინაზე? ცნობილია, რომ პირველ სართულზე ცხოვრება უმეტესობას არ სურს.

— ამ ბინაში ორი ოჯახი ცხოვრობდა. პრინციპში, სამოთახიანი ბინა იყო. მე დავანგრევინე კედლები და ყველაფერი გადავაკეთებინე. რადგან პირველი სართული იყო, რამდენიმე ოთახი მოვაშენეთ კიდეც. მართალია, კაბინეტი და ბავშვების ოთახი დიდი არ არის, მაგრამ ჩვენ გვყოფნის და ძალიანაც კმაყოფილები ვართ. ალბათ შეიძლებოდა, უკეთესი არჩევანიც გამეკეთებინა, მაგრამ ეს ბინა სულ რაღაც ათ დღეში ვიყიდე. მინდოდა, ბარნოვზე მეცხოვრა. ეს ბინა ბარნოვზეა, თანაც სამანქანო გზიდან მოშორებული. პირველ რიგში, ამის გამო მომეწონა. ძალიან მყუდრო ბინაა. მანქანების ხმაური აქ არ აღწევს. არ მინდოდა, მაღალ სართულზე რომ მეცხოვრა. მაშინ დენი თითქმის არ იყო. ჩემი შვილები კი პატარები იყვნენ, ლიფტის გარეშე მათი ეტლების ტარება გამიჭირდებოდა. რაც შეეხება რემონტს, წინასწარ ვიცოდი, როგორი კარგი ბინაც არ უნდა მეყიდა, რემონტს მაინც გავაკეთებდი.

— რეზი თუ დაგეხმარა, თუნდაც რჩევით?

— რეზი არაფერში ჩარეულა. უბრალოდ, რასაც საზღვარგარეთ ვყიდულობდი, მეხმარებოდა, რომ აქამდე ჩამომეტანა. ალბათ იმიტომ, რომ არ არის პრეტენზიული, მისთვის დიდი მნიშვნელობა არა აქვს, კედელი ლურჯი იქნება თუ ცისფერი. თანაც მენდობა. იმასაც ფიქრობს, რომ პირველ რიგში, მე უნდა ვიყო ჩემი სახლით კმაყოფილი.

— დამოუკიდებლად დაგეგმე, როგორი უნდა ყოფილიყო ბინის დიზაინი თუ ვინმე დაგეხმარა?

— თბილისში საკმაოდ პოპულარული არქიტექტორები, ძმები ქობულიები დამეხმარნენ. ბინა მათ დამიპროექტეს. სახლს როგორი კუთხეები უნდა ჰქონოდა და რა სტილში უნდა გადაგვეწყვიტა, ამას მე მეკითხებოდნენ. ჩემი მოთხოვნები მქონდა. მინდოდა, ჩემი საძინებლის გვერდით საბაზანო და ტუალეტი ყოფილიყო. იქ, ჩემ გარდა, სხვა არ უნდა შესულიყო. საბოლოო ვარიანტი კარგი გამოვიდა.

— ბინის მოწყობისა და ავეჯის შეძენის დროსაც არ ჰქონია რეზის მოთხოვნები?

— ძალიან უნდოდა, სახლში კაბინეტი ჰქონოდა, რაც არაფრით არ გავაკეთებინე, რადგან მივხვდი, რომ პირდაპირ ჩვენს საცხოვრებელ ბინაში გახსნიდა ოფისს.

ეს იყო ერთადერთი მოთხოვნა, რაც არ შევუსრულე. ავეჯიც მე შევიძინე, თუმცა კმაყოფილი სულაც არ ვარ: ავეჯი უცხოეთიდან ვერ ჩამოვიტანეთ — ეს დიდ სირთულესთან იყო დაკავშირებული, თბილისში კი, ორი ავეჯის მაღაზია იყო. გვინდოდა, ბინაში სასწრაფოდ შევსახლებულიყავით, ამიტომ, რაც იმ მაღაზიებში იდგა, ის ვიყიდეთ. ახლა ბინა უკვე მისახედია — კოსმეტიკური რემონტია გასაკეთებელი. ავეჯსაც აუცილებლად გამოვცვლი.

მშვენიერი ბინის დათვალიერების თხოვნაზე თეონა სიამოვნებით დაგვთანხმდა, ყველა წვრილმანს გაჩვენებთო, — გვითხრა. ასე გადავინაცვლეთ იმ კართან, რომლითაც რეზი არველაძის ბინაში მოხვდებით — რა თქმა უნდა, თუ მიგიწვევენ. შესასვლელი კარიდან მარცხნივ ორი კედელი უზარმაზარი სარკით არის დაფარული. სარკეები შემსვლელს საშუალებას აძლევს, სახლში შესვლისთანავე, საკუთარი მომხიბვლელობა შეამოწმოს, თანაც, საკმაოდ ვიწრო და ორიგინალურ დერეფანს დიდ, ფართო, ნათელ და კომფორტულ იერს აძლევს. ვიწრო დერეფანი ლურჯი ოვალური კედლით არის ბინიდან გამოყოფილი. ამ უცნაურ ოვალში ფეხსაცმლისა და ტანსაცმლის საკიდებია, საიდანაც ისევ ვიწრო დერეფანში შევდივართ. ეს დერეფანი ერთმანეთისგან გამოყოფს ცოლ-ქმრის და მათი შვილების საძინებლებს, ასევე მცირე ზომის სააბაზანო-ტუალეტს, რომელიც ბავშვებისთვის არის განკუთვნილი. შხაპს აქ სტუმრებიც იღებენ.

ბავშვების ოთახი ნამდვილი სასწაულია. კარის შეღებისთანავე, ზღაპრულ სამყაროში ხვდები. ერთმანეთთან ლურჯი კიბით დაკავშირებული თეთრი საწოლები ჯადოსნური ქოხის შთაბეჭდილებას ტოვებს. საწოლი, რომელთანაც რამდენიმე საფეხურით ავდივართ, ფეხბურთის ბადით არის დაფარული. ფეხბურთის ბადეს ამ შემთხვევაში, ორმაგი დანიშნულება აქვს: ის დამცავ ფუნქციას ასრულებს, რათა პატარა ნიკა საწოლიდან არ გადმოვარდეს, თანაც ხაზს უსვამს იმ უმნიშვნელოვანეს ფაქტს, რომ ეს საწოლი დიდი ფეხბურთელის ვაჟს და მომავალ დიდ ფეხბურთელს ეკუთვნის...

თეონა:

— ბავშვების ოთახში რაც არის, ყველაფერი ჩემთვის ძალიან საყვარელია. აქ უამრავი სათამაშო ეწყო ხოლმე, მაგრამ ახლა, ყველაფერი წყნეთში წავიღეთ. სამწუხაროდ, ჩემი ნაქონი სათამაშოები არ მაქვს. ერთადერთი, რაც ჩემს ბავშვობას უკავშირდება, თოჯინაა, რომელიც დედაჩემთან ინახება. ჩემი ბიჭები ცელქები არიან. ზოგჯერ სახლში ფეხბურთსაც თამაშობენ. ვინ მოთვლის, რამდენჯერ არის ჩვენს ბინაში მინები ჩამსხვრეული?! „ზალაში“ ფეხბურთის მოედანს აწყობენ. დაფრინავს ბურთი და ყველაფერი ილეწება... შენიშვნას ვერ ვაძლევ, რადგან რეზიკო მიშლის. მეუბნება: შენიშვნა როგორ უნდა მივცე? — ბავშვობაში მეც ხომ იმავეს ვაკეთებდიო?! ერთხელ, რეზიკოს, ტყუპ ძმასთან ერთად, იატაკზე საღებავებით ფეხბურთის მოედანი დაუხაზავს და მთელი იატაკი გაუფუჭებია... ასე რომ, ჩემი შვილების ასეთ ცელქობას რეზიკომ მიმაჩვია. თუმცა, დედაჩემი სულ მეუბნება: ისეთი სახლი გაქვს, აქ ბავშვებიანად არ უნდა ცხოვრობდეო...

თეონასა და რეზის საძინებელი ძალიან ლამაზია. საწოლზე თეონას ნახატები, ესკიზები და სპორტული გაზეთებია მიმოფანტული. ყველა ნივთი გამორჩეულია, ამიტომ ყველა მათგანის აღწერა უბრალოდ, შეუძლებელია. უზარმაზარ სარკეზე უამრავი სამკაულია ჩამოკიდული, აქსესუარები თეონას განსაკუთრებით უყვარს. ჭრელაჭრელა მძივები, სამაჯურები და საყურეები ამას ნათლად მოწმობს.

თეონა:

— ძვირფასეულობა დიდად არ მიყვარს, თუმცა, ძალიან ბევრი მქონდა. მოგეხსენებათ, რეზის ბებია ბაგრატიონი იყო, ბაგრატიონების ნივთები კი, წარმოიდგინეთ, როგორი განსაკუთრებული იქნებოდა. მაგრამ

თეონამ სპილო ესპანეთიდან ჩამოიტანა, ჟირაფი — პარიზიდან

გაგვქურდეს. მაშინ წყნეთში ვიყავით. ყველაფერი წაიღეს. ბავშვობის ნათლობის ჯვრებიც კი ხელს გააყოლეს ახლა სულ რამდენიმე ოქროს სამკაული მაქვს.

ეს სამკაულები თეონას ძალზე ორიგინალურად აქვს შენახული: სარკის წინ მას ჭრელი კატა უდევს, რომელსაც გრძელი კუდი აქვს. ჰოდა, ამ კუდზე აქვს ბეჭდები წამოცმული... ეს კატა თეონამ უცხოეთში შეიძინა. უცხოურია მისი აქსესუარების უდიდესი ნაწილიც. მხოლოდ ერთადერთი, გიშრის თვლებით გაწყობილი საყურეა შეძენილი მაღაზიაში — „მაკა ასათიანი“. სარკის წინ დევს ინდურ მაღაზიაში ნაყიდი ჩემოდანი. ამ ჩემოდნის ყიდვის წინააღმდეგი ყოფილა რეზი: კატეგორიულად განუცხადებია თურმე: მაგ ჩემოდანს საქართველოში არ წაგაღებინებო, — მაგრამ აჩიმ, რეზის ძმამ, იყიდა და რძალს გამოუგზავნა. ამ ჩემოდანში თეონა წერილებსა და ნახატებს აწყობდა, მაგრამ ბავშვებმა გაუტეხეს, თეონა კი გატეხილ ჩემოდანსაც ვერ ელევა და მაინც სათუთად ინახავს.

თეონა:

— სამწუხაროდ, ტანსაცმელი აქ არ მაქვს, ამიტომ ვერ დაგათვალიერებინებთ. ჩემი ტანსაცმლის მხოლოდ ნაწილია „მაკა ასათიანის“ საფირმო ნიშნით. უმეტესობა უცხოეთშია შეძენილი. რა თქმა უნდა, მაქვს ისეთი ტანსაცმელი, რომელიც ერთადერთია: მოვიფიქრე ჩემთვის სასურველ მოდელს და ვიკერავ. ასეთი რამ ხშირად არ ხდება. რომ ვიტყვი: ძალიან მინდა თეთრი სარაფანი, მაგრამ შეკერვას ვერ ვახერხებ-მეთქი, — მეგობრები იცინიან. ნამდვილად არ მაქვს იმდენი დრო, რომ საკუთარი თავისთვის მოვიცალო.



ეს საკერავი მანქანაც ნაჩუქარია — კიჭამ მაჩუქა

— **შენი საყვარელი ტანსაც-**

საერთოდ, ტანსაცმელზე მეტად, ფეხსაცმელი მიყვარს

მელი რა ფასონისაა?

— საერთოდ, ტანსაცმელზე მეტად, ფეხსაცმელი მიყვარს. უამრავი ფეხსაცმელი მაქვს. „კარპენდიერის“ შუზი ძალიან ძვირად ღირებულია: ის სულ ხელით არის ნაკეთები და მიყვარს კიდეც. ისეთი ტანსაცმელიც მაქვს, რომელიც ძვირად ღირებული არ არის. მაქვს თეთრი სარაფანი — უკვე ორი წელია, მაცვია და ალბათ მომავალ წელსაც გამოვიყენებ. მხიბლავს ყიდვის პროცესი, ამიტომ, ძალიან ბევრი ტანსაცმელი მაქვს. წარმოიდგინეთ, ჩემს გარდერობში ამდენი ტანსაცმელი რომ დავტოვე, წყნეთში რამდენი მექნება წაღებული...

— როცა საზღვარგარეთ მიემგზავრები, ბევრი ტანსაცმელი მიგაქვს?

— ჩემი მეგობრები სულ აღნიშნავენ: თეონას ისეთი პატარა ზომის ტანსაცმელი აქვს, პატარა ჩემოდნით მიდის, მერე კი იქიდან ილუზიონისტივით იღებს სარაფნებსო... ბევრი ტანსაცმელი არ მიმაქვს, სამაგიეროდ, იქიდან ვბრუნდები ხოლმე დატენილი ჩემოდნებით.

— თუ გაქვს ისეთი ტანსაცმელი, რომელიც რეზის არ მოსწონს?

— ჩემი ტანსაცმელი მოსწონს. ისეთი ნამდვილად არაფერი მაქვს, რაც რეზის არ მოსწონებია. თვითონაც დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ჩემს გემოვნებას: თუ ვეტყვი, რომ მისი რომელიმე ტანსაცმელი არ მომწონს, იმას აღარ ჩაიცვამს. თანაც, მისთვის ძირითადად მე ვყიდულობ ხოლმე.

— იცი, როგორი ქალები მოსწონს რეზის? შეგიძლია თამამად თქვა ამა თუ იმ ქალზე: რეზი მაგ ტიპის ქალს ზედაც არ შეხედავსო?

— მაგას ვერ ვიტყვი, რადგან სხვადასხვანაირი ქალი მოსწონს, ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებული. მე ძალიან გამხდარი ქალები მომწონს, რეზის კი — ძალიან ქალური. ვიცი, რომ ჩემი და ძალიან მოსწონს. მაკა არ მოსწონს. მასაც ხშირად ეუბნება პირდაპირ: შენნაირი ქალი არ მომწონსო... ამასთან ჩემი და და მაკა ერთმანეთს ჰგვანან. ასე რომ, კონკრეტულად არ შემიძლია გითხრათ: ქერა მოხიბლავს თუ შავგვრემანი...

რეზის და თეონას საძინებელს მათივე სააბაზანო ესაზღვრება. ოთახი საკმაოდ დიდია. ერთ მხარეს მთლიანად სარკეებია, სარკის წინ კი, პარფიუმერია აწყვია. თეონას საყვარელი სუნამო „ბუდუარია“. ის ფლაკონი, რომელიც სარკესთან უდევს, ზაზა შენგელიას ნაჩუქარია. რეზი იმ სუნამოებს ხმარობს, რომელსაც თეონა ჩუქნის. ბოლოს, თეონამ მას „კელვინ კლაინის“ პარფიუმერია აჩუქა. ჯაკუზიზე დინოზავრები აწყვია. ისინი ბავშვებს განსაკუთრებით უყვართ. როცა ბავშვები შინ არიან, ჯაკუზიზე ოცდაათი დინოზავრი ჩნდება. სააბაზანოს ყველაზე განსაკუთრებული ნივთი სასწორია. თეონას დილა ამ სასწორით იწყება: ყოველ დილით, ის საკუთარ წონას აკონტროლებს.

თეონა:

— ორმოცდაათ კოლოგრამს რომ მივუახლოვდები, აუცილებლად დიეტაზე უნდა დავჯდე და წონაში დავიკლო. სტაბილურად 48 კგ-ს ვიწონი, რომ გითხრათ, ეს შიმშილის შედეგია-მეთქი, — სიმართლე არ იქნება. ჭამა არ მიყვარს. ნამცხვრისა და ტკბილეულის მოყვარული არ ვარ.

ისევ ორიგინალურ ლურჯ დერეფანში ვბრუნდებით, რათა ბინის მეორე, უფრო დიდი და ნათელი ნაწილი დავათვალიეროთ. დერეფნიდან „ზალის“ ტიპის დიდ ოთახში გადავდივართ. აქ ლურჯი კედლებია. მარჯვენა კედელში თავიდან ბოლომდე ოსტატურად არის გაკეთებული ჭრილი, რომელიც შიგნიდან თეთრი ნათურებით ათასფრად ბრჭყვიალებს. ჭრილში მინის თაროებია და მათზე ჭურჭელი აწყვია, რომელიც ძირითადად, რეზის მშობლების ნაჩუქარია.

თეონა:

— განსაკუთრებით ნიჟარებით მოკირწყლული ეს ვარდისფერი სურა და ჭიქები მომწონს. ამ ნივთებიდან ყველაზე ძველი, მოწითალო დოქია, რომელიც მინანქრით არის დაფარული და მელქიორის ყვავილებითაა შენკული. ეს ნივთი კიჭას (რეზის მამის) ნაჩუქარია. თანაც ძალიან ძველი და ძვირფასია. ხედავთ ჭაღს? ფერადი ქვებით შემკული ეს ბურთი მაკა ასათიანმა ისრაელიდან თავისთვის ჩამოიტანა. აქ „რაკუშკებით“ აწყობილი, ულამაზესი ჭაღი ეკიდა, მაგრამ დედაჩემს გაუტყდა. გული რომ არ დამწყვეტოდა, მაკამ ეს ორიგინალური და უძვირფასესი ჭაღი მაჩუქა. ეს საკერავი მანქანაც ნაჩუქარია — კიჭამ მაჩუქა. ანტიკვარია, უძველესი ნივთია, თანაც — მოქმედი, უბრალოდ, მაქო აკლია. კიჭა დამპირდა, მაქოც სულ მალე გექნებაო...

— შენს სახლში რამდენიმე ინდური ნივთი შევნიშნე. შენი შეძენილია?

— ინდურ მაღაზიაში მაქვს ნაყიდი. მაკას ჰქონდა ხოლმე „მასკები“. სახლი რომ აკურთხებინა, მღვდელმა უთხრა: როცა სხვა რელიგიის ხალხის ნიღაბი ჩამოგაქვს, აუცილებლად უნდა იცოდე ამ ნიღბის დანიშნულებაო, — ე.ი. უნდა იცოდე, სახლში რა შეგაქვსო. ამიტომ ჯერ ვიკითხე, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა ამ ნივთსმეთქი და მერე შევიძინე. მას თურმე ბედნიერება მოაქვს.

„ზალა“ პატარა ოთახთან თაღით არის დაკავშირებული. რაფაზე ორიგინალური და უცნაური „ნოჩნიკი“ დევს, რომელიც თეონამ პარიზიდან ჩამოიტანა. მას ქვეშ კიჭას ნაჩუქარი, უძველესი ხურჯინი

უფენია. თაღი და დიდი ოთახის კედელი ქნის კუთხეს, რომელიც იმდენად ლამაზად არის გაფორმებული, რომ შეუძლებელია, მნახველი გაოცებული არ დარჩეს. კუთხეში მოქმედი ბუხარია, რომელიც მინითაა დაფარული. ეს მინა არ ხურდება, – ამიტომ იმის საფრთხე, რომ ბავშვებმა შეიძლება ხელები დაიწვან, არ არსებობს. ბუხარი ზამთარში თურმე სულ ანთია – არა გათბობის მიზნით, არამედ უბრალოდ, სილამაზისთვის. ბუხრის თავზე სპილო და ჟირაფი დევს. თეონა ყველა ქვეყნიდან უზარმაზარი სათამაშოებით ბრუნდება, რის გამოც რეზი თურმე გამუდმებით აშაყირებს... თეონამ სპილო ესპანეთიდან ჩამოიტანა, ჟირაფი – პარიზიდან. ბუხრის კუთხეებში დაბალი, რბილი პუფები აწყვია. ისინი გერმანიიდან არის ჩამოტანილი. ამ „პუფიკებზე“ დასხდომა თურმე დასწრებაზეა.

თეონა:

– თუ ბუხარი გვინთია, ხალიჩაზე ბალიშებს ვყრით და აქ ვსხდებით. თუ რაღაცას მივრთმევთ, „ზალასა“ და სამზარეულოს შორის მდებარე პატარა ოთახში ვსხდებით. თუ ისე მოხდა, რომ რეზისაც ესტუმრნენ მეგობრები და მეც, შეგვიძლია, ერთმანეთს ხელი არ შევუშალოთ. როგორც ხედავთ, „ზალას“ ორი პატარა ოთახი ესაზღვრება. ერთი მათგანი ჩვენი ოჯახის კინოთეატრია. იქ დიდი ტელევიზორი, საუკეთესო აპარატურა და უამრავი კასეტა გვაქვს. იქვეა კარაოკეც, რომელიც ახლა წყნეთში წავიღეთ. რეზის თავისი მეგობრებით, სწორედ კინოთეატრში უყვარს განმარტოება. მე კი, ჩემი დაქალებით მეორე პატარა ოთახში გადავინაცვლებ ხოლმე.

ეს ოთახი სამზარეულოსა და პატარა კაბინეტს ერთმანეთისგან ყოფს. წითელი რბილი ავეჯი, პატარა მაგიდა, ტელევიზორი და ორი ნახატი ამ ოთახს განსაკუთრებულ სიმყუდროვეს ანიჭებს. საოცარია ორი ღამის ნათურა (ბრა), რომელიც თეონამ ამსტერდამიდან ჩამოიტანა. ცხენის თუ პონის ტყავისგან შეკერილი და ძუით ნაქარგი ბრები უძვირფასესია. ბუნებაში მეორე ასეთი ბრა არ არსებობს. ის ხელნაკეთია და ერთადერთი. ოთახის მარცხენა მხარეს ღია თაღი, საიდანაც სამზარეულო ჩანს, ლამპით არის დამშვენებული. ეს ლამპაც ძვირფასი საჩუქარია.

თეონა:

– სამზარეულოში არც ისე მცირე დროს ვატარებ. ჩემი ოჯახის წევრებს განსაკუთრებით უყვართ სხვადასხვანაირი სალათი. სულ მე ვამზადებ, თანაც ამბობენ, რომ ძალიან კარგად გამომდის. სამზარეულოს მაგიდასთან ხშირად, ჩემი მეგობრებიც იკრიბებიან. აქ ყოფნა და ჭორაობა განსაკუთრებით გვიყვარს. ამ ოთახში, რაც კი ორიგინალური ნივთია, რა თქმა უნდა, ჩემი შეძენილია. განსაკუთრებით მიყვარს ეს ლანგრები, რომელიც სადაფითაა გაფორმებული. სამზარეულოს გვერდით, პატარა ოთახში მაცივარი, საუთოებელი მაგიდა და რაღაც-რაღაცები დგას. გვერდით კი, „ჩულანია“. სამზარეულოსათვის საჭირო აქსესუარები ძირითადად აფრიკულ მაღაზიებში მაქვს შეძენილი. „ზალის“ მოპირდაპირე მხარეს მომცრო კაბინეტი გვაქვს. სულ ახლახან, ამ ოთახში ნიკა *(უფროსი შვილი. – ავტ.)* დაბინავდა. მას პატარა ძმასთან ძილი აღარ უნდოდა, რადგან საკუთარი ინტერესები გაუჩნდა. ამ ოთახშია ხატები. რეზი მორწმუნეა. ამიტომ ხატებს ოთახის დიდი ნაწილი აქვს დათმობილი...

აი, ასეთია რეზი არველაძისა და თეონა თავართქილაძის მშვენიერი ბინა, რომლის მონახულების შემდეგ, ეჭვიც არ მეპარება, რომ მის მფლობელს დახვეწილი გემოვნება აქვს...

■

ერთგული მკითხველი

თქვენ, ერთგულ მკითხველს, უთუოდ გემახსოვრებათ ჩვენი ჟურნალის სხვადასხვა ნომერში დაბეჭდილი წერილების შინაარსი და არც ამ ტესტის კითხვებზე გაგიჭირდებათ პასუხის გაცემა...

1. რამდენი წლის იყო ნინო სალუქვაძე 1988 წელს, როცა ის ტყვიის სროლაში ოლიმპიური ჩემპიონი გახდა და ისტორიაში შევიდა როგორც ყველაზე ახალგაზრდა ჩემპიონი ამ სფეროში?

ა) 16 წლის;
ბ) 19 წლის;
გ) 21 წლის.

2. რა იწვევს სიელმეს?

ა) ბავშვობაში გადატანილი ემოციური სტრესი;
ბ) მშობიარობის დროს მიღებული ტრავმა;
გ) ინფექციური დაავადება.

3. რას ამბობენ მსახიობ გურამ ლორთქიფანიძეზე მისი ახლობლები?

ა) არის ძალიან გულჩვილი;
ბ) ძალიან ბევრს სვამს და არ თვრება;
გ) ძალიან კარგი იუმორი აქვს.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

ავთო მარგველაშვილი

ჰაფიზანი ყაცის ამბავი ანუ „არა შეჯდა მწყერი ხესა...“

ამ ქვეყანაზე ალალ და პატიოსან კაცს რა გამოლევს?! ამ ამბის გმირიც, რომელსაც ამირანს დავარქმევ, ისეთი მართალი ადამიანების რიგს მიეკუთვნება, რომელმაც ჩალიჩსა და მამაძაღლობას ალღო ვერაფრით აუღეს: დილით, ჩაის ასადუღებლად ჩაიდანს წყლით რომ აავსებს, საშაქრე ცარიელი აღმოჩნდება; ელექტროქურას რომ ჩართავს, მიხვდება, რომ შუქი ჩაჭრილი აქვს დავალიანების გამო; ყავის მოსადუღებლად „კერასინკას“ რომ აანთებს, გაახსენდება, რომ ჩაისაც სიამოვნებით დალევდა, მაგრამ არც ჩაი დარჩენია და აღარც ყავა... ასე თენდება ყოველი დღე და ასევე ღამდება მის ერთწევრიან ოჯახში, რომლის უფროსიც, დიასახლისიც და მოზარდიც თვითონაა, მხოლოდ სტუდენტობის მეგობრები შემოუვლიან და გაამხიარულებენ ხოლმე ხანდახან.

ერთ საღამოს, ჩვენი ამირანი სამსახურიდან ისეთი გახარებული მოფრინავდა, თითქოს 10 ათასი ლარი მაინც მოეგოს ლატარიაში. რადგან ბინაში ტელეფონიც გათიშული ჰქონდა დავალიანების გამო, ქუჩის ავტომატთან გააკეთა „პასადკა“, ერთ-ერთი ძმაკაცის ტელეფონის ნომერი აკრიბა და მიახარა:

— ბიჭებს გადაურეკე და ჩემთან ამოდით... ყინული გალღვა, ყინული!.. რა ყინული?.. რა და, 11 თვის გაყინული ხელფასი მომცეს ერთად. ჩქარა, გელოდებით!

შინ მისვლამდე, სუპერმარკეტში შეიარა და გამყიდველს, რომელსაც მის დანახვაზე სახე დაემანჭა, ამაყად შესძახა:

— აბა, დახლიდარო, დააძრე დავთარი!..

დახლიდარმა 12-ფურცლიანი რვეული გაშალა, რომელიც პერსონალურად, ამირანის სახელზე იყო გახსნილი და გახარებულმა დაიწყო ნისიების დაანგარიშება. „კილკას“ ძეხვი მიემატა, ძეხვს — სიგარეტი და პური მოჰყვა და ასე ავიდნენ 248 ლარამდე და 40 თეთრამდე. ამირანს კი ებევრა, მაგრამ რა უნდა ექნა? — 250 ლარი გადაიხადა, ხურდა არ მინდაო, — როკფელერივით გაუღიმა და შინ ავიდა.

მალე ძმაკაცებიც დაადგნენ და ამირანს შეკრების მიზეზი ჰკითხეს.

— ამდენი ფული ერთად ხელში არასოდეს მჭერია. მინდა რაიმე ღირებული შევიძინო — მაგალითად, მანქანა და თქვენ უნდა ამარჩევინოთ. მერე კი, დავასველოთ...

— რა გემანქანება, თუ ძმა ხარ?! ცოლი ითხოვე, ოჯახი მოიწყვე, შვილი გააჩინე, — ჭკუა დაარიგა ერთმა.

— ჯერ არ მეჩქარება, მერეც მოვასწრებ. მანქანა რომ მეყოლება, ცოლიც ადვილად გამომყვება, — უპასუხა მასპინძელმა.

— კი, ბატონო, შენი ნებაა. წავიდეთ... — სახლიდან გავიდნენ და გზაში მიმავალ მანქანების თვალიერებას მოჰყვნენ.

— ა, „მერსედესი“, საუკეთესო მოდელი, სრული ავტომატიკა...

— არა, კაცო, რა „მერსედესი“? ცოტა იაფიანი ავარჩიოთ...

— კეთილი და პატიოსანი. აი, „ბე-ემვე“. ესეც გერმანულია. ძალიან რბილი და სწრაფი მანქანაა...

— იქნებ, კიდევ უფრო დაბალფასიანი შემირჩიოთ...

— მაშინ, რუსული: „ნივა“ ან „07“...

— ო, „ნივა“, და „07“ კაია! მაგრამ ფული მეყოფა? თან დასასველებლადაც ხომ უნდა დავიტოვოთ?..

— მაშინ, მე გეტყვით ჭკვიანურ აზრს, — სიცილით თქვა ძმაკაცმა. — მოდით, ჯერ დავასველოთ და მერე უფრო გავარკვევთ, რა ფასებში ვეძიოთ მანქანა...

ასეთი გენიალური აზრი კარგა ხანია, არ მოესმინათ ბიჭებს, ამიტომ უსიტყვოდ გადახედეს ერთმანეთს და იქვე წამოჭიმულ ლამაზ შენობაში შევიდნენ, რომელსაც „რესტორანი“ ეწერა.

— შვიდ კაცზე ყველაფერი! — გასცა ჩაფულიანებულმა ამირანმა ბრძანება.

— რა ყველაფერი?!. — გადაირივნენ ბიჭები. — თითო ბოთლი ღვინო და რაიმე „ზაკუსკა“ ავიღოთ.

— რას ჰქვია, „ზაკუსკა“?! ერთხელ მომეცა თქვენი პატივისცემის საშუალება!.. — თავი გაიგიჟა ამირანმა და ოფიციანტს კატეგორიული ტონით გაუმეორა: — ყველაფერი!..

სუფრა ჩაზნიქა პურმარილმა, ფილტვები დაიხეთქეს მუსიკოსებმა, ხმა დაიბოხა თამადამ და დიდი „ბაკლით“ ამირანს წინასწარ დაულოცა „შენაძენი“ მანქანა.

— გილოცავთ, ჩემო ამირან, გილოცავთ! მწვანე შუქზე გატაროს, „იამკები“ და „გაიშნიკები“ გაშოროს!.. — ბიჭებმა სადღეგრძელო ერთხმად აიტაცეს და ამირანმაც წარმოიდგინა, თუ როგორ მიქროდა თავისი თეთრი „06“-ით ხელისგულივით გაშლილ გზაზე, რომელზეც არც ორმოები იყო და არც ავტოინსპექტორები... უცებ, მაგარი „ტიპშა“ გაჩითა, ფეხებთან გაუჩერა, კარი გაუღო და — დაბრძანდი, ლამაზო! — ღიმილით უთხრა..

— დაბრძანდი, ლამაზო! — უცბად, მართლა ჩაესმა ამირანს ყურში, გონს მოეგო და სუფრასთან მოახლოებული ოთხი მანდილოსანი დაინახა.

— სად დამეკარგეთ, გოგონებო? კიდევ კარგი, რომ გნახეთ! მოდით, სუფრა

დაგვიმშვენეთ, – გაიბადრა თამადა და მეგობრებს გოგონები გააცნო. ერთ-ერთი ლამაზმანი ამირანის გვერდით მოკალათდა და თვალები ისე აუჟუჟუნა, რომ კაცს თერთმეტთვიანი პაუზის შემდეგ, ისევ გაახსენდა, რომ მამაკაცი(!) იყო...

– „ფული ცუდი ბატონია და კარგი მოსამსახურე!“ – დიდი დავით სარაჯიშვილის სიტყვები გაიხსენა ამირანმა და გოგონებისათვის შამპანური შეუკვეთა.

– გილოცავ შენაძენს! – ნაზად უთხრა გვერდით მჯდომმა გოგომ ამირანს და ხელზე ხელი დაადო. კაცს ტანში ისეთმა ჟრუანტელმა დაუარა, რომ ხაჭაპურის ნაჭერს ორი ცალი „სალფეთქი“ ისე მიაჭამა, არაფერი გაუგია.

კარგად რომ შეზარხოშდნენ, ცეკვაზე გადავიდნენ. ქალმა ამირანს ისეთი სითბო და ალერსი აგრძნობინა, რომ მზად იყო, მანქანაზე უარი ეთქვა, მის ნაცვლად ქალი „გაეფორმებინა“ და გარაჟის ნაცვლად, საძინებელში შეეყვანა...

რესტორნიდან გამოსულები, ამირანს დაემშვიდობნენ და შეთანხმდნენ, რომ დილით ადრე მიაკითხავდნენ, მანქანების ბაზრობაზე წასასვლელად.

– მე ძალიან შორს ვცხოვრობ, სახლამდე მგონი, ვერც მივაღწევ, – თქვა ქალმა და ამირანს მხარზე ჩამოეკიდა. მასაც მეტი რა უნდოდა? – შინ ტაქსით მიიყვანა მშვენიერი სტუმარი და 11 თვის დავიწყებული ხელოვნება სიამოვნებით გაიხსენა...

ყელის სიმშრალემ და თავის ტკივილმა ერთად გააღვიძა. ქალს უკვე ჩაეცვა და წასასვლელადაც მზად იყო. მამაკაცს დაემშვიდობა და კარი გაიხურა.

გაბურბუსალებულმა კაცმა გადაწყვიტა, „პახმელიას“ ცივი წყლით შებრძოლებოდა, მაგრამ წყალმა არ უშველა. „ყავა გამიხსნის გონებას“, – გაიფიქრა მან და დენის ქურა ჩართო, მაგრამ გაახსენდა, რომ შუქი ჩაჭრილი ჰქონდა. „კერასინკა“ აანთო, მაგრამ საშაქრე ცარიელი აღმოჩნდა... დარდისაგან გული მოეწურა, მაგრამ გაახსენდა, რომ 11 თვის ხელფასი ჰქონდა აღებული და შეეძლო სუპერმარკეტშიც წასულიყო.

ასეც მოიქცა, კარი თამამად შეაღო, საფულე გახსნა, რომელშიც ერთი „ფალიაშვილი“ და ორი „ფიროსმანი“ იწონებდნენ თავს... მანქანა ხომ უნდა ეყიდა?! ამიტომ ვიტრინებს თვალი მოავლო და გამყიდველს უთხრა:

– აი, ის სამლარიანი სათამაშო მანქანა მომეცით და ერთი „ბორჯომი“, – და მხოლოდ 3 ლარი გაუწოდა. – ლარიანს დავიტოვებ სამგზავროდ...

– „ბორჯომი“ ნისიებში ჩავწერო, ხომ? – გაუღიმა ნაცნობმა „დახლიდარმა“ და ამირანის სახელზე ახალი რვეული გახსნა.

გარეთ გამოსულმა კაცმა დაინახა, რომ ძმაკაცები უკვე შეკრებილიყვნენ, მანქანების ბაზრობაზე წასასვლელად.

– რას ვშვრებით – ვყიდულობთ მანქანას? – ჰკითხეს ბიჭებმა.

– მთავარია, ხომ დავასველეთ და რაც დამრჩა, იმით უკვე ვიყიდე მანქანა. აი... – ხელი გაშალა ამირანმა და ცივი „ბორჯომი“ პირზე ხარბად მიიყუდა... ■

არსებობს თუ არა სიცოცხლე სიკვდილის შემდეგ? — ეს კითხვა უკვე დიდი ხანია, მოსვენებას არ აძლევს კაცობრიობას. მაშინ, როდესაც თეოლოგია სულის მარადისობას ქადაგებს, მეცნიერება ცდილობს, დაგვარწმუნოს, რომ ჩვენ, მხოლოდ და მხოლოდ ბიოლოგიური ნაწილაკები ვართ... მაგრამ არსებობენ ადამიანები, ვის მიერ განცდილიც ძალიან ჰგავს საიქიოში ხანმოკლე „მოგზაურობასა“ და იქიდან მობრუნებას — ისინი, ვინც უკვე იხილა სინათლე გვირაბის ბოლოს...

რას ხედავს ადამიანი კლინიკური სიკვდილის დროს?

ემა გელოვანი

დასავლეთ საქართველოში, მიცვალებულის ხმამაღალი მოთქმით დატირების უძველესი ტრადიცია არსებობს. თურმე ამ ვაი-ვიშით ჭირისუფალი ცდილობს, მიცვალებულის „გაცოცხლებას“ და ამის რეალური მაგალითები ნამდვილად მოიპოვება. როგორც ექიმებმა ამიხსნეს, ადამიანის ორგანიზმში სულ ბოლოს, სმენის ცენტრი კვდება, ამიტომ სავსებით შესაძლებელია, სმენის ცენტრის გაღიზიანებით, ადამიანის „რეანიმაცია“ მოახდინო. ასე რომ, მითები მიცვალებულთა გაცოცხლების შესახებ, მთლად უსაფუძვლო არ ყოფილა... და მაინც, რა არის კლინიკური სიკვდილი? — ამ კითხვით მივმართე, როგორც სასულიერო, ისე სამეცნიერო პირს. თუმცა, უმჯობესია, ჯერ თავად „ყოფილი მიცვალებულების“ მონათხრობი გადმოგცეთ.

ლია, 35 წლის:

— ამ ამბის შემდეგ, უკვე რამდენიმე წელი გავიდა. ფეხმძიმედ ვიყავი და თბილისიდან ზუგდიდამდე მატარებლით ვიმგზავრე. ჩასვლისთანავე ვიგრძენი, რომ რაღაც ხდებოდა ჩემს თავს. თითქოს მთელი მუცელი სითხით მქონდა სავსე. გარკვეული მიზეზების გამო, ჩემს ახლობლებს უფლება არ მივეცი, საავადმყოფოში გადავეყვანე, ამიტომ იძულებულნი იყვნენ, სახლის პირობებში მოევლოთ ჩემთვის. მუცელი მომეშალა, სისხლისგან ვიცლებოდი... მომენტალურად გავითიშე, მაგრამ ეს იმდენად სასიამოვნო იყო, რომ შვება ვიგრძენი. მახსოვს, როგორ აღმოვჩნდი დიდ, გაშლილ, ხასხასა მწვანე მინდორზე; მიწაზე კი არა, ცოტა უფრო ზემოთ — ჰაერში მივაბიჯებდი. დავინახე, როგორ გაიხსნა ცა და ორმა, შუახნის მამაკაცმა ხელი გამომიწოდა. მოულოდნელად საიდანღაც პატარა ბიჭუნა გაჩნდა. მამაკაცებს წყრომით შეხედა და ხელი დამიქნია — არ მოხვიდეო. როდესაც გონს მოვედი, პირველი, რაც თვალში მომხვდა, კედელზე ჩამოკიდებული პატარა გარდაცვლილი ბიჭის სურათი იყო — იმ ბავშვის, რომელმაც მე, საიქიოდან გამომაბრუნა (იმ ოჯახის შვილი იყო, სადაც სტუმრად ვიყავი ჩასული)...

ქალბატონი ნანული, 70 წლის:

— რამდენიმე წლის წინ, მე და ჩემი ოჯახი ავტოკატასტროფაში მოვყევით. ფაქტობრივად, საავადმყოფოში მე კი არა, ჩემი გვამი მიიტანეს, მაგრამ როგორც ხედავ, ცოცხალი ვარ. როგორც ექიმებმა მითხრეს, მე კლინიკური სიკვდილი მქონია, იქ ნანახი ახლაც ნათლად მახსოვს. დიდი შავი ჭიშკარი შევაღე და თვალი თეთრმა ნათებამ მომჭრა. არ მახსოვს, სახლები ან რაიმე შენობები მენახოს, მაგრამ მახსოვს, ოქროს მოაჯირები, დიდი ხეები, დიდი ფოთლებითა და საოცარი ნაყოფით, რომლის მოწყვეტის უფლებასაც არ მაძლევდნენ. მინდორში პაწაწინა ღელე მოედინებოდა, ზედ პატარა, კოხტა ხიდი იყო გადებული. ღელის გაღმა მხრიდან უამრავი ნაცნობი სახე მიმზერდა, ყველა იქით მიხმობდა, ფეხი გადავდგი ხიდისკენ, მაგრამ უცებ, ხიდი მოწყდა და წყლის დინებამ წაიღო...

ექიმი-რეანიმატოლოგი **კახა კაკულია:**

— კლინიკური სიკვდილი, ეს არის ჩვეულებრივი ბიოლოგიური სიკვდილი, რომელიც ცოტა ხანს გრძელდება; სიტყვა „კლინიკური“ მას უკვე „პოსტ ფაქტუმ“ ემატება — ანუ მაშინ, როდესაც პაციენტი ამ მდგომარეობიდან გამოდის. ამ მდგომარეობაში მყოფ ადამიანს ახასიათებს სიკვდილის ყველა ადრეული ნიშანი: ის არ სუნთქავს, არ ესინჯება პულსი, არ მოქმედებს რეფლექსები და აღენიშნება ასისტოლია (გულის გაჩერება). საწყის ეტაპზე, კლინიკური სიკვდილი არაფრით განსხვავდება ბიოლოგიური სიკვდილისგან. აქვე დავაზუსტებ, რომ კომა, შოკი და აგონია არ არის კლინიკური სიკვდილი — მათ შეიძლება, კლინიკურ სიკვდილთან მოსაზღვრე მდგომარეობა ვუწოდოთ.

— გულმა რამდენი ხანი შეიძლება გაძლოს გაჩერებულ მდგომარეობაში?

— ჯანმრთელი, „დაკონსერვებული“ გული წლების მანძილზე ინახება, მაგრამ თქვენ ალბათ გაინტერესებთ, თუ რამდენ ხანს ძლებს თავის ტვინი ჰიპოქსიაში (ჟანგბადის ნაკლებობის დროს). ნორმალურ გარემო პირობებში, ნორმალურ ტემპერ-

კერძების ჩამონათვალი რესტორანში	სასმელი, რომელსაც ჯინს უმატებენ	იაპონური თეატრი	სიტყვის ნაწილი, ნიშნავს სწავლებას	ადამიანი, რომელიც ბაღს უვლის	ღრმა ძილის მდგომარეობა, რომელსაც საღათას ძილსაც უწოდებენ	ქალაქის თავი
ბ ე ნ ი უ ფ ო ნ ი ბ ი ნ ო ნ ო მ ი ა ბ ე ბ ა ლ ე ლ ე						ნ ბ ე ჩ

პირის ნაცვალსახელი	ინგლისელი ფიზიკოსი ისააკ ...	ძაღლების სპეციალისტი	ერთუჯრედიანი ორგანიზმი „ცრუ“ ფეხით	პატარა მდინარე	მუყაოს სპეციალური ფორმა მკერავისათვის	კონტინენ

ატურაზე და ა.შ., გაჩერებულმა გულმა, დაუხმარებლად შეიძლება გაძლოს 6-7 წუთი; აქტიური რეანიმაციის პირობებში კი, — 30 წუთის მანძილზე შეიძლება იმყოფებოდეს, მაგრამ მხოლოდ რეანიმაციის პირობებში — როდესაც გულის, როგორც ტუმბოს მუშაობა, მექანიკური ზეწოლის შედეგად გრძელდება. ამასთან დაკავშირებით მინდა, ერთი შემთხვევა გავიხსენო, როდესაც პაციენტს მწვავე ინფარქტის შედეგად გაუჩერდა გული. „სასწრაფო დახმარების" ექიმებმა დროულად აღმოუჩინეს დახმარება — გულ-ფილტვის მასაჟს უკეთებდნენ. ავადმყოფი კლინიკური სიკვდილის მდგომარეობაში 35 წუთი იმყოფებოდა, არ აღენიშნებოდა გულის ტონების მუშაობა, სუნთქვა, არ რეაგირებდა არანაირ გამაღიზიანებელზე. მდგომარეობა უიმედოდ ჩათვალეს და ვინაიდან 35 წუთის განმავლობაში ვერ მოხერხდა გულის ამუშავება, სუნთქვისა და რეფლექსების აღდგენა, რეანიმაციულ ღონისძიებებს თავი დავანებეთ. ჩვენდა გასაოცრად, მოხდა სასწაული: გაჩერებული გულის მიუხედავად, ავადმყოფმა დაიწყო სუნთქვა და ახალი რეანიმაციის შედეგად, აღდგა ჰემოდინამიკა, წნევა, პულსი. იმავე საღამოს, პაციენტმა უკვე მეუღლე იცნო. ეს იყო ნამდვილი საოცრება, რომლის ახსნა ახლაც ძალიან მიჭირს.

— ამბობენ, რომ ექიმები, ამ ადამიანების მიერ ნანახს, ჰალუცინაციებს უწოდებთ.

— კლინიკური სიკვდილის დროს განცდილი ძალიან ჰგავს ნარკოზის ქვეშ მყოფი ადამიანის განცდებს. მიუხედავად იმისა, რომ ამ ადამიანების მიერ ნანახი ძალიან ჰგავს საიქიოდან დაბრუნებას, დანამდვილებით მაინც არაფრის თქმა არ შეიძლება. კლინიკური სიკვდილის დროს, თავის ტვინში სისხლის მიწოდება მკვეთრად მცირდება, ეს კი, თავი ტვინის ჰიპოქსიას იწვევს და ავადმყოფები რაღაც სურათებს ხედავენ. არა მგონია, რომ ეს იმას ნიშნავდეს, თითქოს ისინი სხვა სამყაროში იმყოფებოდნენ. შესაძლოა, რომ ეს ცუდი ზოგადი მდგომარეობის ფონზე, თავის ქერქში წარმოქმნილი ასოციაციური იმპულსებია. თუმცა, მეცნიერება პატივს სცემს იმ მისტიკურ შეხედულებებს, რომელიც სიკვდილის შემდეგ სიცოცხლეს გულისხმობს.

— თუ არის შესაძლებელი, რომ ადამიანს მრავალჯერ დაემართოს კლინიკური სიკვდილი?

— წლების წინ გვქონდა შემთხვევა, როდესაც მწვავე ინფარქტის ფონზე ქალბატონს 200-ჯერ განუვითარდა კლინიკური სიკვდილი. ასევე გვქონდა შემთხვევა, როდესაც პაციენტი 150-ჯერ იმყოფებოდა ამ მდგომარეობაში, მძიმე ტრავმის ფონზე. უნდა ითქვას, რომ კლინიკურ სიკვდილს ყოველთვის როდი ახლავს ხილვები.

— ერთ დროს, თბილისში ლეგენდად დადიოდა ამბავი, როდესაც მორგში გვამი „გაცოცხლდა"...

— ეს ამბავი წლების წინ, ქალაქის კლინიკურ საავადმყოფოში ექიმ პარმენ კახიძეს შეემთხვა. ბატონი პარმენი საავადმყოფოს პროზექტურაში ჩასულა და შემთხვევით შეუნიშნავს, თუ როგორ ირხეოდა გვამზე გადაფარებული ზეწარი. ბატონმა პარმენმა ეს ადამიანი ამოიყვანა, გაუკეთა ოპერაცია და როგორც ვიცი, მის მიერ გადარჩენილი ადამიანის ოჯახი დღემდე მეგობრობს ექიმის ოჯახთან... მართალია, ასეთი შემთხვევები თბილისში აღარ გვქონია, მაგრამ რამდენიმე კლინიკური სიკვდილის მაგალითს კიდევ გიამბობთ. არაეფექტური ჰემოდინამიკის ფონზე (როდესაც წნევის მაჩვენებლები მკვეთრად ეცემა), განვითარდა კლინიკური სიკვდილი. პაციენტს მხოლოდ მეშვიდე დეფიბრილაციის შედეგად აუმუშავდა გული. მეორე დღეს, გონს მოვიდა და იხსენებდა, თუ როგორ ნახა გარდაცვლილი მამა, რომელმაც „საიქიოდან გამოაგდო"...

ქალბატონს ასთმის ფონზე დაემართა კლინიკური სიკვდილი და მდგომარეობიდან გამოსული იხსენებდა, რომ მწვანე ხასხასა მინდორზე, განცხადებით ხელში რაღაც რიგში იდგა. ქალბატონი ვერ იხსენებდა იმ ადამიანის ვინაობას, ვისთვისაც უნდა წარედგინა განცხადება, მაგრამ იცოდა, რომ მას უდიდეს პატივს სცემდა. როდესაც რიგმა მოუწია, სიაში მისი სახელი არ აღმოჩნდა და გულდაწყვეტილი გამოუშვეს უკან... გვყავდა აგრეთვე მოტოციკლისტი, რომელიც ხიდიდან იყო გადავარდნილი და კლინიკური სიკვდილი გადაიტანა. მისი ხილვები კლასიკურ ვარიანტს მიეკუთვნებოდა: მან ნახა, რომ მიქროდა გვირაბში, რომლის ბოლოს, სინათლე მოჩანდა. მოგვიანებით, ყველაფერი განათდა და დაფდაფების ხმაურმა გააყრუა არემარე... მატერიალისტები ამას საკუთარ ახსნას აძლევენ: ისინი ამბობენ, რომ ყველაზე მდგრადი, თავის ტვინში, მხედველობის ცენტრი და შემდგომ, სმენის ცენტრია; ქერქი შიმშილის ფონზე განიცდის კვდომას და ამ დროს ყალიბდება ე.წ. მილისებური მხედველობა; მხედველობის პერიფერიული ველი ქრება და ეს თვალის არეში კი არა, არამედ მხედველობის ცენტრში ხდება. სწორედ ამით ხსნიან მატერიალისტები ნანახ ბნელ გვირაბს და სინათლეს გვირაბის ბოლოს.

მამა გელასი, *წმინდა ნინოსა და წმინდანთა — მირიანისა და ნანას ეკლესიის მღვდელი:*

— კლინიკური სიკვდილის დროს ნანახი, უნდა მივიჩნიოთ კიდევ ერთ დამადასტურებელ საბუთად იმისა, რომ არსებობს სული. სულზე ზრუნვას, მის ცხონებასა და გადარჩენას ემსახურება ეკლესია. ეკლესიას და მორწმუნე, რელიგიურ ადამიანს, კლინიკური სიკვდილის მაგალითები რწმენის გასაღრმავებლად არ სჭირდება — ე.ი. სასწაული ხდება ურწმუნოთათვის. არსებობს მაგალითები იმისა, რომ ადამიანებმა, რომლებმაც გადაიტანეს კლინიკური სიკვდილი და გამოჯანმრთელდნენ, ღმერთი იწამეს და ეკლესიურნი გახდნენ.

— რამდენად გამართლებულად მიაჩნია ეკლესიას, კლინიკური სიკვდილის დროს ნანახი ხილვების შესახებ თხრობა?

— თუ ეს ნაამბობი სხვა ადამიანს დაეხმარება იმაში, რომ იწამოს ღმერთი, ეს გამართლებულია. მაგრამ ამის თხრობა არ უნდა ხდებოდეს საკუთარი შესაძლებლობების აფიშირებისა და რეკლამირებისთვის. შენი მონათხრობით ადამიანს უნდა დაანახვო, რომ საჭიროა აიხედოს ზეცაში... ყოველმა მოაზროვნე ადამიანმა იცის, რომ ხორცი არის წარმავალი, ხოლო სული — უკვდავი, მაგრამ ჩვენი ცხოვრებით, წარმავალ ხორცს ვემსახურებით და უკვდავ სულს ვაკნინებთ. თუ ამგვარი ამბის თხრობით, ერთი ადამიანი მინც მიხვდება, რომ თავისი სული უნდა ზეაამაღლოს და ზეცაში აიხედავს, მაშინ ეს დასაშვებად მიგვაჩნია. ■

ნაური ბუნული ოფელი	იტალიის დედაქალაქი	წყლის ტრანსპორტი	ეგვიპტელთა ღმერთი	ინგლისური ცეკვა	ვულკანური მასა	თეთრი ფერის ნადები ჩვილის ენაზე	სამშენებლო მასალა	უუფლებო ადამიანი
ბ ერ ა ხ ო ბ ი ნ ა ვ ი ნ ა				ჟ ი ბ ა ლ ი		ხ ა ძ ი ს ნ ა	ფ ო ლ ი ბ ო ნ ა	
	სიმინდის ნაყოფი	ბუშა	საავტომობილო გზის მკვეთრად მოხვეული ნაწილი	დიდი სანახაობა ...-კონტერტი	ისტორიულ-არქიტექტურული ქალაქი საქართველოს სამხრეთში	ჩრდილოეთ ატლანტიკის ქვეყნების კავშირი	ნ. დუმბაძის „თეთრი ბაირაღების" ერთ-ერთი პერსონაჟი	

რომელ წმინდანებს ვევედროთ ავადმყოფობის ჟამს?

განვაგრძობთ „გზის“ წინა ნომერში დაწყებულ საუბარს ავადმყოფობასთან დაკავშირებით. გვესაუბრება ქვაშვეთის წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის მოძღვარი, ᲛᲚᲕᲓᲔᲚᲘ ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲔ ᲒᲘᲝᲠᲒᲐᲫᲔ.

შორენა მერკვილაძე

— რატომ კრძალავს მართლმადიდებლური ეკლესია განკურნების მიზნით ექსტრასენსთან მისვლას?

— ექსტრასენსთა უმრავლესობა მკურნალობს ე.წ. ბიოველით. ამ მეთოდით მკურნალობისას, დაავადებული ორგანო ენერგიას სხვა ჯანსაღი ორგანოდან იღებს და თითქოს განკურნებაც ხდება, მაგრამ ის ჯანსაღი ორგანო ავადდება — ე.ი. ექსტრასენსებს შესწევთ უნარი, საკუთარი ბიოველის ენერგეტიკული ზემოქმედებით გადაანაწილონ და დაავადებულ ორგანოში შეიტანონ ამა თუ იმ სახის ენერგიის საჭირო რაოდენობა. მართალია, ამ გზით დაავადებული ორგანოს განკურნება მოხდება, მაგრამ ეს დროებითი განკურნებაა. დროებითი კურნების ძალაც ექსტრასენსებს დემონური ძალების წყალობით აქვთ — ანუ მათი საშუალებით უხილავად თვით ეშმაკი მოქმედებს და ცხადია, ეკლესია ამ მეთოდით მკურნალობის წინააღმდეგია, რადგან ამ მეთოდით მკურნალობა საბოლოოდ, სხეულის ჯანმრთელობასაც ვნებს და სულსაც ღუპავს. ბიოველით განკურნებულ ადამიანებს ხშირად უვითარდებათ ნევროზი, ერღვევათ სულიერი წონასწორობა და სხვა.

— ითვლება თუ არა ცოდვად არატრადიციული მკურნალობის ზოგიერთი მეთოდით მკურნალობა?

— კოდირების ნებისმიერი სახე ეწინააღმდეგება ღმერთს, ღვთის ნების წინააღმდეგ წასვლა კი, როგორც ვიცით, ადამიანს ცოდვად ეთვლება. ტრადიციული სამედიცინო ჩარევის გარდა, სხვა თითქმის ყველა მეთოდით მკურნალობა ცოდვაა. კიდევ ვიმეორებ, რომ ბოროტის ჩარევით შესაძლოა, დროებითი განკურნება მოხდეს, რასაც აუცილებლად უარყოფითი შედეგები და განსაცდელი მოჰყვება. ამგვარად, ასეთი განკურნება მხოლოდ ილუზიაა.

— რა მსახურებები აღესრულება ეკლესიაში ჩვენი სულისა და ხორცის საკურნებლად?

— სულისა და ხორცის საკურნებლად ტაძარში სხვადასხვა მსახურება აღესრულება: ზიარება, შვიდგზის ზეთის ცხება, წმინდა ნაწილებთან მიახლება და სხვა. საჭიროების შემთხვევაში იკითხება აგრეთვე კვეთებულის ლოცვები. გარდა ამისა, ავადმყოფს და მის ახლობლებს შეუძლიათ, მივიდნენ ეკლესიაში და სთხოვონ მოძღვარს, აღავლინოს ჯანმრთელობის პარაკლისი — შეკვეთილი ლოცვა. ღვთისმშობლის ან წმინდანთა მიმართ აღვლენილი ლოცვისას, ღვთისმსახური ჩვენ მიერ მოხსენიებული ადამიანის ჯანმრთელობისთვის და ჩვენი სულის კურნებას ევედრება უფალს. სასურველია, რომ ადამიანი მის სახელზე აღვლენილ ჯანმრთელობის პარაკლისს თვითონაც დაესწროს, მაგრამ თუკი ის იმდენად დაუძლურებულია, რომ ვერ ახერხებს ტაძარში მისვლას, პარაკლისზე მისი ახლობლები შეიძლება იმყოფებოდნენ, ან ვთხოვოთ ღვთისმსახურს, რომ ჯანმრთელობის პარაკლისი ავადმყოფის სარეცელთან აღავლინოს — შინ იქნება ეს თუ საავადმყოფოში. სულსა და ხორცზე ასევე მაკურნებლად მოქმედებს საღამოს ლოცვაზე ზეთის ცხება, მარხვა, აღსარების თქმა და სხვა. მკურნალობის მიზნით მორწმუნეს ასევე შეუძლია მიიღოს ნაკურთხი წყალი, სეფისკვერი, არტოსი თუ სხვა სიწმინდეები. მაგრამ უნდა გვახსოვდეს: ყველა ეს საშუალება მაკურნებლად მხოლოდ რწმენის შემთხვევაში მოქმედებს ადამიანზე.

— როგორც ითქვა, ავადმყოფობის დროს ადამიანი არ უნდა ჩავარდეს სასოწარკვეთილებაში, არამედ განმტკიცდეს რწმენაში და შემწეობა სთხოვოს უფალს. მაგრამ ავადმყოფი ხშირად, ვერ ახერხებს საკუთარ თავში რწმენის გამოძებნას. რა შეიძლება მოვიმოქმედოთ მსგავს სიტუაციაში?

— ასეთ დროს, ავადმყოფზე უნდა იზრუნონ ახლობლებმა — გამხნევება იქნება ეს, ლოცვით შეწევნა, მის სახელზე მოწყალების გაღება, ჯანმრთელობის პარაკლისის შეკვეთა თუ სხვა.

— ეკლესიური მკურნალობისა და სიწმინდეების მიმართ განსაკუთრებულ აგრესიულობას სულიერად დაავადებულები ავლენენ. როგორ შეიძლება შეეწიონ მათ ახლობლები?

— როგორც აღვნიშნეთ, სულიერად დაავადებულ ადამიანებში ბოროტი ბუდობს და ამიტომ ვერ იტანენ ისინი სიწმინდეებს. ახლობლები მათაც შეიძლება შეეწიონ: ლოცვით, მოწყალების გაცემით, მათ სახელზე შეკვეთილი პარაკლისით თუ სხვა ქრისტიანული ქმედებით.

— რომელ წმინდანებს უნდა ვევედროთ ავადმყოფობის ჟამს?

— ნებისმიერი განსაცდელის, მათ შორის, ავადმყოფობის დროსაც, უპირველესად უნდა ვევედროთ უფალს. ლოცვით უნდა მივმართოთ აგრეთვე უფლის წინაშე ჩვენს უდიდეს შუამდგომელსა და მეოხს — ღვთისმშობელს, ასევე წმინდა ანგელოზებს და წმინდანებს, რადგან მათ ამქვეყნად სათნო ცხოვრებით, ქრისტესთვის

მოღვაწეობითა და მოწამებრივი აღსასრულით ცათა სასუფეველი დაიმკვიდრეს და მიიღეს სხვადასხვა ნიჭი სულიწმიდისა – შემწე ეყონ განსაცდელში მყოფ ადამიანებს, განკურნონ დაავადებულები და სხვა. გვყავს მკურნალი წმინდანები: დიდმოწამე პანტელეიმონი; ღირსნი აღაპიტე და დამიანე; მოწამე დიომიდე; ღირსი პავლე; წმინდა კესარიოსი; მოწამე ანტიოქე; სნეულთა მკურნალად ითვლება აგრეთვე წმინდა გიორგი, რომელსაც შეიძლება ლოცვით მივმართოთ ავადმყოფობის ჟამს. მწუხარეთა ნუგეშისმცემელი და სნეულთა მკურნალია მთავარანგელოზი რაფაელიც. სიტყვა „რაფაელი“ ებრაულად ღვთისგან განკურნებას ნიშნავს.

— როგორ უნდა ვიკითხოთ მკურნალ წმინდანთა „დაუჯდომელი ლოცვები“?

– საერთოდ, „დაუჯდომელი ლოცვები“ უნდა ვიკითხოთ მოძღვრის ლოცვაკურთხევითა და მისი მითითებების გათვალისწინებით.

— როგორ ხსნის მართლმადიდებლური ეკლესია სასწაულებრივ განკურნებას?

– სასწაულებრივ განკურნებას ეკლესია უფლის ყოვლისშემძლეობით ხსნის. თვით უფალი იესო ქრისტე სასწაულებრივად განკურნავდა ავადმყოფთ – აღადგენდა დავრდომილთ, ბრმებს თვალს უხელდა, ყრუთ სმენას უბრუნებდა და სხვა. სასწაულებრივი განკურნების დროს, ჯანსაღდება და ნორმალური ფუნქცია უბრუნდება ადამიანის დაავადებულ ორგანოებს, რომელშიც შეუქცევადი პროცესებია განვითარებული და სამედიცინო მეთოდებით მკურნალობას არ ექვემდებარება. სასულიერო პირად კურთხევამდე ექიმად ვმუშაობდი და ჩემს პრაქტიკაშიც იყო რამდენიმე ავადმყოფი, რომელიც უპერსპექტივო ავადმყოფად ითვლებოდა; მათი განკურნება მედიცინის თვალსაზრისით შეუძლებელი იყო, მაგრამ მოხდა ისე, რომ ისინი სასწაულებრივად, ყოველგვარი სამედიცინო ჩარევის გარეშე განიკურნენ. სასწაულებრივი განკურნების არაერთი მაგალითი შეიძლება მოვიყვანოთ. აი, რა მიამბო ერთ-ერთმა ქალბატონმა სასწაულებრივ განკურნებაზე: რამდენიმე წლის წინ, ჩემს მეზობელს მკერდის სიმსივნე აღმოაჩნდა. ოპერაცია გარდაუვალი იყო, მაგრამ მოხდა ისე, რომ ოპერაციის წინა საღამოს, სიმსივნე გასკდა და მას ოპერაცია აღარ დასჭირდა. ამ ამბის შემდეგ, ის ქალბატონი მონაზვნად აღიკვეცა და წლების მანძილზე სრულიად ჯანმრთელად ცხოვრობდა. ■

იტალიელი მეცნიერი, მარიო მორაგი ირწმუნება, რომ ლეგენდარული მეფე არტურის ხმალი ნამდვილად არსებობს და ახლა, სან-გალგანოს საბატოში, კლდეშია დამალული. თავის წიგნში – „სან-გალგანოს საიდუმლოება“ – მორაგი აღნიშნავს, რომ ესკალიბურის სახელით ცნობილი ხმალი 1180 წლით თარიღდება, თუმცა ისტორიულ ლიტერატურაში პირველად, მას რამდენიმე ათეული წლით გვიან მოიხსენიებენ. მეცნიერი აგრეთვე აცხადებს, რომ მეფე არტურის შესახებ არსებულ ლეგენდას იტალიური ფესვები აქვს, თუმცა მკვლევარებს დღემდე მიაჩნდათ, რომ მეფე არტური და წმინდა გრაალი ჩრდილოეთ ევროპაში ან საფრანგეთში გამოიგონეს.

ქალაქ სიენის მახლობლად მდებარე, სან-გალგანოს საბატოს თქმულების თანახმად, წმინდა გალგანომ, ძალადობაზე უარის თქმის ნიშნად, ხმალი კლდეში ჩაასო. მორაგი აღნიშნავს, რომ ლეგენდას სან-გალგანოს შესახებ და წმინდა გრაალის აღმომჩენ, სერ პერსევალის თაობაზე არსებულ თქმულებას, ბევრი საყურადღებო დამთხვევა აერთიანებს. ადრე გამოცემულ წიგნში მორაგი იმ ვარაუდსაც გამოთქვამდა, რომ ლეგენდა არტურზე სპარსეთიდან იღებდა სათავეს.

გადმოცემის თანახმად, წმინდა გალგანო სასტიკი და დაუნდობელი რაინდი იყო, რომელმაც განდეგილი ცხოვრება მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც იესო ქრისტე და მისი მოციქულები გამოეცხადნენ. იმ დღიდან, მან უარი თქვა ძალადობასა და ამქვეყნიური ცხოვრების ყოველგვარ სიამეზე, ხმალი იმგვარად ჩაასო კლდეში, რომ მხოლოდ მისი ტარი მოჩანდა...

დიდი ხნის მანძილზე, გავრცელებული იყო შეხედულება, რომლის თანახმადაც, საქმე გვქონდა სიყალბესთან, რომლის დანიშნულებას მხოლოდ ტურისტების მოზიდვა წარმოადგენდა. მაგრამ ქალაქ პავიის უნივერსიტეტის მეცნიერთა მიერ ხმლის ლითონის გამოდნობის თარიღის დადგენამ ეს ეჭვები გაფანტა, რაც მარიო მორაგის, იმ დასკვნის გამოტანის საფუძველს აძლევს, რომ სწორედ გალგანოს ცხოვრებამ წარმოშვა ლეგენდები მეფე არტურზე, ხოლო თავად გალგანო, სერ პერსევალის პირველსახე იყო. ესკალიბურის სახელმა პირველად, ფრანგი პოეტის, რობერტ დე ბორონის პოემა „პერსევალში“ გაიჟღერა. მეცნიერის ვერსიით, ხმალი იმ გრდემლში იყო ჩარჭობილი, რომელიც კლდის კენწეროზე იდგა. ■

ელექტრონული ჭადრაკი „SABER IV"

ელექტრონული ჭადრაკი "**SABER IV**" უახლესი გამოგონებაა სათამაშო ჭადრაკებში, რომელიც გათვალისწინებულია ნებისმიერი ასაკისათვის. სპეციალური პროგრამა **state-of-the-art** საშუალებას იძლევა ეთამაშოთ კომპიუტერს როგორც ადამიანს. თქვენ აღარ გჭირდებათ მოთამაშე პარტნიორი – თქვენ ეთამაშებით ელექტრონულ ჭადრაკს, რომელსაც გააჩნია მაგნიტურ - სენსორული დაფა და თვითონ აადგილებს ფიგურებს. ელექტრონული ჭადრაკი საშუალებას გაძლევთ აირჩიოთ თამაშის თქვენთვის სასურველი სირთულის დონე. მას გააჩნია სირთულის 73 დონე, როგორც დამწყები, ისე პროფესიონალი მოთამაშეებისათვის. ამ თვალსაზრისით ელექტრონული ჭადრაკი წარმოადგენს იდეალურ მასწავლებელს და მეგობარს თქვენი ბავშვისათვის. მას გააჩნია დაპროგრამებული სვლების უნიკალური მოკარნახე, რომელიც აადვილებს სწავლების პროცესს და საშუალებას აძლევს ბავშვს აითვისოს ჭადრაკი და დახვეწოს თამაშის ტექნიკა. ელექტრონული ჭადრაკი ავითარებს ბავშვის კონცენტრაციას, სათამაშო სიტუაციებში სწორი გადაწყვეტილებების მიღების უნარს და რაც მთავარია, ეს ხდება მასწავლებლისაგან და პარტნიორის დაუხმარებლად, თუმცა შესაძლებელია ასევე სურვილისამებრ თამაში პარტნიორთან ერთად. ელექტრონული ჭადრაკი ასევე საუკეთესო პარტნიორია მათთვის, ვინც უკვე კარგად ერკვევა საჭადრაკო ხელოვნებაში. იგი საშუალებას გაძლევთ შეინახოთ თამაში შემდგომი გადათამაშებისთვის, გააანალიზოთ როგორც თქვენი, ისე ელექტრონული ჭადრაკის მიერ გაკეთებული სვლები და იხილოთ მისი შესაძლო ვარიანტები, ასევე უფრო იოლი ან რთული დონეები. ჭადრაკის ფიგურები ინახება სპეციალურ განყოფილებაში დაფის უკანა მხარეს.

ზომები: 210 x 188 x 22 მმ.
წონა: 410 გრ.
კვება: 3x"AAA"1,5 V

ფასი: 125 ლარი

იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტთ შეძენას, დაგვიკავშირდით ☎(995 32) 33 30 63; (995 32) 36 49 45
ან შეგვიკვეთეთ ინტერნეტ მაღაზია - www.shopge.com-ის საშუალებით და ჩვენი კურიერი
მოგაწვდით შეკვეთას თქვენთვის სასურველ მისამართზე თბილისში.
კურიერის მომსახურება უფასოა.

„მნელმა“ ანგელოზმა დემი მურმა ყველა დაჩრდილა

ხანგრძლივი შესვენების შემდეგ კინოში გამოჩენისთანავე, დემი მურმა, მის მიერ შესრულებული – ანგელ მედისონის როლის სიმცირის მიუხედავად („ჩარლის ანგელოზებო – წინ!“), 40 წლის ვარსკვლავმა რეცენზენტების აღტაცებული შეფასებები დაიმსახურა. „მისი სველი თმა ისე ბზინავს, როგორც სელაპის ტყავი, მისი კბილები რონ ჰოუორდისაზე გაცილებით თეთრია, ხმა კი, გაპრიალებულ აბაზანაზე უფრო კრიალა. თუმცა, მას მაინც, იუმორის გრძნობა აკლია“ (გაზეთი „ბოსტონ გლობი“).

„მური საუცხოოდ გამოიყურება მოზარდი გოგონას ბიკინიში და უდიდეს სიამოვნებას ჰგვრის მაყურებელს ყველა ეპიზოდში, რომელშიც ეკრანზე ჩნდება. მან უდავოდ, ფილმში მონაწილე ყველა მსახიობი დაჩრდილა“ („იუ-ეს-ეი თუდეი“). „ნიუ-იორკ ტაიმსს“ კი, ასეთი დასკვნა გამოაქვს: „ფილმის კონცეფცია იმაში მდგომარეობს, რომ ნათლად გამოჩნდეს, თუ რაოდენ საუცხოოდ გამოიყურება 40 წლის მედისონი – ბნელეთის ეს ანგელოზი, რომელიც თავის არაჩვეულებრივ „ფერარისაც“ კი ჩრდილავს...“ ■

კურნიკოვა და იგლესიასი შვილს ელოდებიან?

ასეთ ინფორმაციას ავრცელებს რამდენიმე ბრიტანული გამოცემა, რომელიც აღნიშნავს: ცოტა ხნის წინ, თურმე ხულიო იგლესიასსაც გადაკვრით უთქვამს, რომ მალე, რუსი შვილიშვილები ეყოლება და დიდად ახარებს მატება, რომელსაც მისი ოჯახი ელის... ბრიტანულ გაზეთებს გერმანული Bild-იც ეხმიანება, რომელიც წერს, რომ კორტებიდან კურნიკოვას გაუჩინარება ტრავმით კი არა – მისი ორსულობით აიხსნება. დასავლური პრესის ამ პუბლიკაციების საპასუხოდ, ჩოგბურთელის მამამ – სერგეი კურნიკოვმა განაცხადა, რომ ანა ამჟამად, მკურნალობის ინტენსიურ კურსს იტარებს, რომელიც მას ზურგის ტკივილების გამო დასჭირდა. ■

შერონ სტოუნი ქმარს ეცრემა

ჰოლივუდის ვარსკვლავმა და ფილ ბრონშტეინმა, რომლებიც 5 წლის წინ დაქორწინდნენ, გაყრის შესახებ გამოაცხადეს. 45 წლის შერონ სტოუნი გაზეთის – San Francisco Chronicle-ის მთავარ რედაქტორს ფილ ბრონშტეინს 1998 წელს, წმ. ვალენტინის დღეს გაჰყვა ცოლად. ორი წლის შემდეგ, მათ ბიჭუნა იშვილეს. ახლანდელ ოფიციალურ განცხადებაში ცოლ-ქმარი აღნიშნავს, რომ მათი გაყრა „მეგობრულ ვითარებაში და სრული თანხმობით“ გადაწყდა. ისინი დასძენენ, რომ ერთმანეთთან კეთილ ურთიერთობებს შეინარჩუნებენ და ყველა ღონეს იხმარენ შესაფერის დონეზე შვილობილის აღსაზრდელად. გაყრის მიზეზად, „გადაუჭრელი წინააღმდეგობებია“ დასახელებული. ვისთან იცხოვრებს ძირითადად 3 წლის რონი, ამის შესახებ ცოლ-ქმარს არაფერი უთქვამს. ■

სოფი მარსო უპირველესად, დედაა...

ფრანგმა ვარსკვლავმა ეს-ესაა დაასრულა გადაღებები ჰოლივუდში: ის რეჟისორ რობ რაინერის ფილმში – „ალექსი და ემა“ – მონაწილეობდა, ახლა კი, მორიგი როლიც შესთავაზა დიანა კიურიმ. და მაინც, მსახიობი უპირველესად, კარიერით კი არა, დედობრივი გრძნობებით ცოცხლობს და აღნიშნავს, რომ უმთავრესი მისთვის – შვილებია. ეს მარსოს რადიკალურად განასხვავებს კინომსახიობთა უმეტესი ნაწილისაგან.

შეგახსენებთ, რომ გამოჩენილ პოლონელ რეჟისორთან, ანჯეი ჟულავსკისთან 16-წლიანმა ქორწინებამ მას ვაჟი – ვინსენტი აჩუქა, რომელიც რამდენიმე დღეში, 8 წლის გახდება. მეორე ქორწინებაში კი (ამერიკელ პროდიუსერ ჯიმ ლემლეისთან), სოფის გოგონა – ჟულიეტი, შარშან ივნისში შეეძინა. „ჩემთვის ძალზედ ბუნებრივი იყო, რომ მეორედ გავხდი დედა, – ამბობს მარსო. – ჩემი შვილები საუკეთესო ძღვენია, რომელიც ცხოვრებამ მარგუნა“. ვარსკვლავი აგრეთვე დასძენს, რომ ძალზე ბედნიერია, რომ ისეთი მეუღლე ჰყავს, როგორიცაა ჯიმ ლემლეი: „ნამდვილად შეყვარებული და ჩემი რჩეულის ერთგული ვარ. პირადი ბედნიერება ჩემთვის გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე თუნდაც უდიდესი კინოროლი“. ■

დონ დიეგოს მშობლიური გუნდი სამხრეთ ამერიკის ჩემპიონია

დღემდე გრძელდება დავა იმაზე, თუ ვინ უფრო დიდი ფეხბურთელი იყო — პელე თუ მარადონა. ბუნებრივია, ამ საკითხს არგენტინელები დონ დიეგოს სასარგებლოდ წყვეტენ, ხოლო ბრაზილიელები — ფეხბურთის პირველი მეფის სასარგებლოდ. ცოტა ხნის წინ კი, დავაში ორი სუპერვარსკვლავის მშობლიური კლუბებიც ჩაებნენ: დიეგო მარადონას „ბოკა ხუნიორსისა“ და პელეს „სანტოსის“ შეხვედრას, სამხრეთ ამერიკის ლიბერტადორესის თასის გათამაშების ფინალურ ეტაპზე, ტურნირის გამარჯვებული უნდა გამოევლინა. ცხადია, ამ ორი სამხრეთამერიკული კლუბის პაექრობა დიდ ინტერესს იწვევდა საფეხბურთო სამყაროში.

პირველ მატჩში არგენტინელებმა ანგარიშით 2:0 გაიმარჯვეს, განმეორებითი შეხვედრა კი, ბრაზილიაში უნდა გამართულიყო და „სანტოსი“ რევანშის მოლოდინში იყო. მიუხედავად ამისა, „ბოკა ხუნიორსმა“ სტუმრადაც შეძლო მეტოქის დამარცხება (3:1) და სამხრეთ ამერიკაში ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ ჯილდოს — ლიბერტადორესის თასს დაეუფლა. აღსანიშნავია, რომ ბოლო ოთხი წლის მანძილზე, არგენტინულმა გრანდმა უკვე მესამედ მოიპოვა კონტინენტის უძლიერესი გუნდის ტიტული, ხოლო „ბოკას“ თავკაცი, კარლოს ბიანკი იქცა პირველ მწვრთნელად, რომელმაც ლიბერტადორესის თასი მეოთხედ მოიგო: სამჯერ — „ბოკა ხუნიორსთან“ ერთად, ერთხელაც — სხვა არგენტინული გუნდის, „ველეს სარსფილდის“ სათავეში ყოფნისას.

საფეხბურთო კლუბი „ბოკა ხუნიორსი“ 1905 წელს, ბუენოს-აირესში ირლანდიელმა პატრიკ მაკარტიმ და იტალიელი ემიგრანტების ჯგუფმა დააარსეს. 1913 წლიდან, გუნდი არგენტინის ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილეობს. სხვათა შორის, 1920-30 წლებში, ქვეყანაში ორი სხვადასხვა პირველობა ტარდებოდა. „ბოკა ხუნიორსი“ ერთი ჩემპონატიდან მეორეში უმტკივნეულოდ გადავიდა, 1930 წელს, უკანასკნელად მოიგო არგენტინის სამოყვარულო პირველობა, ხოლო 1931 წელს, პირველ პროფესიონალურ ტურნირშიც გაიმარჯვა.

მომდევნო ოთხი წლის მანძილზე, „ბოკა ხუნიორსმა“ კიდევ ორჯერ იმარჯვა ეროვნულ ჩემპიონატში თავისი შესანიშნავი ფეხბურთელებისა და კერძოდ, ბრაზილიელი მცველის, დომინგოს და გიას წყალობით.

ფეხბურთის გულშემატკივართათვის კარგად არის ცნობილი, რომ „ბოკა“ მთელი თავისი ისტორიის მანძილზე, „სამკვდრო-სასიცოცხლო“ ბრძოლას ეწეოდა არგენტინული ფეხბურთის მეორე გრანდთან — „რივერ პლეიტთან“. სამწუხაროდ, ამ ორი გუნდის თავზეხელაღებულ ქომაგთა შორის დაპირისპირება ხშირად, მართლაც სამკვდრო-სასიცოცხლო ხასიათისა ხდება და არცთუ ისე იშვიათად, მსხვერპლითაც კი მთავრდება. მოვლენების ასეთ, არასპორტულ განვითარებას არგენტინაში განსაკუთრებით, ბოლო წლებში აქვს ადგილი, რის აღმოსაფხვრელადაც ქვეყნის სამართალდამცავი სტრუქტურები ძალისხმევას არ იშურებენ. ყოფილა შემთხვევები, როდესაც „ბოკასა“ და „რივერის“ ფანებს ერთიმეორეში ურთიერთობა არა მარტო მუშტი-კრივითა და ცივი იარაღის გამოყენებით გაურკვევიათ, არამედ ცეცხლსასროლი იარაღიც (ავტომატურიც კი!) უხმარიათ.

„რივერ პლეიტის“ ჩრდილქვეშ „ბოკა ხუნიორსი“ პირველად 1940-50-იან წლებში მოექცა და მხოლოდ 1963 წელს შეძლო თავისი პოზიციების დაბრუნება. მაშინ „ბოკაში“ შესანიშნავი ხოსე სანფილიპო თამაშობდა, რომლის გოლების წყალობითაც გუნდი ლიბერტადორესის თასის გათამაშების ფინალში გავიდა, თუმცა გადამწყვეტ ბრძოლაში გამარჯვების მიღწევა ვერ შეძლო. სამხრეთამერიკულ საკლუბო ტურნირში გამარჯვების მისაღწევად, „ბოკა ხუნიორსს“ გასული საუკუნის 70-იან წლებამდე მოცდა მოუხდა. სამი წლის მანძილზე, გუნდი ზედიზედ გადიოდა ლიბერტადორესის თასის ფინალში. 1977 წელს, „ბოკამ“ ბრაზილიური „კრუზეირო“ დაამარცხა, ხოლო 1978-ში — კოლუმბიური „დეპორტივო“, მაგრამ 1979-ში, ვერარ შეძლო პარაგვაიული „ოლიმპიის“ ძლევა. იმ პერიოდში, გუნდს ხუან კარლოს ლორენცო წვრთნიდა. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ სესარ ლუის მენოტიმ „ბოკა ხუნიორსის“ არც ერთი ფეხბურთელი არ შეიყვანა არგენტინის ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში, რომელმაც სამშობლოში 1978 წელს გამართულ მსოფლიო ჩემპიონატში გაიმარჯვა. თავად „ბოკას“ კი, უკვე ჰქონდა საკლუბო მსოფლიო ჩემპიონის ტიტული: 1977 წელს, გუნდმა საკონტინენტთაშორისო თასის ფინალში მიუნხენგლადბახის „ბორუსია“ დაამარცხა.

როგორც ცნობილია, დიეგო მარადონამ საფეხბურთო კარიერა „არგენტინის ხუნიორსში“ დაიწყო, მაგრამ 1981 წელს, იგი „ბოკა ხუნიორსმა“ იმდროინდელი არგენტინული ფეხბურთისათვის ასტრონომიულ ფასად შეიძინა. მსოფლიო ფეხბურთის ამომავალმა ვარსკვლავმა „ბოკას“ ნდობა გაამართლა და 160 მატჩში 116 გოლი გაიტანა. იმავე წელს, გუნდმა ქვეყნის ჩემპიონატში გაიმარჯვა. უკვე 1982 წლიდან, დიეგო ესპანურ „ბარსელონაში“ გადავიდა და მშობლიურ „ბოკას“ მხოლოდ 1995 წელს დაუბრუნდა.

„ბოკა ხუნიორსს“ სულ 21-ჯერ აქვს მოგებული არგენტინის ჩემპიონატი, ხოლო ხუთჯერ — ლიბერტადორესის თასი. გუნდი საშინაო მატჩებს ლეგენდარულ „ბომბონერას“ სტადიონზე ატარებს, რომელიც 58740 მაყურებელს იტევს.

დევიდის შემოწმებას მთელი ესპანეთი ადევნებდა თვალს

როგორც იქნა, ბექჰემთა წყვილი მადრიდში ჩავიდა. „სამეფო კლუბთან“ კონტრაქტის გაფორმებამდე, დევიდს აუცილებელი სამედიცინო შემოწმება უნდა გაევლო, რამაც ცხადია, ესპანეთში დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. ერთ-ერთმა მადრიდულმა კერძო კლინიკამ 350 ათასი ევრო გადაიხადა იმაში, რომ უკვე ყოფილი „მანჩესტერელი“ ნახევარმცველის სამედიცინო შემოწმება მათთან ჩატარებულიყო. გარდა ამისა, დამაინტრიგებელი პროცედურის მხილველი, 500 ჟურნალისტი გახდა, რომელთაგან თითოეულმა ამ სანახაობისთვის 10 ევრო გაიღო. სამედიცინო შემოწმების შემდეგ, „რეალის“ მთავარი მწვრთნელი ალფონსო დელ კორალი კმაყოფილებას ვერ ფარავდა: „ის ჩინებულ ფიზიკურ ფორმაში იმყოფება!“ ინგლისელი ვარსკვლავი უკვე წარუდგინეს გულშემატკივრებსა და მასმედიის წარმომადგენლებს. გარდა ამისა, ცნობილია, რომ პირველ მატჩს „სამეფო კლუბის“ შემადგენლობაში დევიდი 16 აგვისტოს – ესპანეთის სუპერთასის ფინალში „რეალისა“ და „მალიორკის“ შეხვედრისას გამართავს. ბექჰემი მადრიდული გრანდის ღირსებას 23-ნომრიანი მაისურით დაიცავს. სხვათა შორის, „რეალისა“ თუ კლუბთან დაკავშირებულ ორგანიზაციათა და საწარმოთა მესვეურებმა უკვე მიიღეს სარგებელი ინგლისელი ვარსკვლავის შეძენით: დევიდის მაისურები მადრიდში დიდი რაოდენობით იყიდება.

ამერიდან, „სტრიპტიზიორი“ ფეხბურთელები დაისჯებიან

ზეპ ბლატერმა კომენტარი გაუკეთა ფიფას აღმასრულებელი კომიტეტის მორიგ დადგენილებას, რომლის თანახმადაც, გოლის გატანით აღტაცებულ ფეხბურთელებს აეკრძალებათ მაისურის გახდა. ბლატერის აზრით, ბოლო წლებში, მოედნებზე ძალიან ხშირად ჩანს შიშველი სხეული. ის ფეხბურთელი, რომელიც ფიფას ახალ კანონს არ დაემორჩილება და კვლავ მოაწყობს „სტრიპტიზს“, ყვითელი ბარათით დაჯარიმდება. აღსანიშნავია, რომ ეს დადგენილება ეხება არა მარტო მამაკაცებს, არამედ ფეხბურთელ ქალებსაც. მაგალითად, ამერიკელი ბრენდი ჩესტეინი ყოველი გატანილი გოლის შემდეგ, პუბლიკას მკერდს უჩვენებდა... ამგვარი აკრძალვა ადრეც – 1996 წელს იყო შემოღებული, მაგრამ შემდეგ გააუქმეს.

ეფენბერგი არ ცხრება

ბრაუნშვაიგის მხარის სასამართლოს დადგენილებით, შტეფან ეფენბერგმა ჯარიმის სახით 100 ათასი ევრო უნდა გადაიხადოს იმის გამო, რომ მან პოლიციელს „უკანალი“ უწოდა. რამდენიმე თვის წინ, ღამით მგზავრობისას, „ბავარიის“ ყოფილმა ნახევარმცველმა სიჩქარის დადგენილ ნორმას 40 კმ/სთ-ით გადააჭარბა, რისთვისაც იგი საგზაო პოლიციის თანამშრომელმა დააკავა. ეფენბერგი გამომწვევად იქცეოდა და ბოლოს, უცენზურო სიტყვითაც შეამკო პოლიციელი – ასეთია ოფიციალური ვერსია. თავად შტეფანის თქმით კი, მან წესრიგის დამცველს მხოლოდ „ძმვიდი და სასიამოვნო საღამოს“ გატარება უსურვა... სხვათა შორის, მსგავსი ინციდენტების გამო, შტეფან ეფენბერგს საზოგადოებასთან თუ სამართლადამცავ ორგანოებთან ადრეც შეჰქმნია პრობლემები. მაგალითად, 2000 წელს, მიუნხენის ერთ-ერთ ღამის კლუბში, ქალისთვის მიყენებული ფიზიკური შეურაცხყოფის გამო, მას 147 ათასი ევრო გადაახდევინეს. იმ პერიოდში, ფეხბურთელი სოლიდურ ხელფასს იღებდა „ბავარიაში“. თუმცა ამბობენ, რომ მას ახლაც შეუძლია, თავაშვებულობის უფლება მისცეს საკუთარ თავს... „ვოლფსბურგიდან“ ეფენბერგის წასვლას ასევე სკანდალი ახლდა თან: შტეფანმა რაღაც ვერ გაიყო კლუბის ხელმძღვანელობასთან. ამჟამად, ეფენბერგი ადრე დაგროვილი ფულითა და ლიტერატურული ნაღვაწით მიღებული ჰონორარებით ცხოვრობს: მისი ავტობიოგრაფიული წიგნი, რომელშიც ძირითადად, სექსსა და ნარკოტიკებზეა საუბარი, ნამდვილ ბესტსელერად იქცა. გარდა ამისა, შტეფანს ახალი პერსპექტივაც გადაეშალა. დედამიწაზე არსებობს ადგილი, საითკენაც, დიდი ფულის შოვნის მიზნით, თითქმის ყველა ვეტერან ვარსკვლავს მიუწევს გული: ცოტა ხნის წინ, შტეფანმა მიწვევა მიიღო კატარიდან.

სვაზილენდში ნარკომან ფეხბურთელებს ებრძვიან

სვაზილენდის საფეხბურთო ნაკრების ხელმძღვანელობამ სამი მოთამაშე მარიხუანის მოხმარებისა და ლუდის დალევის გამო დაითხოვა. ეს ინციდენტი ერთ-ერთი ამხანაგური მატჩის წინ მოხდა, რომელიც სვაზილენდს ლესოტოს გუნდთან უნდა გაემართა. „მაშინ, როდესაც წესიერი მოთამაშეები ლესოტოსთან მატჩის ჩასატარებლად ემზადებოდნენ, მუგანე მაკანმა, სელემურა ვილაკატიმ და სიბუსისო რონალდმა უტიფრად დაარღვიეს რეჟიმი, როდესაც რაღაც ბალახს ეწეოდნენ და ლუდს მიირთმევდნენ, – იუწყება სვაზილენდის საფეხბურთო ასოციაციის წარმომადგენელი. – დისციპლინარული კომიტეტის სხდომაზე მათი დისკვალიფიკაციის გადაწყვეტილება მივიღეთ. ისინი ნაკრებში არასოდეს ითამაშებენ“. სვაზილენდის საფეხბურთო ბოსებმა უკვე შეასრულეს დანაპირები: დადგენილების გამოტანის შემდეგ, ქვეყნის ეროვნული ნაკრების მიერ ჩატარებული მატჩების დროს, ნარკოტიკების მოყვარული ფეხბურთელები მინდორზე არ გამოსულან.

ლუისი და კლიჩკო კვლავ ემუქრებიან ერთმანეთს

პროფესიონალური კრივის სამყაროში კვლავ გრძელდება სჯა-ბაასი ლუის-კლიჩკოს მატჩის შესახებ, რომელიც მეექვსე რაუნდში ბრიტანელმა სუპერმძიმეწონოსანმა ტექნიკური ნოკაუტით მოიგო. შეხვედრის შემდეგ, ლენოქსი აცხადებდა, რომ მომავალ ორთაბრძოლას როი ჯონსთან გამართავდა, ხოლო ვიტალი მატჩ-რევანშს მოითხოვდა. ახლა, ლენოქს ლუისი თანახმაა, კიდევ ერთი შანსი მისცეს მეტოქეს და მატჩ-რევანშში 6 დეკემბერს შეხვდეს ვიტალი კლიჩკოს. „ლოს-ანჯელესში გამართული ორთაბრძოლის წინ, მხოლოდ ათი დღე ვემზადებოდი. ამჯერად, უფრო სერიოზულად მოვემზადები. ჩინებულად ვგრძნობ თავს და რატომ არ უნდა გავუხეთქო მეორე წარბიც ვიტალი კლიჩკოს?!“ – აცხადებს ლენოქსი და ვიტალი კლიჩკოს ძმას, ვლადიმირსაც ცემით ემუქრება. მიუხედავად ამისა, ბრიტანელი მოკრივე არც იმას მალავს, რომ იგი უკვე ასაკოვანია (სექტემბერში, 38 წლის გახდება) და ისე ვეღარ ირჯება რინგზე, როგორც ამას უწინ ახერხებდა. ამას წინათ, მან დადებითად უპასუხა ერთ-ერთი ჟურნალისტის შეკითხვას: ეთანხმება თუ არა იგი მუჰამედ ალის აზრს იმის შესახებ, რომ 36 წლის შემდეგ, სუპერმძიმეწონოსან მოკრივეებს რეგრესი აღენიშნებათ? მართალია, ლუისი თავის რეგრესზე ალაპარაკდა, მაგრამ მისი თქმით, მაინც „60-70%-ითაა დარწმუნებული“, რომ კვლავ გამოიჩენს თავს რინგზე. ამასობაში კი, მასზე შედარებით ახალგაზრდა ვიტალი კლიჩკო, მატჩ-რევანშისთვის ემზადება და აღტაცებას ვერ ფარავს იმის გამო, რომ ბრიტანელი მოკრივე განმეორებითი შეხვედრის გამართვაზე უარს არ აცხადებს. „ამ სიახლით გახარებული ვარ. ამჯერად, ლენოქსს კარიერის მარცხით დამთავრება ემუქრება“, – ამბობს კლიჩკო-უფროსი და უტიფარ ბრიტანელს თავისი ძმის მაგივრადაც პასუხობს: „ორ თვეში უკვე მზად ვიქნები რინგზე გასასვლელად. რაც შეეხება ვლადიმირს – ლუისმა მადლობა უნდა თქვას, რომ ჩემ მაგივრად მას არ შეხვდა, თორემ, უფრო ცუდად წაუვიდოდა საქმე: ჩემი ძმა ხომ ჩემზე გაცილებით ნიჭიერი მოკრივეა“. ■

მუტრე კლიპში გადაიღეს

ცნობილი რუსი ჰოკეისტის, პაველ ბურესათვის სამსახიობო დებიუტად იქცა კატია ლელის მორიგ კლიპში გადაღება, რომელიც მომღერლის ახალ ალბომში შესულ სიმღერაზე შეიქმნა. მოსკოვში ყოფნისას, პაველი თითქმის გაუსვლელად იმყოფებოდა კინოსტუდია „ცენტრნაუჩფილმში“. კლიპში უხვადაა გამოყენებული კომპიუტერული გრაფიკა, რის გამოც ნამუშევრის დასრულებულ სახეს მაყურებელი მხოლოდ ორი თვის შემდეგ იხილავს. აღსანიშნავია ისიც, რომ გადაღებებისას ბურეს არ დასჭირვებია ჰოკიჯოხი ან მუზარადი, რადგან კლიპის შინაარსს ჰოკეისთან არანაირი კავშირი არა აქვს: პაველი და კატია ტელეფონით საუბარს ცდილობენ, მაგრამ ერთმანეთის ხმები არ ესმით... გასული წლის შემოდგომაზე, რუს მომღერალს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა ენრიკე იგლესიასთან, რომელთან ერთად

კლიპის გადაღებასაც აპირებდა. როგორც ცნობილია, ამჟამად, იგლესიასი ანა კურნიკოვას ბოიფრენდია, რომელიც ადრე, პაველ ბურეს საცოლედაც კი ითვლებოდა... კატია ლელს კლიპებში გადასაღებად სპორტსმენები აქამდე არასოდეს მოუწვევია. ბურე მხოლოდ ერთხელ გადაიღეს ვიდეორგოლში, რომელიც NHL-ის ვარსკვლავთა მატჩს ეძღვნებოდა. პაველი ამ კლიპის გადაღებებში იაგრისთან, ლინდროსთან, კარიესთან და გრეტკისთან ერთად მონაწილეობდა. გადაღებები კანადაში მდებარე კლეიმილის ტბის ულამაზეს სანაპიროზე მიმდინარეობდა. ■

პატრიკ იუინგი „ჰიუსტონ როკეტსში“ გადავიდა

ლეგენდარული პატრიკ იუინგი ერთი კლუბიდან მეორეში გადავიდა, თუმცა – არა როგორც მოთამაშე. ჩვენმა მკითხველმა უკვე იცის, რომ NBA-ს ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი „ცენტრი“ შარშან შემოდგომაზე წავიდა დიდი სპორტიდან. მას შემდეგ, იუინგი „ვაშინგტონში“ მთავარი მწვრთნელის თანაშემწედ მუშაობდა და კონტრაქტის პირობების თანახმად, ამ პოსტზე კიდევ ორი თვე უნდა დარჩენილიყო. მაგრამ

იმავე ამპლუაში იგი „ჰიუსტონ როკეტსში“ გადავიდა, რომლის თავკაცის, ჯეფ ვან განდის ხელმძღვანელობით ადრე, „ნიუ-იორკ ნიკზში“ ხუთი წლის მანძილზე თამაშობდა. „პატრიკი ჩრდილოამერიკულ კალათბურთში ერთ-ერთი დიდებული „ცენტრი“ გახლდათ, ამიტომ მისი გამოცდილება გუნდისთვის შეუფასებელი იქნება“, – ამბობს „როკეტსის“ მენეჯერი, კეროლ დოუსონი. როგორც უკვე ცნობილია, იუინგი „ჰიუსტონ როკეტსში“ პერსონალურად იმუშავებს კლუბის შარშანდელ შენაძენთან, ჩინელ იაო მინთან. აქვე შეგახსენებთ, რომ პატრიკ იუინგმა, რომელმაც უკვე გადააბიჯა ორმოცს, NBA-ში 17 სეზონი ჩაატარა და 11-ჯერ მოხვდა „ყველა ვარსკვლავის“ ნაკრებში. ბოლო სეზონში, ის „ორლანდო მეჯიქის“ ღირსებას იცავდა. პატრიკი ყოველ მატჩში საშუალოდ, 21 ქულას აგროვებდა და 9,8 მოხსნას ახორციელებდა ფარქვეშ. 1997 წელს, იუინგი NBA-ს მთელი ისტორიის მანძილზე 50 საუკეთესო კალათბურთელს შორის დაასახელეს. NBA-ში გატარებული კარიერის მანძილზე დაგროვილი ქულების რაოდენობის მიხედვით, იგი მე-13 ადგილზე იმყოფება (24815). 1984 და 1992 წლებში, პატრიკ იუინგი აშშ-ის ეროვნულ ნაკრებთან ერთად, ოლიმპიური ჩემპიონიც გახდა. ■

მონტოია საწოლშიც შეუდარებელი ყოფილა

ყვითელი პრესის წარმომადგენელთათვის მოულოდნელი აღმოჩნდა, რომ Williams-ის პილოტს, ხუან პაბლო მონტოიას თავის ცოლთან, კონისთან ინტიმური ურთიერთობა გაცნობიდან მხოლოდ ექვსი თვის შემდეგ ჰქონია. სწორედ ამის შესახებ აცნობა თავად კონიმ გერმანულ „ბილდს“. „ხუანი ფლორიდაში, Champcar-ის რბოლაზე გავიცანი. როგორც გულშემატკივარმა, ავტოგრაფი ვთხოვე, მან კი შემდეგ, ჩემი ტელეფონის ნომერი დაადგინა. ამით დაიწყო ჩვენი ურთიერთობა, რომელმაც ინტიმური ხასიათი მხოლოდ ნახევარი წლის შემდეგ მიიღო“, – ამბობს მონტოიას მეუღლე, რომელიც იმასაც უსვამს ხაზს, რომ პაბლო ნახევარი წლის წინ დაწყებულ „საქმეშიც“ ისეთივე მოხერხებულია, როგორიც სარბოლო მანქანის საჭესთან: „ის შეუდარებელია, თუმცა – ცოტა ზარმაცი. მას ისევე ვექცევი, როგორც ბავშვს, მაგრამ ის ნამდვილად იმსახურებს ამას...“ ■

ჰოლიფილდმა იქორწინა



სხვადასხვა საკრივო ორგანიზაციის ვერსიით, ოთხგზის მსოფლიო ჩემპიონმა, ევანდერ ჰოლიფილდმა მესამედ იქორწინა. 40 წლის სუპერმძიმეწონოსნის რჩეული, 24 წლის სტუდენტი, კენდი კალვან სმიტია. ქორწინება ქალაქ ფაიეტვილში მოსამართლე მარტა სტეფენსონმა დაარეგისტრირა. „ცერემონიაზე მხოლოდ მე და ეს წყვილი ვიყავით“, – ამცნო სტეფენსონმა ჟურნალისტებს. ■

ირლანდიელი პოლიციელებმი სულით ავადმყოფ სპორტსმენებს დაეძებენ

როგორც ცნობილია, ამას წინათ, დუბლინში გონებრივად განუვითარებელ სპორტსმენთა ოლიმპიური თამაშები ჩატარდა. ამ სპორტულ ღონისძიებას, რომელშიც 160 ქვეყნის 7 ათასამდე სპორტსმენი მონაწილეობდა, გართულებების გარეშე ნამდვილად არ ჩაუვლია. პოლიციას ჯერაც არ უპოვია ნიგერიის გუნდის სულით ავადმყოფი სამი წევრი (მწვრთნელი და მისი ორი აღზრდილი), რომლებიც ოლიმპიადის მსვლელობისას მაღაზიებში სასეირნოდ წასულან და სასტუმროში აღარ დაბრუნებულან. აღსანიშნავია, რომ ოლიმპიადაზე დაკარგული ადამიანების რიცხვი ამით არ ამოწურულა. ღონისძიების დახურვის ცერემონიის შემდეგ აღმოჩნდა, რომ უგზო-უკვლოდ დაიკარგა პაკისტანის გუნდის ერთ-ერთი მწვრთნელიც. მაგრამ ეს კიდევ არაფერი, რადგან გაქცევას სხვებიც ცდილობდნენ. მაგალითად, სუდანის ნაკრების მწვრთნელი მხოლოდ აფრენამდე ორიოდე წუთით ადრე აუყვანიათ თვითმფრინავში... ცნობილია, რომ მსგავს სპორტულ ღონისძიებებზე ღარიბი ქვეყნების წარმომადგენელი სპორტსმენები ხშირად უჩინარდებიან ხოლმე, რათა სამშობლოში აღარ დაბრუნდნენ. ■

ტრულისთვის არც მოდელობაა უცხო

„ფორმულა-1“-ის იტალიელი მრბოლელი, იარნო ტრული პირველად გავიდა პოდიუმზე. მან მაღალი მოდის მილანის კვირეულზე ლაურა ბიაჯოტის მიერ შექმნილი კოსტიუმი წარმოადგინა. სხვათა შორის, ბიაჯოტის მოდელების ჩვენებას ხშირად, სენსაციური ამბები ახლავს თან. მაგალითად, მარტში, მილანის „თეატრო პიკოლოში“ გამართულ ჩვენებაში 23 წლის რუსი მანეკენი მონაწილეობდა; როგორც ფართო მასებისთვის შემდგომში გახდა ცნობილი, იგი მიხაილ გორბაჩოვის შვილიშვილი, ქსენია ყოფილა, რომელიც მას შემდეგ გაიცნო საზოგადოებამ, რაც პარიზის სასტუმრო „კრიონში“ გამართულ, ე.წ. ახალბედათა წვეულებაზე Christian Dior-ის კაბა წარმოადგინა. რაც შეეხება იარნო ტრულის – ის „სიჩქარისა და სინათლის“ თემაზე შექმნილი კოლექციის სიმბოლო გახლდათ. „დაუვიწყარი დღეა! ჩემთვის ეს სრულიად ახალი რამ იყო. მაღალი მოდის კვირეულზე ასეთი ცნობილი დიზაინერის ნამუშევარი წარმოვადგინე! ლაურა ყოველთვის საუკეთესოდ წარმოაჩენდა იტალიურ მოდას. სასიამოვნოა, რომ „ფორმულა-1“-ის თემაზე შექმნილი კოლექციის დემონსტრირებაში მონაწილეობის მისაღებად სწორედ მე მიმიწვიეს. ყველაზე მეტად იმ ადამიანებთან მუშაობა დამამახსოვრდა, რომლებიც ავტორბოლების მოყვარულები აღმოჩნდნენ. გარდა ამისა, ისინი ძალიან თბილი და გულისხმიერი ადამიანები არიან და მინდა საჯაროდ განვაცხადო: „ძალიან მომეწონა! დრო ჩინებულად გავატარე!“ – ამბობს იარნო ტრული. ■

დასაწყისი იხ. „გზა“ №13-27

დაგვიანებული რეისი მოსკოვი-თბილისი

რუსუდან ბერიძე

მომავალ ჟურნალისტ დეა ავალიანს კანონიერი ქურდი გიგოლა გასაქანს არ აძლევს. დეას ძმაც, მკვლელობისთვის ნასამართლევი თემო, გიგოლას უბამს მხარს, რადგან მისგან ძალიან დავალებულია.

თავად დეას საზღვარგარეთ იძულებით გადახვეწილი ბიზნესმენი გურამ ოდიშელიძე მოსწონს, ამიტომ გიგოლას ყველანაირად ერიდება, თანაკურსელ კახა ჯღარკავას უაზრო ტორღიალს კი, საერთოდ არაფრად აგდებს.

კახას, სრულიად უდანაშაულო ბიჭი შემოაკვდება. დეა მის საწინააღმდეგო ჩვენებას მისცემს და კახას მამას — სკანდალურად ცნობილ პარლამენტარ გიზო ჯღარკავას სერიოზულად გადაიკიდებს.

დეას დედა — ელენე, ყველანაირად ცდილობს შვილის საფრთხისგან დაცვას. მაგრამ ქალი ლოგინადაა ჩავარდნილი, მალე გარდაიცვლება კიდეც და დეა მკაცრი რეალობის პირისპირ სრულიად მარტო აღმოჩნდება.

გიგოლა დეას მდგომარეობით სარგებლობს და ყველა ღონეს ხმარობს, რომ თავისი გავლენის ქვეშ მოაქციოს. მალე დეას, რედაქცია, სადაც ის უნივერსიტეტში სწავლის პარალელურად მუშაობს, მივლინებით მოსკოვში გააგზავნის. გიგოლა თვითმფრინავის რეისს დაადგენს და მოსკოვში ჩასულ დეას ჯერ პირდაპირ ტრაპთან დახვდება, მოგვიანებით კი, იმდენად დაახვევს თავბრუს, რომ ლოგინშიც თითქმის უპრობლემოდ ჩაიგორებს...

დეა ახალ მდგომარეობას ვერ ეგუება. ამიტომ უცებ, თბილისში დაბრუნებას გადაწყვეტს და გიგოლას, სასტუმროდან აეროპორტში გაეპარება. მაგრამ გიგოლა ამჯერად, უკვე თვითმფრინავში დაადგება თავზე, თბილისში ჩასვლის შემდეგ კი, შინაც სასწრაფოდ მიაკითხავს: ნარკოტიკების გასაღების გამო ჩავვარდი, ეჭვი შენზეც აქვთ, ამიტომ ცოტა ხნით, მოსკოვში უნდა გადახვიდეო.

მოსკოვში იძულებით ჩასულ დეას, აეროპორტში, გიგოლას ძმაკაცის ნაცვლად, ვილაც სხვა, ძალიან ახალგაზრდა და ლამაზი მამაკაცი ხვდება. ის გიგოლას მოსკოველი საყვარლის, ელა ინწკირველის ვაჟი — დიმა დიბროვი აღმოჩნდება. დიმა დედამისისა და გიგოლას ურთიერთობის ამბავს დეას ჯერ კიდევ გზაში, თითქმის სრულიად დაუფიქრებლად გაანდობს... დეა გიგოლას საყვარლის სახლს დამფრთხალი უახლოვდება...

— ვა, შენ უკვე სახლში ხარ?! — გაუკვირდა დიმას დედის დანახვა. — აკი, უცხოელ სტუმრებს ვერაფრით დავტოვებო?

— გიგი ვის არ დაგატოვებინებს?!. — გაეღიმა დიმას დედას და შემდეგ, პირდაპირ დეას მიმართა: — მობრძანდი, ჩემო კარგო, კეთილი იყოს შენი ფეხი ჩვენს ოჯახში.

— სულ არ დამავიწყდა?! — მაშინვე აჰყვა დიმაც. — დეა, ეს დედაჩემია, ელენა ლევანის ასული ინწკირველი... ისე, შინაურები ელას ვეძახით. ჩემთვის კი, საერთოდაც ელაჩკაა...

— ელაჩკას გაჩვენებ მე შენ!.. — გააწყვეტინა დიმას დედამ და თან დეას ხელი გაუწოდა: — ელა დეიდა დამიძახე, ამ პიჟონს კი, ჩემთვის დედის დაძახებასაც მოვანატრებ...

ამ სიტყვების შემდეგ, ელა განზე გადგა და დეა და დიმა შინ შეუშვა. დიმამ ჩემოდნები კუთხეში მიდგა და დეას მომსახურებას შეუდგა: ჯერ ჩანთა ჩამოართვა, შემდეგ პალტოს გახდაშიც მიეხმარა. ელამ კი, შესასვლელში მდგარი ტუმბოდან ახალთახალი და თან, ძალიან ლამაზი ჩუსტებიც გამოუწყო. დეამ ჯერ ჩუსტებს დახედა, შემდეგ — თავის ჩექმებს...

— თუ გინდა, ჩექმას ჯერ ნუ გაიხდი, — დეას დაბნევის მიზეზს მაშინვე მიხვდა დიმა და შემდეგ, ელას მიუბრუნდა: — აცალე, რა, დედა, სული მოითქვას!

— კი, ბატონო... — შეცბა ელა — უბრალოდ, ფეხს დაასვენებდა...

— კარგი, რა... ხომ იცი, ეგ აქაური, მოსკოვური „ზამაშკებია“! — არ ცხრებოდა დიმა. — თორემ, თბილისში აბა, რომელი მასპინძელი ეცემა სტუმარს ჩუსტებით?..

— შენთან კამათის თავი ნამდვილად არა მაქვს... — ჩუსტების ისევ ტუმბოში შეწყობა დააპირა ელამ, მაგრამ დეამ აღარ აცალა:

— მომეცით, ელა დეიდა, ახლავე გამოვიცვლი. მართლაც, უფრო დავისვენებ.

კმაყოფილმა ელამ ჩუსტები მაშინვე დეას გადაულოცა და თავად, სამზარეულოს მიაშურა, თან, გზადაგზა, ბრძანებაც გასცა:

— ხელები დაიბანეთ და სუფრას შემოუსხედით!

— ჯერ რა დროს სუფრაა, დედა? ცოტა მაინც ამოგვასუნთქე! ხომ გითხარი, კაფეში შევიარეთ-მეთქი?! — ისევ აყაყანდა დიმა.

— კაფეში, თორემ, ტაფამწვარს მოგართმევდნენ!.. — მაინც არ შეეპუა ელა. — არ ვიცი, შენი გიჟი თავის ამბავი?! ამ ანგელოზივით გოგოს რამე ეგზოტიკური სისულელის ჭამას აიძულებდი...

— ვაიძულებდი?!. მე-ე?! — ხელები ჯერ არტისტულად გაშალა და შემდეგ გულზე მორჩილად გადაიჯვარედინა დიმამ, თან, დეას ეშმაკურად ჩაუკრა თვალი: — დედას გეფიცები, ყველაფერი საკუთარი სურვილით გასინჯა... ის კი არა და, ეტყობა, შერცხვა, თორემ რეპეტესაც მომთხოვდა...

— აბა, ახლა, მორჩი თავის აგდებას! — გააწყვეტინა ელამ. — ორივემ ხელები დაიბანეთ და марш к столу!

— ხომ ხედავ, რა ტერორში ვყავარ?! — „მრავალტანჯული“ მზერა ესროლა დიმამ დეას. — კი, მე შვილი ვარ და უნდა გავუძლო, მაგრამ ატყობ, რომ უკვე შენზეც გადმოვიდა?..

— ვერა, ვერ ვატყობ, — მშვიდად მიუგო დეამ.

— გასაგებია... — თვალები გამომცდელად მოჭუტა დიმამ. — უკვე პირი შეკარით, ხომ?.. ვნახოთ, ვნახოთ, ვისი აჯობებს...

— დიმა, მორჩი-მეთქი სისულელეებს და აჩვენე დეას, ხელი სად დაიბანოს! — უკვე სამზარეულოდან გამოსძახა ელამ შვილს და სწორედ იმწუთას, სასტუმრო ოთახში ტელეფონიც აწკრიალდა. დიმა მაშინვე ოთახში შევარდა და ყურმილს დასწვდა...

— Да... ა-ა, გიგი შენა ხარ?.. კი, კი, უკვე მოვედით... ვინ?.. დედა?.. სად იქნება?! — სამზარეულოს აფეთქებს... ახლავე დაგალაპარაკებ... დედა! — გამოსძახა შემდეგ მან ელას. — გიგი გირეკავს...

— ამ კაცმა კიდევ, ხომ შემჭამა დღეს! — სამზარეულოდან ტილოზე ხელების მშრალებით გამოვიდა ელა და ყურმილი ჩამოართვა დიმას:

— გისმენ... რა იყო?.. ხომ გითხარი — მე არ შემეძლო-მეთქი!.. ანდა ამას რა ისეთი პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა, ვერ გავიგე... მთავარია, რომ ბავშვი მშვიდობიანად ჩამოფრინდა და უკვე ჩვენთან არის... კი, ბატონო, თვითონ დაელაპარაკე... — ჩასძახა ყურმილში გაღიზიანებულმა ქალმა და თან, დეას მიუბრუნდა: — შენი ნათესავი დღეს აშკარად მარცხენა ფეხზეა ამდგარი... მგონი, თვითონაც არ იცის, რაზე ბრაზობს... დაელაპარაკე ერთი, იქნებ, შენს ხმას რომ გაიგებს, მაშინ მაინც დამშვიდდეს...

დეამ მორიდებით ჩამოართვა ყურმილი და ხმადაბლა თქვა:

— ბატონო...

— რას შვრები? როგორა ხარ? — მოისმა ყურმილში გიგოლას ყრუ ხმა.

— არა მიშავს... — ნერვიულობისგან ხმა კინაღამ საერთოდ ჩაუწყდა დეას, მაგრამ ბოლო წამს, თავს მაინც მოერია. — თავად როგორ გიკითხო?

— აბა, უშენოდ მე რაღა საკითხავი ვარ?! — მაშინვე თავის მოკატუნებაზე გადავიდა გიგოლა, მაგრამ დეამ გააწყვეტინა:

— ტოლიკა რატომ არ დამხვდა აეროპორტში?

— რა ვიცი, აბა... — დაიბნა გიგოლა. — ეტყობა, ბოლო წუთს, რაღაც ისეთი საქმე გამოუჩნდა, რომ ვეღარ მოახერხა... ისე, მობილური რატომღაც გამორთული აქვს და მაგის სახლშიც არავინ იღებს ყურმილს... თანაც, სასტუმროში მარტო ყურყუტს, ელასთან ყოფნა არ გირჩევნია?..

— არა! ნამდვილად არ მირჩევნია! — უცბად კბილებში ბრაზიანად გამოცრა დეამ.

— რატომ? — ხმაში შეშფოთება დაეტყო გიგოლას.

— იმიტომ!..

— გასაგებია... — ჩაიღმუვლა გიგოლამ. — მაგ ლაწირაკმა უკვე ყველაფერი ჩაგიკაკლა, ხომ?.. უხ, მე მაგისი... მაინც რაო, რა გითხრა?

— შენთვის ახალი, ალბათ არაფერი...

— შენთვის?..

— ჩემთვის მოსკოვში ყველაფერი ახალი და საინტერესოა, თანაც...

— მისმინე... — გააწყვეტინა გიგოლამ. — დიმას ყური არ დაუგდო. რაც არ უნდა გითხრას, იცოდე, რომ ყველაფერი შენამდე იყო... რაც ჩემს ცხოვრებაში გამოჩნდი, მე სხვა ქალი აღარ მყოლია...

— მართლა? — ხმაში ირონია გამოურია დეამ.

— მართლა! და არც შენ გაბედო სხვისკენ გახედვა, თორემ... არ გაცოცხლებ, იცოდე!.. ახლა კი, მიდი, ისევ ელას დაუძახე, რაღაც უნდა დავაზუსტო...

— ვის დავუძახო? — გესლიანად ჩაეკითხა დეა. — ელა დეიდას?

— ჰო, ელა დეიდას! — საბოლოოდ გაცოფდა გიგოლა. — უთხარი, გიგოლა ბიძია გეძახის-თქო!..

— ახლავე! — აშკარად გახალისდა დეა და სამზარეულოში შებრუნებულ ელას მართლა გასძახა: — ელა დეიდა, გიგოლა ბიძიას ისევ თქვენ უნდიხართ...

სადილის შემდეგ, ელამ ახალგაზრდები მარტო დატოვა და თავად, რაღაც დოკუმენტებზე სამუშაოდ, საძინებელში ჩაიკეტა. დიმა და დეა კი, სუფრასთან კიდევ კარგა ხანს ისხდნენ. დიმა ათას სისულელეს ჰყვებოდა, რაზეც დეას ჯერ თავშეკავებულად ეღიმებოდა, შემდეგ კი, მხიარულ კისკისზეც გადავიდა. უცბად, დიმამ მის წინ ჩაიმუხლა და ორივე ხელი დაუჭირა:

— იცი, სიცილი როგორ გიხდება?!.

— ვიცი... — მოჩვენებითი სიმშვიდით უპასუხა დეამ და თან, ხელების გამოთავისუფლებას შეეცადა, მაგრამ დიმამ არ გაუშვა:

— ის თუ იცი, რომ უკვე სიგიჟემდე მომწონხარ?

— ვხვდები...

— მერე?

— რა მერე?..

— რა ვქნათ?

— რა უნდა ვქნათ?.. — უხერხულად შეიშმუშნა დეა. — რაც უფრო მეტ ადამიანს მოეწონება ერთმანეთი, მით უკეთესი...

— მართლა? — გახალისდა დიმა და დეას ჯერ ხელისგულები დაუკოცნა, შემდეგ ნიკაპი მუხლებზე ჩამოაყრდნო და ჩურჩულზე გადავიდა: — ცოტა შენც მომეფერე, რა, ძალიან გეხვეწები...

— არ შემიძლია... — ჩურჩულითვე უპასუხა დეამ.

— რატომ? — გაუკვირდა დიმას.

— რომ გამიგონ, მომკლავენ...

— რას გიზამენ?! — უცბად, უკან გადაქანდა თვალებგაფართოებული დიმა. — რას ჰქვია, მოგკლავენ?!. ვინ მოგკლავს?.. რატომ?..

დეამ გაოგნებულ დიმას ცოტა ხანს კიდევ უცქირა და შემდეგ ნელ-ნელა ფეხზე წამოიმართა:

— მოდი, რა, მოვრჩეთ ამ სისულელეს...

მაგრამ დიმამ დეას სიტყვებს ყურადღება აღარ მიაქცია, თავადაც მაშინვე ფეხზე წამოხტა, ერთი ხელი წელზე შემოახვია, მეორით ნიკაპი დაუ-

ჭირა და ტუჩებზე დააცხრა. დეამ ერთი კი გაიბრძოლა, მაგრამ მალევე გაყუჩდა. დიმა კი ისევ ვნებიანად კოცნიდა და გაშმაგებით იკრავდა გულში.

— წამო, რა, ჩემს ოთახში... — ჩასჩურჩულა მან შემდეგ.

— არა! — როგორც იქნა, გამოერკვა დეა და დიმას მკლავებიდან თავის გამოხსნა სცადა.

— წამო, რა, გთხოვ, თორემ დავიბრიდე და ეგ არის... — უკვე ციებიანივით ჩურჩულებდა დიმა და თან, დეას კარისკენ უბიძგებდა... უცბად, ტელეფონი აწკრიალდა.

— უხ, შენი!.. — შეუკურთხა დიმამ ვიღაცას და დეას სასწრაფოდ უშვა ხელი.

დეა მაშინვე სავარძელში ჩაეშვა და თავი ხელებში ჩარგო. ტელეფონმა ისევ დარეკა.

— დიმა, დაყრუვდი თუ რა არის?! უპასუხე! — გამოსძახა საძინებლიდან ელამ.

— გამო, რა, შენ უპასუხე. მე აღარავის თავი არა მაქვს... — დეას პირდაპირ, მეორე სავარძელში ჩაენარცხა დიმა და შუბლზე ჩამოშლილი ქოჩორი გაისწორა.

ელამ საძინებლის კარი ბრაზიანად გამოიჯახუნა, რამდენიმე ნაბიჯით სასტუმრო ოთახში გაჩნდა და ყურმილს დასწვდა:

— Алло, слушаю! — ჩასძახა მან ყურმილში და მაშინვე ქართულზე გადავიდა: — ა, ისევ შენა ხარ?! რა იყო, გიგი, მართლა და მართლა, შენი თქმისა არ იყოს, რა ბეჭი ამოიგდე?

— ელა, მისმინე! — ყვირილზე გადავიდა გიგოლა. — ახლა საყვედურების დრო არ არის, ცუდი ამბავი მოხდა!

— რა ამბავი? — ფერი ეცვალა ელას.

— ახლა მანდ ისტერიკები არ დაიწყო და დეა არ დამიმანდრაჟო...

— ჰო, კარგი, დროზე მითხარი!

— იცოდე, არაფერი შეიმჩნიო: დღეს დილით, ტოლიკა ჩაუცხრილავთ...

— რას მეუბნები?! — ფერი ეცვალა ელას და სავარძელში მიყუჩებულ დეასა და დიმას დამფრთხალმა გადახედა, მაგრამ მალევე დაწყნარდა: ორივე საკუთარ ფიქრებში იმდენად იყო ჩაძირული, რომ ეტყობა, საერთოდაც არაფერი ესმოდათ...

— სასტუმროს წინ დახვედრიან... — განაგრძო გიგოლამ. — მანქანიდან გადმოსვლაც კი ვერ მოუსწრია, ისე ჩაცხრილეს...

— იქ რა უნდოდა?

— მე დავურეკე, დეას ნომერი აუღეთქი...

— ა-ა, სულ დამავიწყდა... ოჯახმა იცის?

— კი... მაშინვე ბადრისთვის დაურეკავთ... მეც ბადრიმ გამაგებინა...

— გასაგებია... — თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა ელამ. — ჩვენ რა უნდა ვქნათ?

— თქვენ — არაფერი! ჰო, მართლა, დეას უკვე სძინავს? — დაინტერესდა უცბად გიგოლა.

— ჯერ არა. დაგალაპარაკო?

— არა. უბრალოდ, გააფრთხილე, რომ მარტომ გარეთ ფეხი არ გაადგას.

— აბა, დაცვას ვინ დაუყენებს?

— ვინ და შენ.

— ვერ გავიგე?! — ტელეფონის ყურმილი რატომღაც, მეორე ყურზე მიიდო გაღიზიანებულმა ელამ.

— რა ვერ გაიგე? ქუჩაში შენთან ერთად იაროს ხოლმე...

— მაშინ ჩათვალე, რომ შინიდან ფეხი საერთოდ ვერ გაუდგამს და ეგაა...

— რატომ?

— იმიტომ, რომ მე და ქუჩაში ფეხით სიარული?! დაგავიწყდა, რომ მანქანიდან თითქმის არ გადმოვდივარ?.. მოდი, იცი, რა?.. დიმას ჩავაბარებ და...

— დიმამ თავის ბოზებს მიხედოს! — ჩაიღმუვლა გიგოლამ. — რაც გითხარი, ის გააკეთე: დეა უშენოდ არსად გაუშვა! შენ თუ ვერ მოიცლი, მაშინ იჯდეს სახლში და ტელევიზორს უყუროს ან წიგნები იკითხოს... — და გიგოლამ ყურმილი დაკიდა.

— ეს კაცი, მგონი, მართლა გადაირია, — მიუბრუნდა უცბად ელა დიმას და თან, ტელეფონის ყურმილი თავის ადგილზე მშვიდად დააბრუნა.

— რაო, რა მინდაო? — დაინტერესდა დიმაც.

— რა და დიმა ახლოს არ გაეკაროს დეას, ის ურჩევნია, თავის ბოზებს მიხედოსო...

— თორემ, თავად კი რამეს იკლებს, აი!.. — უცბად გაცოფდა დიმა.

— თავს ნუ იგდებ! — შეუტია ელამ შვილს. — Гиги в таких делах очень разборчив, შენ კი...

— რა მე, რა?! — უცებ ღრიალზე გადავიდა დიმა და თან, დეას გადახედა...

დეას დედა-შვილის რუსულ-ქართული დიალოგები უკვე ნერვებს უშლიდა, თუმცა გარეგნულად არაფერს იმჩნევდა და არც საუბარში ჩართვა უცდია...

— წავალ, შხაპს მივიღებ, თორემ, გაგიჟებას აღარაფერი მიკლია! — უცბად, ფეთიანივით წამოხტა დიმა და ოთახიდან გავარდა.

— აი, ხომ ხედავ, ჩემო დეა... — მიუბრუნდა ელა დეას. — საკმარისია, რამე არ მოეწონოს, რომ მაშინვე ყვირილზე გადადის... არადა, კაცია უკვე, ცოტა მეტი პასუხისმგებლობა არ უნდა იგრძნოს?! მამამისს მაგის ასაკში უკვე ცოლ-შვილი ჰყავდა და ოჯახსაც თვითონ არჩენდა. ეს კი... ორ დღეში, 23 წლის ხდება და ჯერ თითზე თითი არ დაუკარებია...

— რამდენის ხდება? — ჩაეკითხა უცბად, გაოცებული დეა.

— ოცდასამის... რა იყო?.. ასე რამ გაგაკვირვა?..

— თვითონ რომ მითხრა, ოცდარვის ვხდებიო?..

— ღმერთო, რა მეშველება! — თავში ხელი შემოირტყა სავარძელში მოკუნტულმა ელამ. — მაინც, რამდენ სისულელეს იგონებს ეს ბიჭი?! ასაკის მომატება რაღა ახირებაა, ვერ გავიგე!

— რა და დიდი ბიჭი მინდა, ვიყო! — ქალებს უცბად წამოადგა თავზე წელამდე შიშველი დიმა.

დეამ დიმას დაკუნთულ სხეულს თვალი ვეღარ მოაცილა.

— მერე ვინ გიშლის?! იყავი! დაკაცდი, ბოლოს და ბოლოს! — ისევ შეუტია შვილს ელამ.

— ვინ მიშლის და შენ! შენი ნება რომ იყოს, დღესაც, მოკლე შარვალს ჩამაცვამდი და ქუჩაში ხელჩაკიდებულს მატარებდი... — აღარც დიმამ დათმო პოზიციები.

— არა, შენთან ლაპარაკი შეუძლებელია... — ფეხზე წამოდგა ელა. — დეა, წამომყევი, შვილო, ლოგინი გამომაწყობინე... ეს აუტანელი ადამიანი დროზე დავაწვინოთ, თორემ, ჭკუაზე შემშლის... შენ მერე მოგხედავ...

— სტუმარი სად იძინებს? — უცბად დაინტერესდა დიმა.

— სად და შენს ოთახში. შენ კი, „ზალაში“ გაგიშლი, ტახტზე...

— ხედავ?! — თვალი ეშმაკურად ჩაუკრა დეას დიმამ. — ჩემს საძინებელს

გითმობენ... ოღონდ, გაფრთხილებ, შეჩვევა იცის... ვინც კი ჩემს საწოლში ერთხელ ჩაწვა, ადგომა აღარ უნდოდა...

— შენ გგონია, ხუმრობს? — მისი ნათქვამის განვრცობა სცადა ელამ.

— არ დაიწყო, რა, გეხვეწები!.. — გააწყვეტინა დიმამ, მაგრამ ელამ შვილს ყური აღარ მიუგდო...

— მარტო თბილისიდან ერთი ოცი გოგო მაინც ჰყავს „ჩამოზიდული“...

— „ბესპონტა“ გოგოები თუ?.. — დაინტერესდა დეა და თან, ღიმილით გადახედა დიმას...

— არა, ისე, თბილისიდან ძირითადად, წესიერი ბავშვები ჩამოდიან ხოლმე, — დაუდასტურა დეას ელამ, — მაგრამ მე ამით რა შეღავათი?! ხანდახან, კვირაში, ხუთი-ექვსი სტუმრის მიღება-გასტუმრება არ გინდა?!.

— დედა! — უყვირა უცბად დიმამ. — აბა, ეგ რა ლაპარაკია?! ხომ შეიძლება, დეამ იფიქროს — ჩემი მიღებაც ეზარებაო?!

— სულ ტუილად ღელავ! მე და დეა ურთიერთობას უშენოდაც გავარკვევთ... — დაამშვიდა ელამ შვილი...

დიმამ დაბადების დღე ერთ პატარა მყუდრო რესტორანში აღნიშნა. საკმაოდ მოზრდილ და სასმელ-საჭმლით გვარიანად დატვირთულ სუფრას კარგა ხანს, მარტო სამნი: დიმა, ელა და დეა უსხდნენ.

— ესეც შენი დაქალ-ძმაკაცების ზრდილობა! — ბუზღუნებდა ელა. — სად არიან ამდენი ხანი?!

— დედა, შეირგე, რა, ცოტა ხანს, ეს სიმშვიდე, — ამშვიდებდა დიმა, — თორემ მალე, აქ ისეთი ამბავი „აიწევა“, რომ...

— ისე მაშინებ, თითქოს მაგათი სიგიჟე ჯერ არ მენახოს... მე მინდა, დროზე წავიდეთ აქედან...

— რას ჰქვია, წავიდეთ? დეას ვინღა გატანს?!

— სულ შენ შეგეკითხები! ან ამ ანგელოზივით გოგოს შენს ნაგიჟრებს დავუტოვებ...

ამ სიტყვების თქმა იყო და რესტორანში ჟივილ-ხივილით შემოვარდა ათიოდე გოგო-ბიჭი... დიმა მაშინვე მათ შესახვედრად წამოხტა. ელა კი, ადგილიდან არ დაძრულა და დეასაც ანიშნა, იჯექიო...

სუფრასთან ჩამწკრივებულმა ახალგაზრდებმა ელა რიგრიგობით გადაკოცნეს, ვაჟებმა ინტერესით, გოგონებმა კი ამრეზით გადახედეს დეას და ყველანი სუფრას მიუსხდნენ. თუმცა, მუსიკის პირველი ჰანგების აჟღერებისთანავე, ისევ აიშალნენ და ცეკვა დაიწყეს. დიმამ საცეკვაოდ დეა გაიწვია, მაგრამ თავაზიანი უარი მიიღო და წამში, სუფრის ყველაზე გრძელფეხება ლამაზმანის მკლავებშიც აღმოჩნდა.

— შეხედე ერთი, როგორ ეწებება!.. — გადაულაპარაკა ელამ დეას. — არა, რა... რუსი ქალი ოჯახში არ შეიშვება!.. შენ ასე არ ფიქრობ?

— რა ვიცი, აბა... — მხრები ბავშვივით აიჩეჩა დეამ.

— იმიტომაც მინდა, რომ ჩემს დიმას ქართველი გოგო შევრთო... — აზრის განვითარებას განაგრძობდა ელა. — მართალია, დღეს, ქართველებიც აღარაფერს იკლებენ, მაგრამ რა არის, იცი?.. ქართველი გოგო ხელიდან როგორც არ უნდა წავიდეს, ასეთი „პრასტუშკა“ მაინც არ გახდება. — ალმაცერად გადახედა ახლა უკვე სუფრასთან მჯდარი დიმას კალთაში მოკალათებულ გრძელფეხებას ელამ და ისევ დეას მოუბრუნდა: — შენ თბილისში გყავს ვინმე?

— ვის გულისხმობთ? — ვითომ ვერ გაუგო დეამ.

— ნუ, რა ვიცი... შეყვარებულს... საქმროს...

— არც ერთი მყავს და არც მეორე, — როგორც იქნა, დააკმაყოფილა ელას ცნობისმოყვარეობა დეამ.

— რატომ მერე? ასეთი მშვენიერი გოგო მარტო რატომ უნდა დადიოდე?!

— რა ვიცი, აბა... — სევდიანად გაეღიმა დეას. — ეტყობა, ჩემი ბედი ჯერაც ტივით მოდის...

— ხომ არ დაგვეჩქარებინა?! — ეშმაკურად გაეღიმა ელას.

— როგორ? — ისევ თავი მოიკატუნა დეამ.

— როგორ და... დიმაზე რას იტყვი?

— რა უნდა ვთქვა?! — დიმა კარგი ბიჭია... — დაიწყო დეამ, მაგრამ ელამ მაშინვე გააწყვეტინა:

— ჰოდა, თუ ეგრეა, მიდი და სასწრაფოდ, საცეკვაოდ გაიწვიე, თორემ, ეგ გოგო იმდენს იზამს, რომ ამაღამ დიმას ლოგინშიც ჩააგორებინებს თავს... თუმცა, შეიძლება, დიმამ შენი ხათრით დღეს ეს მაინც არ გააკეთოს...

— ჩემი ხათრით? — სახეზე სიწითლემ გადაჰკრა დეას. — კი, მაგრამ მე რა შუაში ვარ?!.

— კარგი, რა, თავს ნუ იკატუნებ... — შეუძახა ელამ. — შენ გგონია, ვერ ვხედავ, დიმა როგორ გიყურებს?!. ისე, მთლად გულგრილი არც შენ უნდა იყო — ასე არ არის?..

ის იყო, დეამ რაღაცის სათქმელად პირი დააღო, რომ მოულოდნელად თავს წამომდგარი დიმა ქორივით დააცხრა, ფეხზე წამოაგდო და საცეკვაოდ თითქმის ძალით გაიტაცა...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ღვთის შეწევნით, ჩვენ მონიჭებული გვაქვს სიტყვის თავისუფლება, სინდისის თავისუფლება; მაგრამ ჩვენ გვაქვს აგრეთვე გონიერება, რომელიც გვკარნახობს, რომ უმჯობესია, ნაკლებად გამოვიყენოთ ისინი...

მარკ ტვენი

ფრაზეებ

გენიალური

ვნების კვირაში ჩაბარული ფაფალდაბული სიყვარული

21 წლის ასაკში პეტრარკა უკვე მშვენიერი ლაურას სიყვარულით იტანჯებოდა. ვინ იცის, იქნებ ახალგაზრდა ქალი პოეტისაგან არა მარტო ლექსებში შესხმულ ხოტბას ელოდა?!

სპილენძის ბრტყელძირიანი თასის ფსკერზე მისი სახე აირეკლა. ვერაფერს იტყვი, ლამაზი ყმაწვილია, — თხელი, სწორი ცხვირი, დახვეწილი მოყვანილობის ტუჩები, დიდი, მეტყველი თვალები, სასიამოვნო შეფერილობის ხორბლისფერი სახის კანი, რომელიც განსაკუთრებით კარგად ერწყმის მოფერფლისფრო, ხვეულ კულულებს. მაგრამ აქვს კი მნიშვნელობა გარეგნულ სილამაზეს, როცა სულს სიმშვიდე ვერ მოუპოვებია და შფოთავს?

გზა, რომელსაც უნდა ჩასწვდე

ფრანჩესკომ სურიდან თასში წყალი ჩაასხა და ხელის მტევნები გრილ, სუფთა სითხეს ფრთხილად შეახო. აი, ახლა ის დაიბანს, დაივარცხნის და სანტა-კიარას ეკლესიაში წირვაზე წავა. ავინიონში უამრავი სხვა ტაძარია, მაგრამ უფლის წინაშე ცოდვების მონანიება და სულის განწმენდა მას რატომღაც სწორედ ამ ძველ სალოცავში მოუნდა... რა ცოდვის მონანიებას აპირებდა ის? სამწუხაროდ, ფრანჩესკოს თავადაც ვერ გაერკვია მიზეზი, თუ რატომ დაეუფლა საკუთარი თავით უკმაყოფილების ამაზრზენი გრძნობა, რომელიც ბოლო დღეებში ასე ტანჯავდა და თრგუნავდა მას. იქნებ, ყოველივე უკანასკნელ ხანებში თავაშვებული ცხოვრების ბრალი იყო? მაგრამ ბოლონიის უნივერსიტეტის, რომელიც მან წლინახევრის წინ დაამთავრა, არც ერთი სტუდენტი, თუ კურსდამთავრებული ხომ მონაზვნური ცხოვრებით არ ცხოვრობს. მართალია, ის მეგობრების გასამხიარულებლად ფრივოლური ხასიათის ლექსებს თხზავს, მაგრამ ეს ხომ სრულიად ბუნებრივია მაღალი წრის ახალგაზრდა, თავმომწონე ყმაწვილისთვის, რომელიც ყოფას უსასრულო დღესასწაულად აღიქვამს და ირგვლივმყოფებსაც უხალისებს ცხოვრებას?!

თუმცა... თითქმის შვიდი წლის წინ, როცა დედა გარდაეცვალა და ამის გამო თხუთმეტი წლის ფრანჩესკო სასტიკად იტანჯებოდა, მან დედის ხსოვნას ლექსები უძღვნა (იმხანად ფრანჩესკომ დედის მიერ განვლილი ცხოვრების წლების მიხედვით, 38 მოზრდილი ლექსი მიუძღვნა მას) და ამით, დიდი შვება და სიხარული მოჰგვარა საკუთარ სულს. დიახ, დიახ, სიხარული, მიუხედავად გლოვისა და დედის გარდაცვალებით მოგვრილი სიცარიელისა! იქნებ, იმხანად მისი სულიერი ცხოვრება იმგვარი გახლდათ, როგორიც უფალს სურდა? ახლა მისი სული, საერთოდ აღარ ცოცხლობს: სჭირდება კი, ასეთი მგრძნობიარე სუბსტანცია გიჟმაჟ, ქარაფშუტა პოეტს? ასე რომ, ფრანჩესკო პეტრარკას ცხოვრებაში დადგა მომენტი, როცა მან უნდა აირჩიოს ის გზა, რომელიც საკუთარი თავის პოვნაში დაეხმარება... ყმაწვილმა უკანასკნელად გადაისვა ხელი დავარცხნილ თმაზე და სახლის ზღურბლს გადააბიჯა. იდგა 1327 წლის 6 აპრილი — ვნების კვირის ორშაბათი.

უცნობი კრიალოსნით ხელში

მზით გაჩახჩახებული ქუჩიდან ნახევრად ჩაბნელებულ ტაძარში მოხვედრისას ფრანჩესკომ თვალები მოჭუტა. როცა საგნების აღქმის უნარი კვლავ დაუბრუნდა, პირველი, რაც გაარჩია სანთლების ალის ლიცლიცი იყო, შემდეგ კი ირგვლივმყოფთა დანახვაც შეძლო. ტაძარში დაახლოებით ორი ათეული ადამიანი იყო — ძირითადად, ქალები და ბავშვები. მის გვერდით, ორიოდე მეტრში კი იდგა მანდილოსანი. იქნებ, მოზარდი გოგონა? ღია ფერის, ფართო სამოსი ვერ ფარავდა მის კენარ ტანს, პატარა თითებით კრიალოსანს მარცვლავდა. უცნაურია, მაგრამ ფრანჩესკოს მისი სიახლოვე აშკარად აღელვებდა. უფლისადმი აღვლენილი ლოცვაც ისე ჩაამთავრა, რომ ახალგაზრდა ქალისთვის თვალი არ მოუშორებია (ფრანჩესკომ ბოლოს და ბოლოს გაარჩია, რომ ის არც ბავშვი იყო და არც მატრონა. ეს გახლდათ ახალგაზრდა, ლამაზი, დახვეწილპროფილიანი ქალი). წირვის დამთავრების შემდეგ, ის კვალდაკვალ გაჰყვა უცნობს. ფრანჩესკოს სულში რაღაც მოხდა — მან უცნაური თრთოლა იგრძნო! ყმაწვილს ეჭვიც აღარ ეპარებოდა, რომ შეყვარებული იყო, მაგრამ ვინ არის ეს მშვენიერი უცნობი? ვისი ქალიშვილია? მთავარი იყო მხედველობიდან არ დაეკარგა ის და მის შესახებ ყველაფერი გაერკვია.

სამწუხაროდ, ახალგაზრდა პოეტმა ვერ დაადგინა, ვისი ქალიშვილი იყო უცნობი. სამაგიეროდ, მას აცნობეს, ვისი ცოლიც გახ-

ლდათ ქალი. მშვენიერი უცნობის მეუღლე ბედნიერი ჰუგო დე სადი აღმოჩნდა. ამ მოულოდნელი ამბის მოსმენით გაოგნებული ფრანჩესკოს სული კი აღარ თრთოდა — უნაყოფო სიყვარულის ბადეში ფრთხიალებდა და სისხლისაგან იცლებოდა! უიღბლო სიყვარულით გამოწვეული ტანჯვა სულმა ველარ დაიტია და პოეტის გრძნობები ბრწყინვალე, სამივჯნურო ლირიკულ ლექსებში აისახა, სადაც მივჯნური ხოტბას ასხამდა იმ წამს, წუთს, დღეს, წლის დროს, თვესა და წელიწადს, როცა ის მშვენიერი ლაურას ტყვედ იქცა.

არავინ იცის, ამ სტრიქონების შექმნისას აცნობიერებდა თუ არა გიუმაჟი, ქარაფშუტა ხასიათით ცნობილი ახალგაზრდა პოეტი იმას, რომ მათი შეხვედრის დღე, მართლაც უმნიშვნელოვანეს მოვლენად იქცეოდა მის ცხოვრებაში. და არა მარტო მის — არამედ მისი დამატყვევებელი ქალის ცხოვრებაშიც — რადგან ფრანჩესკო პეტრარკას მშვენიერი ლაურა დე ნოვისათვის რომ არ მიეძღვნა უკვდავი ლექსები, მისი მოკრძალებული არსებობის შესახებ ხომ ვერავინ ვერაფერს შეიტყობდა.

თუმცა, ჯობს, დაუბრუნდეთ ჩვენს გმირებს. უფრო სწორად, ამჯერად ლაურას შესახებ შევიტყოთ უფრო დაწვრილებით... რაღა თქმა უნდა, მან ეკლესიიდან წამოსვლისას უკან აღევნებული უცნობი ყმაწვილი შეამჩნია. შინისაკენ მიმავალ გზაზე ის საკუთარ კეფაზე აშკარად გრძნობდა ფრანჩესკოს მზერას. იმ დღეს ლაურას ფიქრები მხოლოდ მომხიბვლავ უცნობს დასტრიალებდა თავს. ღამის ლოცვაც უფრო მხურვალედ აღავლინა, ვინაიდან გრძნობდა, რომ მომხიბლავ უცნობზე ფიქრით სცოდავდა! მისი მეუღლე, რაინდი ჰუგო დე სადი, გულში გავლებულ ღალატსაც კი არ იმსახურებდა. მართალია, ჰუგო ალერსიანობითა და გულუხვობით დიდად არ გამოირჩეოდა, მაგრამ უხეშად არასოდეს ექცეოდა მას, ბავშვებზეც ისე ზრუნავდა, როგორც სხვა არავინ. ამიტომ, ღმერთია მოწამე, რომ თავადაც ქმრის მორჩილი, სათნო მეუღლეა და ყველანაირად ეცდება, გონებიდან ამოიგდოს იმ უცნობი, თავხედი ყმაწვილის ხატება! მაგრამ გავიდა რამდენიმე დღე და ახალგაზრდა ქალი კარგად ნაცნობი გზით, ფეხებმა თითქოს თავისით მიიყვანეს სანტა-კიარას ეკლესიაში.

ბედნიერების ამაო მოლოდინი

რაღა თქმა უნდა, ფრანჩესკო ტაძარში თავის უწინდებურ ადგილას იდგა. ღმერთო, როგორ გაფითრდა მის დანახვაზე! მშვენიერმა ქალბატონმა ოდნავ გადაიწია თავსაფარი და სცადა, რომ საკუთარი მზერისათვის, რომლითაც ყმაწვილი დაჯილდოვა, მკაცრი გამომეტყველება მიეცა. მაგრამ მან მხოლოდ ის დაინახა, რომ ქალს ოქროსფერი თმა და კუნაპეტ ღამესავით შავი თვალები ჰქონდა!

იმ დღიდან მოყოლებული, ლაურა კვირის გარკვეულ დღეებში, ერთსა და იმავე დროს მიდიოდა ეკლესიაში, სადაც მას უკვე ელოდა ახალგაზრდა კაცი, რომლის მზერაც პირველი შეხვედრების დროს აღტაცებასა და ტანჯვას გამოხატავდა, გარკვეული ხნის შემდეგ კი — მხოლოდ აღტაცებასა



სანტა-კიარას ეკლესია ავინიონში

და მოწიწებას. ლაურამ სრულიად შემთხვევით შეიტყო იმის შესახებ, რომ უცნაური მამაკაცი ფრანჩესკო პეტრარკა იყო და იგი მას ლექსებს უძღვნიდა — ქუჩაში, უცნობი ადამიანები მასზე უთითებდნენ და ამბობდნენ: „შეხედეთ, ეს გახლავთ ფრანჩესკო პეტრარკას მუზა!“ ერთხელ კი, ბაზარში მის მოახლეს უცნობი მიუახლოვდა და ქალბატონისთვის გადასაცემად ლექსები მისცა. მისდამი მიძღვნილი სატრფიალო სტრიქონების წაკითხვისას ლაურას მშვენიერი თვალებიდან ცრემლი წამოუვიდა, მაგრამ ეს არ გახლდათ დიდებისმოყვარე ადამიანის ცრემლი! მისმა გულმა უდიდესი ტკივილი იგრძნო. საწყალი ქალი მიხვდა, რომ გადარეული ფრანჩესკო არასოდეს — ო, ღმერთო, არასოდეს! — შეეხებოდა მას. ისე არ მიუახლოვდებოდა, რომ მას სატრფოს გახშირებული სუნთქვა ეგრძნო, — არასოდეს, არასოდეს... ლაურა მისთვის ღვთაებად, სიწმინდისა და სათნოების კერპად ქცეულიყო. ქალი, სინამდვილეშიც ასეთი გახლდათ, მაგრამ საკუთარი უცოდველობის გაცნობიერებამ, რატომღაც საწყალ ქალს შვება და ბედნიერების შეგრძნება სულაც არ მოჰგვარა. მისთვის საბოლოოდ ცხადი გახდა: ბედნიერება არასოდეს ელირსებოდა.

მათი ცხოვრების ყველაზე ღირსშესანიშნავი მოვლენა...

წლები გადიოდა. ლაურა კვლავინდებურად დადიოდა ეკლესიაში, ესწრებოდა წირვა-ლოცვას, ტაძრიდან გასვლისას კი, შორიახლოს მდგარ ფრანჩესკოს მორიდებულ მზერას სტყორცნიდა.

ერთხელ, ქალს ხელთათმანი დაუვარდა და პეტრარკამ მიაწოდა იგი. მათ ცხოვრებაში ეს გახლდათ ყველაზე ღირსშესანიშნავი მოვლენა. იმაზე უფრო ამაღელვებელი და მნიშვნელოვანი, ვიდრე შვილების დაბადება. დიახ, დიახ, ამაღლებული სიყვარული და სახოტბო ლექსები ცხოვრების ჩვეულ მდინარებას ხელს არ უშლიდა: ფრანჩესკოს ძალებს აღემატებოდა ხორციელ სიამოვნებაზე უარის თქმა — მის ცხოვრებაში იყვნენ ქალები, რომლებიც მას ლაურასავით ამაღლებულად არ უყვარდა და რომლებთანაც მას ქორწინების გარეშე დაბადებული ორი შვილი (1337 წელს შეეძინა ვაჟიშვილი — ჯოვანი, ხოლო 1343 წელს ქალიშვილი — ფრანჩესკა) ჰყავდა. ლუარამ ამის შესახებ იცოდა. თავადაც ქმრისგან თერთმეტგზის გახლდათ ორსულად — აჩენდა შვილებს, ხარობდა მათი დაბადებით, იტანჯებოდა, როცა მისი რომელიმე შვილი უფალს თავისთან მიჰყავდა. მიუხედავად ამისა, მის ცხოვრებაში უმთავრესი ადგილი, მაინც ნახევრად ჩაბნელებულ ტაძარში იმ ადამიანთან ხანმოკლე შეხვედრებს ეკავა, რომელიც არასოდეს დალაპარაკებია და რომელსაც მშიშარა ბუნების გამო, ზოგჯერ წყევლიდა კიდეც (მისთვის აუტანელი იყო იმაზე ფიქრი, რომ ფრანჩესკოს უბრალოდ მისი ქმრის ეშინოდა). ლაურასადმი მიძღვნილი ლექსების ნაკადი არ წყდებოდა. ქალის შორსმჭვრეტელი მეუღლე — ჰუგო დე სადი სულაც არ ეჭვიანობდა — ის ამაყობდა ცოლის სათნოებით და ლაურას დიდების საკუთარი მიზნებისთვის გამოყენებასაც კი ცდილობდა. კეთილშობილი რაინდი ოცნებობდა, რომ ავინიონის ნებისმიერი უმდიდრესი და უწარჩინებულესი ოჯახის კარი მის წინაშე გაღებულიყო — და ასეც ხდებოდა.

შეხვედრის დღე და გამოთხოვება სამუდამოდ

ბედის ირონიით, 21 წლის შემდეგ, ლაურა სწორედ მათი შეხვედრის დღეს — 6 აპრილს გარდაიცვალა. ქალი ჟამიანობას ემსხვერპლა. შავი ჭირის ეპიდემიამ ავინიონის მცხოვრებთა უმრავლესობა აიძულა, დაეტოვებინა მშობლიური ქალაქი, მათ შორის გახლდათ პეტრარკაც (პოეტი დიდი სიმამაცით მართლაც არ გამოირჩეოდა და ერთ-ერთი პირველთაგანი გახლდათ, ვინც ჟამიანობისას ქალაქი დატოვა).

რამდენიმე კვირის შემდეგ, როცა ეპიდემია ჩაცხრა, პოეტი დაცარიელებულ ავინიონში დაბრუნდა და სანტა-კიარას ეკლესიას მიაშურა. დიდხანს იდგა დიდებული შენობის წინ, მაგრამ შესვლა ვერ გაბედა. ფრანჩესკომ უკვე იცოდა, რომ მის კედლებ-

ში ვეღარასოდეს შეხვდებოდა ლაურას და რომ მისი მშვენიერი სხეული, რომელიც მის სათაყვანებელ სულზე არანაკლებ უყვარდა (ახლა მას უკვე შეეძლო ამის აღიარება!) ჟამიანობის სხვა მსხვერპლთა ცხედრებთან ერთად ცეცხლმა შთანთქა. აუტანელმა სულიერმა ტკივილმა პოეტი აიძულა გასცლოდა ტაძარს და შინ წასულიყო, რათა ქაღალდისათვის გაენდო საკუთარი სატკივარი. ქალაქიდან პანიკური გაქცევის დროიდან მის ოთახში არაფერი შეცვლილიყო, ყველაფერი ხელუხლებლად დახვდა. ფრანჩესკომ მოაწესრიგა ოთახი, განსაკუთრებული გულმოდგინებით კი, საკუთარი საწერი მაგიდა მიალაგა. მან ფურცლებზე დაწერილი ლექსები ერთ დასტად დააწყო, ზევიდან დადებულ სუფთა ფურცელზე კი გაკრული ხელით წააწერა: „მადონა ლაურას ცხოვრება“. შემდეგ მეორე ფურცელი აიღო და საკმაოდ მკაფიო ხელწერით, ისე, რომ ხელი არ აჰკანკალებია, დააწერა: „მადონა ლაურას სიკვდილი“... ასე რომ, ცხოვრება გრძელდებოდა და მასთან ერთად — სიყვარულიც.

იმ მწარე წუთებში ფრანჩესკომ არ იცოდა, რომ წინ კიდევ 26 გრძელი წლის სიცოცხლე ედო. გარდაცვლილი სატრფოს სული იმ ქვეყნიდანაც შთააგონებდა პოეტის შემოქმედებას.

აღორძინების ხანის უდიდესმა იტალიელმა პოეტმა ფრანჩესკო პეტრარკამ თავის ამაღლებულ სიყვარულს 317 სონეტი, 29 კანცონა, 9 სექსტინა, 7 ბალადა და 4 მადრიგალი უძღვნა. მან სამარადჟამოდ უკვდავყო სატრფოს სახელი და მასთან ერთად თავადაც მოიპოვა უკვდავება. მიუხედავად იმისა, რომ სახელგანთქმული მწერლის, სწავლულისა თუ დიპლომატის კალამს არაერთი ფილოსოფიური ტრაქტატი, კომპილაცია თუ პოლიტიკური თხზულება მიეკუთვნება, იტალიელს სახელი სწორედ ლაურა დე ნოვისადმი მიძღვნილმა ლექსებმა გაუთქვა.

მოგვიანებით, როცა პეტრარკა მოხუცდა, იყვნენ ისეთებიც, რომლებიც საკუთარ თავს იმის უფლებას აძლევდნენ, რომ მზცოვანი პოეტი მასხრად აეგდოთ დიდი ხნის გარდაცვლილი ქალისადმი პოეტური ერთგულების გამო. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ფრანჩესკოს სრულებით არ აღელვებდა ამ აბეზრების აზრი, რამეთუ იგი საკუთარი საქციელის გამართლების ნიშნებს უფრო სხვა, მაღალი სფეროებიდან იღებდა — უფალი აშკარად მის მხარეზე იყო. ლაურაც არ ტოვებდა თავის რაინდს: მის თანადგომას პეტრარკა ყოველ წუთს გრძნობდა. ერთი სიტყვით, უდიდესი პოეტი თავის აღსასრულს მშვიდად ელოდა, რადგან მტკიცედ სწამდა, რომ პირნათელი გახლდათ, როგორც უფლის, ასევე სატრფოს ხსოვნის წინაშე. ■

სპიუბილეო Vauxhall

სადა და ლამაზი — ასეთი მარტივი ფორმა დაურთეს ცნობილი ფირმის — Vauxhall-ის სტილისტებმა კონცეპტუალურ როდსტერს — VX Lightning-ს, რომლის შექმნა, ოდესღაც სახელგანთქმული მარკის საუკუნოვან იუბილეს მიეძღვნა. ახალი მოდელის ბაზად, ერთი წლის წინ გამოშვებული კონცეპტ-ავტო — Pontiac Solstice იქცა. General Motors-ის ბრიტანული სტუდიის დიზაინერებმა ქვა ქვაზე არ დატოვეს თავიანთი ოკეანისგაღმელი კოლეგების ნამოღვაწრიდან. მათ გაიხსენეს ის დრო, როცა არ იყვნენ დამოკიდებულნი გერმანული Opel-ის მეპატრონეებზე და „უოქსჰოლის“ მდიდარ სპორტულ ისტორიას მიუბრუნდნენ. ამის შედეგად დაიბადა ავტომობილი, რომელიც მუდამ უყვარდათ ევროპელებს — ორადგილიანი, მსუბუქი როდსტერი. მისი იერი ბევრი რამით მოგვაგონებს წარსულს. თუმცა, პრიორიტეტი მაინც უახლოეს მომავალს ეკუთვნის: ძარის კონტურები, რომელიც თითქოს სივრცეს ჭრის, ერთი შეხედვით, სრულიად მარტივი დიზაინის შედეგადაა მიღწეული, მისი ცალკეული ელემენტები კი, უთვალავი სამკუთხედების მეშვეობით ერთიანდება. სპორტული მანქანებისთვის ყველაზე აუცილებელ ატრიბუტს — სხვადასხვა ზომის (წინა — 19-დუიმიანი, უკანა — 20-დუიმიანი) მასიურ ბორბლებს ამ მანქანაშიც აქვს დათმობილი სათანადო ადგილი. მოხდენილი ოპტიკა იმ მიგნებების გამეორებას წარმოადგენს, რომელიც წარმატებით გამოიყენეს კონცეპტუალურ მოდელზე — GTC Geneve.

ე.წ. აქტუალური გარეგნული იერის მიღმა, თანამედროვე მექანიკაა დამალული: კომპაქტური Opel Astra-ს 2,2 ლ-იანი აგრეგატის — Ecotec-ის ახალი ვერსია (წინანდელის სიმძლავრე 147 ცხ.ძ-ს შეადგენდა, ახლისა კი 240-ს აღწევს); 6-საფეხურიანი გადაცემათა კოლოფი Tremec T56 უკანა ამძრავით. საკიდრის ნაწილები უმეტესად, ალუმინისგანაა დამზადებული, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს ავტომობილის მასას.

მძღოლისა და მგზავრის სავარძლებს მასიური გვერდები ახლავს, რომელიც ტყავითაა გაწყობილი. ხასხასა წითელი ტყავითაა მორთული აგრეთვე ხელსაწყოთა პანელი, რომელიც საუცხოოდ ერწყმის შავ სავარძლებს.

კომპანიის მესვეურები აცხადებენ, რომ ჯერჯერობით არა აქვთ დაგეგმილი VX Lightning-ის სერიული წარმოება. მაგრამ ექსპერტების თქმით, წარმოუდგენელია, კომპანია General Motors-ს ტყუილად შეემუშავებინა ახალი კომპაქტური პლატფორმა, რომელიც უკვე ორ კონცეპტუალურ მოდელზე წარმატებით გამოსცადეს. აქედან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ Opel-ისა და Vauxhall-ის მარკით დამშვენებული, ახალი როდსტერების ბაზარზე გამოჩენა უახლოეს მომავალში მოხდება. ■

გამოთხოვება ლეგენდად ქცეული „ხოჭოსთან"

გერმანულმა კონცერნმა Volkswagen-მა, როგორც ჩანს, საბოლოოდ გადაწყვიტა, დაემშვიდობოს თავის ლეგენდას – უკანაძრავიან „ხოჭოს", რომელიც ფერდინანდ პორშემ შეიმუშავა. ამ მოდელის სერიული წარმოება ჯერ კიდევ გრძელდება მექსიკის ქალაქ პუებლაში მდებარე ქარხანაში, მაგრამ ის კომპანიის ივლისის სამრეწველო გეგმებშიც კი აღარ ფიგურირებს.

ამჟამად, კონვეიერიდან ყოველდღე, 53 „ხოჭო" გადმოდის, მაგრამ მათი რეალიზაცია თვით მექსიკის ბაზარზეც კი ჭირს. წლევანდელი წლის პირველ თვეებში, რეალიზაცია თითქმის 50%-ით შემცირდა. მექსიკელი ავტოდილერები თვეში სულ 1000-მდე „ხოჭოს" გაყიდვას ახერხებენ. არადა, ამ მოდელის თითქმის 70-წლიანი ისტორიის მანძილზე, 21,5 მლნ „ხოჭო" გამოსულა.

Volkswagen-ის ბესტსელერთან ოფიციალური გამოთხოვება პუებლაში განსაკუთრებული ზარ-ზეიმის გარეშეა დაგეგმილი: კომპანიის მესვეურები მხოლოდ მოკრძალებული, საქარხნო ზეიმის მოწყობას აპირებენ, რომელიც საამქროდან უკანასკნელი „ხოჭოს" გამოსვლას მოჰყვება. ეკონომიის მოსაზრებიდან გამომდინარე, ქალაქში არც ამ მანქანის მუზეუმი გაიხსნება. ამას „ფოლკსვაგენის" ხელმძღვანელობა იმით ხსნის, რომ „ხოჭოსთან" გამოთხოვების მთავარი ზეიმი ევროპაში 1978 წელს შედგა, როდესაც ქალაქ ემდენში მდებარე ქარხნის კონვეიერიდან, გერმანიაში დამზადებული ამ მოდელის უკანასკნელი ნიმუში გადმოვიდა. ■

„ბრაზიანი" ჯუჯე საფრანგეთიდან

ესპანეთის ქალაქ ბარსელონაში ამ ცოტა ხნის წინ გამართულ ავტოშოუზე კომპანია Peugeot-მ კუპეს – 406-ის რესტაილინგური ვერსია წარმოადგინა. მანქანის ტექნიკური მხარე საერთოდ არ შეცვლილა – მასში მხოლოდ ახალი საფირმო სტილის შესაბამისი კორექტივები შეიტანეს: ელეგანტური ორკარიანი ავტომობილი ცოტა გაფართოვდა და უფრო „ბრაზიანი" გახდა, რასაც წინა ბამპერში მოთავსებული, განიერი ჰაერშემწოვი და ვიწრო, ბურუსისსაწინააღმდეგო მაშუქები უწყობს ხელს. ■

იაპონელები ჯიპებს ხსნიან

ახალი სპორტული სედანის – Acura TL-ის წარმოებაში ჩაშვებამდე ჯერ კიდევ დიდი დროა, მაგრამ კომპანია Honda-მ საჭიროდ ჩათვალა, გამოემზეურებინა ეს მოდელი. ამ მიზნით, ის ნიუ-იორკში მოწყობილ, ტრადიციულ ავტოსალონზე უჩვენეს. მომრგვალებული და ამავე დროს აგრესიული, პლასტიკისაგან დამზადებული ცხვირი, „ველური" მაშუქები, საინტერესოდ გაფორმებული უკანა ნაწილი – ყველა ეს ელემენტი ალბათ 2004 წლის მოდელის საბოლოო ვარიანტის მახასითებელიც იქნება. კონცეპტი, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდება ხოლმე, „გაჟღენთილი" იყო ყოველგვარი ელექტრონიკით: DVD ფლეიერით, უმავთულო კავშირის სისტემით – Bluetooth, თანამგზავრული რადიოთი და უკანა ხედის ვიდეოკამერით. ■

ის, რაც დიასახლისმა უნდა იცოდეს

სტუმრების წასვლის შემდეგ ყველა დიასახლისი არცთუ ისე სასიამოვნო ამოცანის წინაშე დგება: სწრაფად და უდანაკარგოდ გარეცხოს ჭურჭელი. „უდანაკარგოდ“ – ამ სიტყვამ ხომ არ გაგაოცათ? ზოგიერთი ფინჯნის, სარკის, ჭიქის, გრაფინის ან ბოკალის ფაქტურა იმდენად ფაქიზია, რომ მართლაც განსაკუთრებულ მოპყრობას საჭიროებს. მაშინაც კი, თუ სპეციალური ჭურჭლის სარეცხი მანქანით სარგებლობთ, მაინც უმჯობესი იქნება, თუ ბროლისა და შუშის ძვირად ღირებულ ჭიქებსა და ლარნაკებს ხელით გარეცხავთ. კარგს იზამთ, თუ 10 წუთით, ჭურჭელს სპეციალური ჟელეთი გაზავებულ ცხელ წყალში გააჩერებთ. თუკი ჭიქაზე პომადის ნაკვალევი ან ნათითურები ატყვია, წყალს რამდენიმე წვეთი ნიშადურის სპირტი დაუმატეთ – ჭურჭელი ბზინვას დაიწყებს.

ზოგიერთ გრაფინს იმდენად ვიწრო ყელი აქვს, რომ დიასახლისს უჭირს ლიქიორით დალაქავებული ფსკერის გასუფთავება. გირჩევთ, გრაფინში ჩაასხათ ცოტა ძმარი, დაუმატოთ სოდა, ბრინჯი და ენერგიულად შეანჯღრიოთ. მალე დარწმუნდებით, რომ ლაქები ფსკერიდან უკვალოდ გაქრა. გაითვალისწინეთ ისიც, რომ ბროლისა და თხელი შუშისგან დამზადებული ჭურჭლის გასარეცხად, არასოდეს გამოიყენოთ უხეში ჯაგრისი ან მავთულის ძაფებით მოსირმული ღრუბელი – ის ჭურჭელზე ნაკაწრებს აჩენს...

გახსოვდეთ: სამზარეულოს ბუფეტში – იქ სადაც ჭურჭელს ინახავთ, ნუ მოათავსებთ სუნელების პაკეტს ან გამხმარი ყვავილების თაიგულს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჭურჭელში მოთავსებული კერძისა თუ სასმლის არომატს, უცხო და არასასიამოვნო სურნელიც შეერევა.

ეს ძალიან გემრიელია!

250 გ მდუღარე რძეში ჩავყაროთ 0,5 ჩ/ჭ მანანის ბურღული და მოვხარშოთ. დავუმატოთ ცოტა მარილი, ნახევარი ჩ/ჭ შაქრის ფხვნილი; გადმოვდგათ, დავასხათ ნახევარ ჩ/ჭ წყალში დამბალი ჟელატინი, ცოტა ვანილი და გავაცივოთ.

გაცივებული მასა მიქსერით ავთქვიფოთ, დავუმატოთ 200 გრამი არაჟანი და კვლავ კარგად ავთქვიფოთ.

ავიღოთ 200 გ ხილი: ხენდრო, ალუბალი (უკურკოდ), დაჭრილი ატამი; ჩავაწყოთ ფაიფურის ღრმა ჭურჭელში. ზემოდან მოვასხათ ათქვეფილი მასა და რამდენიმე საათით შევდგათ მაცივარში.

სუფრაზე მიტანამდე დავასხათ ხილის წვენი ან შაქრის ვაჟინი, რომელიც შემდეგნაირად მზადდება: 1 ჩ/ჭ შაქრის ფხვნილი გავხსნათ ნახევარ ჩ/ჭ წყალში და ავადუღოთ. ვიდრე პუდინგს მოვასხამთ, ვაჟინი დოლბანდში გავწუროთ.

გაახალგაზრდავების რეცეპტი ქალბატონებისათვის და არა მხოლოდ მათთვის

იუნესკოს ექსპედიციამ ტიბეტის ერთ-ერთ მონასტერში, არცთუ ისე დიდი ხნის წინათ, აღმოაჩინა გაახალგაზრდავების ჰომეოპათიური საშუალების უძველესი რეცეპტი. თიხის ფირფიტებიდან, რომელიც თარიღდება მეხუთე ათასწლეულით ჩვენს ერამდე, ეს რეცეპტი ითარგმნა და დღეს, თითოეულ თქვენგანს საშუალება აქვს საკუთარ თავზე გამოცადოს მისი სასწაულებრივი ეფექტი. გასაახალგაზრდავებელი საშუალება შეიძლება ექვს წელიწადში ერთხელ გამოიყენოთ. ის წმენდს ორგანიზმს წიდებისაგან, მკვეთრად აუმჯობესებს ნივთიერებათა ცვლას ორგანიზმში. სისხლძარღვები ხდება ელასტიკური, მხედველობა კი მკვეთრად უმჯობესდება. მაშ ასე, აი, რა უნდა გააკეთოთ იმისათვის, რომ ასაკთან შედარებით 10-15 წლით უფრო ახალგაზრდად გამოიყურებოდეთ:

გარეცხეთ და გაფცქვენით 350 გ ნიორი. წვრილად დაჭერით და დასრისეთ ხის კოვზით. ამ მასის 200 გ აიღეთ ქვემოდან (სადაც მეტი წვენია), მოათავსეთ შუშის ჭურჭელში, დაასხით 200 გ 96-გრადუსიანი სპირტი. ჭურჭელს მჭიდროდ დაახურეთ და 10 დღის განმავლობაში გააჩერეთ ბნელსა და გრილ ადგილას. შემდეგ, წარმოქმნილი მასა კარგად გაწურეთ. სამკურნალო სითხე გააჩერეთ კვლავ 2-3 დღე, შემდეგ კი დაიწყეთ მისი მიღება შემდეგი წესით: ჭიქის მეოთხედ ცივ რძეს დაუმატეთ

რამდენიმე წვეთი ზემოხსენებული სითხე და დალიეთ ჭამამდე 15-20 წუთით ადრე. წვეთების რაოდენობაც მკაცრად განსაზღვრულია და ის ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად უნდა მიიღოთ.

მიღების დღე	საუზმე	სადილი	ვახშამი
I	2	2	3
II	4	5	6
III	7	8	9
IV	10	11	12
V	13	14	15
VI	15	14	13
VII	12	11	10
VIII	9	8	7
IX	6	5	4
X	3	2	1
XI	25	25	25

შევუნარჩუნოთ კანს ახალგაზრდული იერი

იმისათვის, რომ აიმაღლოთ სახის კანის ტონუსი და დიდხანს შეინარჩუნოთ ახალგაზრდული იერი, საკმარისია გაითვალისწინოთ რამდენიმე რჩევა, რომლის შესრულებაც დიდ დროსა და ძალისხმევას არ მოითხოვს.

მოადულეთ მწვანე ჩაი და დალიეთ დღეში 3-4-ჯერ, თითო ჯერზე ერთი ან ორი ფინჯანი. დილით კი სასურველია, კანი მკვებავი კოქტეილით გაიხალისოთ: მიქსერით ათქვიფეთ ნახევარი ბანანი, 3-4 ჩ/კ რძის შრატი, 1/2 ჩ/კ თაფლი, 1 ჩ/კ მაწონი და გამხმარი ყვავილები. დაიბანეთ სახე და დაიდეთ ეს ნიღაბი. გაიჩერეთ 20 წუთის განმავლობაში;

გრეიპფრუტის, ატმისა და ლიმონის წვენს დაუმატეთ 1 ჩ/კ სელის ზეთი და დღეში ერთხელ დალიეთ;

ყურადღება მიაქციეთ მიმიკებს – შეეცადეთ, იშვიათად შეიჭმუხნოთ შუბლი;

საღამოს მიიღეთ ორთქლის აბაზანა.

როგორ შევარჩიოთ ქსოვილი

თუ გადაწყვეტილი გაქვთ, გააახლოთ თქვენი გარდერობი, თავად შეარჩიოთ სტილი და თავადვე შეიკეროთ, შეგვიძლია რამდენიმე რჩევა შემოგთავაზოთ, რომელიც სასურველია ქსოვილის არჩევის დროს გაითვალისწინოთ. სტილისტები ერთხმად აღიარებენ, რომ ღია ფერის ქსოვილი – დიდი, ეფექტური ნახატებით ძალიან მოუხდება მაღალ და გამხდარ ქალბატონებს. მათ, ვისაც ტანსაცმლის მეშვეობით სხეულის ზოგიერთი პრობლემური ადგილის დაფარვა სურთ, თავისი არჩევანი ვერტიკალურხაზიან ან ნათელი ფერის უჯრედებიან ქსოვილზე უნდა შეაჩერონ (როგორც ირკვევა, ასეთი ქსოვილი არასოდეს გადის მოდიდან). ტანსრულ, მაღალ ქალებს წვრილი ყვავილებით მოჩითული, მუქი ფერის ქსოვილისგან შეკერილი სამოსი მოუხდებათ. იმ ქალბატონებმა, რომელთაც სურთ ჩანდნენ უფრო მაღლები, ვიდრე სინამდვილეში არიან, უნდა შეიძინონ ფართო, ვერტიკალური ხაზებით ან დიაგონალურად განლაგებული კომბინაციით მოჩითული ქსოვილი. კარგად ნიღბავს ჭარბ წონას შავი, ყავისფერი, მუქი ლურჯი და მწვანე ფერის ტანსაცმელი. შუახნის ქალბატონებმა უარი უნდა თქვან მუქი ფერის, ერთფეროვან ტანსაცმელზე, რადგან ის ხაზს უსვამს მათ სოლიდურ ასაკს. დაბოლოს, ყველას გირჩევთ: შეიკერეთ კაბა ცისფერი, ალუბლისფერი ან ღია ყავისფერი ქსოვილისგან. ეს ფერები დღეს განსაკუთრებით მოდურია და მხოლოდ თვალს კი არა, გულსაც ახალისებს.

რიცხვებით გამოხატული ქალის ტვირთი

ოთხკაციან ოჯახს წლის განმავლობაში 12000-მდე დანის, ჩანგლისა და კოვზის, დაახლოებით 1300 თეფშის და 8000 ჭიქის გარეცხვა უხდება. ეს ჭურჭელი საშუალოდ 5 ტონას იწონის. ასეთი ტვირთი უნდა ვზიდოთ მაგიდიდან ჭურჭლის სარეცხ ნიჟარამდე, იქიდან კი – კარადამდე. ამ საქმიანობისას 1500 კმ-ზე მეტის გავლა გვიხდება. ამას ემატება ის 2000 კმ, რომელსაც საყიდლებზე სიარულისას გავდივართ. ამ ყველაფერს ერთვის – სარეცხის რეცხვა, სადილის მომზადება, სახლის დალაგება... აშკარაა, რომ ასეთი შრომა საკმაოდ მძიმეა ერთი ადამიანისათვის, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ოჯახის ყველა წევრი ერთდროულად უნდა დარბოდეს ვიწრო სამზარეულოში და ერთად აკეთებდეს სადილს. მართალია, კერძი შედარებით სწრაფად მომზადდება, მაგრამ სამაგიეროდ, იმის საფრთხე იქმნება, რომ მას ყველა სათითაოდ დააყრის მარილს. რა თქმა უნდა, საოჯახო შრომის კოოპერირება აუცილებელია, ოღონდ – ის გონივრად, თანაბრად უნდა განაწილდეს ოჯახის წევრებს შორის.

სასარგებლო რჩევები

● იცით, როგორ უნდა შეამოწმოთ, კვერცხი ახალია თუ არა? – ეს ძალიან მარტივია: 0,5 ლ მარილწყალში (საკმარისია 1 ჩ/კ მარილი) ჩააგდეთ კვერცხი. ახალი სწრაფად დაეშვება ფსკერისკენ; მოძველებული – ნელ-ნელა იწყებს დაშვებას, წვერით კი წყლის ზედაპირს შეეხება; ხოლო გაფუჭებული კვერცხი მიიღებს პოზიციას – როგორც იტყვიან: по стойке смирно. და თითქმის მთლიანად წყლის ზედაპირზე იტივტივებს.

● მაცივრიდან გამოღებისთანავე ნუ ჩააგდებთ კვერცხს მდუღარე წყალში – შესაძლოა, ის გასკდეს კიდეც. კვერცხი ცივ წყალში უნდა ჩადოთ და ისე მოხარშოთ. მოხარშვისთანავე კი, სასწრაფოდ ცივ წყალში უნდა მოათავსოთ, რათა ადვილად გაიფცქვნეს.

● თუ კვერცხი გაბზარულია და მას მარილწყალში მოხარშავთ, შიგთავსი გარეთ არ გამოვა.

● იმისთვის, რომ ემალის ქვაბი უფრო დიდხანს გემსახუროთ, პირველად შიგ მარილწყალი წამოადუღეთ (5 ს/კ 1 ლ წყალში).

● კვერცხის გული, შაქართან ერთად უნდა ათქვიფოთ ფაიფურის ჭურჭელში, თბილ ადგილას. ცილა – პირიქით, კარგად ითქვიფება, როცა ის შეგრილებულია.



● შნიცელის, ან დაბეგვილი კატლეტის მომზადების დროს, ხორცს გულმოდგინედ მოაშორეთ ძარღვი – შეწვის დროს ის იგრიხება და ნამზადს ფორმას უკარგავს.

● ქათამი კარგად რომ დაიბრაწოს, შეწვამდე არაჟნის სქელი ფენა უნდა წაუსვათ.

● თუ გინდათ, პური დიდხანს არ დაძველდეს, საპურეში უმი კარტოფილი ჩადეთ. ■

ბრიტნი სპირსის მულახლილობამ ბევრი მკითხველი გააოგნა

ბრიტნი სპირსის პირადი ცხოვრების, პუბლიკისთვის ყველაზე საინტერესო მხარეები, კერძოდ — ჯასტინ ტიმბერლეიკთან განშორების დეტალები, სხვა მამაკაცებთან კავშირები, მის ყოფაში ალკოჰოლისა და ნარკოტიკების ადგილი და ბოლოს, უახლოეს მეგობართან, ასევე ესტრადის ვარსკვლავ კრისტინა აგილერასთან ტკბილ-მწარე ურთიერთობა — ყველაფერი ეს, ვარსკვლავის თაყვანისმცემლების გასაკვირად, თვით ბრიტნის ვრცელ ინტერვიუში აისახა, რომელიც ცოტა ხნის წინ, ერთ-ერთ ამერიკულ ჟურნალში დაიბეჭდა. 21 წლის მომღერლის გულახდილობა იმდენად მოულოდნელი იყო, რომ ბევრი მისი თაყვანისმცემლისთვის, სპირსზე ჩამოყალიბებული წარმოდგენის შეცვლის საფუძველიც კი გახდა.

როგორც ცნობილია, შოუბიზნესში გამოჩენიდან დღემდე, ბრიტნი ე.წ. კონსერვატიული ამერიკელი გოგონას იდეალურ მოდელს წარმოადგენდა, რომელიც გამუდმებით ირწმუნებოდა, რომ „გათხოვებამდე უბიწოების შენარჩუნების“ მყარი მიმდევარი იყო. აღნიშნულ ინტერვიუში კი, სპირსი აცხადებს: ჯგუფ N`Sine-ის სოლისტ ჯასტინ ტიმბერლეიკთან მისი კავშირის გაწყვეტა იმის გამო მოხდა, რომ კარიერა მეტისმეტად ბევრ დროსა და ენერგიას ართმევდა ორივეს და ერთად ყოფნის საშუალებას არ აძლევდა მათ. მომღერალმა უარყო ხმები იმის შესახებ, თითქოს მან მოატყუა თავისი ბოიფრენდი, რომელთან ერთადაც მთელი ოთხი წელი გაატარა. „მასთან გაყრამ გული გამიპო. დავდიოდი და გამუდმებით ვეკითხებოდი საკუთარ თავს: ახლა რაღა უნდა ვქნა?! შესაძლოა, ეს ყველაზე მძიმე განსაცდელი აღმოჩნდა, რაც კი გადამხდენია ცხოვრებაში. ამ მდგომარეობიდან გამოსასვლელად თვეები დამჭირდა. მაგრამ დღესაც კი, როდესაც თითქოს საბოლოოდ გავთავისუფლდი ამ განცდებისგან, გული კვლავ ამიძგერდება ხოლმე მისი ხმის გაგონებისას. იმიტომ, რომ მაინც მუდამ მეყვარება — ის ხომ ჩემი პირველი ნამდვილი სიყვარულია!“ ამასთანავე, ბრიტნიმ უარყო ხმები მისი და ჯასტინის შესაძლო შერიგების თაობაზე და მით უმეტეს, ჭორები იმის შესახებ, თითქოს საყვარლები ახლაც ხვდებიან ხოლმე ერთმანეთს ფარულად.

მომღერალმა განაცხადა აგრეთვე, რომ არ აპირებს საკუთარ ალბომში ტიმბერლეიკისადმი მიძღვნილი რომელიმე სიმღერის ჩართვას, მიუხედავად იმისა, რომ ჯასტინი სწორედ ასე მოიქცა: სიმღერაზე — Cry Me A River — გადაღებულ კლიპში, სადაც პერსონაჟის, შეყვარებულთან განშორებაა ნაჩვენები, ჩნდება გოგონა, რომელიც საოცრად ჰგავს ბრიტნი სპირსს, რამაც ვარსკვლავი თავიდან შოკში ჩააგდო: „პირველად გავოგნდი, როცა ეს კადრები ვნახე. ეს ხომ მე ვარ! — ვუთხარი საკუთარ თავს... ძალიან უცნაურია, მაგრამ თუკი მან ეს გზა აირჩია — რა გაეწყობა?! ბოლოს და ბოლოს, ამან წარმატება მოუტანა — ეს კლიპი ხომ ახლა, ნომერი პირველი გახდა!..“

ეს რაც შეეხება ჯასტინ ტიმბერლეიკს, მაგრამ ბრიტნის სხვა მამაკაცებთანაც ჰქონია ურთიერთობა. თუმცა, ბრიტნი პრესაში გაჩენილ სხვა ჭორებსაც უარყოფს. მაგალითად, ტიმბერლეიკთან განშორების შემდეგ, მას ბევრ სახელგანთქმულ თუ ნაკლებად ცნობილ მამაკაცებთან კავშირსაც მიაწერდნენ. კოლინ ფარელთან თავის ურთიერთობას ბრიტნი ძალზედ თბილს უწოდებს, მაგრამ მტკიცედ აცხადებს, რომ მასთან არანაირი სექსი არ ჰქონია. პაემნების მოყვარულ ქალთა რიგს არ მივეკუთვნები, — ამბობს სპირსი. — კარგად ვარჩევ, მიყვარს მამაკაცი თუ არ მიყვარს. ამ შემთხვევაში იყო — „არ მიყვარს“. ჩვენ საუცხოოდ გავატარეთ 2 კვირა ერთად, მაგრამ უმეტესად, ტელეფონით საუბრით ვიქცევდით თავს, აი წყვილად კი, არ

ჩამოვყალიბდით“.

ჯგუფის – Limp Bizkit-ის ლიდერთან ფრედ დერსთან ურთიერთობას კი, ვარსკვლავი შოკში ჩაუგდია. ისინი ერთად მუშაობდნენ სტუდიაში ბრიტნი სპირსის სიმღერებზე. იმ მომენტისთვის, მას უკვე გაწყვეტილი ჰქონდა ურთიერთობა ჯასტინთან და, ბუნებრივია, ერთად ატარებდნენ ხოლმე თავისუფალ საღამოებს. „შემდეგ მან რამდენიმე წერილი და საჩუქარი გამომიგზავნა. ეს ძალიან მესიამოვნა და უცებ ვიფიქრე: ის ხომ საკმაოდ სიმპათიური ყმაწვილია! მაგრამ როცა ერთ ტელეშოუში ვთქვი, რომ ერთმანეთს ვხვდებოდით, მან განაცხადა: ტყუილია! ის ცრუობს! ცოტა ხანში კი, რადიოინტერვიუში, ჩემზე საშინელი ამბების მოყოლა დაიწყო, რომელიც დედაჩემმა მოისმინა *(ფრედს, ბრიტნისთან თითქოსდა გატარებული ღამეების შესახებ ულაპარაკია და პიკანტური დეტალებიც კი არ დაუფარავს. – რედ.)*. დაუყოვნებლივ დავურეკე და ავტომოპასუხეზე ასეთი გზავნილი დავუტოვე: „უნდა დავილაპარაკოთ. გთხოვ, ჩემზე ტყუილების გავრცელება შეწყვიტო!“ მან არაფერი მიპასუხა და აღარც დაურეკავს ჩემთვის. მაგრამ ამ ყველაფერმა ძალებიც კი შემმატა...“

ამ ყველაფრის მიუხედავად, ბრიტნის არ გადაწურვია იმედი, რომ ოდესმე, თავისი ოცნების მამაკაცს შეხვდება და ოჯახს შექმნის. „როცა გათხოვებაზე ვფიქრობ, საკუთარ თავს, ტომ ჰენქსის მაგვარი მამაკაცის გვერდით ვხედავ. ოი, ის მომავადოებელია, თანაც შესანიშნავი მამა და საუცხოო მეოჯახეა. აი, მის ან კიდევ, ბრედ პიტისნაირ მამაკაცს სიამოვნებით გავყვებოდი ცოლად. ბრედ პიტი უკეთესიც იქნებოდა, დიახ!..“

ბრიტნიმ ისიც დასძინა, რომ არასდროს დაიჭერს საქმეს მასზე უმცროს მამაკაცთან, თუმცა აღნიშნა, რომ ცოტა ხნის წინ, შეხვდა 40 წლის დემი მურსა და მის ახალ „ფავორიტს“ – 25 წლის მსახიობ ეშტონ კატჩერს და დააფიქსირა, რომ დემი 20 წლის გოგონასავით გამოიყურებოდა.

ჟურნალისტები დაინტერესდნენ, რამდენად იტაცებს ბრიტნის მხიარული წვეულებები, რომელზეც ის ხშირად, „ბოთლთან ჩახუტებული“ უნახავთ? ვარსკვლავმა მათ გაანდო, რომ შესაბუჟბუჟებლად მას ორი ჭიქა კოქტეილიც კი ჰყოფნის, მისი საყვარელი სასმელები კი, ქოქოსის „მალიბუ“ და მჟავე „ამარეტო“ ყოფილა. ბრიტნიმ აგრეთვე უარყო, რომ მას თავის დაკარგვამდე დათრობა სჩვევია. „მართალია, მე ხშირად დავდივარ ბარებსა და კლუბებში – რატომაც არა? და ისევე, როგორც ჩემი თანატოლები, შეიძლება ზოგჯერ, დილით გავიღვიძო და ვთქვა: წუხელ, გიჟური ღამე გავატარე-მეთქი“. აი, ნარკოტიკების შესახებ გავრცელებული ხმები კი, ბრიტნიმ ნაწილობრივ დაადასტურა. „იცით, დგება ხოლმე ისეთი მომენტი, როცა გიჩნდება სურვილი, ყველაფერს მოუსინჯო კბილი. მეც მქონდა ასეთი მომენტი, თუმცა, მადლობა ღმერთს, მე ამისგან ადვილად გავთავისუფლდი. ალბათ მკითხავთ: მიმაჩნია თუ არა ნარკოტიკების ხმარება შეცდომად? გიპასუხებთ: რასაკვირველია! ამჟამად კი, მირჩევნია „გამოსაცოცხლებლად“, ენერგეტიკულ სასმელს – Red Bull-ს მივმართო“.

თავის სხვა მისწრაფებებს შორის, ბრიტნიმ სვირინგებით გატაცება დაასახელა. მან დაადასტურა, რომ ამჟამად, მის სხეულს 4 ტატუ ამშვენებს და უახლოეს მომავალში, კიდევ რამდენიმეს დამატებას აპირებს. აი, მისი არატრადიციული სექსულაური ორიენტაციის შესახებ დროდადრო გავრცელებულ ჭორებს კი, სპირსმა სულელური უწოდა.

ბოლოს, ინტერვიუში კრისტინა აგილერასთან მის მეგობრობას შეეხნენ. ბრიტნიმ აღნიშნა, რომ სრულებით არ უეჭვიანია, როცა ჟურნალში – Rolling Stone კრისტინა აგილერასა და ჯასტინ ტიმბერლეიკის სექსუალური ფოტოსურათები იხილა, რომელიც მათი ერთობლივი ტურის შესახებ მოუთხრობდა მკითხველს. „სურათები ძალზედ სექსუალურია და ადასტურებს, რომ მათ შორის არის „რაღაც“, მაგრამ მე არ ვეჭვიანობ – კრისტინა ხომ ჩემი მეგობარია. ჩვენ კვლავ ვმეგობრობთ, მიუხედავად იმ ჭორებისა, რომელსაც გვივრცელებენ. თუმცა, ისიც უნდა ვთქვა, რომ ისე აღარ ვახლობლობთ, როგორც ადრე, როცა ჯერ კიდევ ბავშვები Micky Mouse Club-ში დავდიოდით. მაშინ, უახლოესი დაქალები ვიყავით. ერთ ღამეს ჩემთან სახლში რომ ვატარებდით, მეორეს – მასთან... ძალიან მიყვარს მასთან საუბარი, მაგრამ ახლა, ამას სულ უფრო იშვიათად ვახერხებთ – ჩვენ ხომ ძალზე მოუცლელები ვართ“.

ამასობაში, პრესა მოიცვა ცნობებმა ჯასტინ ტიმბერლეიკისა და კამერონ დიასის დაახლოების შესახებ. ჯასტინის ნათესავები აღფრთოვანებულნი არიან მისი ახალი არჩევანით და აცხადებენ, რომ ბრიტნი სპირსი მისთვის მეტისმეტად ნორჩი და უმწიფარი იყო... გაზეთ „მირორისთვის“ მიცემულ ინტერვიუში ტიმბერლეიკის 69 წლის ბებიამ, სედი ბომარმა თქვა, რომ მხარს უჭერს შვილიშვილის არჩევანს, რომელიც უკვე ორი თვეა, რაც ჰოლივუდის ვარსკვლავს სისტემატურად ხვდება. ბებიის აზრით, ჯასტიზე 8 წლით უფროსი დიასი „მოწიფული, საკუთარ თავში დარწმუნებული და ემოციურად გაწონასწორებული ქალია, რომელსაც კარგად ესმის, რომ ჯასტინი ძალზედ პოპულარულია, ამიტომ არ ეჩხუბება იმის გამო, რომ გამუდმებით მის გვერდით ყოფნას ვერ ახერხებს“. მომღერლის დედამ კი, გულახდილად თქვა, რომ აჟრჟოლებდა ბრიტნი სპირსით მისი შვილის სამწლიანი გატაცების გამო და მოხარულია მის ცხოვრებაში კამერონის გამოჩენით. მან ისიც დასძინა, რომ საგანგებოდ იყო მისული ექსტრასენსთან, რომელმაც აუწყა, რომ ჯასტინისა და კამერონის ქორწინება მომავალი წლის დამდეგს შედგება. ამ ცნობამ ლინ ჰარლესის აღფრთოვანება გამოიწვია და შვილთან პირველი შეხვედრისას აპირებს უთხრას, რომ დროა, ხელი სთხოვოს დიასს...

უსაფრთხო ნამზეური

რუბრიკას უძღვება ექიმი
თამარ მამაცაშვილი

ზღვისპირას ზოგჯერ მთლიანად მივენდობით ხოლმე მზის სასიამოვნო სხივებს და გვავიწყდება, რომ მისი ალერსი მატყუარაა. მას კი, ვინც რეგულარულად არ იყენებს მზისაგან დამცავ საშუალებებს ელის არა მხოლოდ დამწვრობა, არამედ...

მზე მრავალნაირ სხივებს ასხივებს. ზოგიერთ მათგანს (UVS სხივები ანუ აქტიური რადიაცია) იჭერს ოზონის შრე, სხვები ნაწილობრივ აღწევს დედამიწის ზედაპირამდე:

- ინფრაწითელი გამოსხივება – 56%;
- ხილული სინათლე – 39%;
- ულტრაიისფერი გამოსხივება – 5%.

ეს უკანასკნელი თავის მხრივ შედგება:

- UVB სხივებისაგან (2%), რომლის მოქმედებითაც ადამიანის ორგანიზმში სინთეზირდება D ვიტამინი. UVB სხივების მეშვეობით ვირუჯებით და ვიწვებით კიდეც მზეზე.
- UVA სხივებისაგან (98%), რომელიც ნაკლებად აქტიურია, მაგრამ ყველაზე ვერაგი. ის არ იწვევს არავითარ შეგრძნებებს, ღრმად აღწევს კანში, აქვეითებს მის ელასტიკურობას და იწვევს ნაადრევი დაბერების პროვოცირებას.

თავს ვუშველოთ

ადამიანის ორგანიზმს აქვს დაცვის საკუთარი სისტემა, რომელიც მზის ქვეშ ამუშავდება ხოლმე. დნმ-ის ბრძანებაზე კანის განსაკუთრებული უჯრედები – მელანოციტები იწყებს პიგმენტის გამომუშავებას, რომელიც წარმოადგენს ნამზეურს. ნამზეურზე კანი რეაგირებს რქოვანი შრის გასქელებით, რაც უჯრედთა დაყოფის დაჩქარებით ხდება შესაძლებელი. მაგრამ ბუნებრივი დაცვის შესაძლებლობები უსაზღვრო არ არის: მზის სხივები უჯრედთა შუაგულში იწყებს შეღწევას და შლის მათ დნმ-ს. ასეთი „თავდასხმის“ შედეგად კანის უჯრედებში წარმოიქმნება ე.წ. თავისუფალი რადიკალები, რომელიც შლის უჯრედს. ეს კი იწვევს ფოტოდერმატოზის განვითარებას და გენეტიკურ მუტაციებსაც კი (სიმსივნის განვითარებამდე).

ასეთი სერიოზული შედეგები რომ თავიდან აიცილოთ:

პირველი: ნუ გახვალთ მზეზე გასარუჯად პიკში მზის ყოფნისას, 12-დან 16 საათამდე. იდეალური ვარიანტია პლაჟზე მისვლა 9 საათზე და წამოსვლა 11 საათზე. საღამოს საათებში მზის აბაზანების მიღება უსაფრთხოა, მაგრამ ესთეტიკური თვალსაზრისით ნაკლებეფექტურია.

მეორე: ყოველ ორ საათში ერთხელ წაისვით:

სხეულზე – კრემი, ჟელე, რძე (ლოსიონი);

სახეზე – სპეციალური კრემი ან ფოტოდამცავი ფერ-უმარილი;

ტუჩებზე – საცხი ui-ფილტრით.

მესამე: გარუჯვის შემდეგ სახისა და ტანის დამატენიანებელი ბალზამი გამოიყენეთ. მათში შემავალი ხილისა და მცენარეების ექსტრაქტების წყალობით აღდგება კანის ჰიდრობალანსი, ნივთიერებათა ცვლის პროცესები უჯრედებში, სწორდება ნაოჭები.

თავდაცვის ორი ხერხი

1. **მინერალური ეკრანი**. ის შედგება ფიზიკურად ძალიან თხელი ინერტული ნაწილაკებისაგან – ტიტანის, თუთიის, რკინისაგან.

ეკრანი მოქმედებს პატარა სარკის მსგავსად, ირეკლავს მზის სხივებს და ის ვეღარ აღწევს კანში. სარკე არ იწვევს ალერგიულ რეაქციას. არ აღიზიანებს კანს. თუმცა უნდა ითქვას, რომ მზისგან 100%-იანი დაცვის გარანტიას არ იძლევა.

2. **ქიმიური ფილტრები**. ეს არის ქიმიური ორგანული მოლეკულები, რომელიც აღწევს კანის რქოვანა შრეში და ახდენს UVA და UVB სხივების ადსორბირებას.

ქიმიური ფილტრები ეწინააღმდეგება თავისუფალი რადიკალების წარმოქმნას და იცავს უჯრედებს თავდასხმისაგან, მაგრამ კანთან და ქსოვილებთან უშუალო ურთიერთობის გამო ქიმიური ფილტრი ალერგიებს იწვევს.

ნამზეურის არითმეტიკა

მზისაგან დამცავი კრემის შერჩევისას ყურადღება მიაქციეთ დაცვის ინდექსს – SPF-ს. მასთან მითითებული ციფრი გვიჩვენებს, თუ რამდენჯერ ზრდის კრემი მზეზე უსაფრთხო ყოფნის დროს. ჩვეულებრივ, მზეზე ყოფნა დასაშვებია კანის პირველ შეწითლებამდე, საშუალოდ 10-15 წთ. დავუშვათ, თქვენ იყენებთ SPF10-ს, ე.ი. მზეზე უსაფრთხო ყოფნის დრო მატულობს 10-ჯერ. პირველ დღეებში სასურველია მაღალი ინდექსის მქონე კრემის (SPF30 -ის) გამოყენება. გახსოვდეთ, მზისაგან დამცავი კრემი კარგავს აქტიურობას წყლის, ქვიშის, ქარის ზემოქმედებისას და პირსახოცის გამოყენებისას.

მზეზე ყოფნის დრო და დამცავი ფაქტორის სიდიდე დამოკიდებულია ადამიანის ფოტოტიპზე – მის კანში, თვალის ფერად გარსსა და თმაში პიგმენტის შემცველობაზე. თეთრი კანის, ქერა თმისა და ცისფერი თვალების მქონე ადამიანები უფრო ადვილად იწვებიან მზეზე, ამიტომ ისინი საჭიროებენ მაღალ დამცავ ფაქტორს (15-დან 30-მდე).

შავი ან წაბლისფერი თმის, მუქი კანისა და მუქი ფერის თვალების მქონენი კი შედარებით გვიან იწვებიან მზეზე და მათთვის შესაფერისი დამცავი ფაქტორიც ნაკლებია (5-15).

■

დაიძინე, პატარავ!

ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემა, რომელიც მშობლის ურთულეს გზაზე ახალდამდგარ დედიკოებს აწუხებს, საყვარელი ჩვილის უძილობაა. პატარას კარგი ძილი ბავშვისთვის თვითშეგრძნების ბარომეტრიცაა და დედიკოსათვის მომავალი დატვირთული დღისათვის კარგად გამოძინების საშუალებაც. თქვენი შვილი ადვილად ვერ იძინებს? რა შეიძლება იყოს ამის მიზეზი? ამის ცოდნა მეტად მნიშვნელოვანია არა მხოლოდ საკუთარი კომფორტისათვის, არამედ ბავშვის მომავლისათვისაც.

ცუდი ძილი შეიძლება დაკავშირებული იყოს ნერვული სისტემის თანდაყოლილ დაავადებებთან – ენცეფალოპათიებთან. მათი განვითარების მიზეზი შეიძლება გახდეს გინეკოლოგიური დაავადებები ორსულ ქალებში, მავნე ჩვევები, გადატანილი სტრესები.

ბავშვის ძლიერ მოუსვენრობას და უძილობას იწვევს ყურის დაავადებები (ოტიტი) და დისბაქტერიოზი. ძლიერი ტკივილების გამო პატარა ვერ იძინებს.

ზოგჯერ ზედმეტად აგზნებულები არიან და ცუდად სძინავთ პატარებს, რომელთაც მახვილა ჭია ჰყავთ. ბავშვს არა მხოლოდ ქავილი აწუხებს, არამედ მისი ნერვული სისტემა გამუდმებით იწამლება მახვილა ჭიების მიერ გამოყოფილი ტოქსინებით.

ძილის დარღვევას იწვევს ინფექციური დაავადებები – გრიპი, მენინგიტი, ენცეფალიტი და უბრალოდ მაღალი ტემპერატურაც (38-40 გრადუსი). ავადმყოფ ბავშვს აწუხებს ცუდი სიზმრები, უეცარი გამოღვიძებები. უფრო მოზრდილ ბავშვებში „უძილობის“ მიზეზი ღამის შიშებში უნდა ვეძებოთ.

სამიდან ხუთ წლამდე ასაკის ბავშვებში იშვიათია შემთხვევა, რომ მას არ ეშინოდეს სიბნელის. როგორც წესი, ამ პერიოდში ბავშვი ეცნობა წიგნებისა და მულტიპლიკაციური ფილმების უარყოფით პერსონაჟებს. მათი გამოსახულებანი იმდენად მკვეთრია, რომ ბავშვს ბნელ ოთახში მარტო დარჩენისას, მათთან შეხვედრის ეშინია.

ხუთი-შვიდი წლის ასაკში ზოგიერთი ბავშვი იწყებს სიკვდილზე ფიქრს. ხშირ შემთხვევაში, ისინი გაურბიან მშობლებთან ამ თემაზე საუბარს, მხოლოდ იმიტომ, რომ ეს მათთვის სრულიად გაუგებარი და იდუმალი მოვლენაა. ახლობლის გარდაცვალებას პატარა ძალიან ღრმად განიცდის, თუმცა გარეგნულად მას არაფერი ეტყობა. დაძინების პროცესს ზოჯერ პატარა სიცოცხლიდან წასვლის მომენტთან აიგივებს.

ამ ასაკში მეტად გავრცელებულია სტიქიის შიში. გოგონები და ბიჭუნები დღეს ხშირად უყურებენ ტელევიზორში ფილმებს კატასტროფებზე, ხანძარზე, მიწისძვრებზე, წყალდიდობებზე და სხვა.

ექვსი-შვიდი წელი პირველი სასკოლო ზარის ასაკია. როდესაც სადღესასწაულო განწყობას პირველი შრომის ნაბიჯები მოჰყვება, მასთან ერთად ხშირად ახალი შიშებიც ჩნდება ხოლმე. ესაა არასწორი პასუხის, მასწავლებლის განაწყენების ან თანაკლასელთა არაკეთილგანწყობის შიში. პატარა შიშობს, რომ არ აღმოჩნდეს სასაცილო, სუსტი ან უცოდინარი. თუ ამ მომენტში იგი ვერ პოულობს თანაგრძნობას მშობლებისგან, შიშები ღრმავდება და იწყება უძილობა. დასაძინებლად დაწოლისას ბავშვი თავს ვერ აღწევს იმ აზრს, რომ დილიდან მას ისევ სკოლის საშინელება ელის. დროის გაყვანის მიზნით იგი დიდხანს ზის ტელევიზორთან ან საწერ მაგიდასთან; საშინაო დავალებას გაცილებით მეტ დროს ანდომებს, ვიდრე სინამდვილეში სჭირდება.

ბევრი მშობელი ხშირად სხვადასხვა ეშმაკობას მიმართავს, როცა ბავშვი ჯიუტობს და არ სურს დაძინება. ზოგი დედა პატარას ტკბილეულით აჯილდოებს, დილისათვის კი ერთ-ერთი თხოვნის შესრულებას ჰპირდება. ამ დროს ბავშვი ხვდება, რომ შეუძლია, თავისი გაიტანოს და საკუთარ პირობებს უყენებს მშობლებს. ამიტომ უმჯობესია, მსგავს პროვოკაციას არ წამოეგოთ. უფრო ჭკვიანური იქნება, თუ ძილს თამაშის ელემენტად აქცევთ.

● თუ თქვენს პატარას სიბნელის ეშინია, დატოვეთ ჩართული ღამის ნათურა. ვიდრე ოთახიდან გახვალთ, ჩართეთ სინათლე, მოეფერეთ პატარას და აჩვენეთ, რომ არავინ არის ოთახში თქვენ გარდა.

● დაძინებამდე ორი საათით ადრე ნუ აყურებინებთ ბავშვს ტელევიზორს, ნუ ათამაშებთ კომპიუტერს, მოარიდეთ ხმაურიან, ხმამაღალ თამაშობებს.

● თუ პატარას დაძინებისას საყვარელი სათამაშო უწევს ლოგინში, შეახსენეთ,



რომ ბაჭიას ეძინება და მარტო არ იძინებს.

● სასურველია, პატარა მარტო დაძინებას მიაჩვიოთ. თუ იგი ტირილს იწყებს, შედით საძინებელში, მაგრამ ეცადეთ, თანდათანობით ისწავლოს მარტო ძილი – გაზარდეთ მისი მარტო ყოფნის ინტერვალი.

● ნუ ეცდებით, ბავშვი ნებისმიერი საშუალებით დააძინოთ. ამისათვის პატარა ეშმაკობებს მიმართეთ. ნუ წაეჩხუბებით მას ძილის წინ, ნუ მიაყენებთ ახალ სტრესს, ნუ აღაგზნებთ დამატებით.

ზოგჯერ ხდება, რომ ერთი სული გვაქვს, მოვიშოროთ ღამით პატარა და დავაწვინოთ დასაძინებლად. ამ დროს ვერც კი ვამჩნევთ, რომ მის სულში შიშია ჩაბუდებული, რაც ძილთან დაკავშირებული პრობლემების მიზეზი ხდება. ცნობილია, რომ შიში „სანადიროდ“ სწორედ სიბნელეში გამოდის. თუმცა არ არის აუცილებელი, რომ ცუდი ძილი ყოველთვის შიშთან იყოს დაკავშირებული.

ხშირად სპეციალისტისთვისაც კი ძნელი გასარჩევია ერთმანეთისგან ცუდი ძილი და რეალური შიში. პირველ შემთხვევაში, როგორც წესი, ბავშვისათვის საკმარისი არ არის გვერდით თქვენი ყოფნა, იგი ითხოვს ზღაპრის მოყოლას, წყალს, საყვარელ სათამაშოს; მეორე შემთხვევაში კი მისთვის საკმარისია, რომ მშობლები გვერდით ჰყავდეს.

■

არტერიული ჰიპერტენზია

არამედიკამენტური მკურნალობა

არტერიული ჰიპერტენზია მოზრდილი მოსახლეობის 20-30%-ს აწუხებს. ასაკის მატებასთან ერთად მისი გავრცელება მატულობს და 65 წელზე მეტი ასაკის ადამიანებს შორის 50-65%-ს აღწევს. არტერიული ჰიპერტენზიის ყველა ფორმას შორის უფრო გავრცელებულია ზომიერი არტერიული ჰიპერტენზია (70-80%), დანარჩენ შემთხვევაში კი გვხვდება გამოხატული ჰიპერტენზია.

მაღალი არტერიული წნევის დიაგნოსტირებისათვის საკმარისია მინიმუმ სამჯერ მაინც დაფიქსირდეს არტერიული წნევის მაღალი ციფრები. (გაზომვა უნდა მოხდეს სხვადასხვა დროს, მშვიდ ვითარებაში, ამ დღეს ავადმყოფს არ უნდა ჰქონდეს მიღებული წნევაზე მოქმედი საშუალებები). თუ აღნიშნულ პირობებს არ დავიცავთ, შესაძლოა, მცდარი შედეგები მივიღოთ. საინტერესოა, რომ ყავის დალევის შემდეგ წნევის მაჩვენებელი მატულობს 11/5 ერთეულით, ალკოჰოლის მიღებისას – 8/8 ერთეულით, მოწევის შემდეგ – 6/5 ერთეულით, სავსე შარდის ბუშტის დროს – 15/10 ერთეულით.

არტერიული ჰიპერტენზიის მკურნალობის მიზანია ამ პათოლოგიური მდგომარეობის ცალკეულ შედეგებთან ბრძოლა. ავადმყოფთა უმრავლესობა საჭიროებს ჰიპოტენზიურ თერაპიას მთელი ცხოვრების მანძილზე, მაგრამ თავდაპირველად, მიზანშეწონილია წნევაზე დაკვირვება 4-6 კვირის განმავლობაში, რათა შევაფასოთ მისი სპონტანური დაქვეითების შესაძლებლობა. იმ შემთხვევების გარდა, როდესაც აუცილებელია დაუყოვნებელი მედიკამენტური მკურნალობა (სამიზნე ორგანოების: თირკმლების, თავის ტვინის, გულის, სისხლძარღვების დაზიანება, აგრეთვე არამედიკამენტური მკურნალობის არაეფექტიანობა).

არამედიკამენტური მკურნალობა გულისხმობს ცხოვრების წესის შეცვლას. არტერიული ჰიპერტენზიის დროს არამედიკამენტური თერაპიის ძირითადი ზომებია: დიეტა, ჭარბი წონის დაკლება, საკმარისი ფიზიკური აქტიურობა, მავნე ჩვევებზე უარის თქმა. პაციენტთა 40-60%-ში არტერიული ჰიპერტენზიის საწყის სტადიაზე, როდესაც წნევის ციფრები არ არის ძალიან მაღალი, შესაძლებელი ხდება მისი მოწესრიგება მხოლოდ არამედიკამენტური მკურნალობითაც კი.

მომატებული არტერიული წნევის მქონე ავადმყოფებისათვის შემუშავებულია სპეციალური დიეტა, რომელიც გულისხმობს მარილის შეზღუდვას 6-8 გ-მდე დღეში (3-4 გ-ს პროდუქტებში და 3-4 გ ემატება საკვებს); აგრეთვე იზღუდება სითხე 1,2 ლ-მდე (ამაში შედის წვნიანი კერძები, ჩაი, კომპოტი და სხვა); ცხოველური ცხიმები, რომელიც უნდა შეიცვალოს მცენარეულით; რაციონში უნდა ჩაერთოს უჯრედული გარსით, ვიტამინებით, კალიუმით, კალციუმით, მაგნიუმით მდიდარი პროდუქტები (ხილი, ბოსტნეული, მარცვლეული). ენერგეტიკული ღირებულება არ უნდა ჭარბობდეს 2600 კილოკალორიას დღეში. ასეთი დიეტა უნდა დაიცვას ყველამ, ვისაც არტერიული ჰიპერტენზია აწუხებს. დამატებითი სიძნელეები ექმნებათ მათ, ვისაც ჭარბი წონა აქვს. დღეისათვის მიღებულია, რომ თუ სხეულის წონა აჭარბებს იდეალურ მაჩვენებელს 15%-ით, მომატებული წნევის ფონზე უფრო დიდია გულის იშემიური დაავადების, დიაბეტის, სისხლძარღვთა ათეროსკლეროზის განვითარების შანსი. ამიტომ ასეთი ადამიანებისათვის აუცილებელია გახდომა. ითვლება, რომ ჭარბი წონის 1 კგ-ით შემცირება არტერიული წნევის 2 ერთეულით დაწევას იწვევს.

იმისათვის, რომ შემცირდეს ორგანიზმში ცხიმის სახით დაგროვილი ენერგია, აუცილებელია, რომ მიღებული ენერგიის რაოდენობა ნაკლები იყოს, ვიდრე დახარჯულის. გახდომა სამი გზით შეიძლება: შევამციროთ მიღებული საკვები, გავზარდოთ ფიზიკური დატვირთვა, ან ორივე ხერხი ერთად გამოვიყენოთ.

დიეტის შერჩევისას აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ, რომ იგი უნდა იყოს სრულფასოვანი, ანუ შეიცავდეს საჭირო ნივთიერებებს საკმარისი რაოდენობით.

არტერიული წნევის მოწესრიგებას ხელს უწყობს აგრეთვე არტერიული ჰიპერტენზიის არამედიკამენტური მკურნალობის მეთოდი – ციკლური ტიპის ფიზიკური აქტიურობა (სიარული, მსუბუქი სირბილი, სეირნობა თხილამურებით), თუ ამის უკუჩვენება არ არსებობს. მაგალითად, 30 წთ-იანი სირბილი ხელს უწყობს 300 კკალ-ის დაწვას ანუ 40 გ დაკლებას, 30 წთ ცურვა – 175 კკალ-ის. ყველაზე მარტივი და ხელმისაწვდომი მეთოდი მაინც ჩვეულებრივი სიარულია. იგი აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას, ასტიმულირებს გულისა და ფილტვების მუშაობას, ადუნებს სახსრებს და ხელს უწყობს წონაში კლებას.

გარკვეული მნიშვნელობა აქვს არტერიული ჰიპერტენზიის მკურნალობის სხვა მეთოდებსაც: ფსიქოთერაპიას, აკუპუნქტურას, ფიზიოთერაპიულ მეთოდებს (ელექტროძილი, დიადინამიური დენები), წყლის პროცედურებს, ფიტოთერაპიას.

■

როცა ჩემს მეგობრებს ამერიკულ ციხეში თავს გადახდენილ ამბებს ვუყვები, გაოცებას ვერ ფარავენ. ზოგი გულწრფელად აღფრთოვანებულია ჩემი მოხერხებულობით (ამ დროს ბავშვივით ვწითლდები ხოლმე); ზოგი ყველაფერს ღვთის ძალას მიაწერს — რა ბედი გქონია, ამდენ ორომტრიალს როგორ გაუძელი და გაუმკლავდიო; სკეპტიკოსები კი არ მიჯერებენ და ლამის ახალ ბარონ მიუნჰაუზენად მომნათლონ, რაღა ყველაფერი შენ შეგემთხვაო...

პირველი «გასეირნება» ამერიკულ ციხეში...

აკაკი გეგენავა

ბუნებრივია, იგივე კითხვები ჩვენს მკითხველსაც გაუჩნდება... მე კი მინდა გითხრათ, რომ ერთი, სხვებისგან არაფრით განსხვავებული ადამიანი გახლავართ. უბრალოდ, შეიძლება ოდნავ მეტად მაქვს გამახვილებული ყურადღება იმ მოვლენების მიმართ, რაც ჩემ გარშემო ხდება. უფრო ემოციურად აღვიქვამ იმ ცხოვრებისეულ ნიუანსებს, ბევრისთვის რომ აინუნში ჩასაგდებიც არ არის.

არადა, რამდენი ადამიანი ჩავარდნილა უფრო რთულ სიტუაციაში, თავიც მოხერხებულად დაუძვრენია... რა თქმა უნდა, არც მე ვარ პირველი ქართველი, ვინც ამერიკულ ციხეში მოხვდა და იქაურ „კანონებს“ ეზიარა...

მოკლედ, რადგან დავიწყე, ბოლომდე გიამბობთ ყველაფერს იმის შესახებ, რითაც თავი დამამახსოვრა მსოფლიოში ამ მართლაცდა ყველაზე კომფორტულმა ციხემ. კომფორტულმა და შეიძლება ითქვას, ჰუმანურმაც...

„ფისო“ ცისფერი გოლიათი აღმოჩნდა!..

როგორც იქნა, დასრულდა ჩემი შიშნარევი შეხვედრა ციხის ე.წ. ყოჩთან, ბილისთან. როგორც იქნა, გაიხსნა კვანძი. ახლა იმაზე უნდა მეზრუნა, საიდან მეშოვა ციხეში — „მშვიდობიანი ცხოვრების“ უზრუნველსაყოფი ყოველთვიური თანხა... რომლის რაოდენობაც ჩემი თანასაკნელი მოხუცი ზანგის გადასაწყვეტი აღმოჩნდა.

გულის კანკალით ველოდი, რა ციფრს დამისახელებდა ბიძია ჯო, რომელსაც უკვე ისე ვყავდი წონასწორობიდან გამოყვანილი (გახსოვთ, ალბათ, ჩემს ულუფასაც რომ მართმევდა, რასაც ჭამდა, ჭამდა, რასაც არა, „პარაშაში“ გადაუძახებდა), რომ სადაცაა ავფეთქდებოდი...

... ციხის ეზოში სეირნობის დასრულებამდე კარგა დრო იყო დარჩენილი და მიუხედავად იმისა, რომ ერთი სული მქონდა, მოხუცი ჯო რას მეტყოდა, საკანში მაინც არ წავსულვარ. ახლა სხვა პრობლემა უფრო მაწუხებდა — იმ რუსი პატიმრის ნახვა მინდოდა, რესტორან „Золотое кольцо“-დან რომ ვახსოვდი და რომლის იმედიც მქონდა, იქნებ, ციხიდან თავის დაღწევის რაიმე ვერსია შემომთავაზოს-მეთქი. ჰოდა, დავაბოტებდი უზარმაზარ ეზოში, რომელიც ახლა ბაზარს უფრო ჰგავდა, მოზუზუნე პატიმრებით სავსეს, ვიდრე სასეირნო პოლიგონს. სამწუხაროდ, ჩემი რუსი არა და არ ჩანდა და სულ უფრო მიფუჭდებოდა გუნება. ერთბაშად სულ, სულ მარტო აღმოვჩნდი ამ უკიდეგანო სამყაროში, რომლის ეპიცენტრად ოლბანის ციხე ქცეულიყო...

თავი მისკდებოდა იმაზე ფიქრით, რომ ციხიდან გაღწევის შანსი დღითი დღე მცირდებოდა... ასეთი სასოწარკვეთილი ალბათ არასოდეს ვყოფილვარ და ამ დროს...

— ცუგრუმელა, ხომ არ მოიწყინე? — ზედ ყურთან ჩამესმა მინაზებული ხმა.

გველნაკბენივით შევკრთი და რას ვხედავ: ჩემ წინ ნახევრად შიშველი, ათლეტური აღნაგობის მამაკაცი დგას და... კეკლუცად მიღიმის!

— მე ფისო მქვია, პატარავ, ხომ არ გაგვეცნო ერთმანეთი?.. — ტკბილ ხმაზე განაგრძო საუბარი ფისომ, რომელიც აფთარს უფრო ჰგავდა. ისიც კი გავიფიქრე, მოჩვენებები ხომ არ დამეწყო ან ინგლისურ ფრაზებს კარგად ვერ ვარჩევმეთქი. მაგრამ, ნურას უკაცრავად, დღესავით ნათელი იყო, რომ ეს მხეცივით კაცი ისე მომმართავდა, როგორც ბროდვეიზე საეჭვოდ მოსეირნე ლამაზმანს.

სიტუაციაში გარკვევა ვერც მოვახერხე, რომ ფისო კიდევ უფრო მომიახლოვდა. ცხადლივ ვიგრძენი რომელიღაც ძვირფასი სუნამოს მოტკბო სურნელი და მივხვდი, არფერი იმაზე საშინელი არ შეიძლება იყოს, ვიდრე ქალის სუნამონაპკურები მამაკაცი!

ყურადღება არ მიმიქცევია. ვიფიქრე, მოჰბეზრდება უაზრო ღლაბუცი და დამეხსნება-მეთქი. მაგრამ თურმე ჯერ სადა ხარ — ახლა იწყებოდა, რაც იწყებოდა! ჯერ ერთი თვალი ჩამიკრა, მერე — მეორე. მერე კი, თეძოს რხევით და ტუჩების ემოციური მოძრაობით ჰაეროვანი კოცნა გამომიგზავნა. კიდევ უფრო ახლოს მოიწია ჩემკენ, თვალი გამისწორა და პასუხის მოლოდინში გაიტრუნა. უნებლიეთ თავით ფეხამდე ჩავათვალიერე. ისეთი დაკუნთული იყო და ისეთი ძლიერი ჩანდა, რომ იტყვიან, ერთი დარტყმით მოზვერს გააგორებდა, მაგრამ რად გინდა, ტუჩებზე ბროწეულისფერი პომადა ესვა, ფრჩხილებიც ზუსტად ასეთივე ფერის ლაქით შეეღება. ცალ ყურზე უზარმაზარი ოქროს რგოლი ეკეთა...

— მე მეუბნებით რამეს? — გაოცებულმა ვკითხე. სადღაც გულის კუნჭულში კიდევ მქონდა იმედი, რომ იქნებ, ვიღაცაში ვეშლები-მეთქი.

— თქვენ ისეთი ვნებიანი თვალები გაქვთ, მშვიდად ვერ აგიარეთ გვერდი... — ისევ დაიმორცხვა.

„ვაი ჩემს თავს უბედურს, კაცო, ეს რა



ᲮᲐᲗᲐᲑᲐᲚᲐᲨᲘ ᲒᲐᲕᲔᲮᲕᲘᲔ!..“ — ᲛᲬᲐᲠᲔᲓ ᲒᲐᲕᲘᲤᲘᲥᲠᲔ ᲓᲐ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲡ ᲓᲐᲕᲣᲬᲧᲔ ᲫᲔᲑᲜᲐ. ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲐᲠ ᲓᲐᲛᲘᲯᲔᲠᲝᲗ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲓᲠᲝᲘᲡ ᲠᲐᲦᲐᲪ ᲛᲝᲜᲐᲙᲕᲔᲗᲨᲘ ᲐᲠᲪ ᲔᲠᲗᲘ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲣᲠᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲐᲦᲐᲠ ᲛᲐᲮᲡᲝᲕᲓᲐ...

— ᲘᲪᲘᲗ, ᲛᲔ ᲘᲡᲔᲗᲘ ᲓᲐᲮᲕᲔᲬᲘᲚᲘ ᲒᲔᲛᲝᲕᲜᲔᲑᲐ ᲛᲐᲥᲕᲡ, ᲠᲝᲛ ᲐᲥ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲛᲔ ᲛᲔᲙᲘᲗᲮᲔᲑᲐ ᲠᲩᲔᲕᲐᲡ... ᲒᲐᲕᲘᲡᲔᲘᲠᲜᲝᲗ, ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲝ, ᲛᲔ ᲨᲔᲜ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲡ ᲓᲔᲢᲐᲚᲣᲠᲐᲓ ᲐᲒᲘᲮᲡᲜᲘ... — ᲘᲡᲔ ᲛᲝᲛᲮᲘᲑᲕᲚᲔᲚᲐᲓ ᲒᲐᲛᲘᲦᲘᲛᲐ, ᲚᲐᲛᲘᲡ ᲒᲝᲜᲔᲑᲐ ᲓᲐᲕᲙᲐᲠᲒᲔ. ᲡᲐᲨᲘᲜᲔᲚᲘ ᲓᲘᲚᲔᲛᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲐᲦᲛᲝᲕᲩᲜᲓᲘ. ᲣᲮᲔᲨᲐᲓ ᲒᲐᲒᲓᲔᲑᲐ ᲕᲔᲠ ᲒᲐᲛᲔᲑᲔᲓᲐ; ᲐᲠᲪ ᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲡᲐᲣᲑᲠᲘᲡ ᲡᲣᲠᲕᲘᲚᲘ ᲛᲥᲝᲜᲓᲐ: ᲩᲮᲣᲑᲘ ᲠᲝᲛ ᲓᲐᲛᲔᲬᲧᲝ, ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲐᲕᲘ ᲘᲧᲝ, ᲛᲝᲕᲔᲠᲔᲝᲓᲝ ᲙᲘ?

— ᲘᲪᲘᲗ, ᲛᲔ ᲘᲡ ᲐᲠᲐ ᲕᲐᲠ, ᲗᲥᲕᲔᲜ ᲠᲝᲛ ᲒᲒᲝᲜᲘᲐᲗ... — ᲓᲐᲕᲘᲬᲧᲔ ᲔᲜᲘᲡ ᲑᲝᲠᲫᲘᲙᲘᲗ.

— ᲛᲔ ᲮᲝᲛ ᲗᲥᲕᲔᲜᲗᲕᲘᲡ ᲪᲣᲓᲘ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲛᲘᲙᲐᲓᲠᲔᲑᲘᲐ. ᲣᲑᲠᲐᲚᲝᲓ, ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐ ᲓᲐ „ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ“ ᲛᲘᲜᲓᲝᲓᲐ, ᲠᲐᲡᲐᲪ ᲓᲘᲓᲘ ᲡᲘᲐᲛᲝᲕᲜᲔᲑᲘᲗ ᲛᲝᲕᲘᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲓᲘ!.. — ᲯᲔᲠ ᲬᲧᲠᲝᲛᲘᲗ ᲛᲘᲗᲮᲠᲐ ᲐᲨᲙᲐᲠᲐᲓ ᲪᲘᲡᲤᲔᲠᲛᲐ ᲐᲮᲛᲐᲮᲛᲐ, ᲛᲔᲠᲔ ᲣᲪᲑᲐᲓ ᲘᲡᲔᲕ ᲨᲔᲘᲪᲕᲐᲚᲐ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐ ᲓᲐ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲘᲜᲐᲖᲔᲑᲣᲚᲘ ᲮᲛᲘᲗ ᲩᲐᲛᲩᲣᲠᲩᲣᲚᲐ:

— ᲩᲔᲛᲗᲐᲜ ᲘᲧᲐᲕᲘ, ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲝ ᲓᲐ ᲐᲥ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘ ᲐᲠ ᲒᲔᲥᲜᲔᲑᲐ. ᲐᲠᲪ ᲤᲣᲚᲖᲔ ᲘᲓᲐᲠᲓᲔᲑ... — ᲕᲔᲠᲪ ᲨᲔᲕᲐᲛᲩᲜᲘᲔ, ᲠᲝᲒᲝᲠ ᲛᲝᲛᲮᲕᲘᲐ ᲪᲐᲚᲘ ᲮᲔᲚᲘ ᲬᲔᲚᲖᲔ, ᲛᲔᲝᲠᲔ ᲙᲘ ᲗᲐᲕᲖᲔ ᲛᲝᲤᲔᲠᲔᲑᲘᲗᲘᲗ ᲒᲐᲓᲐᲛᲘᲡᲕᲐ. ᲔᲡ ᲙᲘ ᲣᲙᲕᲔ ᲛᲔᲢᲘᲡᲛᲔᲢᲘ ᲛᲝᲣᲕᲘᲓᲐ. ᲡᲘᲡᲮᲚᲛᲐ ᲡᲐᲤᲔᲗᲥᲚᲔᲑᲨᲘ ᲐᲛᲐᲡᲮᲐ. ᲐᲡᲔᲗᲘ ᲫᲐᲚᲐ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠ ᲗᲐᲕᲨᲘ ᲐᲠᲐᲡᲝᲓᲔᲡ ᲛᲘᲒᲠᲫᲜᲘᲐ. ᲣᲮᲔᲨᲐᲓ ᲛᲝᲕᲘᲨᲝᲠᲔ ᲛᲘᲡᲘ ᲓᲐᲙᲣᲜᲣᲚᲘ ᲮᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲖᲔ ᲒᲐᲕᲮᲢᲘ.

— ᲮᲝᲛ ᲒᲘᲗᲮᲐᲠᲘ, ᲨᲔ ᲐᲮᲕᲐᲠᲝ, ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲨᲔᲒᲔᲨᲐᲚᲐ-ᲛᲔᲗᲥᲘ. ᲐᲮᲚᲐ ᲐᲥᲔᲓᲐᲜ ᲐᲐᲮᲕᲘᲔ, ᲗᲝᲠᲔᲛ ᲡᲘᲒᲠᲫᲔᲡ ᲡᲘᲒᲐᲜᲔᲓ ᲒᲘᲥᲪᲔᲕ!..

ᲛᲗᲔᲚᲘ ᲡᲮᲔᲣᲚᲘᲗ ᲕᲪᲐᲮᲪᲐᲮᲔᲑᲓᲘ, ᲝᲦᲝᲜᲓ ᲘᲛᲓᲔᲜᲐᲓ ᲙᲘ ᲨᲔᲕᲘᲙᲐᲕᲔ ᲗᲐᲕᲘ, ᲠᲝᲛ ᲨᲔᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲛᲣᲨᲢᲘ ᲐᲠ ᲛᲝᲛᲘᲥᲜᲔᲕᲘᲐ. ᲔᲢᲧᲝᲑᲐ, ᲘᲡᲔᲗᲘ ᲨᲔᲨᲚᲘᲚᲘ ᲡᲐᲮᲔ ᲛᲥᲝᲜᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲧᲚᲐᲧᲣᲓᲐ ᲡᲐᲡᲬᲠᲐᲤᲝᲓ ᲒᲐᲛᲘᲪᲔᲪᲚᲐ:

— ᲙᲐᲠᲒᲘ, ᲙᲐᲠᲒᲘ, ᲓᲐᲬᲧᲜᲐᲠᲓᲘ ᲓᲐ ᲮᲛᲐᲡ ᲐᲠ ᲒᲐᲒᲪᲔᲛ... ᲘᲡᲔ, ᲒᲘᲠᲩᲔᲕ, ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲤᲘᲥᲠᲓᲔ, ᲘᲪᲝᲓᲔ, ᲐᲠ ᲘᲜᲐᲜᲔᲑ...

— ᲛᲝᲨᲝᲠᲓᲘ, ᲨᲔᲜᲘ!.. — ᲐᲥ ᲣᲙᲕᲔ ᲖᲐᲜᲒᲔᲑᲘᲡ ᲙᲕᲐᲠᲢᲐᲚᲨᲘ ᲜᲐᲡᲬᲐᲕᲚᲘᲐ ᲐᲗᲡᲐᲠᲗᲣᲚᲘᲐᲜᲘ ᲒᲘᲜᲔᲑᲐ ᲛᲝᲕᲘᲨᲕᲔᲚᲘᲔ ᲓᲐ ᲛᲣᲨᲢᲔᲑᲘ ᲛᲝᲕᲘᲛᲐᲠᲯᲕᲔ. ᲑᲐᲒᲨᲕᲝᲑᲐᲨᲘ ᲙᲐᲠᲐᲢᲔᲡ ᲬᲠᲔᲖᲔ ᲜᲐᲡᲬᲐᲕᲚᲘ ᲘᲚᲔᲗᲔᲑᲘ ᲒᲐᲛᲐᲮᲡᲘᲜᲓᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲡᲢᲐᲠᲗᲝ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ ᲓᲐᲕᲘᲙᲐᲕᲔ.

ᲪᲘᲡᲤᲔᲠᲘ ᲒᲝᲚᲘᲐᲗᲘ ᲙᲘ, ᲕᲘᲗᲝᲛᲪ ᲐᲥ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲛᲝᲛᲮᲓᲐᲠᲐᲝ, ᲡᲮᲔᲣᲚᲘᲡ ᲜᲐᲠᲜᲐᲠᲘ ᲠᲮᲔᲕᲘᲗ ᲒᲐᲛᲨᲝᲠᲓᲐ. ᲔᲠᲗᲘ-ᲝᲠᲯᲔᲠ ᲓᲐᲜᲐᲜᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲓᲛᲝᲛᲮᲔᲓᲐ ᲓᲐ ᲗᲕᲐᲚᲡ ᲛᲘᲔᲤᲐᲠᲐ.

ᲦᲠᲛᲐᲓ ᲐᲛᲝᲕᲘᲡᲣᲜᲗᲥᲔ. ᲗᲘᲗᲥᲝᲚ ᲖᲣᲠᲒᲘᲓᲐᲜ ᲣᲛᲫᲘᲛᲔᲡᲘ ᲢᲕᲘᲠᲗᲘ ᲛᲝᲕᲘᲮᲡᲔᲜᲔ.

— Good guy... perfect!.. (ᲙᲐᲠᲒᲘ ᲑᲘᲭᲘ ᲮᲐᲠ... ᲧᲝᲩᲐᲦ!..) — ᲛᲝᲛᲔᲡᲛᲐ ᲮᲛᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲣᲚᲝᲓᲜᲔᲚᲐᲓ ᲩᲔᲛ ᲒᲐᲠᲨᲔᲛᲝ ᲞᲐᲢᲘᲛᲐᲠᲗᲐ ᲛᲝᲖᲠᲓᲘᲚᲘ ᲯᲒᲣᲤᲘ ᲨᲔᲘᲙᲠᲘᲑᲐ. ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲩᲐᲜᲡ, ᲞᲐᲢᲘᲛᲠᲔᲑᲘ ᲗᲕᲐᲚᲡ ᲐᲓᲔᲕᲜᲔᲑᲓᲜᲔᲜ ᲩᲔᲛᲘ ᲓᲐ ᲪᲘᲡᲤᲔᲠᲘ ᲒᲝᲚᲘᲐᲗᲘᲡ „ᲝᲠᲗᲐᲑᲠᲫᲝᲚᲐᲡ“ ᲓᲐ ᲩᲔᲛᲘ ᲡᲘᲛᲐᲛᲐᲪᲘᲗ ᲐᲦᲤᲠᲗᲝᲕᲐᲜᲔᲑᲣᲚᲜᲘ, ᲡᲐᲥᲔᲑᲐᲠ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲡ ᲐᲠ ᲘᲨᲣᲠᲔᲑᲓᲜᲔᲜ. ᲒᲣᲚᲖᲔ ᲛᲝᲛᲔᲨᲕᲐ ᲓᲐ ᲪᲝᲢᲐ ᲮᲐᲡᲘᲐᲗᲖᲔ ᲛᲝᲕᲔᲓᲘ.

ᲑᲘᲫᲘᲐ ᲯᲝ ᲐᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲓᲐ

ᲐᲛ ᲛᲝᲣᲚᲝᲓᲜᲔᲚᲘ ᲘᲜᲪᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲐᲓᲒᲘᲚᲡ ᲕᲔᲦᲐᲠ ᲕᲞᲝᲣᲚᲝᲑᲓᲘ. ᲙᲘᲓᲔᲕ ᲓᲘᲓᲮᲐᲜᲡ ᲕᲘᲐᲠᲔ ᲔᲖᲝᲨᲘ ᲘᲛ ᲘᲛᲘᲓᲘᲗ, ᲠᲝᲛ ᲠᲝᲒᲝᲠᲛᲔ ᲘᲛ ᲠᲣᲡ ᲞᲐᲢᲘᲛᲐᲠᲡ ᲕᲘᲞᲝᲕᲘᲓᲘ. ᲡᲐᲛᲬᲣᲮᲐᲠᲝᲓ, ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲛᲘᲕᲘᲓᲐ. ᲑᲝᲚᲝᲡ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲩᲐᲜᲡ, ᲐᲛᲓᲔᲜᲛᲐ ᲣᲐᲠᲧᲝᲤᲘᲗᲛᲐ ᲔᲛᲝᲪᲘᲐᲛ ᲩᲔᲛᲖᲔ ᲘᲛᲝᲥᲛᲔᲓᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲥᲐᲜᲪᲣᲚᲘ, ᲡᲐᲙᲐᲜᲨᲘ ᲓᲐᲕᲑᲠᲣᲜᲓᲘ. ᲩᲔᲛᲓᲐ ᲒᲐᲡᲐᲝᲪᲠᲐᲓ, ᲡᲐᲙᲐᲜᲘ ᲪᲐᲠᲘᲔᲚᲘ ᲓᲐᲛᲮᲕᲓᲐ. ᲑᲘᲫᲘᲐ ᲯᲝ, ᲔᲢᲧᲝᲑᲐ, ᲔᲖᲝᲨᲘ „ᲡᲐᲥᲕᲔᲧᲜᲝ“ ᲡᲐᲥᲛᲔᲔᲑᲡ ᲐᲒᲕᲐᲠᲔᲑᲓᲐ... ᲛᲘᲕᲬᲔᲥᲘ ᲪᲘᲮᲘᲡ ᲙᲕᲐᲚᲝᲑᲐᲖᲔ ᲡᲐᲙᲛᲐᲝᲓ ᲙᲝᲛᲤᲝᲠᲢᲣᲚ ᲡᲐᲬᲝᲚᲖᲔ ᲓᲐ ᲩᲔᲛᲡ ᲣᲘᲛᲔᲓᲝ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐᲖᲔ ᲓᲐᲕᲤᲘᲥᲠᲓᲐ. ᲐᲮᲚᲐ ᲩᲔᲛᲘ ᲑᲔᲓᲘ ᲐᲛ ᲛᲝᲮᲣᲪ ᲖᲐᲜᲒᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲓᲐᲔᲬᲧᲘᲢᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲗᲐᲕᲘᲓᲐᲜᲕᲔ ᲐᲛᲘᲗᲕᲐᲚᲬᲣᲜᲐ...

ᲐᲠ ᲕᲘᲪᲘ, ᲠᲐᲛᲓᲔᲜ ᲮᲐᲜᲘ ᲕᲘᲧᲐᲕᲘ ᲐᲡᲔ. ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲩᲐᲜᲡ, ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲐᲡᲔᲘᲠᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲗᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲔᲑᲔᲑᲛᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲒᲐᲘᲢᲐᲜᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲓᲐᲦᲚᲘᲚᲡ ᲩᲐᲛᲗᲕᲚᲘᲛᲐ. ᲗᲕᲐᲚᲘ ᲠᲝᲛ ᲒᲐᲕᲐᲮᲘᲚᲔ, ᲕᲮᲔᲓᲐᲕ, ᲩᲔᲛ ᲬᲘᲜ ᲑᲘᲫᲘᲐ ᲯᲝ ᲖᲘᲡ ᲓᲐ ᲙᲔᲗᲘᲚᲐᲓ ᲛᲘᲦᲘᲛᲘᲡ. ᲛᲔᲒᲝᲜᲐ, ᲛᲔᲩᲕᲔᲜᲔᲑᲐᲛᲔᲗᲥᲘ. ᲫᲜᲔᲚᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲡᲐᲓᲒᲔᲜᲘ ᲘᲧᲝ ᲩᲔᲛᲗᲕᲘᲡ ᲛᲝᲮᲣᲪᲘ ᲖᲐᲜᲒᲘᲡ ᲦᲘᲛᲘᲚᲘ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲠ ᲨᲔᲕᲛᲪᲓᲐᲠᲕᲐᲠ, ᲑᲘᲫᲘᲐ ᲯᲝ ᲛᲐᲠᲗᲚᲐ ᲛᲔ ᲛᲘᲦᲘᲛᲝᲓᲐ!

ᲡᲐᲬᲝᲚᲖᲔ ᲬᲐᲛᲝᲕᲯᲔᲥᲘ ᲓᲐ ᲛᲮᲣᲪᲡ ᲒᲐᲕᲮᲔᲓᲔ. ᲘᲡᲘᲪ ᲐᲓᲒᲐ, ᲩᲔᲛᲗᲐᲜ ᲛᲝᲕᲘᲓᲐ, ᲛᲮᲐᲠᲖᲔ ᲮᲔᲚᲘ ᲫᲛᲐᲙᲪᲣᲠᲐᲓ ᲓᲐᲛᲐᲠᲗᲧᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲗᲮᲠᲐ:

— ᲛᲐᲒᲐᲠᲘ ᲑᲘᲭᲘ ᲧᲝᲤᲘᲚᲮᲐᲠ, ᲗᲐᲜᲐᲪ ᲩᲕᲔᲜᲔᲑᲣᲠᲘ. ᲜᲣᲠᲐᲤᲔᲠᲖᲔ ᲘᲓᲐᲠᲓᲔᲑ. ᲐᲥ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘ ᲐᲠ ᲨᲔᲒᲔᲥᲛᲜᲔᲑᲐ... ᲗᲘᲗᲡᲐᲪ ᲕᲔᲠᲐᲕᲘᲜ ᲓᲐᲒᲐᲙᲐᲠᲔᲑᲡ!..

ᲛᲮᲣᲪᲛᲐ ᲗᲕᲐᲚᲘ ᲩᲐᲛᲘᲙᲠᲐ ᲓᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲐᲓᲒᲘᲚᲡ ᲓᲐᲣᲑᲠᲣᲜᲓᲐ.

ᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘ ᲗᲣ ᲒᲘᲜᲓᲐ, ᲔᲡ ᲘᲧᲝ: ᲑᲘᲫᲘᲐ ᲯᲝ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲝᲠᲘ ᲓᲦᲔ ᲡᲘᲡᲮᲚᲡ ᲛᲘᲨᲠᲝᲑᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲘᲢᲧᲕᲘᲐᲜ, 180 ᲒᲠᲐᲓᲣᲡᲘᲗ ᲨᲔᲛᲝᲢᲠᲘᲐᲚᲓᲐ. ᲑᲣᲖᲦᲣᲜᲐ, ᲭᲘᲠᲕᲔᲣᲚᲘ, ᲑᲝᲠᲝᲢᲘ ᲑᲔᲠᲘᲙᲐᲪᲘ ᲛᲝᲣᲚᲝᲓᲜᲔᲚᲐᲓ ᲙᲔᲗᲘᲚᲨᲝᲑᲘᲚ, ᲡᲐᲗᲝᲜᲝ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲐᲓ ᲒᲐᲠᲓᲐᲘᲥᲛᲜᲐ.

— ᲠᲐ ᲛᲝᲮᲓᲐ, ᲑᲘᲫᲘᲐ ᲯᲝ, ᲕᲔᲦᲐᲠ ᲒᲪᲜᲝᲑᲗ, ᲨᲔᲘᲪᲕᲐᲚᲐ ᲠᲐᲛᲔ? — ᲕᲙᲘᲗᲮᲔ ᲣᲜᲓᲝᲑᲚᲐᲓ.

— ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ, ᲣᲑᲠᲐᲚᲝᲓ ᲒᲐᲕᲘᲒᲔᲗ, ᲕᲘᲜᲪᲐ ᲮᲐᲠ ᲓᲐ ᲔᲒ ᲐᲠᲘᲡ! — ᲛᲝᲙᲚᲔᲓ ᲛᲝᲛᲘᲭᲠᲐ ᲛᲝᲮᲣᲪᲛᲐ ᲖᲐᲜᲒᲛᲐ.

— ᲙᲘ ᲛᲐᲒᲠᲐᲛ, ᲠᲝᲒᲝᲠ ᲒᲐᲘᲒᲔᲗ?

— ᲛᲗᲔᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ ᲛᲐᲒᲘᲡ ᲛᲔᲢᲘ ᲙᲘ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲛᲘᲙᲔᲗᲔᲑᲘᲐ. ᲛᲘᲗ ᲣᲛᲔᲢᲔᲡ, ᲪᲘᲮᲔᲨᲘ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲘᲛᲐᲚᲔᲑᲐ...

— ᲑᲘᲚᲘᲡ ᲨᲔᲕᲔᲮᲕᲓᲘ... ᲕᲘᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲔᲗ, — ᲒᲣᲚᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲨᲚᲐ ᲓᲐᲕᲐᲞᲘᲠᲔ.

— ᲕᲘᲪᲘ, ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲕᲘᲪᲘ!.. — ᲛᲨᲕᲘᲓᲐᲓ ᲛᲘᲗᲮᲠᲐ.

— ᲑᲘᲫᲘᲐ ᲯᲝ ᲒᲔᲢᲧᲕᲘᲡ, ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲒᲔᲥᲜᲔᲑᲐ ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲮᲐᲓᲘᲝ... — ᲒᲐᲜᲕᲐᲒᲠᲫᲔ ᲓᲐ ᲡᲛᲔᲜᲐᲓ ᲕᲘᲥᲔᲪᲘ. ᲮᲣᲛᲠᲝᲑᲐ ᲡᲐᲥᲛᲔ ᲮᲝᲛ ᲐᲠ ᲘᲧᲝ, ᲕᲘᲜ ᲘᲪᲘᲡ, ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲡ ᲓᲐᲛᲘᲬᲔᲡᲔᲑᲓᲐ ᲔᲡ ᲣᲪᲜᲐᲣᲠᲘ ᲙᲐᲪᲘ, ᲨᲔᲕᲫᲚᲔᲑᲓᲘ ᲙᲘ, ᲐᲜ ᲠᲝᲓᲔᲛᲓᲔ ᲨᲔᲕᲫᲚᲔᲑᲓᲘ ᲒᲐᲓᲐᲮᲓᲐᲡ!..

— ᲨᲔᲜ ᲠᲝᲒᲝᲠ ᲤᲘᲥᲠᲝᲑ, ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲓᲐᲘᲮᲐᲓᲝ? — ᲙᲘᲗᲮᲕᲘᲗᲕᲔ ᲛᲘᲞᲐᲡᲣᲮᲐ.

— ᲠᲐ ᲕᲘᲪᲘ, ᲐᲑᲐ, ᲠᲝᲒᲝᲠ ᲒᲘᲗᲮᲠᲐᲗ?..

— ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘᲪ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲓᲐᲘᲮᲐᲓᲝ,

ᲤᲠᲐᲖᲔᲑᲘ ᲒᲔᲜᲘᲐᲚᲣᲠᲘ

ᲠᲝᲪᲐ ᲛᲝᲛᲒᲔᲑᲘᲐᲜᲘ ᲙᲐᲠᲢᲘ ᲒᲐᲥᲕᲡ ᲮᲔᲚᲗᲗ, ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲐᲓ ᲨᲔᲒᲘᲫᲚᲘᲐ, ᲞᲐᲢᲘᲝᲡᲜᲐᲓ ᲘᲗᲐᲛᲐᲨᲝ.

ᲝᲡᲙᲐᲠ ᲣᲐᲘᲚᲓᲘ



არფერი იმაზე საშინელი არ შეიძლება იყოს, ვიდრე ქალის სუნამონაპკურები მამაკაცი!

იცხოვრე შენთვის და იყავი, უბატონოდ ხმას ვერავინ გაგცემს!.. – სულ მთლად დაიშაქრა მოხუცი პატიმარი.

ვერაფერი გამერკვია, საიდან მოხდა ასეთი მეტამორფოზა – გუშინ ეს მოხუცი მემუქრებოდა, დღეს კი მეგობრობას მეფიცებოდა.

– ვერაფერი გავიგე!.. – უფრო ჩემთვის წავიბუტბუტე.

– რა ვერ გაიგე, შვილო! შენ თურმე ისეთ ხალხს იცნობ, მაგარი ვინმე ყოფილხარ. თანაც დღესაც ისეთ კაცს გაუმკლავდი და იქით შეაშინე, რომ ამას არავინ მოელოდა. მოკლედ, შენისთანა კაცს ციხეში აწი ვეღარავინ შეაწუხებს, თანაც ყველაფერ ამას ისიც ემატება, რომ უდანაშაულოც ხარ.

ასე გამომადგა ოლბანის ციხეში ბრუკლინელ ავტორიტეტებთან ნაცნობობა. არადა, თავდაპირველად ციხეში რატომღაც ყველაფერი უკონტროლო და უმართავი მეგონა... უფალს მადლობა შევწირე, იმის გამო, რომ ჩემი კვარტალის ყოჩის ბებიასთან დამეგობრებამ, ახლა აქ, ციხეში ლამის პირველ კაცად მაქცია...

ამჯერად ჯოს ისიც ვკითხე, – კი, მაგრამ თქვენ საიდან იცით, ვინ შევაშინე-მეთქი?

– როგორ თუ საიდან, მე ყველაფერი ვიცი, – ამაყად წამოიმართა მოხუცი ზანგი და განაგრძო, – აი, შენთან რომ მოვიდა ის გოლიათი, ცისფერი ეში ჰქვია მაგას. მართალია ცისფერია, მაგრამ სპილოს ძალა აქვს... ბიჭები გაგიჟდნენ, შენმა ახალმა თანასაკნელმა არაფერი დაუთმო და გააქციაო. ეტყობა, ეშიმ შენში ვაჟკაცური ბუნება დაინახა და ამან შეაშინა, თორემ ჩხუბში რომ ვერ მოერეოდი, ეს ცხადზე უცხადესია...

ბოლოს კი ბიძია ჯომ ისეთი რამ მითხრა, ხომ არ მომესმა-მეთქი, გავიფიქრე:

– სხვათა შორის, მეც ძალიან მომეწონე, აკაკი!

– რა ვიცი, ბიძია ჯო, ზედაც არ მიყურებდი და! ასე მეგონა, შიმშილით გინდოდა მოგეკალი!.. – გავუხსენე მოხუცს „ცოდვები“.

– შვილო, ციხეს თავისი კანონები აქვს. აქ მოხვედრილი კაცი ჯერ უნდა გამოიცადოს, უნდა ვიცოდეთ, ვინ ვინ არის. მე მხოლოდ საპყრობილის წესებით ვმოქმედებდი...

– და ახლა ულუფას აღარ წამართმევ?.. – ხუმრობის ხასიათზეც მოვიდა.

– შენი კი არა, ჩემს საჭმელსაც ძლივს ვერევი. შენ, რა? გგონია, ამ ბალანდაზე ვგიჟდები? უბრალოდ, ასე იმიტომ ვიქცეოდი, რომ საქმეს სჭირდებოდა.

– გამოდის, რომ ამიერიდან დავძმაკაცდით? – აღტაცებით წამოვიძახე.

– აბა რა, ეგღა მაკლია, იმასთან ვერ ვიმეგობრო, ვინც ჩემს საკანში ცხოვრობს. ესეც იცოდე, ჩემთან უღირსები არ ხვდებიან და თუ ვინმე გამოერია, დიდხანს ვერ გაძლებს. აკაკი, შენ კარგი ბიჭი ხარ და რა თქმა უნდა, ჩემი მეგობარიც... – გამიღიმა და აფუსფუსდა. საიდანღაც მოსაწევი გამოაძვრინა. მთელი ათი წუთი სპეციალურად ამისთვის განკუთვნილ ქაღალდში პროფესიული ოსტატობით ურევდა თუთუნს და ჰაშიშს ერთმანეთში. მერე აფთიაქის სასწორის სიზუსტით გაყო ორ ნაწილად, გაახვია, ერთი თავისთვის დაიტოვა და მეორე მე გამომიწოდა, – დატკბი ცხოვრებითო!

– არა, ბიძია ჯო, მე, მე არ ვეწევი, სიგარეტსაც კი არ ვეწევი... მადლობელი ვარ, თქვენთვის შეინახეთ... – ბორძიკ-ბორძიკით ვუპასუხე.

– აქ ყველა კაიფობს და შენ თურმე სიგარეტსაც არ ეწევი. მიდი, მოსწიე, გაგისწორდება!.. – ფარ-ხმალს არ ყრიდა მოხუცი ქეში.

– ეგ არ არის საჩემო საქმე, ბიძია ჯო!.. – ამ პასუხს ეტყობა, არ მოელოდა.

– უცნაურია, პირველად ვხედავ ახალგაზრდას, ამ სიამოვნებაზე უარს რომ ამბობს... – მხრები აიჩეჩა. გამზადებული მოსაწევი ჩაიდო, სანთებელა მოუკიდა, ღრმად ჩაისუნთქა, თვალები მინაბა და დაელოდა, სანამ ფილტვებში ჩასული ბოლი იმოქმედებდა... მერე კვამლი ამოუშვა და თვალი ჭერს მიაშტერა... მოკლედ, რაღა ბევრი გავაგრძელო, ვერაფერი შვილი სანახაობა გახლდათ მოხუცი ზანგის ქეშაობა.

მოულოდნელად ჩემო მოკაიფე თანასაკნელი გამოფხიზლდა, თითქოს რაღაც მოაგონდაო. შემომხედა დაბინდულ-გაბრწყინებული თვალებით და – ევრიკაო! – წამოიყვირა.

ყურადღება არ მივაქციე, ნირვანაში მყოფს ალბათ რაღაც მოეჩვენა-მეთქი. მოხუცმა კი თავისი ევრიკა-აღმოჩენა ასე დააკონკრეტა:

– მე იმ კაცის დედა... ვინც შენ ნარკოდილერობისთვის დაგიჭირა. გაგიჟდება კაცი, რითი ფიქრობენ ეს კრეტინები... – მითხრა და ისევ ღრმა ნაფაზი დაარტყა.

... ახლა უკვე კარგა ხანს ვეღარაფერი გამოაფხიზლებდა ბიძია ჯოს. იგი ამ ქვეყანაზე იყო და არც იყო. კედლის რომელიღაც წერტილს მიშტერებოდა და ანგელოზებს უღიმოდა... იმ წუთში ალბათ მასზე ბედნიერი ქვეყანაზე არავინ იყო...

მძაფრი თავგადასავლებით დამუხტულს, ამდენი მოულოდნელობისგან ახლა რაღა დამაძინებდა. ვიჯექი საწოლზე, საკანში დატრიალებული ჰაშიშის კვამლით გაბრუებული და თავი მისკდებოდა. ახლა ორ ტაბლეტ ასპირინში ან ნახევარ ლიტრ ჩვენებურ „ბორჯომში“ ერთი წლის სიცოცხლეს დაუნანებლად მივცემდი...

ამასობაში მესმოდა, როგორი ხმაურით დადიოდა ციხის ზედამხედველი გასაღებების ასხმულათი და როგორი დაუდევრობით კეტავდა საკნების კარებს. შეიხედავდა თითოეულ საკანში, შეამოწმებდა, ისხდნენ თუ არა პატიმრები ადგილზე და ამის შემდეგ, კარს ბოქლომს ადებდა.

ჩვენს საკანს რომ მოუახლოვდა, შემოიხედა. აგვათვალიერა და მკითხა, ადგილზე ხართო?

– არა, გასული ვარ!.. – ვუპასუხე.

ორივეს გაგვეცინა. მერე ზედამხედველმა ბიძია ჯო აათვალიერა და ჩაილაპარაკა:

– გამაგიჟებს ეს ბებერი, სადაცაა ოთხმოცს მიუკაკუნებს და კაიფს არ ეშვება. ნეტავი, მე შემეძლოს ასე!.. – ზედამხედველმა ტრადიციას არ უღალატა, ჩვენი საკნის კარიც რიხინ-რიხინით დახურა და ბოქლომი დაადო. წასვლისას ისევ გადმომხედა, ჩანს, თვალში მოვუვედი, გამიღიმა და მომმართა: – არ მოგერიდოს, თუ რამე პრობლემა გექნება, მაშინვე დამიძახე, დღეს მე ვარ მორიგე!..

კმაყოფილებისგან გავიბადრე. როგორი საქმეა, დღეს ფორტუნა ნამდვილად ჩემს მხარეს იყო. გარდა იმისა, რომ პატიმრებმა შემამჩნიეს, ჯოც შემირიგდა და საკანში მშვიდად ყოფნის უფლებაც მოვიპოვე, ახლა ზედამხედველიც თავის კეთილგანწყობას ამჟღავნებდა. პატიმრის კვალობაზე ჩემი საქმე არცთუ ისე სავალალოდ იყო.

ჩემი აზრით, ყინული ლღვებოდა... ■

ჯაჭოჩენილი ადამიანების ხუმრობები

აკაკი წერეთელი და ჟურნალ „ნობათის“ რედაქტორი ანდრია ღულაძე დიდ წვეულებაზე შეხვედრიან ერთმანეთს. ანდრიას ჩვევად ჰქონია – კარგად რომ შექეიფიანდებოდა, რომელიმე სიმღერას ამოიჩემებდა და მაღალი, მყვირალა ხმით მღეროდა. ამჯერადაც დაუწყია: „მიმინო მყავდა, მიყვარდა...“ რომ აღარ გაჩერებულა, აკაკი მიჰბრუნებია, შუბლზე თითი მიუდვია მისთვის და უთქვამს: რატომ ცრუობ, ანდრია? მიმინო რომ გყავდეს, მწყრებს აქ რა გააჩერებდაო?!.

* * *

ილია ჭავჭავაძეს უკითხავს ნიკო ნიკოლაძისთვის:

– ამ ზაფხულს სად აპირებ დასვენებას?

ნიკოს გახუმრება უცდია:

– Или Боржоми илико-ჯორი... შენ თვითონ საით აპირებ?

– Ни Боржоми, нико-ჯორი... – მიუგო დიდმა ილიამ.

* * *

ერთი პოეტი ჩასციებია თურმე გალაკტიონს – ყველა შეხვედრისას ეკითხებოდა:

– მართალი მითხარი – ხომ ვარ ილია ჭავჭავაძე, ხომ ვარ?

რომ აღარ მოეშვა, გალაკტიონმა, თავიდან მოსაშორებლად თავი დაუკრა თანხმობის ნიშნად.

– ახლა ის მითხარი – მაინც რა მაკლია ილიამდე?

გალაკტიონმა ვეღარ მოითმინა და შესძახა:

– ტყვია შუბლში!..

* * *

ბრამსის თანამედროვე კომპოზიტორმა, რომელიც თავისი უნიჭობით იყო ცნობილი, დაწერა სიმღერა შილერის ლექსზე და არაერთხელ სთხოვა ბრამსს, მოესმინა და შეეფასებინა იგი. ბოლოს და ბოლოს, მაესტრო დათანხმდა.

– აბა, რას მეტყვით? მოგეწონათ ჩემი ნაწარმოები?

– ო, შესანიშნავია! – მიუგო ბრამსმა.

– როგორ გამახარეთ! – წამოიძახა აღფრთოვანებულმა ავტორმა.

– მეც, – მიუგო გამოჩენილმა კომპოზიტორმა და ამოიოხრა, – რადგან კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ ყველაფრის მიუხედავად, შილერის ლექსები მაინც უკვდავი რჩება...

* * *

ერთმა ლორდმა ბერნარდ შოუს დაპატიჟება გადაწყვიტა. მაგრამ როგორც ჩანს, მას მიაჩნდა, რომ ამით, დიდ პატივს დასდებდა არა საკუთარ თავს, არამედ თავად გამოჩენილ მწერალს, ამიტომ მოსაწვევის ბოლოს მიწერა: „ლორდი N საშშაბათს, 16-დან 18 საათამდე იქნება შინ“. შოუმ ლორდის ამ მინაწერს საკუთარი დაამატა და უკან გაუგზავნა. მინაწერი ასეთი იყო: „ბერნარდ შოუც“.

* * *

1842 წელს, რუსეთში გასტროლებზე მყოფი უნგრელი კომპოზიტორი ფერენც ლისტი 24 საათში გააძევეს პეტერბურგიდან. გარდა ამისა, პოლიციმეისტერმა მას უზენაესის ნება გადასცა: ამიერიდან, ლისტმა თავი უნდა შეიკავოს რუსეთში ჩამოსვლისაგან... საქმე კი, აი, რაში მდგომარეობდა. ლისტის კონცერტზე პეტერბურგის საზოგადოების უმაღლესი წარმომადგენლები შეიკრიბნენ და თავად იმპერატორი, ნიკოლოზ I-ც მობრძანდა. კონცერტის დროს, უეცრად, მეფე საკმაოდ ხმამაღლა ალაპარაკდა – ის გაცხარებით ეუბნებოდა რაღაცას საკუთარ ადიუტანტებს. ლისტმა დაკვრა შეწყვიტა.

– რაშია საქმე? – იკითხა იმპერატორმა. – რატომ შეწყვიტეთ დაკვრა?

– როცა მეფე ბაასობს, მუსიკაც კი უნდა დადუმდეს... – მშვიდად მიუგო ლისტმა.

ნიკოლოზმა ხელი აიქნია და ცივად ბრძანა:

– განაგრძეთ!

მან ბოლომდე მოუსმინა კონცერტს. მაგრამ დარბაზიდან გამოსულ კომპოზიტორს კართან უკვე პოლიციმეისტერი ელოდებოდა... ■

ანეკდოტები

ცოლმა ქმრის ჯიბეში იპოვა ვინმე იზაბელა ჯექსონის ტელეფონის ნომერი და ქმარს ჩხუბი დაუწყო.

– ნუ ყვირი, ქალო. ეს ცხენის სახელია, რომელიც დღეში მონაწილეობს. ხოლო ტელეფონი ბუკმეიკერისაა.

რამდენიმე დღის შემდეგ შინ დაბრუნებულ ქმარს გაკაპასებული ცოლი კართან შეეგება:

– ერთი საათის წინ შენმა ულაყმა დარეკა დღეიდან!

* * *

– ჩემი ცოლი დაფეხმძიმდა.

– მართლა? ვისზე გაქვს ეჭვი?

* * *

ოქროს ქორწილზე ქმარი გულახდილი ხდება და სტუმრებს უყვება:

– რომ იცოდეთ, მთელი ამ ხნის მანძილზე რამდენ ქმარს დავადგი რქები.

ცოლმა ამოიოხრა:

– მე კი მხოლოდ ერთს...

* * *

ბიჭუნამ უზარმაზარ ქოფაკთან მიირბინა და ბომბორას კუდზე მოეფერა.

შეშინებული დედა უყვირის:

– რას შვრები, არ გიკბინოს!

– ნუ გეშინია, დედიკო, ამ ბოლოდან არ იკბინება.

* * *

– ერთი დირექტორი ეუბნება მეორეს:

– ყოველი შემთხვევისათვის, მე ლოგინშიც კი ჩავიყოლებ ხოლმე პასტასა და ფურცელს, რომ, როცა რაღაც მნიშვნელოვანი გამახსენდება, მაშინვე ჩავიწერო.

– მე კი ამისთვის ლოგინში მდივანს ჩავიყოლებ ხოლმე.

* * *





მე-20 გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-ბ; 2-გ; 3-ა; 4-გ.
29-ე გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-ბ; 2-ბ; 3-ა.

კვირის (14 – 20 ივლისი) ასტროლოგიური პროგნოზი

კირჩხიბი – 22/VI-22/VII

ქალი: რომანტიკულ შეხვედრას, რომელიც კვირის პირველ ნახევარში გელით, შეიძლება, საინტერესო გაგრძელება მოჰყვეს. თუმცა, მეტისმეტად ოპტიმისტურად ნუ განეწყობით და ეცადეთ, კარგად დაინახოთ ზღვარი სასურველსა და რეალურს შორის.

მამაკაცი: კვირის პირველ ნახევარში, სასიკეთოა ძალაუფლებით აღჭურვილ ადამიანებთან ურთიერთობა. ნურც ისესხებთ ფულს და ნურც გაასესხებთ – შეიძლება, ფინანსური აფერის მსხვერპლი გახდეთ. მთელი კვირა ეცადეთ, არ ჩაებათ კონფლიქტში.

ლომი – 23/VII-23/VIII

ქალი: დასვენება გესაჭიროებათ. ჯობს, ახლა მოიავადმყოფოდ თავი, ვიდრე ცოტა ხანში, მართლა გახდეთ ავად. რაღაც შეხვედრა ან სატელეფონო საუბარი მნიშვნელოვანი საკითხის მოგვარებას შეუწყობს ხელს.

მამაკაცი: ხელსაყრელი დროა ამბიციური გეგმების განსახორციელებლად. თქვენი ამოქმედება კონკურენტებისთვის მოულოდნელი იქნება. ყურადღება გამოიჩინეთ ოჯახის წევრების მიმართ: შესაძლოა, რაღაც გაუგებრობა მოხდეს.

ქალწული – 24/VIII-23/IX

ქალი: მოსალოდნელია სასიამოვნო სიურპრიზები – მაგალითად, დაუგეგმავი შემოსავალი. კვირის მეორე ნახევარში, შეიძლება ისეთ სიტუაციაში აღმოჩნდეთ, რომელიც რამდენადმე შეზღუდავს თქვენს თავისუფლებას, რაც გეგმებს შეგაცვლევინებთ.

მამაკაცი: მეტი აქტიურობა გამოიჩინეთ საქმიანობაში და ეცადეთ, თქვენს სასარგებლოდ შეაბრუნოთ შექმნილი სიტუაცია. კვირის მეორე ნახევარში, ადრე გადადებული საქმეების მოგვარება მოგიწევთ.

სასწორი – 24/IX-23/X

ქალი: საკუთარი ძალების რწმენა განგიმტკიცდებათ და ბევრ პრობლემასაც გადაწყვეტთ. კვირის დასაწყისში, ნუ იჩქარებთ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებას. შაბათ-კვირას, საინტერესო წინადადებით მოგმართავენ.

მამაკაცი: მოსალოდნელია შეხვედრები და მგზავრობა. თქვენი ფინანსური მდგომარეობა, შესრულებული სამუშაოსთვის მიღებული პრემიის წყალობით გაუმჯობესდება. გირჩევთ, მნიშვნელოვანი მოლაპარაკებები კვირის დამლევისთვის დაგეგმოთ.

ღრიანკალი – 24/X-22/XI

ქალი: ნუ შეუშინდებით ახალი საქმის წამოწყებას. ეცადეთ, უფრო ფართოდ შეხედოთ ყველა პრობლემას. კვირის დასაწყისში, მნიშვნელოვანი კონტაქტები გელით, კვირის დამლევისთვის კი – საოჯახო რუტინაში ჩაეფლობით.

მამაკაცი: თქვენი კავშირების წყალობით, ბევრ რამეს მიაღწევთ. შესაძლოა, ახალ თანამდებობაზე დაგნიშნონ ან სულაც, სამსახური გამოიცვალოთ. კვირის შუა პერიოდში, ეცადეთ, თავი აარიდოთ საქმიან მოლაპარაკებებს.

მშვილდოსანი – 23/XI-21/XII

ქალი: მოსალოდნელია სასიამოვნო ფუსფუსი, რომელიც პარტნიორთან ერთობლივი ცხოვრების გადაწყვეტილებასთან იქნება დაკავშირებული. საცხოვრებელი ადგილის პრობლემის გადაჭრა მოგიწევთ. ეცადეთ, დაეხმაროთ მათ, ვინც ამას გთხოვთ.

მამაკაცი: სამოგზაუროდ მიგიწვევენ, მაგრამ სჯობს, თავი აარიდოთ ან სამომავლოდ გადადოთ, რადგან ახლა, გზაში გაუთვალისწინებელი გართულებები გელით. უქმეებში, აუცილებლად დაისვენეთ.

თხის რქა – 22/XII-20/I

ქალი: თუ ზედმეტ ჭირვეულობას გამოიჩენთ, შესაძლოა, გაგირთულდეთ ურთიერთობა საყვარელ ადამიანთან. იმოქმედეთ დამოუკიდებლად, მაგრამ რჩევებსაც დაუგდეთ ყური. გაუფრთხილდით ფინანსებს, რადგან თაღლითობის მსხვერპლი შეიძლება გახდეთ.

მამაკაცი: ამ კვირაში, მეტისმეტად დატვირთული იქნებით. შეიძლება, ახალი უფროსი დაგინიშნონ, რაც დაძაბულობას შემატებს თქვენს სამუშაო რეჟიმს. ოფიციალურ ინსტანციებთან კონტაქტები ნორმალურად ჩაივლის.

მერწყული – 21/I-19/II

ქალი: თქვენი მეუღლე მეტ ყურადღებასა და გულისხმიერებას გთხოვთ. შესაძლოა, შვილებმა თავიანთი ქცევით შეგაშფოთონ. გამოიჩინეთ სიმტკიცე და თავშეკავება: თუ სათანადო სიმაღლეზე აღმოჩნდებით, ყველა პრობლემას წარმატებით დაძლევთ.

მამაკაცი: ხარჯები იზრდება, მაგრამ თქვენი შემოსავალიც საკმარისად სოლიდურია საიმისოდ, რომ საჭირო ნივთები შეიძინოთ. კვირის შუა პერიოდში, ახალ საქმეს ნუ წამოიწყებთ. უქმეებში, შეიძლება მოულოდნელად, სტუმრები გეწვიონ.

თევზები – 20/II-20/III

ქალი: სასიკეთო პერიოდი გრძელდება. მაგრამ ნუ უგულებელყოფთ ახლობლების რჩევებს. სამსახურში შეიძლება, თანამშრომლებს შორის კონკურენცია გამწვავდეს. კვირის დასაწყისში, მეგობრებს შეეხმიანეთ, კვირის დამლევს კი, განმარტოვდით.

მამაკაცი: მაქსიმალურად გამოიყენეთ სამსახურში შექმნილი სასიკეთო სიტუაცია და ბევრს მიაღწევთ. უფროსობა მოიწონებს თქვენს იდეებს. იღბალი განსაკუთრებით წყალობს იმ თევზებს, რომლებიც უძრავი ქონების, შოუბიზნესის, რეკლამის სფეროებში საქმიანობენ.

ვერძი – 21/III-20/IV

ქალი: თუ შვებულებაში წასვლას ვერ მოახერხებთ, დაძაბული სამუშაო გელით, რაც მეუღლის (ან პარტნიორის) უკმაყოფილებას გამოიწვევს. შესაძლოა, კვირა დავა-კამათითა და უსიამოვნებით დაიწყოს. კვირის დამლევისთვის, ახალი კონტაქტები და გატაცებებია მოსალოდნელი.

მამაკაცი: დამატებითი შემოსავალი მოსალოდნელი არ არის. არადა, ხარჯი მოგემატათ. ნათესავებთან ურთიერთობა კვლავინდებურად დაძაბულია. კვირის მეორე ნახევარში, შესაძლოა, მნიშვნელოვან შეთანხმებას მიაღწიოთ.

კურო – 21/IV-21/V

ქალი: კვირის დასაწყისი ხელსაყრელია მოგზაურობისთვის. ახალი კონტაქტები, ახალი ნაცნობობა გელით. სიფრთხილე გამოიჩინეთ ფინანსურ საკითხებში. კვირის დამლევი შესაძლოა, პირადი ცხოვრებისთვის მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს.

მამაკაცი: თქვენს მოვალეობათა წრე გაფართოვდება. სამსახური ბევრ ძალასა და ენერგიას გართმევთ. ეცადეთ, სამომავლოდ გადადოთ მნიშვნელოვანი მოლაპარაკებები – პარტნიორებთან საერთო ენის გამონახვა ახლა გაგიჭირდებათ.

მარგალიტი – 22/V-21/VI

ქალი: მოსალოდნელია რომანტიკული შეხვედრა. თუ ეს ურთიერთობა გაგრძელდა, შესაძლოა, ქორწინებითაც კი დაგვირგვინდეს. კვირის დასაწყისში, თავი აარიდეთ მასობრივ ღონისძიებებს. კვირის დამლევი ხელსაყრელია ფინანსური პრობლემების გადასაჭრელად.

მამაკაცი: შესაძლოა, საქმიანი ურთიერთობა დაამყაროთ უცხოელ პარტნიორებთან. სამსახურში ყველაფერი კარგად გაქვთ აწყობილი, მით უმეტეს უნდა მოერიდოთ ნაჩქარევ და მკვეთრ განცხადებებს. უქმეებში მეგობრებთან ერთად დაისვენეთ.

შეგიძლიათ თუ არა სიყვარულის შენარჩუნება

ერთმანეთზე შეყვარებულ ადამიანებსაც კი ცხოვრებაში მრავალი სირთულე და პრობლემა ელობებათ წინ. მისი გონივრულად დაძლევა და სიყვარულის შენარჩუნება, საკმაოდ დიდ გამძლეობას და ნებისყოფას მოითხოვს. როგორი ხართ თქვენ? გაეცანით ტესტს და ამოწერეთ იმ პუნქტების შესაბამისი ასოები, რომელიც თქვენს ცხოვრებაში მომხდარა.



1) გასულ წელს:

— ერთხელ მაინც ერთად აღნიშნეთ, რომანტიკულ გარემოში დაბადების დღე ან რაიმე დღესასწაული — ა)

— შაბათ-კვირას მუდამ ერთად ატარებდით — ბ)

— ბინაში ინტერიერის ნებისმიერ ცვლილებას მას უთანხმებდით — გ)

— მუდამ ცდილობდით კარგი ფიზიკური ფორმის შენარჩუნებას — დ)

2) ერთი თვის წინ:

— პრობლემების უმეტესი ნაწილის გადაწყვეტა თავად ითავეთ, რათა მას მეტი დრო დარჩენოდა საკუთარი ინტერესების განსახორციელებლად — ა)

— საღამოობით ხშირად კამათობდით და საუბრობდით ერთმანეთში პოლიტიკასა და ზოგად ცხოვრებისეულ პრობლემებზე — ბ)

— მოუმზადეთ მას სიურპრიზი მისი საყვარელი, რთულად მოსამზადებელი კერძის სახით — გ)

— გაუკეთეთ მოულოდნელი, მცირე საჩუქარი — დ)

3) ერთი კვირის წინ:

— თქვენი გადატვირთული გრაფიკიდან ორიოდე საათი გამოითავისუფლეთ, რათა დრო მასთან ერთად გაგეტარებინათ — ა)

— საკუთარი თავის მისახედად გამოყავით ერთი-ორი საათი — ბ)

— უთხარით: „მე შენ მიყვარხარ“ — გ)

— ბოდიში მოუხადეთ თქვენ მიერ დაშვებული რაიმე შეცდომის გამო — დ)

4) გუშინ ან დღეს:

— ჰკითხეთ მას, როგორ ჩაიარა დღემ — ა)

— მოხვიეთ ხელი და აკოცეთ — ბ)

— სცადეთ, დაგევიწყებინათ მისთვის ყველა პრობლემა — გ)

— შეაქეთ იგი — დ)

5) საერთოდ:

— შეგიძლიათ თუ არა რამდენიმე წამში გაიხსენოთ, როგორ შეიძლება მისი უზომოდ გახარება? — ა)

— შეგიძლიათ თუ არა უცებ გაიხსენოთ თქვენი ხასიათის ის სამი ნიშანი, რომელიც მას არ მოსწონს? — დ)

— იცით თუ არა, რა აწუხებს ბოლო დროს? — ა)

— იცით თუ არა, რა არის ის, რაც თქვენ მოგწონთ, მას კი უზომოდ უშლის ნერვებს? — გ)

— იცით თუ არა, თქვენი რომელი სამოსი მოსწონს მას განსაკუთრებით? — ა)

— იცით თუ არა მისი შეხედულებები ცოლქმრული ერთგულების შესახებ და იზიარებთ თუ არა მას? — გ)

— შეგიძლიათ თუ არა უცებ დაასახელოთ ხასიათის ის ნიშანი, რომელიც მას და მის მშობლებს აერთიანებთ? — დ)

— შეგიძლიათ თუ არა ზუსტად იმის თქმა, სად გაუხარდებოდა გამგზავრება დასასვენებლად? — გ)

— ამზადებთ თუ არა საუზმეს რიგრიგობით? — ბ)

— უტოვებთ თუ არა რაიმე ბარათს, როცა შინიდან მოულოდნელად გადიხართ? — ა)

— გიყვართ თუ არა მისი მშობლები? — დ)

— შეგიძლიათ თუ არა უცებ ჩამოთვალოთ მისი ხასიათის ხუთი საუკეთესო ნიშანი? — დ)

დათვალეთ, რომელი ასო ჭარბობს თქვენს პასუხებში და ამის მიხედვით შეძლებთ დაადგინოთ თქვენს ურთიერთობაში თქვენი მხრიდან რა თვისებებია გამოკვეთილი.

ა) — მზრუნველობა. თქვენ განსაკუთრებით კარგად გეხერხებათ საყვარელ ადამიანზე ზრუნვა, თუმცა ცოტაოდენ ეგოისტიც ხართ და ცდილობთ, ეს ზრუნვა ისევ თქვენ დაგიბრუნდეთ უკან. თქვენი პარტნიორი გიყვართ, მაგრამ მისი მშობლის როლში უფრო ხშირად აღმოჩნდებით ხოლმე, ვიდრე თბილი მეუღლის.

ბ) ურთიერთპატივისცემა — თქვენი პარტნიორი გიყვართ, არათუ გიყვართ, არამედ მას აღმერთებთ კიდეც. გხიბლავთ ყოველი მისი მოძრაობა, სიტყვა, ინტელექტი და ღიმილი. თქვენს ურთიერთობას ერთფეროვნება არ ემუქრება, რადგან მუდამ ცდილობთ თქვენს საყვარელ ადამიანში ახალი თვისებების აღმოჩენას. თუმცა, ფრთხილად იყავით, ზედმეტი ყურადღება მას შეიძლება თავში აუვარდეს და ჩათვალოს, რომ თქვენზე უკეთესია.

გ) სიყვარული და გაგება — გიყვართ და გესმით კიდეც მისი. ზოგჯერ ცდილობთ, უფრო კარგად გაუგოთ და ისეთ თემებზე იწყებთ საუბარს, რაც თქვენთვის მაინცდამაინც ნაცნობი არ არის. ჯობს, ასეთ ლაპარაკს შეეშვათ და საყვარელ ადამიანთან ერთად ისეთი საკითხები განიხილოთ, რაც თქვენთვის ნაცნობია, მაგალითად, სიყვარულზე, დასვენებაზე და თქვენს საერთო ინტერესებზე. ამის წყალობით, მოსაწყენი არასოდეს გახდებით.

დ) თვითდამკვიდრება — საკუთარ თავზე ცოტა გადამეტებული წარმოდგენაც კი გაქვთ. ცდილობთ, საყვარელ ადამიანს თქვენი შეხედულებები მოახვიოთ თავს და არწმუნებთ, რომ რასაც თქვენ აკეთებთ — სწორია. ალბათ გავიწყდებათ, რომ თქვენი პარტნიორი თოჯინა არ არის და მასაც აქვს თავისი აზრი და ინტერესები. ჯობს დროულად დაფიქრდეთ და შეჩერდეთ, თორემ სიყვარული ისე მოულოდნელად გაქრება, რომ გააზრებასაც ვერ მოასწრებთ.

თავშესაფარი ხანდაზმულ ჰომოსექსუალთათვის

ესპანეთის ქალაქ ბარსელონაში, ხანდაზმულ ჰომოსექსუალთათვის ევროპაში პირველი თავშესაფარი გაიხსნება. პროექტის პრეზენტაციაზე ამის შესახებ გამოაცხადა ფონდ „არენასის“ პრეზიდენტმა ალადინო ნესპრალმა, რომელმაც დამსწრეთ აუწყა, რომ გამოყოფილია 480 ათასი ევრო და ახლა, შესაფერისი შენობის შერჩევაზე მიდგა საქმე. თავშესაფარი 24 ადამიანისთვის იქნება გათვალისწინებული. მისი ამოქმედება წლის დამლევისთვისაა დაგეგმილი. მასში იმ ჰომოსექსუალებს მიიღებენ, რომლებიც მოკლებულნი არიან თავიანთ ოჯახებში სათანადო მოვლა-პატრონობას ან თავის სარჩენად სამყოფი შემოსავალი არ გააჩნიათ. როგორც ნესპრალმა დასძინა, თავშესაფარში „ჩვეულებრივი სოციალურ-კულტურული გარემო შეიქმნება“. კერძო საქველმოქმედო ფონდი „არენასი“ შარშან დეკემბერში, ამავე

სახელწოდების ფირმამ ჩამოაყალიბა, რომელიც ბარსელონაში 7 დისკოთეკასა და სხვა მუსიკალურ დაწესებულებებს ფლობს. ფონდმა დააწესა 3 სტიპენდია (თითოეული – 3.000 ევროს ოდენობით), რომელიც ჟურნალისტიკის სფეროში პროფესიონალური მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლებისთვისაა გათვალისწინებული; ფონდი აფინანსებს აგრეთვე ჰომოსექსუალების ცხოვრების შემსწავლელ, სოციოლოგიურ გამოკვლევებს. მას განზრახული აქვს ლიტერატურული პრემიის დაწესებაც, რომელიც ამავე სფეროს ამსახველი ნაწარმოებების კონკურსში გამარჯვებულს დაასახელებს და ყოველწლიურად, 28 ივნისს – ე.წ. ჰომოსექსუალთა და ლესბოსელთა სიამაყის საერთაშორისო დღეს გადაეცემა. ■

მიმდინარე თვეში, ინგლისში პირველი ინტერნეტ-ბავშვი გაჩნდება

ახალგაზრდა წყვილი, რომელსაც ვერ ელირსა ბავშვი, თავის ოცნებას ინტერნეტის წყალობით აისრულებს: მან მსოფლიო ქსელის მეშვეობით მიაგნო სასურველ დონორს. ამ

სამსახურს თავის მომხმარებლებს სთავაზობს ბრიტანული ინტერნეტ-კომპანია Man Not Included, რაც ასე ითარგმნება: „მამაკაცი კომპლექტში არ შედის“. თავდაპირველად, კომპანია თურმე ლესბოსურ წყვილებსა ან იმ მარტოხელა ქალებზე იყო ორიენტირებული, რომლებსაც უჭირთ დამოუკიდებლად პარტნიორის პოვნა. მაგრამ მისი საიტი ჯერჯერობით ყველაზე დიდი პოპულარობით სარგებლობს ჩვეულებრივ წყვილებში, რომლებსაც მამაკაცის მიზეზით, შვილი არ უჩნდებათ. კომპანიის დახმარებით უკვე 16-მა წყვილმა ისარგებლა, მაგრამ „ინტერნეტული სპერმის“ წყალობით ბავშვის გაჩენის პირველი შემთხვევა მიმდინარე თვეში დაფიქსირდება. ამ მომსახურებისთვის წყვილები 750 გირვანქა სტერლინგს იხდიან; ამას ემატება საიტის მონაცემთა ბაზის გასაცნობად და 3 კანდიდატურის შესარჩევად დადგენილი 80 გირვანქა. სამიდან ერთი – საბოლოო კანდიდატის განსაზღვრა, ექიმი-კონსულტანტის დახმარებით ხდება. ექიმი და წყვილი მის ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ მონაცემებსაც აანალიზებენ და ცხოვრების წესსაც ითვალისწინებენ. ■

ჰოგოჰ იქცა მეცნიერი ყველაზე სახელგანთქმულ ჯაშუშად

რატომ ჰქვია მთელ მსოფლიოში ცნობილ, აგენტ 007-ს ჯეიმს ბონდი და არა ვთქვათ, ჯონ სმიტი? რატომ დაარქვა მაინცდამაინც ეს სახელი იან ფლემინგმა თავის გმირს? უცნაურია, მაგრამ ნამდვილი ჯეიმს ბონდი თურმე მეცნიერი-ორნიტოლოგი ყოფილა, რომელმაც შეადგინა პირველი ვრცელი კატალოგი – „დასავლეთ ინდოეთის ფრინველები“... 1952 წელს, იან ფლემინგმა დაწერა თავისი პირველი რომანი – „კაზინო როიალი“. მწერალს ჰქონდა იდეა და ჰყავდა მთავარი გმირის პროტოტიპი, მაგრამ მისთვის სახელი ვერა და ვერ შეერჩია. ფლემინგის სახლის მეზობლად მდებარეობდა საჯარო ბიბლიოთეკა, რომელსაც ის ხშირად სტუმრობდა და იქ მას თვალში მოხვდა ზემოთ დასახელებული წიგნი. „რაკი ჩემი გმირი ჯაშუში იყო, მისთვის, ნაკლებდასამახსოვრებელი, არაორიგინალური სახელი უნდა დამერქმია. როცა წავიკითხე წიგნის ავტორის გვარ-სახელი – ჯეიმს ბონდი – უცებ ვიფიქრე: სწორედ ის არის, რაც მჭირდება: სხარტი, რომანტიკულობას მოკლებული და ძალიან მამაკაცური!“ რაც შეეხება ნამდვილი ბონდის წიგნს – თუმცა ის ჯერ კიდევ 1936 წელს დაიწერა, დღემდე არის მიჩნეული დასავლეთ ინდოეთის ფრინველთა ყველაზე სრულ კატალოგად და კვლავ და კვლავ გამოიცემა ხოლმე. ■

ყოველი მეათე ლონდონელი ნვეულებიდან წამოსვლისას სახლს ვეღ აგნებს...

ლონდონელთა 8%-ზე მეტი, მხიარული დროს ტარების შემდეგ, ტაქსის მძღოლს მხოლოდ საკუთარ რაიონს ეუბნება და ვერაფრით იხსენებს ზუსტ მისამართს. ასეთი სავალალო სურათი დააფიქსირა 700 რესპონდენტის გამოკითხვის შედეგად ჩატარებულმა სოციოლოგიურმა გამოკითხვამ. ბახუსის მიზეზით გაჩენილი დროებითი ამნეზიის მსხვერპლი, მამაკაცთა 9% და ქალთა 7% ხდება. დამოუკიდებელი ორგანიზაციის – Alcohol Concern-ის მონაცემებით კი, ყოველი მეცამეტე ინგლისელი, ჩამოყალიბებული ლოთია, ეს კი ორჯერ აღემატება ნარკომანთა რაოდენობას. „ის, რომ 3 მლნ-ზე მეტი ადამიანი ერთ დღესაც ვერ ძლებს უალკოჰოლოდ ძალზედ შემაშფოთებელია“, – აღნიშნა პრესისთვის გაკეთებული განცხადების დროს Alcohol-ის გენერალურმა დირექტორმა ერიკ ეპლბიმ. ■

ფოტოკუჩიოზები





N14(48) 10/VII-23/VII.2003

ოჯახის

მეუღლეები

სამეფისფინო ჟურნალი

ფასი 70 თ.

მთავარი თემა
სეზონური პრობლემები

მალარია

ფინური აბანო

ინსულტი

რა კავშირია საკვებსა და სექსს შორის

თქვენი და თქვენი ოჯახის ჯანმრთელობისთვის